

ରୋ ପରେଲ୍ପାରୁ



451°

ତ୍ୱାର୍କ୍ୟନ୍ଦିନ୍ମାତ୍ରଣ

Farenheit 451°

## ნაწილი პირველი ცეცლი და „სალაშანდრა“

\* \* \*

ხანძრის გაჩენა მთელი ნეტარება იყო!

განსაკუთრებულ სიამოვნებას კი მაშინ გრძნობდა, როცა ხედავდა, თუ როგორ შთანთქავდა, რუჯავდა და სახეს უცვლიდა ალი ნივთებს. აი ახლაც, ბრინჯაოს ცეცხლმფრქვევი ჩაუბლუჯავს ხელში და შხამიანი ნავთით რწყავს ქვეყნიერებას. სისხლი საფეთქლებს აწვება, ხელები კი ისტორიის დაფლეთილი ფურცლებისა და დანახშირებული ნანგრევების საბოლოოდ დაფერფვლისა და დაბუგვის სიმფონიებს დირიჟორობს. ჯიუტ შუბლს მუზარადი უფარავს, რომელსაც სიმბოლური ციფრი „451“ აწერია. თვალებში ნარინჯისფერი ცეცხლი უელავს, რაღგან იცის, რომ ახლა რაღაც მოხდება. მართლაც თითის ერთი დაჭერა ცეცხლმფრქვევზე – და სახლი ხარბი ალის ხახაში ექცევა. საღამოს ზეცა მაშინვე წითლად, ყვითლად და შავად იფერება. მეხანძრე კი ფართოდ დააღავებს ციცინათელების გუნდში და იმ ბავშვივითაა გახარებული, რომელიც აპირებს ჯობზე წამოცმული შაქარყინული შედოს ღუმელში. ამასობაში კი სულს ღაფავენ სახლის ბლურბლზე და გაზონებში მიმოფანგული მტრედებივით ფარფატა წიგნები. ეს წიგნები ნაპერწკლებად ადიან ცაში და მერე ჭვარტლით გაშავებული ქარი მიაქანებს ამ ნაპერწკლებს სადღაც.

მონტევი დაიღრიჯა, ასე მხოლოდ მაშინ იღრიჯება ად-

ამიანი, როცა სახეს ცეცხლი აულოკავს და უკან დაახევინებს ხოლმე. გამურულმა ცეცხლის მეხოტბემ იცოდა, რომ სახანძრო რაბმში დაბრუნებისას თვალს ჩაუკრავდა სარკეში თავის ორეულს; მერე, დაძინების წინ, სიბნელეში იგრძნობდა, რომ სახეზე ისევ ის ალმურიანი ღიმილი აქვს შეყინული, რომელიც არასოდეს სცილდებოდა და რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი თანამგბავრი იყო.

მონტეგმა ხოჭოსავით შავი მუზარადი მოიხადა, გაპრიალა და კედელზე ჩამოკიდა. იქვე, მუზარადის გვერდით, ფრთხილად მიაკიდა ცეცხლგამძლე ქურთუკი და შხაპი მიიღო. მერე ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, სტვენა-სტვენით გადაჭრა სახანძრო სადგურის ზედა სართულის დარბაზი და ლუქში გაუჩინარდა. ბოლო წამს, როცა თითქოსდა მიწას უნდა დახეთქებოდა, ჯიბეებიდან ხელები ამოიღო და ოქროსფერ ჭოკს მოეჭიდა. გაისმა ჭრიალი და მონტეგი ქვედა სართულის ცემენტის იატაკიდან სულ რაღაც ერთ გოჯზე შეჩერდა.

მონტეგი სახანძრო სადგურიდან გამოვიდა და ბნელი, უკაცრიელი ქუჩით გაემართა მიწისქვეშა მატარებლისკენ. გარინდებული პნევმატური მატარებელი დაიძრა და უხმოდ გასრიალდა გაპოხილ მიწისქვეშა მიღმი. ცოტა ხნის შემდეგ სადგურზე შეჩერდა, მონტეგი მოყვითალო ფილებით მოფენილ ესკალატორზე გადმოსვა და უკან თბილი ჰაერის ჭავლი მიაყოლა. ამ ესკალატორს მგბავრები ერთ-ერთ გარეუბანში აჰყავდა. მონტეგი სტვენით ავიდა დამის მშვიდ სამფლობელოში და მოსახვევისკენ გაემართა. თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა, მაგრამ დიდხანს არც ერთზე არ ჩერდებოდა. მოსახვევთან ნაბიჯი ისე შეანელა, თითქოს საიდანდაც მონაბერი ქარი მოხვდა ან თითქოს ვიღაცამ სახელი დაუძახაო. უკვე რამდენიმე ღამე იყო, ამ

მოსახვევს იქით მდებარე ვარსკვლავებით განათებულ ქვაფენილს რომ მიუახლოვდებოდა, უჩვეულო გრძნობა შეიპყობდა ხოლმე. ეჩვენებოდა, თითქოს ერთი წამის წინ ამ მოსახვევს იქით ვიღაც იდგა. იქაურობას უცნაური სიმშვიდე მოჰყენოდა, თითქოს იქ მშვიდად, უხმოდ ელოდებოდა ვიღაც და სწორედ მაშინ, როცა პირისპირ უნდა შეხვედროდა, უეცრად აჩრდილად იქცეოდა და მონტეგი ამ აჩრდილში გაივლიდა ხოლმე. იგი სუსტ სურნელებასაც კი იყნოსავდა, იმ ადგილას რომ გაივლიდა; ხელები და ლოყები სითბოს მომატებას გრძნობდნენ, თითქოს ის ვიღაც იქაურობას ერთი ათი გრადუსით ათბობსო. მონტეგი ვერაფერს მიმხვდარიყო, რადგან ის თეთრი, უსწორმასწორო ქვაფენილით მოგებული შესახვევი ყოველთვის უკაცრიელად ახსოვდა. ოდონდ ერთ დამეს მოეჩვენა, რომ ვიღაცის ჩრდილმა მინდორი გადაჭრა და ისე სწრაფად გაქრა, რომ მონტეგმა ვერც შეთვალიერება მოასწორო, ვერც დაძახება.

ახლა კი, იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, ისე შეანელა ნაბიჯი, რომ თითქმის შეჩერდა. გონებით უკვე გასცდა ამ კუთხეს და ოდნავი ხმაურიც გაიგონა. „ვინმე სუნთქავს? ან იქნებ იმ ვიღაცამ ააშრიალა ჰაერი, განაბული რომ იცდის კუთხის იქით?“

მონტეგმა კუთხეში შეუხვია.

მთვარით განათებულ ქვაფენილზე ნიავი შემოდგომის ფოთლებს მოაფრიალებდა. მონტეგისკენ მიმავალი ქალიშვილიც თითქოს ამ ნიავსა და ფოთლებს მინდობოდა და ისე მისრიალებდა ჰაერში. უცნობს ოდნავ დაეხარა თავი და უმზერდა, თუ როგორ ეფლობოდა მისი ფეხსაცმელი ქარისგან აფრიალებულ ფოთლებში. თხელი, თოვლივით თეთრი სახე მოკრძალებული, მაგრამ დაუდალავი ცნობისწადილით გასხივოსნებოდა. მას, ალბათ, არასოდეს სცილდე-

ბოდა სახიდან ოდნავ გაოცებული გამომეტყველება. შავი თვალები ისე დაჟინებით მისჩერებოდა ყველაფერს, რომ ეტყობოდა, არაფერი გამოეპარებოდათ. ქალიშვილს თეთრი შრიალა კაბა ეცვა. მონტეგს თითქოს მისი ხელების მოძრაობის ხმაც კი ესმოდა; თითქოს ის მცირე ხმაურიც კი გაიგონა, რომელიც ქალიშვილის გამომეტყველების შეცვლამ გამოიწვია. გამომეტყველება კი მაშინ შეეცვალა, როცა დაინახა, რომ სულ ორ ნაბიჯზე ქვაფენილის შეაში ვიღაც მამაკაცი იდგა და მის მიახლოებას უცდიდა. ხეები შრიალით უშვებდნენ ძირს ხმელი ფოთლების წვიმას. ქალიშვილი შეჩერდა და ეტყობოდა, უკან დახევა დააპირა შეშფოთებულმა, მაგრამ ამის ნაცვლად ჯერ ყურადღებით შეხედა მონტეგს, მერე კი შავთვალებში ისეთი შუქი და სიხარული ჩაუდგა, თითქოს ამ უცნობმა ძალგე საოცარი და სასიამოვნო რამ უთხრათ. სინამდვილეში კი მონტეგი მხოლოდ მიესალმა ქალიშვილს და შემდეგ, როცა შენიშნა, რომ იგი მოჯადოებულივით მიშტერებოდა მის მკლავზე დაკერებულ სალამანდრას გამოსახულებას და მკერდგე მიმაგრებულ ფენიქსიან<sup>2</sup> ფირფიტას, კვლავ დაარღვია დუმილი:

- თქვენ ახალი მეზობელი ბრძანდებით, არა?
- თქვენ კი ნამდვილად მეხანძრე ხართ, – უთხრა ქალმა მისუსტებული ხმით და როგორც იქნა, სალამანდრასა და ფენიქსს თვალი აარიდა.
- რა უცნაურად თქვით!
- მე... მე თვალდახუჭულიც კი მივხვდებოდი, – ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა.
- როგორ? ნავთის სუნით, არა? ჩემი ცოლი სულ ამაზე წუწუნებს, – მონტეგმა ჩაიცინა, – მთლიანად ვერასოდეს ვიმორებ.
- მართალია, ვერ მოიშორებ, – შეშფოთებით ჩაილა-

პარაკა ქალიშვილმა.

მონტეგს მოეჩვენა, თითქოს ქალიშვილი გარშემო უვლიდა, აქეთ-იქით ატრიალებდა, ფრთხილად აჯანჯლარებდა და ჯიბეებს უბრუნებდა, თუმცა მშვენივრად ხედავდა, რომ ქალიშვილი ადგილიდან არ იძროდა.

— ნავთისა და ნელსაცხებლის სუნი ჩემთვის ერთია, — თქვა მონტეგმა, რათა ეს აუტანელი დუმილი დაერღვია.

— ნუთუ მართლა ასე გეჩვენებათ?

— რასაკვირველია. ვითომ რატომაც არა?

ქალიშვილი მცირე ხანს ჩაფიქრდა და მერე ჩაილაპარაკა:

— არ ვიცი... — შემდეგ მოტრიალდა და იქით გაიხედა, სადაც მათი სახლები იდგა, — შეიძლება თქვენთან ერთად დაგბრუნდე უკან? მე კლარისა მაკლელანი ვარ!

— კლარისა... მე კი გაი მონტეგი! წავიდეთ. ასე გვიან რისთვის დადიხართ ქუჩაში? რამდენი წლის ხართ?

ოდნავ თბილი, ქარიანი ლამე იყო. კლარისა და გაი ვერცხლისფრად განათებულ ქვაფენილზე მიდიოდნენ. მონტეგმა მწიფე ჭერმისა და მარწყვის ნაზი სურნელი იგრძნო, ირგვლივ მიმოიხედა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ეჩვენებოდა — ახლა ხომ შემოდგომის მიწურული იდგა!

დიახ, ახლა შემოდგომა იყო და გვერდით უცხო ქალიშვილი მიჰყვებოდა, რომელსაც მთვარის შუქჩე თოვლივით უელავდა სახე. მონტეგი მიხვდა, რომ ქალიშვილი ჩაფიქრებულიყო და ცდილობდა, რაც შეიძლება საუკეთესოდ ეპასუხა კითხვებზე.

— ჰო, — თქვა ბოლოს კლარისამ, — მე ჩვიდმეტის ვარ და ცოტას ვაფრენ კიდეც. ბიძაჩემი მეუბნება: სადაც ერთია, იქვე მეორეც უნდა იყოსო. დამარიგა, როცა ასაკს გვითხავენ, სიმართლე უთხარი და არც ის დაფიცო, რომ სულელი

ხარო. განა ამ დროს სეირნობას რამე სჯობს? მიყვარს, როცა ნივთების სუნს შევიგრძნობ, როცა ჩემი თვალით დავინახავ მათ. ხანდახან მთელ ღამეს ასე ხეტიალში ვათენებ და მზის ამოსვლას ვეგებები ხოლმე.

ერთხანს არც ერთი არ იღებდა ხმას, ბოლოს გოგონამ დაბრლვია დუმილი:

- იცით, მე სულაც არ მეშინია თქვენი!..
- რატომ უნდა გემინოდეთ?! – ჰკითხა გაოცებულმა მონტეგმა.

– იმდენ ხალხს ეშინია თქვენი! ესე იგი, მეხანძრების, მაგრამ თქვენც ხომ ადამიანი ხართ, ბოლოს და ბოლოს...

მონტეგმა თავისი თავი დაინახა ქალიშვილის თვალებში. ანკარა წყლის ორ მოციმციმე წვეთში ნათლად ჩანდა მისი მუქი, ციცქნა, მაგრამ მკაფიო გამოსახულება. ყველაფერი აშკარად ჩანდა: ხაზები ტუჩის კუთხებში და ყველაფერი, თითქოს ქალიშვილის თვალები ჯადოსნური იისფერი ქარვის ორი პატარა ნატეხი ყოფილიყო, რომლებსაც შეეძლო დაეჭირა და უცვლელად შეენახა ყველაფერი. კლარისას სახე, რომელიც ახლა მონტეგმისკენ იყო მიბრუნებული, რძის სათუთ კრისტალს წააგავდა და ეს კრისტალი შიგნიდან ნაზი, თანაბარი შუქით განათებულიყო. ეს არ იყო ელექტრონის შემაწუხებელი შუქი, არამედ... რა იყო? რა და, უჩვეულოდ დამამშვიდებელი, ნაზად მოციმციმე სინათლის შუქი.

ერთხელ, ბავშვობაში სინათლე ჩაქრა. დედამისმა სადღაც ერთადერთი სანთელი იპოვა და აანთო. ეს მოკლე საათი აღმოჩენათა ხანად იქცა ორივესთვის. სამყარომ დაკარგა ფართო საბლვრები და მყუდრო ალყაში მოაქცია ისინი. დედა და შვილი სრულიად გადასხვაფერებულები ისხდნენ და ნატრობდნენ: ნეტავ, დენი დიდხანს არ მოვ-

იდესო.

უცებ კლარისამ თქვა:

– შეიძლება ერთი რამ შეგეკითხოთ? რამდენი ხანია, რაც მეხანძრედ მუშაობთ?

– ოცი წლიდან მეხანძრე ვარ. აგერ უკვე ათი წელიწა-ლია.

– ოდესმე თუ კითხულობთ რომელიმე დასაწვავ წიგნს?

– ამას კანონი გვიკრძალავს, – ღიმილით მიუგო მონ-ტეგმა.

– ჰო... რა თქმა უნდა.

– ეს მშვენიერი ხელობაა. ორშაბათს შილერი დავწვა-ათ, ოთხშაბათ სუიტმენი, პარასკევს ფოლკნერი. ფერფლად ვაქციოთ, მერე ფერფლიც დავწვათ! ეს არის ჩვენი პრო-ფესიული ღევიზი.

ცოტა რომ გაიარეს, ქალიშვილმა კვლავ ჰკითხა:

– მართალია, რომ ძველად მეხანძრეები კი არ აჩენდნენ, არამედ აქრობდნენ ხოლმე ცეცხლს?

– არა. მერწმუნეთ, რომ სახლები ყოველთვის ცეცხლ-გამდლე იყო.

– საოცარია. ერთხელ ყური მოვკარი, რომ ოდესდაც, დიდი ხნის წინათ სახლებს შემთხვევით ცეცხლი უჩნდებო-და და მაშინ მეხანძრეები აქრობდნენ ხოლმე.

მონტეგმა გაიცინა. ქალმა სწრაფად ახედა ქვევიდან.

– რატომ იცინით?

– არ ვიცი, – მონტეგს კვლავ აუტყდა სიცილი. მერე გაჩუმდა, – რატომ მეკითხებით?

– მე სასაცილო არაფერი მითქვამს, თქვენ კი იცინით. მერე, უცებ მპასუხობთ. არც კი დაფიქრდებით ხოლმე ჩემს კითხვაზე.

მონტეგი შედგა და ქალიშვილს დააცერდა:

— მართლაც უცნაური ყიფილხართ. სულ არაფრად მაგდებთ!

— სულ არ ვაპირებდი თქვენს განაწყენებას. ასე ალბათ იმიტომ მემართება, რომ ადამიანებს მეტისმეტად ვაკვირდები.

— კი მაგრამ, ამას რომ უყურებთ, ვერაფერს ხვდებით? — უთხრა მონტეგმა და თითით აჩვენა თავის კუპრივით შავ სახელობე ამოქარგული ციფრი 451.

— როგორ არა, — დაიჩურჩულა კლარისამ და ფეხი ააჩქარა, — ოდესმე გიყურებიათ, როგორ მიქრიან რეაქტიული მანქანები აგერ, იმ ბუღვარზე?

— სიტყვას ბანზე აგდებთ, არა?

— ხანდახან მგონია, რომ მძღოლებმა არც კი იციან, რა არის ბალახი ან ყვავილი, რადგან ისინი ყოველთვის სწრაფად ჩაუქროლებენ ხოლმე გვერდით. მძღოლს რომ მწვანე ლაქა დაანახვო, გეტყვის, ბალახიათ! დიახ, ნამდვილად, ასე გეტყვით! ვარდისფერები? ვარდისფერები ვარდის ბუჩქებია! თეთრი ლაქები სახლებია, ყავისფერები — ძროხები. ბიძაჩემს ერთხელ ნელა მიჰყავდა მანქანა შარაგბაზე — საათში ორმოცი მილის სიჩქარით და ორი დღით ჩასვეს ციხეში. განა ეს სასაცილო და თან სატირალი არ არის?

— ბალიან ბევრს ფიქრობთ, — აწრიალდა მონტეგი.

— მე იშვიათად ვუყურებ მოლაპარაკე კედლებს, არც ავტომობილების შეჯიბრებებზე და გასართობ პარკებში დავდივარ. ალბათ ამიტომ არის, რომ ბევრი დრო მრჩება სულელური ფიქრებისთვის. გინახავთ ქალაქგარეთ ორას-ფუტიანი დაფები რომ დგას განცხადებებისთვის? იცით თუ არა, რომ ოდესლაც იმათ სულ ოცი ფუტის სიგრძე პქონდათ? მაგრამ ახლა სწრაფად დაიწყეს მანქანებმა სრბოლა და დაფები რომ არ დაეგრძელებინათ, ვერავინ წაი-

კითხავდა.

- ეგ აღარ ვიცოდი, — ჩაიცინა მონტეგმა.
- დამიჯერეთ, მე კიდევ ისეთი რამ ვიცი, რაც თქვენ არც კი დაგესიმრებათ: დილდილობით ბალახზე ცვარია ხოლმე დაყრილი!

მონტეგმა უცებ ვერ გაიხსენა, იცოდა თუ არა ეს ამბავი და საშინლად განერვიულდა.

- აი, იქით თუ გაიხედავ, — ქალიშვილმა ცას მიაპყრო მზერა, — მთვარებე მამაკაცის სახეს შენიშნავ. — მონტეგმა კი დიდი ხანი იყო, ზევით არ აეხედა. დარჩენილი გზა ისე გაიარეს, არც ერთს არ დაურღვევია სიჩუმე. ქალი ფიქრებ-ში ჩაიძირა, კრიჭაშეკრული კაცი კი მეტად უხერხულად გრძნობდა თავს და ხანდახან საყვედურით სავსე მზერას ესროდა თანამგბავრს. როცა კლარისას სახლთან მივიდნენ, დაინახეს, რომ ყველა ფანჯრიდან კაშკაშა შუქი გამოდიოდა.

— რა მოხდა? — გაუკვირდა მონტეგმა. მას იშვიათად ენახა ასე განათებული სახლი.

- არაფერი. ალბათ დედა, მამა და ბიძა სხედან და მას-ლაათობენ. ასეთ რამეს კიდევ უფრო იშვიათად ნახავ, ვი-დრე ფეხით მოსიარულეს. ბიძაჩემი მეორედაც დააპატ-იმრეს. არ მითქვამს? ფეხით მიდიოდა. ო, ჩვენ ხომ მეტად თავისებური ხალხი ვართ.

— კი მაგრამ, რაზე საუბრობთ ხოლმე?

- ქალიშვილს გაეცინა, დამე მშვიდობისათ, მიაძახა მონ-ტეგმა და სახლისკენ შეტრიალდა. მერე ეტყობა, რაღაც გაახ-სენდა, უკან მობრუნდა, გაოცებითა და ცნობისმოყვარეო-ბით მიაჩერდა სახეში კაცს და ჰკითხა:

— ბედნიერი ხართ?

— რა ხარო? — ჩაეკითხა მონტეგმი, მაგრამ მთვარის სხ-

ივებში გახვეული ქალიშვილი უკვე მინისკენ გარბოდა. ცოტა ხნის შემდეგ მონტეგმა კარის საკეფის სუსტი ხმაური გაიგონა.

\* \* \*

— ბედნიერი ვარ? ეს რაღა სისულელეა?

მონტეგმა უცებ შეწყვიტა სიცილი და თავისი ბინის შესასვლელ კარში ამოჭრილ ხვრელში შეყო ხელი. კარმა იცნო მისი თითები და უხმაუროდ გაიღო.

— რასაკვირველია, ბედნიერი ვარ. იმ გოგონას როგორ ჰგონია? განა არა ვარ ბედნიერი? — ელაპარაკებოდა მონტეგი ცარიელ ოთახებს ჰოლიდან. მისი მზერა კონდიციონერის ცხაურს მოხვდა და უეცრად გაახსენდა, რომ იქ რაღაც ჰქონდა დამალული. ამ რაღაცამ თითქოს გამოიხედა ცხაურის გადაღმიდან და მონტეგს მიაჩერდა. მონტეგმა სასწრაფოდ მიაბრუნა თავი.

რა უცნაური შეხვედრაა, რა უცნაური დამეა! ამდაგვარი არაფერი ახსოვდა, თუ იმას არ ჩავთვლით, ერთი წლის წინათ, საღამო ხანს, ვიღაც ხანში შესული მამაკაცი რომ შეხვდა პარკში და ისაუბრეს...

მონტეგმა თავი გადააქნია. მერე ყრუ კედელს შეხედა და მოეჩვენა, რომ ბედ ის გოგონა იყო გამოხატული, ისეთ-ივე ლამაზი, როგორიც დაამახსოვრდა. არა, ნამდვილად გასაოცარი გოგონა უმზერდა მონტეგს კედლიდან. მისი სალუქი სახე პატარა საათის ციფერბლაფს მოგაგონებდათ. ციფერბლაფს, რომელიც ბუნდოვნად მოჩანს ჩაბნელებულ ოთახში შუაღამისას. გამოიღვიძებ, დროის გაგებას მოინდომებ, საათს დახედავ და ისიც გეტყვის საათს, წუთსა და წამს. დიახ, იგი, მდუმარე და მანათობელი. სარწმუნო ცნობებს მოგაწვდის ამ უკუნეთი ღამის შესახებ, რომელიც

სწრაფად მიექანება უფრო მეტი სიბნელისკენ, მაგრამ ამავე დროს განთიადსაც უახლოვდება.

— რაო? — ჰკითხა მონტეგმა თავის მეორე „მეს“ — იმ ქვეცნობიერ იდიოტს, რომელიც დროდადრო ნებისყოფას, ჩვეულებას, გონებას უჯანყდებოდა და ყბედობას იწყებდა ხოლმე. მან კვლავ შეხედა კედელს: — როგორ ჰგავს სარკეს ეს სახე! პირდაპირ წარმოუდგენელია! აბა, ვის ვიცნობ ისეთს, რომ ჩემი საკუთარი სხივი აირეკლოს და დამიბრუნოს? ხალხი მეტწილად... — მონტეგმა შედარება ვერ იპოვა და შეჩერდა, მერე თავისი ხელობა გაახსენდა და განაგრძო, — ხალხი ჩირადდანს ჰგავს, რომელიც, სანამ არ ჩააქრობენ, მხოლოდ საკუთარ შუქს ასხივებს. რა იშვიათად ხდება, რომ სხვა ადამიანმა ასახოს შენი სახე და დაგანახვოს შენი შთაბეჭდილებები, შენი იღუმალი და მოკრძალებული ფიქრები. ამ გოგონას სხვისი აბრების ამოცნობის წარმოუდგენელი უნარი ჰქონდა: იგი თოჯინების თეატრის იმ გატაცებულ მაყურებელს ჰგავდა, რომელიც წინასწარ ტკბება მსახიობის წამწამის ყოველი დაფახულებით, ხელის ყოველი შერხევით თუ თითის გაქნევით. რამდენ ხანს იარეს ერთად? სამ წუთს? მერე როგორ გაგრძელდა ეს ხანი! რა უბარმაზარი გამოსახულება მოჩანდა ახლა სცენაზე, რა-მოდენა ჩრდილს ჰფენდა კედელს მისი გამხდარი სხეული! მონტეგი გრძნობდა, რომ მას თუ მოექავებოდა, გოგონა თვალს დააფახულებდა, თუ ყბის კუნთი დაეძაბებოდა, გოგონა დაასწრებდა და თვითონ დაამთქარებდა.

— ახლა რომ ვუკვირდები, — გაიფიქრა მონტეგმა, — თითქოს მელოდებოდა კიდეც ქუჩაში, თუმცა ძალიან გვიანი იყო.

\* \* \*

მონტეგმა საძინებელი ოთახის კარი გააღო და მოეჩვენა, თითქოს მარმარილოს აკლდამაში შევიდა მთვარის ჩასვლის შემდეგ. ოთახში უკუნეთი სიბნელე იდგა. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გარეთ ვერცხლისფერი სამყარო იყო. დაგმანული ფანჯრები დიდი ქალაქის ხმაურს არ ატარებდა და ოთახს მიცვალებულთა სამყოფელს ამსგავსებდა.

მონტეგმა სმენა გაამახვილა.

ოთახში ოდნავ ისმოდა კოდოს წყვეტილი ბზუილი თუ თავის ვარდისფერ მყუდრო ბუდეში ჩამალული ელექტრონის კელას ჩურჩული. მუსიკა ისე ხმამაღლა ჩაერთოთ, რომ მონტეგმა მელოდიის გარჩევაც კი მოახერხა.

მან იგრძნო, რომ ღიმილი გაუქრა სახიდან, რომ ღიმილი ქონის სანთელივით გადნა და ჩამოიღვენთა. ჩამოიღვენთა იმ ფანტასტიკური სანთელივით, რომელიც ძალგე დიდხანს ენთო, მერე ბოლომდე მიიწვა და ჩაქრა, ჩაქრა და ირგვლივ უკუნეთი ჩამოწვა.

— მე ბედნიერი არა ვარ, არა, არა ვარ! — ჩურჩულებდა მონტეგი. დღეს აშკარად იგრძნო, რომ ბედნიერი არ იყო. ბედნიერებას ნიღაბივით ატარებდა. გოგონამ მოსტაცა ეს ნიღაბი, მინდორი გადაირბინა და ახლა მონტეგს აღარ შეეძლო მისულიყო, მის კარგე დაეკაკუნებინა და უკან მოეხსოვა თავისი ნივთი.

მონტეგს სინათლე არ აუნთია, ისე წარმოიდგინა მთელი ოთახი; საწოლგე მისი ცოლი გაშხლართულა. ბევიდან არაფერი ახურავს და ყინულივით ცივია, იგი თითქოს საფლავის ქვაზე ამოკვეთილი კანდაკებაა. თვალები, გაყინული თვალები, ფოლადის უხილავი ძაფებით აქვს ჭერბე მიბმული. ყურებში პატარა ნიჟარები აქვს ჩადგმული. ეს ციცქა რადიოებია და მღვიძარე ტვინის ნაპირებს ელექტრონის ოკეანის ტალღები ეხეთქება. ხმები, მუსიკა... ლაპარ-

აკი და მუსიკა... ოთახი კი ნამდვილად ცარიელი იყო: ყოველდამე აქ ოკეანე შემოიჭრებოდა, ქალს ხმების უბარმაზარ ტალღებზე აიტაცებდა და ფხიზელს, თვალებგამოღამებულს მიატივდივებდა აისისკენ. გასული ორი წლის განმავლობაში ერთი ღამეც კი არ ყოფილა სხვანაირი და მიღდრედს არასოდეს სწყინდებოდა ამ ბღვაში ბანაობა. ოთახში გრილოდა, მაგრამ მონგეგს სული ეხუთებოდა. მან მაინც არ მოისურვა ფარდები აეწია და აივნის კარი გაეღო – არ უნდოდა მთვარე შემოეშვა ოთახში. გრძნობდა, რომ სულ ერთ საათში დაიხრჩობოდა უპაერობით, მაგრამ მაინც თავის განცალკევებულად გაშლილ, ცივი ლოგინისკენ გაემართა ხელის ცეცებით. წინასწარ, ერთი წამით ადრე იგრძნო, რომ იატაკზე დაგდებულ საგანს წაჰკრავდა ფეხს.

მონტეგს გაახსენდა: წელანაც, სანამ კუთხეში შეუხვევდა, იგრძნო, რომ ვიღაცას შეხვდებოდა და მართლაც შეუხვია თუ არა, კინაღამ იმ გოგონას დაეჯახა.

ფეხმა ჰაერის ტალღა გაგზავნა წინ, ტალღა რაღაც პატარა დაბრკოლებას წააწყდა და უკან დაბრუნდა. იმავე წამს ფეხი რაღაცას დაეჯახა. საგანმა ყრუდ დაიქლარუნა ბნელში და იატაკზე გასრიალდა.

მონტეგი წელში გაიმართა და იმ ადამიანის სუნთქვას დააყურადა, რომელიც ამ უკუნეთ ღამეში საწოლში იწვა. იგი ისე სუნთქავდა, რომ ცოცხალი არც კი გეგონებოდათ. მისი ამოსუნთქვა ოდნავ თუ შეარხევდა პატარა ფოთოლს, ბუმბულს ან თმის ერთადერთ ღერს. მონტეგს ჯერ კიდევ არ უნდოდა სინათლის შემოშვება ოთახში, ამიტომ მექანიკური ასანთი ამოიღო, ხელის ცეცებით იპოვა ვერცხლის დისკოზე ამოტვიფრული სალამანდრა, თითი დააჭირა და როცა აინთო, ალს ხელი მიაფარა.

მონტეგს მთვარის ორი ქვა მისჩერებოდა, ორი ფერ-

მკრთალი ქვა, სიცოცხლის ანკარა ნაკადულში ჩაძირული. ბევით ამქვეყნიური ცხოვრება ჩქეფდა, მაგრამ ქვები ფსკერზე ელაგა.

— მიღდრედ!

ქალის სახე თოვლით დაფარულ კუნძულს წააგავდა. კუნძულზე იქნებ წვიმა მოსულიყო, მაგრამ მიწამდე ვერ ჩააღწევდა, იქნებ ღრუბლებს გადაევლო მის თავზე დათოვლზე თავიანთი ჩრდილი გადაეტარებინა, მაგრამ იგი ვერც ამას გაიგებდა. მხოლოდ მობუბუნე კრაბანების ხმა ისმოდა მიღდრედის მაგრად დახშული ყურებიდან, მხოლოდ შემის თვალები ელავდა და ამოსუნთქვისა და ჩასუნთქვის სუსტი ხმა მოდიოდა. ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა, ამოსუნთქვა, ჩასუნთქვა და თვითონ ქალს არ ენაღვლებოდა ამოსუნთქვას ჩასუნთქვა თუ არ მოჰყვებოდა.

ის საგანი, წელან რომ ფეხით გაასრიალა იატაკზე, ახლა მონტეგის საწოლის ქვეშიდან ისროდა მკრთალ სხივებს. ეს პატარა, დასაძინებელი აბების შესანახი ბროლის შეშა, დილით ჯერ კიდევ სავსე იყო. დილას ოცდაათი აბი იყო ამ ბოთლში, ახლა კი თავმოხდილი ცარიელი ეგდო იატაკზე და სანთებელას სუსტ, მოლიცლიცე ალბე ციმციმებდა. უცებ მონტეგის თავზე ცამ დაიღრჭიალა. ბევით საშინელი ხმაურით გაიგლიჯა რაღაც, თითქოს ორმა ვეება ხელმა ათიათასმილიანი შავი ბრეზენტი გაფხრიწაო. მონტეგიც თითქოს შეაბე გაიპო. თითქოს მკერდი თრად გაეყო. სახლს ბედიზედ გადაუფრინეს რეაქტიულმა ბომბდამშენებმა. ორორი, ექვსი, ცხრა, თორმეტი, მერე თითო-თითო, კიდევ თითო-თითო. ამ ბომბდამშენებმა მონტეგს ხმა ჩაუწყვიტა და იქაურობა გრუხუნით აავსო. მონტეგმა პირი დააღო და ბომბდამშენის ხმა დაკრეჭილ კბილებში მოიქცია. სახლი განგარებდა. სანთებელას ალი ჩაქრა. მთვარის ქვები გაქრა.

მონტეგმა ხელი სტაცა ტელეფონის ყურმილს.

ბომბდამშენები გაფრინდნენ. მონტეგმა ათრთოლებული ტუჩები მიადო მიკროფონს და აკანკალებული ხმით დაიჩურჩულა.

მონტეგს მოეჩვენა, რომ იმ შავი ბომბდამშენების ხმამ დაანამცეცა ვარსკვლავები და ხვალ დილას მათი მტვერი უჩვეულო თოვლად დაეფინებოდა დედამიწას. ამ სულელური ფიქრით მოცული იღვა იგი ტელეფონთან სიბნელეში, კანკალებდა და უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს.

\* \* \*

საავადმყოფოდან მოსულებს მანქანა ჰქონდათ, უფრო სწორად – ორი მანქანა. ერთი მუცელში ჩასრიალდებოდა იმ შავი კობრის მსგავსად, რომელიც ღრმა ჭაში მიძვრება დაგუბებული წყლისა და დამყაყებული წარსულის სანახავად. ეს მანქანა მწვანე სითხეს სვამდა და შიშინით ამოჰქონდა ზევით. ნეტა მთელი სიბნელე დალია? წლების განმავლობაში დაგროვილი შხამი მთლიანად ამოწოვა? მანქანა უხმოდ სვამდა, მაგრამ ღროდადრო ისე წაიბუზდუნებდა, თითქოს რაღაცას ეძებს სიბნელეში და ვერ პოულობსო. მას მხოლოდ ერთი თვალი ჰქონდა. გულგრილი გამომეტყველების ოპერატორს შეეძლო სპეციალური ოპტიკური მუზარადი დაეხურა თავზე და იმ ადამიანის სულში ჩაეჭვრითა, რომელსაც სითხეს უღებდა. ნეტავ რა დაინახა თვალმა? კაცი დუმდა. იგი უმზერდა, მაგრამ ვერ აღიქვამდა იმას, რასაც თვალი ხედავდა. ეს პროცედურა არხის გათხრას წააგავდა. ლოგინში მწოლიარე ქალი ის მკვრივი მარმარილოს ქანი იყო, რომელსაც მოულოდნელად წააწყდნენ. კიდევ გათხარეთ, ღრმად ჩაუშვით ბურლი, ამოსწოვეთ სიცარიელე, თუკი მისი ამოწოვა მოხერხდება ამ მთრთოლავი,

წკლაპუნა გველით!

ოპერატორი გვერდზე იდგა და სიგარეტს ეწეოდა. იქვე მეორე მანქანა მუშაობდა.

მეორე მანქანასაც ისეთივე გულგრილი ახალგაზრდა ამუშავებდა. მას მოწითალო-მოყვითალო სამუშაო ტანსაც-მელი ეცვა. ამ მანქანას მთელი სისხლი უნდა ამოექაჩა სხეულიდან და იგი ახალი სისხლითა და ახალი პლაზმით შეეცვალა.

— საჭიროა სხეული ორნაირად გავწმინდოთ, — თქვა ოპერატორმა, რომელიც გაშემძებული ქალის გვერდით იდგა,

— მარტო კუჭი არაფერს უშველის, თუ სისხლიც არ გაიწ-მინდა. აბა, დატოვეთ ეგ შხამი სისხლში და სისხლი ხვედი-ვით დაუკაუნებს ტვინს ათასჯერ, ორი ათასჯერ, ტვინიც ვედარ გაუძლებს და სამსახურს თავს დაანებებს.

— გეყოფა! — გააჩუმა მონტეგმა.

— მე ისე გეუბნებოდით, — თავი იმართლა ოპერატორ-მა.

— უკვე მოათავეთ ყველაფერი? — იკითხა მონტეგმა.

— მოვრჩით, — უპასუხეს ოპერატორებმა, რომლებსაც უკვე მაგრად დაეკეტათ თავიანთი მანქანები. ეტყობოდა, მათ ვერც კი იგრძნეს, რომ მონტეგი გაბრაზდა. ორივენი სიგარეტს ეწეოდნენ. ბოლი ცხვირ-პირში უძვრებოდა ორ-ივეს, მაგრამ თვალსაც არ ახამხამებდნენ, ბოლოს კი ჩაილ-აპარაკეს, — ყველაფერი ეს ორმოცდაათი დოლარი ღირს.

— ჯერ ერთი, რატომ არ მეუბნებით, კარგად იქნება თუ არა? — გაცეცხლდა მონტეგი.

— რა თქმა უნდა, კარგად იქნება. მთელი სისხლი ამოვ-უდეთ. აი, აქა გვაქვს, ამ ყუთებში. ახლა ვეღარას ავნებს. როგორც გითხარით, ძველ სისხლს ვუდებთ, ახალს ვუსხ-ამთ და ყველაფერი კარგად არის ხოლმე.

— თქვენ ხომ ექიმები არა ხართ! რატომ არ გამოგზავნეს ერთი ექიმი მაინც? — კვლავ ბრაზობდა მონტეგი.

— ექიმიო? — შესძახა ოპერატორმა და სიგარეტი ტუჩის კუთხეში გადაიტანა, — ჩვენ ცხრა-ათი ასეთი შემთხვევა გვაქვს ღამეში. ამ ბოლო წლებში თვითმკვლელობები ძალიან გახშირდა და საგანგებო მანქანები დავამზადეთ, რა თქმა, უნდა ოპტიკური თვალით. სიახლე მხოლოდ ესაა, დანარჩენი ძველია. ასეთ შემთხვევაში ექიმი არ არის საჭირო. სულ ორი ტექნიკოსი გინდათ და ნახევარ საათში საქმე დასრულებულია. ახლა კი წავედით, — ისინი კარისკენ გაემართნენ, — ამ წუთში მივიღეთ ახალი გამოძახება რაღიოთი. აქედან ათი კვარტალია. კიდევ ვიღაცას დაუცარიელებია სამინებელი აბებით სავსე შემბა. თუ ისევ დაგჭირდებით, გამოგვიძახეთ. თქვენს ცოლს ახლა მხოლოდ მოსვენება სჭირდება, გასამხნევებელი წამალი შევუშხაპუნეთ. იცოდეთ, მოშივებული გაიღვიძებს. ნახვამდის!

და თხელ, მაყრად მოკუმულ ტუჩებში სიგარეტგაჩრილმა, გველისთვალა ოპერატორებმა წაიღეს თავიანთი მანქანა და შლანგი, წაიღეს თხიერი მელანქოლიითა და მუქი, სქელი, უსახელო სითხით სავსე ყუთი და კარი გაიხურეს. მონტეგი მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში და ქალს მიაჩერდა. მილდრედს ოდნავ ღიად დარჩენოდა თვალები. მონტეგმა ხელისგული მიუტანა ბაგეებთან და თბილი სუნთქვა იგრძნო.

— მილდრედ, — დაუძახა მან ბოლოს.

„ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ, — ფიქრობდა მონტეგი, — ჩვენ მილიარდები ვართ და ეს ძალიან ბევრია. არავინ არავის არ იცნობს. უცხოები მოდიან და მყუდროებას გირდვევენ. უცხოები მოდიან და გულსა გგლეჯენ მკერდიდან. უცხოები მოდიან და სისხლს გაცლიან. ღმერთო დიდებუ-

ლო, ვინ იყო ეს ხალხი? ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე!“  
გავიდა ნახევარი საათი.

ახლა ამ ქალის ძარღვებში ახალი სისხლი ჩქეფდა და  
თითქოს ამ სისხლმა გადაასხვაფერა კიდეც იგი. მიღდრედს  
დაწვები შეუფაკლდა, ტუჩებზე ვარდისფერი დაედო, სახე  
გაუნაზდა. ახლა ვიღაც უცხოს სისხლი უჩქეფდა ძარღვებ-  
ში. რომ შეიძლებოდეს სხეულის, ტვინის მეხსიერების შეცვ-  
ლა! იმათ რომ შეეძლოთ სულიც გაატარონ გასაწმენდ მან-  
ქანაში, გააქათქათონ, ააწყონ და დილით უკან მოიტანონ.  
რომ შეიძლებოდეს...

მონტეგი წამოდგა, ფარდები გადასწია, ფართოდ გააღო  
ფანჯრები და ოთახში ღამის სიგრილე შემოუშვა. ახლა  
ღამის ორი საათი იყო. ნუთუ სულ ერთი საათის წინ შეხ-  
ვდა ქუჩაში კლარისა მაკლელანს? ნუთუ ერთი საათი გავი-  
და მას შემდეგ, რაც აქ, ამ ჩაბნელებულ ოთახში მოვიდა და  
იმ ბროლის შეშას გაჰკრა ფეხი? დიახ, მხოლოდ ერთი საათი  
გავიდა და ის ძველი სამყარო გადნა, მის ნაცვლად კი სულ  
სხვანაირი, მრუმე სამყარო შეიქმნა.

მთვარის სხივებით განათებული მინდვრის გადაღმა  
სიცილი გაისმა. იგი იმ სახლიდან მოისმოდა, სადაც კლარ-  
ისა, მამამისი, დედამისი და კლარისას ბიძა ცხოვრობდნენ. იმათ  
იცოდნენ მშვიდი, გულწრფელი სიცილი. სიცილი ნაძა-  
ლადევი კი არა, ხალისიანი და გულიანი ჰქონდათ. ეს სიც-  
ილი განათებული ფანჯრიდან გაისმოდა ამ გვიან ღამეს.  
სხვა ბინების ფანჯრები ბნელით მოცულიყო, ამ ბინაში კი  
საუბრობდნენ, კამათობდნენ, შეკითხვებს აძლევდნენ ერთ-  
მანეთს და ისე ქსოვდნენ სიტყვების ჯადოსნურ ქსელს.

მონტეგმა, ისე, რომ არც კი უფიქრია, რას სჩადიოდა,  
მინებიანი კარი გააღო, მინდორი გადაჭრა და მოლაპარ-  
აკე სახლის წინ მიიყუჯა ჩრდილში.

ახლა შემიძლია კარგეც დავაკაკუნო და ჩურჩულით ვუთხრა: „შემომიშვით, ხმას არ ამოვიღებ, მინდა მხოლოდ გისმინოთ. მინდა გავიგო, რაზე საუბრობთ“, – გაიფიქრა მონტეგმა, მაგრამ არ დაუკაკუნებია. იგი შეცივებული და სახემოქცეული იდგა და ყურთასმენად ქცეულიყო. ახლა მამაკაცის (ალბათ კლარისას ბიძის) დინჯი ლაპარაკი ეს-მოდა:

– დიახ, ჩვენს საუკუნეში ყველაფერი გაუფასურდა. ადამიანსა და ქალალდის ხელსახოცს ერთი ფასი აქვს. შეგიძლია ცხვირი მოიწმინდო ადამიანით, დაჭმუჭნო, გადააგდო. მერე მეორეს წასწვდე, თითბე შემოიხვიო, ნესტოები გამოიწმინდო და გადააგდო. ყველა ერთმანეთს ჰგავს, არც ერთი არ გეჭიდება გულბე. როგორ შეგიძლია, მაგალითად, გული შეგტკიოდეს შენი საკუთარი ქალაქის ფეხბურთის გუნდზე, როცა არც პროგრამა გაქვს და არც მოთამაშებს იცნობ. იმასაც ვერ იტყვი დანამდვილებით, რა ფერის ფორმას იცვამენ ხოლმე.

მონტეგი შინ დაბრუნდა, ფანჯარა გააღო, მილდრედის საწოლთან მივიდა, საბანი ამოუკეცა და მერე თავის ლოგინში ჩაწვა. მონტეგს მთვარე დანათოდა თავბე. მთვარის შუქი უჩენდა დაწვებს და მოღუმულ შუბლს. მთვარემ ვერცხლის ორ ნამცეცად უქცია თვალის გუგები.

წვიმის ერთი წვეთი დაეცა. კლარისა, – გაიფიქრა მონტეგმა, – მეორე – მილდრედი, მესამე – კლარისას ბიძა, – მეოთხე – წუხანდელი ხანძარი. ერთი – კლარისა, მეორე – მილდრედი, მესამე – კლარისას ბიძა, მეოთხე – ხანძარი. ერთი – მილდრედი, ორი – კლარისა. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – კლარისა, მილდრედი, ბიძა, ხანძარი, დასაძინებელი აბები, ქაღალდის ხელსახოცები – მოიწმინდე ცხვირი, დაჭმუჭნე, გადააგდე. ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი! წვიმა,

ქარიშხალი, მოცინარი ბიძა, მეხის ჩამოვარდნა, ცის ფეხად ჩამოსვლა, ვულკანიდან ალის ამოფრქვევა. და ეს ყოველივე მოღრიალე ფართო მდინარედ მიემართება დილისკენ.

— ვედარაფერი გამიგია, — ჩაილაპარაკა მონტეგმა და ენაზე დასაძინებელი აბი დაიდო.

\* \* \*

დილის ცხრა საათზე მიღდრედის საწოლი ცარიელი იყო. მონტეგი სწრაფად წამოდგა, შემინებული გავარდა ჰოლში და სამბარეულოს კართან შეჩერდა.

ვერცხლის ტოსტერიდან შემწვარი პურის ნაჭრები ცვიოდა. ნაჭრებს ლითონის თხელი ხელი იჭერდა და გამდნარ კარაქში ავლებდა. პურის ნატეხები თავისით ლაგდებოდა თეფშე. მიღდრედი მხოლოდ თვალყურს აღევნებდა. მას ორივე ყური მჭიდროდ დაეცო ელექტრონის ფუტკრებით, რომლებიც განუწყვეტლივ ბზუოდნენ. მიღდრედმა უეცრად ზევით აიხედა, ქმარი დაინახა და თავი დაუქნია.

— კარგად ხარ? — ჰეითხა მონტეგმა.

უკვე ათი წელიწადი იყო, რაც მიღდრედი ყურებში „რადიონიუარებს“ ატარებდა და ამ ხნის განმავლობაში ისწავლა ტუჩების მოძრაობით ნათქვამის გაგება. მან კვლავ თავი დაუქნია მონტეგს და ტოსტერში პურის ნატეხი ჩადო. პურმა ტკაცატკუცი დაიწყო. მონტეგი სკამბე ჩამოჯდა.

— ვერ გამიგია, რატომ ვარ ასე მშიერი, — დაიჩივლა მიღდრედმა.

— შენ...

— ძალიან მშია.

— წეხელ, — გააგრძელა მონტეგმა.

— ცედად მეძინა, არა? საშინლად ვიყავი. ღმერთო,

როგორ მშია. ნეტავი რატომ?

- წუხელ, – კვლავ დაიწყო მონტეგმა.
- რა მოხდა წუხელ? – პკითხა ქალმა, რომელიც უგულოდ აღევნებდა თვალს მის ტუჩებს.
- აღარ გახსოვს?
- რა? ღრეობა ან რაიმე ამგვარი გვქონდა? ნაბახუსევივითა ვარ. ღმერთო, როგორ მშია. ვინ გვყავდა სტუმრად?
- ორიოდე კაცი.
- ეგრეც ვიცოდი, – მილდრედმა შემწვარი პური ჩაახრა-მუნა, – მუცელი მტკივა, მაგრამ მაინც საშინლად მშია. იმე-დია, სისულელე არ ჩამიდენია ქეიფზე.
- არა, – წყნარად მიუგო მონტეგმა.
- ტოსტერმა კარაქში შემწვარი პურის ნატეხი გამოუგ-დო მონტეგს. მან პური აიღო და თავი დიდად დავალებუ-ლად იგრძნო.
- შენც ვერ ხარ კარგ ფერზე, – უთხრა ცოლმა.

\* \* \*

საღამოსპირას წვიმა წამოვიდა და ჩამობნელდა. მონ-ტეგი ჰოლში იდგა და სახელობე ნარინჯისფრად მოელვა-რე საღამანდრიან ნიშანს იმაგრებდა. იგი იდგა და კარგა ხანს მისჩერებოდა კონდიციონერის ცხაურს. ცოლი სატე-ლევიზით ოთახში იყო და სცენარს კითხულობდა. მან თავი ასწია, მონტეგს თვალი შეავლო და ჩაილაპარაკა:

- უყურე! ეს ადამიანი ფიქრობს!
- ჰო, მინდოდა მოგლაპარაკებოდი, – უთხრა მონტეგმა, მცირე ხანს იყუჩა და მერე დაამატა, – წუხელ მთელი შეშა დასაძინებელი წამალი დაგილევია.
- ოჳ, მე ამას არ ვიგამდი, – იუარა გაოცებულმა მილდრედმა.

- შემა ცარიელი იყო.
  - მაგას არ ვიჩამდი. რატომ უნდა ჩამედინა ასეთი რამ?
  - იქნებ ორი აბი დალიე, მერე დაგავიწყდა და კიდევ ორი დალიე, კიდევ დაგავიწყდა და კიდევ ორი დაამატე, შემდეგ გაბრუევდი და ბედიბედ დაიწყე ყლაპვა, ვიდრე ოცდაათი ან ორმოცი არ ჩაყლაპვ.
  - რას ამბობ?! ამისთანა სისულელეს როგორ ვიზამდი?
  - მე რა ვიცი, – უთხრა მონტეგმა.
- ქალს აშკარად ეტყობოდა, რომ უნდოდა მონტეგი იქაუ-რობას ჩქარა გასცლოდა.
- ამას არ გავაკეთებდი, არაფრით არ გავაკეთებდი!
  - კარგი, ეგრე იყოს, რაკი ეგრე გინდა, – დაეთანხმა მონტეგი.
  - აი, ასე ამბობს ლედი, – ჩაილაპარაკა მილდრედმა და კვლავ სცენარს მიუბრუნდა.
  - დღეს რა გადმოცემაა? – დაღლილი ხმით ჰკითხა მონტეგმა.

ქალმა თავაუწევლად უპასუხა:

- რა და, პიესაა. ათ წუთში დაიწყება და კედლიდან კედელზე გადავა! ამ დილას გამომიგბავნეს ჩემი როლი. მე ერთი რამ შევუთვალე: პიესაში ერთ როლს გამოაკლებენ. ეს სულ ახალი იდეაა. მაყურებლებს ძალიან მოეწონებათ. აკლია დიასახლისის როლი და ეს დიასახლისი მე ვარ. როცა დიასახლისის ჯერი მოვა, ისინი, სამივენი, კედლიდან მომაჩერდებიან და მე წარმოვთქვამ რეპლიკას. მაგალითად, კაცი ამბობს: „რას ფიქრობთ ამის შესახებ, ელენ?“ და თან პირდაპირ მიყურებს. მე კი, იცი, თითქოს სცენაზე ვტივარ და ვამბობ, ვამბობ, – ქალი შეჩერდა და სცენარის სტრიქონებს თითო გააყოლა. ვამბობ: „მე მგონი, ეს შესანიშნავია!“ მერე ისინი განაგრძობენ თამაშს პიესის მიხედ-

ვით, ვიდრე კაცი არ იტყვის: „ამაზე მეთანხმები, ელენ?“ და მე ვუპასუხებ: „რასაკვირველია“. განა კარგად არ გამომდის, გაი?

მონტეგი ჰოლში იდგა და მდუმარედ მისჩერებოდა ცოლს.

— ჰა, ხომ კარგი იქნება? — კვლავ ჩაეკითხა ქალი.  
— პიესა რატეა?  
— ხომ გითხარი. იქ ეს ხალხი ითამაშებს, სახელად ბობი, რუთი და ელენი.

— უჰ!

— ნამდვილად საინტერესოა. უფრო საინტერესო კი მაშინ იქნება, როცა მეოთხე კედლის დადგმას შევძლებთ. როგორ გვონია, რამდენ ხანში დავაგროვებთ თანხას, რომ ეს მეოთხე, უბრალო კედელი მოვიშოროთ და სატელევიზიო დავდგათ? ეს ხომ მხოლოდ ორი ათასი დოლარი ეღირება.

— ეგ ჩემი წლიური ხელფასის მესამედია.

— მხოლოდ ორი ათასი დოლარი, — გაიმეორა ქალმა, — მე მგონი ხანდახან ჩემზედაც უნდა იფიქრო. ჩვენ რომ მეოთხე კედელი გვქონდეს, მაშინ ეს ოთახი თითქოს მარტო ჩვენი კი აღარ იქნებოდა, არამედ, ათასნაირი არაჩვეულებრივი ხალხიც იცხოვრებდა აქ. ჩვენ შეგვიძლია ბოგი რამ მოვიკლოთ.

— ბოგ რამეს უკვე ვიკლებთ, რომ მესამე კედლის ფასი გადავიხადოთ. ეს ხომ სულ ორი თვის წინ დავდგით. დაგავიწყდა?

— მართლა? — გაიოცა ქალმა და კარგა ხანს უსიტყვოდ მიაჩერდა ქმარს, — კარგი, ნახვამდის, ძვირფასო.

— ნახვამდის, — მიუგო მონტეგმა. კართან შეჩერდა და შემოტრიალდა, — დასასრული ბეღნიერი აქვს?

— ბოლომდე არ წამიკითხავს.

მონტეგი ცოლთან მივიდა, სცენარი გამოართვა და ბოლო გვერდი წაიკითხა. მერე თავი დააქნია, სცენარი დაკეცა, მიღდრედს დაუბრუნა და ქუჩაში გავიდა. კვლავ ჟინქლავდა.

\* \* \*

წვიმა გადაღებაზე იყო. ქალიშვილი შეა ტროტუარზე მიდიოდა. თავი ბევით აეწია და წვიმის მეჩხერი წვეთები სახეზე ეცემოდა. მან შენიშნა მონტეგი, გაუღიმა და ჰკითხა:

— ვითომ ეგ რაღაა?

— მე ხომ ჯერ არ მოვჭკვიანებულვარ. მშვენიერი წვიმაა. ძალიან მიყვარს ასეთ წვიმაში სიარული.

— მე კი სულ არ მომწონს.

— მოგეწონებათ, რომ სცადოთ.

— არასოდეს მიცდია.

ქალიშვილმა ტუჩები გაილოკა და ჩაილაპარაკა:

— წვიმას გემოც მშვენიერი აქვს.

— თქვენ ცდილობთ, თითოჯერ ყველაფერი სცადოთ, არა?

— ჰკითხა მონტეგმა.

— ხან ორჯერაც, — უპასუხა კლარისამ და თავის ხელს მიაჩერდა.

— რა გაქვთ ხელში?

— ბაბუაწვერა. ალბათ უკანასკნელია. არ მეგონა ასე გვიანობამდე თუ შემორჩებოდა. იცით რა უნდა ქნათ? უნდა აიღოთ და ნიკაპზე მოისვათ, ნახეთ, — კლარისამ ღიმილით მოისვა ნიკაპზე ბაბუაწვერა.

— მერე?

— თუ ნიკაპზე ყვავილის ბუსუსები დარჩა, შეყვარებული ხართ. აბა, შემხედეთ!

რაღა გაეწყობოდა – მონტეგმა შეხედა.

– რაო? – ჰკითხა ქალიშვილმა.

– ნიკაპქვეშ ყვითელი ბუსუსები გაქვთ.

– რა კარგია! მოდი, ახლა თქვენც გამოგცადოთ.

– არაფერი გამოვა!

– აბა, ვნახოთ, – მონტეგმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ქალიშვილმა ბაბუაწვერა ნიკაპქვეშ მოუსვა. მონტეგმა უკან დაიწია. კლარისამ გაიცინა და უთხრა, – მშვიდად იდექითო, – შემდეგ ნიკაპქვეშ შეხედა და მოიღუშა.

– როგორაა საქმე? – ჰკითხა მონტეგმა.

– რა სირცხვილია! – ჩაილაპარაკა ქალიშვილმა, – არავინ გიყვართ!

– არა, მიყვარს.

– რომ არ ჩანს!

– მე ძალიან, ძალიან მიყვარს! – კაცი შეეცადა ვინმეს სახება წარმოედგინა თავისი სიტყვების დასასაბუთებლად, მაგრამ ვერ შეძლო და გაიმეორა, – მიყვარს!

– ასე ნუ მიყურებთ, გევედრებით!

– სულ იმ ბაბუაწვერას ბრალია. მთელი მტვერი თქვენ მოგედოთ და მე აღარ დამრჩა.

– მართალია. მაგის ბრალია. ოჭ, როგორ აგაფორიაქეთ! ვვრძნობ, რომ აგადელვეთ, მაპატიეთ. ძალიან ვწუხვარ – ქალიშვილმა იდაყვში მოჰკიდა ხელი მონტეგს.

– არა, არა, – სხაპასხუპით უთხრა მონტეგმა, – არაფერია!

– მე უნდა წავიდე. მითხარით, გაპატიე-თქო. არ მინდა, გაბრაზებული დარჩეთ.

– სულ არა ვარ გაბრაზებული. აფორიაქებული კი ნამ-დვილად ვარ.

– ახლა ჩემს ფსიქიატრთან მივდივარ. ამას იძულებით ვაკეთებ. ვცდილობ, რაიმე სათქმელი მოვიგონო. არ ვიცი,

რას ფიქრობს ჩემზე. ისე კი სულ მეუბნება, ნამდვილი ხახვი ხარ, სულ ფურცელ-ფურცელ უნდა გაგფცქვნას კაცმაო.

— ჩემი ამრით, ნამდვილად გჭირდებათ ფსიქიატრი.

— ტყუილია. თქვენ მაგას არ ფიქრობთ!

მონტეგმა ღრმად ჩაისუნთქა, მერე ამოისუნთქა და ბოლოს თქვა:

— მართალი ხართ, მაგას არ ვფიქრობ.

— ფსიქიატრს ძალიან უნდა გაიგოს, რატომ დავეხეტები ტყე-ღრეში, რატომ ვაკვირდები ჩიტებს და რატომ ვიჭერ პეპლებს. ოდესმე გაჩვენებთ ჩემს კოლექციას.

— კარგი იქნება.

— იმათ უნდა იცოდნენ, რაში ვხარჯავ დროს. მე ვეუბნები, რომ ხანდახან სულაც ვბივარ და ვფიქრობ-მეთქი. ოდონდ არ ვუმხელ, რაზე ვფიქრობ ხოლმე. დე, თვითონ მიხვდნენ. ხან კი ვეუბნები — მიყვარს თავის გადაწევა, აი ასე, და წვიმის წვეთების გემოს გასინჯვა-მეთქი. წვეთებს ხომ ღვინის გემო აქვს. ოდესმე გიგემიათ?

— არა, მე...

— თქვენ ხომ მაპატიეთ, არა?

— დიახ, — უპასუხა მონტეგმა და ცოტა ხნით ჩაფიქრდა, — დიახ, მე გაპატიეთ. ღმერთმა უწყის, რა არის მიზები, მაგრამ რაღაცნაირი კი ნამდვილად ხართ. თქვენზე ადვილად მოუვა კაცს გული, მაგრამ ადვილადვე მოუბრუნდება. ჩვიდ-მეტის ვარო, მითხარით, არა?

— ჰო, იმ თვეში გავხდები.

— რა საოცარია, რა გასაკვირია. ჩემი ცოლი ოცდაათისაა და მაინც ხანდახან მასზე გაცილებით უფროსი მგონიხართ. ნეტავ, რატომ მეჩვენება ასე?

— თავადაც უცნაური ბრძანდებით, მისტერ მონტეგ. ხანდახან მავიწყდება კიდეც, რომ მეხანძრე ხართ. ახლა კი

შეიძლება მეორედ გაგაბრაზოთ?

— ბატონი ბრძანდებით.

— როგორ დაიწყო, როგორ მოხვდით მეხანძრეებთან?

როგორ აირჩიეთ ეს სამსახური, რატომ მაინცდამაინც ამ საქმეს მოეკიდეთ? თქვენ სხვებს არ ჰგავხართ. მე მინახავს ბოგიერთი მეხანძრე და ვიცი, როგორები არიან. როცა ვლაპარაკობ, თქვენ სახეში მიყურებთ. წუხელ, როცა მთვარებე ვთქვი რაღაც, ზევით აიხედეთ. სხვები ასე არ მოიქცეოდნენ. სიტყვას პირში შემატოვებდნენ და გამეცლებოდნენ. ახლა არავის სცალია სხვისთვის. თქვენ კი ამიტანეთ, თქვენისთანები ცოტანი არიან. აი, სწორედ ამიტომ მეჩვენება ასე უცნაურად, რომ მეხანძრედ მუშაობთ. სულ არ შეგეფერებათ!

მონტევი თითქოს ორად გაიყო. ერთი ნაწილი ცხელი ჰქონდა, მეორე ცივი, ერთში სინაბეჭ დაედო ბინა, მეორეში — უხეშობას, ერთი უცახცახებდა, მეორე — არა და ორივე ნახევარი მზად იყო ერთმანეთის გასაგლეჯად.

— გიჯობს დრობე წახვიდე, სადაც მიდიოდი, — უთხრა მან ქალიმვილს.

კლარისა გაიქცა. მონტევი კარგა ხანს იდგა წვიმაში. მერე ნელა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, თავი უკან გადააფდო და პირი დააღო...

\* \* \*

მექანიკურ ძაღლს სახანძრო სადგურის ბნელ კუთხეში, ხმადაბლა მოზუბუნე, სუსტად განათებულ, ოდნავ მოზანზარე ბუნაგში ეძინა. ეძინა და არც ეძინა, ცოცხალიც იყო და არც იყო ცოცხალი. იგი ამ დილას მკრთალად ანათებდა. მთვარის შექი დიდი ფანჯრიდან შედიოდა ბუნაგში და სხივები ოდნავ მთრთოლარე მხეცის თითბრის, სპილენძ-

ისა და ფოლადის ნაწილებზე ციალებდა. სხივები ციმციმებდნენ უამრავ ლალისფერ შუშაბზე, კაპილარებივით წვრილ, მგრძნობიარე ნეილონის ბეწვებზე, ნესტორებში რომ უჩანდა ამ ქმნილებას. იგი ოდნავ, სულ ოდნავ ირწეოდა თავის რვა ფეხზე, ობობას ფეხებს რომ მიუგავდა, ოღონდაც თათებზე რებინის ბალიშები ჰქონდა ამოკრული.

მონტეგი თითბრის ჭოკით ჩასრიალდა ძირს, გარეთ გავიდა და ქალაქს გადახედა. ცას მთლიანად გადაეყარა ღრუბლები. მონტეგმა სიგარეტს მოუკიდა, უკან დაბრუნდა, დაიღუნა და ძალის ბუნაგში შეიხედა. ძალი მინდვრიდან დაბრუნებულ უბარმაბარ ფუტკარს მოგაგონებდათ, ოღონდ მინდვრის ყვავილების თაფლი შხამიანი სიველურით, სიგიჟითა და საშინელებებით შეეზავებინა. ძალი საჟსე იყო იმ ბლანტი ნექტრით და ახლა თითქოს ძილით ცდილობდა მისი ბოროტი ძალის შენელებას.

— სალამი, — ჩაიჩურჩულა მონტეგმა, და, როგორც ყოველთვის, მოჯადოებულივით მიაჩერდა ცოცხალსა და, ამავე დროს, უსულო მხეცს.

ღამდამობით, როცა მეხანძრებს მოსწყინდებოდათ, — და მათ ყოველდამე სწყინდებოდათ ხოლმე, — თითბრის ჭოკს ჩამოჰყვებოდნენ, ძალის ყნოსვის სისტემას განსაზღვრულ კომბინაციაზე დააყენებდნენ და სარდაფში ხან ვირთებს, ხან ქათმებსა და ხან კი იმ კატებს გაუშვებდნენ, რომლებსაც მაინც დახრჩობა ეწერათ. შემდეგ ერთმანეთს ენაძლევებოდნენ, თუ რომელ კატას, ქათამსა თუ ვირთხას დაიჭერდა პირველად ძალი.

თამაში სულ სამ წამში მთავრდებოდა. — ვირთხა, კატა თუ ქათამი სარდაფის ნახევარსაც ვერ გაირბენდა, რომ ძალი თავის რბილ თათებში მოიმწყვდევდა, ცხვირიდან ფოლადის ოთხდიუმიან ნემსს გამოყოფდა და მსხვერპლს

მორფის ან პროკაინის მოზრდილ დოზას შეუშხაპუნებდა. ამის შემდეგ მსხვერპლს ნაგვის დასაწვავ ღუმელში აგდებდნენ და თამაშს აგრძელებდნენ.

ამ თამაშის დროს მონტეგი უმეტესად ზედა სართულში რჩებოდა ხოლმე. ერთხელ, ამ ორი წლის წინათ, იგი ერთ-ერთ გამოცდილ მოთამაშეს დაენაძლევა, მთელი კვირის ხელფასი წააგო და მიღდრედის საშინელი რისხვაც დაიმსახურა. ქალს სიბრაზით ვენები დაებერა და მთელი სხეული წითლად აუფორაჯდა. ამის შემდეგ მონტეგი ღამდა-მობით მუდამ სკამლოგინზე იწვა, პირით კედლისკენ შებრუნებული, ქვევიდან ამოსულ ხარხარს, ვირთხების ბრჭყალების ფხაჭაფხუჭსა და თაგვების წრიპინს უსმენდა და ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც ფრჩხილებით სწრაფად, სწრაფად კენკავდა როიალის სიმებს, სხვები კი ვიოლინოს აწრიპინებდნენ. შემდეგ უეცრად უსაბღვრო და მოუსვენარი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. ამ დროს ძაღლი ერთი ნახტომით გამოვარდებოდა ბუნაგიდან, ისე გაიელვებდა, როგორც ფარვანა სინათლის შუქზე, მსხვერპლს იჭერდა და ნესტარს ურჭობდა. შემდეგ კი უკან, ბუნაგში, ბრუნდებოდა და ისე სწრაფად კვდებოდა, თითქოს ამომრთველი გადაატრიალეს და სინათლე ჩაქრაო.

მონტეგმა ცხვირზე შეახო ძაღლს ხელი.

ძაღლმა ღრენა დაიწყო.

მონტეგი უკან გადახტა.

ძაღლი ნახევრად წამოიმართა ფეხზე, მონტეგს ნეონის მომწვანო-მოლურჯო ნაპერწკლები მიაყარა უეცრად გაცოცხლებული თვალების გუგებიდან და კვლავ დაუღრინა – ეს უჩვეულო ღრენა ელექტრონის სისინის, რაღაც ტკაცუნისა და ლითონისეული ღრჭიალისგან შედგებოდა. თითქოს ძველი, დაჟანგებული მექანიზმი ამუშავდაო.

— არა, არა, მეგობარო, — თქვა შემინებულმა მონტეგმა. მან დაინახა, რომ ძაღლმა ერთ დუიმზე გამოყო ვერცხლის ნემსი, მერე უკან შესწია, კიდევ გამოყო და კვლავ დამალა. ღრენა საღლაც მხეცის მუცლიდან ისმოდა და მონტეგის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მონტეგმა უკან დაიხია. ძაღლმა ბუნაგის ზღურბლს გადმოაბიჯა. მონტეგმა ცალი ხელი სტაცა თითბრის ჭოკს. ჭოკი უხმოდ ასრიალდა ზევით და მონტეგიც აიყოლა. მან ჭოკს ხელი აუშვა და ზედა სართულის სუსტად განათებულ იატაკზე ჩამოხტა. ერთიანად კანკალებდა. სახეზე მწვანე ფერი დასდებოდა. ძაღლი ქვედა სართულში მოკალათდა, უცნაური, ობობას მსგავსი ფეხები მოკეცა და კვლავ თავისთვის აზუზუნდა. ახლა მის მრავალწახნაგოვან თვალებში სიმშვიდეს დაესადგურებინა.

მონტეგმა ცოტა ხანს ლუკითან შეიცადა. უნდოდა, გული საგულეს ჩასდგომოდა. მის უკან, კუთხეში ოთხი კაცი მისჯდომოდა მწვანეაბაჟურიანი ნათურით განათებულ ბანქოს სათამაშო მაგიდას. მათ ერთი კი ახედეს მონტეგს, მაგრამ არაფერი უკითხავთ. მხოლოდ ერთ-ერთმა მათგანმა მიაქცია ბოლოს ყურადღება და გადმოსძახა, რა მოგივიდაო. ამ კაცს კაპიტნის ქუდი ეხურა და წვრილ თითებში ბანქო ეჭირა. ქუდზე ფენიქსი ჰქონდა გამოსახული.

— იმას არ მოვწონვარ, — უპასუხა მონტეგმა.

— ვის, ძაღლს? — კაპიტანი გაფაციცებით ჩასცექეროდა თავის ბანქოს, — ნუ სულელობ. მას არც სიყვარული შეუძლია და არც სიძულვილი. იგი მხოლოდ დავალებას ასრულებს. ეს ბალისტიკურ ამოცანას წააგავს. ჩვენ ვაძლევთ ტრაექტორიას და ისიც მიჰყვება, პოულობს მიზანს, უკან ბრუნდება და თავისით ითიშება. იგი მხოლოდ სპილენძის მავთულების, აკუმულატორებისა და ელექტროენერგიის

ნაკრებია.

მონტეგმა ძლივს გადაყლაპა ნერწყვი და ჰკითხა:

– ხომ შეიძლება მისი გამომთვლელი მექანიზმი ნების-მიერ კომბინაციაზე დავაყენოთ – ამდენი და ამდენი ამი-ნომქავა, ამდენი გოგირდი, ამდენი ცხიმი, ამდენი ტუტე... ხომ შეიძლება?

– მაგას რაღა კითხვა უნდა!

– ყოველი ჩვენგანის სისხლის ქიმიური შედგენილობა და პროცენტული თანაფარდობა შეტანილია მთავარ კარტ-ოთეკაში, რომელიც იქ, ქვევით ინახება. განა ძნელია, რომ ვინმემ ძაღლის მეხსიერება ნაწილობრივ ააწყოს ჩემს სისხლზე. მარტო ამინომქავაზე, მაგალითად? ეს საკმარი-სია იმის ასახსნელად, თუ რატომ მომექცა წელან ძაღლი ასე. იგი ხომ ჩემკენ გამოექანა!..

– სისულელეა, – თქვა კაპიტანმა.

– გადიბიანებულია, მაგრამ მთლად გაცეცხლებული არ არის. ვიღაცამ ასე ააწყო მისი „მეხსიერება“, რომ მიახ-ლოებისას მხოლოდ იღრინოს.

– ვის რად უნდოდა ამის გაკეთება? – ჰკითხა კაპიტან-მა, – აქ ხომ არავინ გმტრობს, გაი?

– რა ვიცი, არავინ მეგულება.

– ხვალ ჩვენი მექანიკოსები შეამოწმებენ ძაღლს.

– განა პირველად მექცევა ასე. წინა თვეში ორჯერ შემომიტია.

– ყველაფერს მოვაწესრიგებთ, ნუ წუხარ.

მაგრამ მონტეგმა ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან. იგი კონდიციონერის ცხაურსა და მის უკან დამალულ ნივთბე ფიქრობდა: „იქნებ სახანძრო სადგურში ვინმემ რაიმე გაიგო იმ კონდიციონერზე და ძაღლს უამბო“...

კაპიტანი მეორე მხრიდან მიადგა ლუკს და მონტეგს

ისე მიაჩერდა, თითქოს რაღაცას ეკითხებაო.

— მე ახლა იმის გაგებას ვცდილობდი, თუ რაზე ფიქრობს ძაღლი ღამდამობით. ნუთუ მართლა ცოცხლდება, როცა ჩვენკენ მოდის? რა საშინელებაა! — თქვა მონტეგმა.

— იგი მხოლოდ იმას ფიქრობს, რასაც ჩვენ ჩავუდებთ თავში.

— რა საწყენია! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მონტეგმა, — ჩვენ მხოლოდ გეშის აღებას, დადევნებასა და მოკვლას ვასწავლით. სამარცხვინოა, რომ მეტის სწავლება არ შეგვიძლია.

ბიტიმ ჩაიფრუტუნა:

— რას ბოდავ! იგი ყველაფერზე უკეთესია, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია. ის ხომ შესანიშნავი თოფია, რომელსაც შეუძლია თვითონვე მოძებნოს მიზანი და ყოველთვის აუცდენლად გახვრიტოს შეაში.

— სწორედ ამიტომ არ მინდა მისი მორიგი მსხვერპლი გავხდე, — ჩაიბუტბუტა მონტეგმა.

— რატომ? რაიმე დანაშაული ჩაიდინეთ?

მონტეგმა სწრაფი მზერა ესროლა კაპიტანს. ბიტი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მას, მერე ბაგე გახსნა და თითქმის უხმოდ ახარხარდა.

\* \* \*

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი. ყოველთვის, როცა კი მონტეგი სახლიდან გამოდიოდა, კლარისაც იქვე მახლობლად იყო. ერთხელ დაინახა, რომ ქალიშვილი კაკლის ნერგს არხევდა. ერთხელ მდელობე იჯდა და ლურჯ სვიტერს ქსოვდა. სამჯერ თუ ოთხჯერ თავისი ბინის ბლურბლითან ხან შემოდგომის ყვავილების თაიგული იპოვა, ხან პატარა ქალალდში გამოხვეული წაბ-

ლი, ხან ერთმანეთზე დაწყობილი შემოდგომის ფოთლები. ფოთლები ფაქიბად დაელაგებინათ თეთრ ქაღალდზე და ქინძისთავით მიეკრათ კარზე. კლარისა ყოველდღე აცილებდა მას კუთხემდე. ერთი დღე წვიმიანი იყო, მეორე – მოწმენდილი. მესამე დღეს საშინელი ქარი ქროდა, შემდეგ კვლავ წყნარი, თბილი დღე დადგა. წყნარ დღეს ისეთი ხვაჭიანი დღე მოჰყვა, თითქოს ბაფხული მობრუნდათ და კლარისას სახეზე მჩე მოეკიდა.

– რატომ მყონია, რომ ძალიან დიდი ხანია გიცნობთ? – ჰკითხა ერთ დღეს მონტეგმა კლარისას, როცა მეტროს შესასვლელთან მივიღნენ.

– იმიტომ, რომ მომწონხართ, – განუმარტა კლარისამ, – და იმიტომ, რომ არაფერს მოველი თქვენგან, და კიდევ იმიტომ, რომ ერთმანეთისა გვესმის.

– თქვენთან ძალიან მოხუცად ვგრძნობ თავს, თითქოს შვილს ველაპარაკები.

– ახლა მითხარით, თუ ასე ძალიან გიყვართ ბავშვები, რატომ არ გყავთ ერთი ჩემნაირი ქალიშვილი?

– არ ვიცი...

– მაინც, მაინც!

– მე მინდოდა მეთქვა... – მონტეგი გაჩუმდა და თავი გადაიქნია, – იცით, ჩემი ცოლი... მას... მას არასოდეს მონდომებია ბავშვი.

ქალიშვილს სახეზე შეაცივდა ღიმილი.

– მაპატიეთ, – შეწუხდა იგი, – მე მართლა მეგონა, რომ დამცინოდით. რა სულელი ვარ!

– არა, არა. კარგია რომ მკითხეთ. რამდენი ხანია, არავის უკითხავს. ვის რაში ვენაღვლები. კარგია, რომ დაინტერესდით.

– მოდი, სხვა რამებე ვილაპარაკოთ. იცით, როგორი სუნი

აქვს გამხმარ ფოთლებს? განა დარიჩინის სურნელს არ გრძნობთ? აი, ნახეთ.

— კი, როგორ არა, ცოტათი მართლა დარიჩინის სუნი ჰქონია.

კლარისამ თავისი სხივიანი, მუქი თვალები მიანათა: — „თქვენ ყველაფერი გაოცებთ“.

— იმიტომ, რომ ადრე დრო არ მქონდა...

— დააკვირდით სარეკლამო დაფებს, მე რომ გეუბნებოდით?

— მგონი კი, — გაიცინა მონტეგმა.

— ახლა წინანდელზე ბევრად უკეთესად იცინით.

— მართლა?

— კი, უფრო თავისუფლად იცინით.

მონტეგმა შვება და სიხარული იგრძნო.

— სკოლაში რატომ არ ხართ? მე ვხედავ, რომ მთელი დღეები აქეთ-იქით დასეირნობთ.

— სკოლაში მაინცდამაინც არ მისაკლისებენ, — უპასუხა კლარისამ, — მეუბნებიან, უკარება ხარო. რა საოცარია! მე ხომ ძალიან ამხანაგური ვარ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გესმის ეს სიტყვა. ასე არ არის? მე მგონი, აი მე და თქვენ რომ ვსაუბრობთ ახლა, სწორედ ამას ჰქვია ამხანაგურობა, — ქალიშვილმა ხელში შეათა-მაშა წაბლის ორიოდე ნაყოფი, რომლებიც წინა ეგოში იპოვა ხის ძირას, — ან როცა იმაზე ესაუბრები ვინმეს, თუ რა უჩვეულოდ არის მოწყობილი ეს ქვეყანა. ხალხში ტრიალი კარგია, მაგრამ, არა მგონია, ამხანაგობა იმას ერ-ქვას, რომ ხალხს თავი მოუყარო ერთად და მერე ხმა არ ამოაღებინო. ასე არ არის? ერთი საათი ტელევიზიის გაკვეთილი, მერე კალათბურთის, ბეისბოლის ან სირბილის გაკვეთილი, მერე ისტორიისა — წიგნიდან რაღაც უნდა გა-

დავიწეროთ, მერე ხატვა – სურათის ასლი უნდა გადმოვიღოთ. მერე ისევ სპორტი. იცით, ჩვენ არასოდეს ვაძლევთ შეკითხვებს მასწავლებელს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი უმეტესობა ვსხედვართ და სასწავლო ფილმს ვუყურებთ. ჩემი აზრით, აյ არავითარ მეგობრობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. წარმოიდგინეთ, რომ უამრავი ლარიდან ძაბრში ასხამენ წყალს. წყალი ტყუილუბრალოდ იღვრება და თანაც გეუბნებიან, – დვინოაო. ისე გვაცლიან ქანცს, რომ დღის ბოლოს შინ დაბრუნებულებმა ან მაშინვე ძილს უნდა მივცეთ თავი, ან გასართობ პარკში წავიდეთ და იქ მოსეირნებს ავურიოთ, მინები ჩავამსხვრიოთ მინების ჩასამსხვრევ პავილიონში, ან კიდევ დიდი ფოლადის ბურთით ავარიები მოვახდინოთ მანქანების საავარიო პავილიონში. ანდა ჩავსხდეთ მანქანებში, ქუჩა-ქუჩა ვიქროლოთ და ერთმანეთს შევეჯიბროთ – ვინ უფრო ახლოს ჩაუვლის ლამპიონის ბოძს ან სხვა მანქანას. მგონი მართლა ისეთი ვარ, როგორიც იმათ ვგონივარ. არც ერთი მეგობარი არ მყავს. ალბათ, ამითაც მტკიცდება, რომ არანორმალური ვარ. ყველა ჩემი ნაცნობი კი ველურივით ღრიალებს, ცეკვავს და ჩხუბობს. არ შეგიმჩნევიათ, თანდათან როგორ ცუდად ექცევა ხალხი ერთმანეთს?

– ასე პატარა ხართ და მთლად მოხუცივით მსჯელობი!..

– ხანდახან მართლა ღრმად მოხუცი მგონია თავი. ჩემი თანატოლების მეშინია. მათ ლამის დახოცონ ერთმანეთი, ხოცავენ კიდეც... ნუთუ ყოველთვის ასე იყო? ბიძაჩემი ამბობს – არაო. მარტო შარშან ჩემი ექვსი ამხანაგი მოკლეს რევოლვერით, ათი – მანქანამ გაჭყლიფა. მე მეშინია ჩემი ამხანაგებისა და იმათ ვძულვარ იმიტომ, რომ მეშინია. ბიძაჩემმა თქვა, პაპაჩემი მოესწრო იმ დროს, როცა ბავშვები ერთმანეთს არ ხოცავდნენო. მაგრამ ეს ძალიან დიდი

ხნის წინ ყოფილა. მაშინ ყველაფერი სხვანაირად იყო მოწყობილი. ბიძაჩემი ამბობს, მაშინ ხალხს პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდათ. იცით, მე მაქვს ეს გრძნობა, იმიტომ, რომ ადრე, როცა საჭირო იყო, კარგა მაგრად მტყვეპავლნენ ხოლმე. მე თვითონ დავდივარ საყიდლებზე და შინაც სულ მე ვაკეთებ ყველაფერს, თანაც ხელით. მაგრამ ყველაზე უფრო ადამიანებზე დაკვირვება მიყვარს. ხან მთელ დღეს არ ამოვდივარ მეტროდან, ხალხს ვუმზერ, ვუსმენ. მინდა გავიგო, ვინ არიან, რა უნდათ, საით მიდიან. ხან „გართობის პარკში“ მივდივარ და შეადლისას რეაქტიული ავტომობილით ვუვლი ქალაქს ირგვლივ. პოლიცია ბედაც არ გიყურებს, თუ მანქანა დაბრვეულია. თუკი ათიათასიანი დაბრვევა გაქვს, ყველაფერი რიგბეა. ხან, მეტროში რომ ვარ, ან გაზიანი წყლის ჯიხურთან, ჩუმად მივაყურადებ ხოლმე უცნობების ლაპარაკს და იცით რა ხდება?

— რა?

— ხალხი არაფერზე არ ლაპარაკობს!

— რას ამბობთ? შეუძლებელია!

— არა, არა, სულ არაფერზე. ისინი სხვადასხვანაირ მანქანებს, ტანსაცმელს ან საცურაო აუზებს ასახელებენ და მერე დააყოლებენ: „რა შესანიშნავია!“ ამასთან, ყველანი ერთნაირად ლაპარაკობენ. არავინ იტყვის რაიმეს განსხვავებულს. კაფეშიც, მეტწილად „ანეკდოტების ყუთი“ უჭირავთ ხელში და სულ ერთსა და იმავე ანეკდოტებს ისმენენ. ან კიდევ მუსიკალურ კედლებს რთავენ და უმზერენ, როგორ ადის და ჩადის ბევით-ქვევით ათასფერი თარგი. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ფერებია და მათ არავითარი შინაარსი არა აქვთ. მუზეუმებშიც... თქვენ ხომ ყოფილხართ? მუზეუმებშიც ყველაფერი აბსტრაქტულია. ახლა იქ ყველაფერი ასეთია. ბიძაჩემმა თქვა, წინათ ასე არ იყო.

დიდი ხნის წინათ სურათები რაღაცას მოუთხრობდნენ  
მნახველებს, ხანდახან კი ბედ ადამიანებიც ეხატა.

— ბიძაჩემმა ეს თქვა, ბიძაჩემმა ის თქვა, თქვენი ბიძია,  
როგორც ეტყობა, შესანიშნავი ადამიანია.

— დიახ, ნამდვილად! ახლა კი ჩემი წასვლის დროცაა.  
კარგად იყავით, მისცერ მონტეგ!

- ნახვამდის.
- ნახვამდის.

\* \* \*

გავიდა ერთი, ორი... ექვსი, შვიდი დღე. სახანძრო სად-  
გური:

— მონტეგ, თქვე ჩიტივით დაფრინავთ ამ ჭოკით.

კიდევ სამი დღე:

— მონტეგ, უკანა კარიდან მოხვედით? კიდევ ძალლს  
უფრთხით?

— არა, არა!

მეოთხე დღე:

— მონტეგ, რა უცნაური ამბავია. ამ დილას გავიგე. ერთ-  
მა სიტლელმა მეხანძრემ განგებ მომართა მექანიკური  
ძალლი თავის ქიმიურ კომპლექსზე და მერე ბუნავიდან  
გამოუშვა. აი როგორი სახის თვითმკვლელობაც არსებობს!

მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე დღე.

კლარისა გაქრა!

მონტეგი ჯერ ვერც კი მიხვდა, რატომ იყო ეს სადამო  
ასეთი, მერე კი იგრძნო, რომ იქაურობას კლარისა აკლდა.  
მინდორზე, ხეებზე, ქუჩებში – ყველგან სიცარიელე სუჟეკტი  
და ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე მიხვდებოდა, რას ისაკლისებდა,  
ვიდრე მეტროს სადგურთან მივიდოდა და ძებნას დაუწყებ-  
და, იგრძნო, რომ გული დაუმძიმდა. რაღაც მოხდა, რაღაცა

ჩვევა დაირღვა, რაღაც მარტივი ჩვევა, რომელიც, მართალია, სულ რამდენიმე დღის წინ შეითვისა, მაგრამ მაინც... იგი ლამის უკან დაბრუნდა – უნდოდა კვლავ გაევლო იგივე გზა – იქნებ გამოჩნდესო. დარწმუნებული იყო – უკან რომ გავბრუნდე და მერე ისევ მეტოცხოვან მოვიდე, ყოველივე ძველებურად იქნებაო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მერე მატარებელიც მოვიდა და მთელი გეგმა ჩაუშალა.

\* \* \*

ბანქოს ფარფატი, ხელების ქნევა, ღამისაბობის დუღუნი სახანძრო სადგურის ჭერში: ...პირველი საათი და ოცდათხუთმეტი, ხუთშაბათი, დილა, ნოემბრის ოთხი... პირველი საათი და ოცდათექსმეტი... ღამის პირველი საათი და ოცდაჩვიდმეტი... თვალდახუჭულ მონტეგს ესმოდა, როგორ ატყაპუნებდნენ გაბინთულ მაგიდაზე ბანქოს, ესმოდა სხვა ხმებიც. თვალები დახუჭა, წამით მაინც გამოვეთიშო გარე სამყაროსო, მაგრამ ამან არ უშველა. იგი მაინც ცხადად ხედავდა გაკაშკაშებულ, მდუმარე სახანძრო სადგურს, გაკრიალებული თითბრის ათინათს, ფულების ციმციმს, ოქროსა და ვერცხლის მონეტების ციმციმს. მის პირდაპირ მჯდომი ხალხი ხვნეშით ათვალიერებდა თავის ქადალდს და რაღაცას ელოდებოდა. პირველი საათი და ორმოცდახუთი წუთი... ხმოვანი საათი თითქოს მისტიკოდა ამ ცივი წლის, ცივი დილის ცივ საათებსა და წუთებს.

– რა დაგემართათ, მონტეგ?

მონტეგმა თვალი გაახილა.

სადღაციდან რადიოს ბუზუნი ისმოდა: „ომი ყოველ წუთს შეიძლება გამოცხადდეს. ჩვენი ქვეყანა მზად არის, დაიცვას თავი“...

სახანძრო სადგურმა განბარი დაიწყო – რეაქტიულ

ბომბდამშენთა გუნდმა სტვენით გადაკვეთა განთიადის პირქეში ბეცა.

მონტეგმა თვალები დაახამხამა. ბიჭი ისე მისჩერებოდა, თითქოს მონტეგი მუზეუმში გამოდგმული ქანდაკება ყოფილიყო. ბიჭის ყოველ წამს შეუძლია წამოდგეს, გარშემო შემოუაროს, ხელით მოსინჯოს მისი დანაშაული და თავისი ეჭვების დასაბუთებას შეეცადოს. დანაშაული? რა დანაშაული აქვს მას?

— თქვენი ჩამოსვლაა, მონტეგ.

მონტეგი უმზერდა ამ ხალხს, რომელთაც სახე შავად გარუჯოდათ ათასობით ნამდვილი და ათიათასობით წარმოდგენილი ხანძრისგან. ხელობას დაღი დაესვა მათვის: ღაწვები წითლად შეეღება და თვალებში სიცხე ჩაებუდებინა. ისინი თვალდაუხამხამებლად უმზერდნენ თავიანთი პლატინის სანთებელების ალს და შავ ჩიბუხებს აბოლებდნენ. ნახშირივით შავი თმა და წარბები ჰქონდათ და მოლურჯო ლოყები; სუფთად გაპარსული, მაგრამ თითქოს ნაცრიანი. ეს მათი მემკვიდრეობითი ხელობის კვალი იყო. მონტეგი შეკრთა და პირი ღია დარჩა. განა ვინმეს უნახავს მეხანძრე, რომელსაც შავი თმა, შავი წარბები, ალმურიანი სახე და ფოლადივით მოლურჯო, გაპარსული და ამავე დროს თითქოს გაუპარსავი სახე არ ჰქონდა? ეს ხალხი თითქოს მისი ორეულები იყვნენ! ნუთუ სახანძრო რაგმებში ხალხს მხოლოდ ნიჭის მიხედვით კი არა, გარეუნობითაც არჩევდნენ? სახებე ნიადაგ ჭვარტლისა და ფერფლის ფერი ედოთ, ჩიბუხიდან მუდამ ნამწვის სუნი ამოსდიოდათ. აი, ახლაც, ფეხზე დგება თამბაქოს ბოლის სქელი ღრუბლებით გარშემორტყმული კაპიტანი ბიჭი და თამბაქოს ახალ შეკვრას ხსნის. ცელოფნის სახვევი ისე ტკაცუნობს, თითქოს ალი ნაპერწკლებს ისვრისო.

მონტეგმა თავის ქადალდს დახედა:

— მე... მე ფიქრებში წავედი. წინა კვირის ხანძარზე ვფიქრობდი. ის კაცი გამახსენდა, ბიბლიოთეკა რომ მოვუწესრიგეთ. ნეტავი რა დაემართა?

— ბლავილ-ბლავილით წაიყვანეს საგიჟეთში.

— შემლილი რომ არ იყო?

ბიტიმ მშვიდად აჭრა ბანქო და უპასუხა:

— ყველა, ვინც კი ფიქრობს, რომ შეიძლება მთავრობისა და ჩვენი მოტყუება, შემლილია.

— მე შევეცადე წარმომედგინა, რას გრძნობს კაცი ამისთანა დროს. ჩვენი სახლები და წიგნები რომ დაწვან, მაგალითად...

— ჩვენ წიგნები არ გვაქვს!

— არა, რომ გვქონდეს.

— იქნებ თქვენ გაქვთ? — თვალები მოჭუტა ბიტიმ.

— არა, — იუარა მონტეგმა, მოთამაშეებს მზერა აარიდა და კედელს მიაჩერდა, სადაც საბეჭდ მანქანებზე გადაბეჭდილი მილიონი აკრძალული წიგნის სია ეკიდა. წიგნების სათაურები ცეცხლის ალში ცეკვავდნენ ხოლმე, როცა მონტეგი ნაჯახითა და ნავთის შლანგით ამხობდა და წვავდა უამთასვლის შენობას.

— არა, — გაიმეორა მონტეგმა გულში და სახებე მაშინვე ცივმა ნიავმა დაუბერა. თითქოს თავისი კონდიციონერის ცხაურთან იდგა და სახებე ნაბად, ნაბად უნანავებდა ნიავი. მერე თითქოს ამწვანებულ პარკში იჯდა და მოხუც, ბალიან მოხუც კაცთან საუბრობდა. და ამ პარკშიც გრილი ნიავი ქროდა!

— ყოველთვის, ყოველთვის ასე იყო? — იკითხა მონტეგმა ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, — ეს სახანძრო სადგური, ასეთი ხელობა? ოდესლაც, დიდი ხნის წინათ...

— ოდესლაც, დიდი ხნის წინათ!.. — გაიმეორა ბიჭიმ, — აბა, მითხარით, ეგ რა გამოთქმაა?!

„სულელი ვარ, — გაუელვა მონტეგს გონებაში, — ასე ხომ თავს გავთქვამ“.

ბოლო ხანძრის დროს მონტეგმა თვალი გადაპკრა ბდაპრების წიგნის პირველ სტრიქონის: — მე მინდოდა მეთქვა „წინათ“, როცა სახლები ჯერ კიდევ არ იყო ცეცხლგამდევ.

უცებ მონტეგს მოეჩვენა, რომ ეს ფრაზა ვიღაც ახალგაზრდული ხმის პატრონმა წარმოთქვა. პირი მონტეგმა გააღო, ოღონდ კლარისა მაკლელანმა წარმოთქვა:

— განა მეხანძრები, წინათაც ხანძარს აჩაღებდნენ? მე მგონი, პირიქით, აქრობდნენ ხოლმე.

— ერთი ამას უყურეთ! — წამოიძახეს სტოუმენმა და ბლეკმა და ერთდროულად ამოიღეს ჯიბიდან წესდება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახანძრო რაზმების მოკლე ისტორიასაც შეიცავდა. მონტეგი კარგად იცნობდა ამ წიგნს. წიგნში ეწერა:

„დაარსებულია 1790 წელს, კოლონიებში გავრცელებული ინგლისის გავლენით დაწერილი ლიტერატურის დასაწვავად. პირველი მეხანძრე — ბენჯამინ ფრანკლინი.“

წესი 1. განგაშის სიგნალის გაგონებისთანავე მიაშურე შემთხვევის ადგილს.

წესი 2. სწრაფად გააჩაღე ხანძარი.

წესი 3. დაწვი ყველაფერი.

წესი 4. მაშინვე დაბრუნდი სახანძრო სადგურში.

წესი 5. იყავი მზად მომდევნო განგაშისთვის“.

ყველანი მონტეგს მისჩერებოდნენ, მაგრამ იგი არც განძრეულა.

გაისმა განგაშის სიგნალი!

ჭერში ჩამოკიდებულმა გარმა ორასჯერ დარეკა. თვალის დახამხამებაში ოთხივე სკამი დაცარიელდა. ბანქო თოვლის ფანტელებივით ფარფატით მოეფინა იატაკს. თითბრის ჭოკმა თრთოლა დაიწყო. ხალხი გაქრა.

მონტეგი ადგილიდან არ დაძრულა. ქვევით ნარინჯისფერმა დრაკონმა დაიფრუტება: იგი სიცოცხლეს უბრუნდებოდა. მონტეგი სკამიდან ადგა და ჭოკს სიბმარეულივით ჩაჰვია დაბლა.

ბუნაგში მწოლიარე მექანიკური ძაღლი შეფართხალ-და და თვალები მწვანედ დააკვესა.

— მონტეგ, მუზარადი დაგავიწყდათ!

მონტეგმა კედლიდან ჩამოგლიჯა თავისი მუზარადი, სირბილით მიიჭრა მანქანასთან, ზედ შეხტა და მანქანაც ადგილს მოსწყდა. ღამის ნიავმა იქაურობას სირენის ღრიალი და ლითონის ყურისწამდები გრუხუნი მოჰყონა.

\* \* \*

ეს სამსართულიანი, ბათქაშდახეთქილი სახლი ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში იდგა და, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ერთი საუკუნისა მაინც იქნებოდა. ოღონდ ეგ იყო, მრავალი წლის წინათ სხვა სახლებივით თხელი, ცეცხლგამძლე პლასტმასის გარსით დაეფარათ და ალბათ მხოლოდ ამის წყალობა იყო, რომ სახლი ჯერ კიდევ იდგა ფეხზე.

— მოვედით!..

მოტორმა ამოიხვნება და დადუმდა. ბიტი, სტოუმენი და ბლეკი სახლისკენ გაიქცნენ, ისინი ძალიან მახინჯები და გაბერილები ჩანდნენ თავიანთ სქელ, ცეცხლგამძლე ლაბადებში. მონტეგიც ფეხდაფეხ მიჰყვა მათ.

მეხანძრეებმა კარი შეგლიჯეს, ვიღაც ქალს ეცნენ და გააკავეს, თუმცა იგი არც გაქცევას ცდილობდა და არც გა-

პარვას, მხოლოდ იდგა, აქეთ-იქით ირწეოდა და ისე მიშტერებოდა კედელს, თითქოს თავში რაიმე მძიმე საგანი ჩაარტყეს და გააბრუესო. ქალი ენას ასავსავებდა, თვალებზე ეტყობოდა, რომ რაღაცის გახსენებას ცდილობდა. ბოლოს გაიხსენა და კვლავ აამოძრავა ენა:

„გამხნევლით, მოძღვარო რიდლი! დღეს ღვთის შეწევნით ისეთ კელაპტარს დავანთებთ ინგლისში, რომ, მწამს, არა-სოდეს ჩაქრება იგი!“

— კმარა, — შეაწყვეტინა ბიჭიმ, — სად არის?

ბიჭიმ წარმოუდგენელი გულგრილობით გააწწა ქალს სახეში სილა და კითხვა გაუმეორა. ქალმა მხოლოდ ახლა შეხედა ბიჭის და უპასუხა:

— თქვენ იცით, სადაც არის! რომ არ იცოდეთ, ახლა აქ არ იქნებოდით.

სტოუმენმა ტელეფონოგრამა გაუწოდა.

„არის საფუძველი, ეჭვი მივიტანოთ ელმ სიტის № 11 სახლის სხვენზე. ე. ბ.“.

— ეს მისის ბლეკი იქნება, ჩემი მებობელი, — თქვა ქალმა, როცა ინიციალებს დახედა.

— ძალიან კარგი. აბა, ბიჭებო, საქმეს შევუდგეთ!

მეხანძრეები ვერცხლისფრად ბრწყინავი ნაჯახების ქნევით აცვივდნენ ჩაბნელებულ კიბებზე და რამდენიმე, სულაც ღია კარი შეგლიჯეს. ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ცელქი ბავშვებივით გაჰკიოდნენ — ჰე! ჰე!

მონტეგს, რომელიც ცახცახით მიჰყვებოდა მაღლა ხვეულ კიბეს, წიგნების ნიაღვარი დაატყდა თავს. რა ცუდია! აღრე ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა ხოლმე, ადრე ჯერ პოლიციელები მიღიოდნენ, მსხვერპლს წებოვანი ბაფთით აუკრავდნენ პირს, შებოჭავდნენ, ბრჭყვიალა, ხოჭოსავით შავ მანქანაში ჩააგდებდნენ და სადღაც გააქროლებდნენ. ასე

რომ, მეხანძრეებს უკვე ცარიელი სახლი ხვდებოდათ. ისინი არავის ერჩოდნენ, ნივთების გარდა! ნივთები კი არაფერს გრძნობენ. მათ არაფერი ეტკინებათ, არ იკივლებენ, არ იტირებენ (ამ ქალისგან კი ორივეა მოსალოდნელი). მერე, როცა ყველაფერს მორჩები, სინდისიც არ დაგიწყებს ქენჯნას. მეხანძრეები მხოლოდ ასუფთავებდნენ იქაურობას. ჩვეულებრივი წმენდაა, დამლაგებლის სამუშაო! ყველაფერი თავის ადგილას უნდა იყოს: აბა, ჩქარა, ნავთი! აბა, ასანთი ვის აქვს? ახლა კი, ამაღამ, ვიღაცამ შეცდომა დაუშვა. ამ ქალმა მთელი რიტუალი დაარღვევინა მათ. მამაკაცები ზედმეტად ხმაურობდნენ, იცინოდნენ და ხუმრობდნენ, რათა როგორმე დაერღვიათ ქალის მდუმარება, რომელშიც საშინელი ბრალდება იმალებოდა. ქალი იქ, ქვევით რომ დარჩა, ცარიელ ოთახებს აღმფოთებული გოდებით ავსებდა, ბრალდებისა და განკიცხვის მტვერს აფრქვევდა და ეს მტვერი იყო, მეხანძრეებს რომ ახრჩობდა. არა, ასე არ შეიძლება, წესი არ არის! მონტეგი უცებ საშინლად გაბრაზდა. „არა, ეს ქალი აქ არ უნდა იყოს, ეგლა გვაკლია!“

წიგნები აცვიოდა მხრებზე, მკლავებზე, სახეზე. წიგნები უშიშრად, შინაური მტრედებივით ასხდებოდნენ ხელებზე და თან ფრთებს აფარფატებდნენ. აი სუსტ, მოციმციმე სინათლეზე თოვლივით ქათქათა ფრთასავით აფარფატდა სიტყვებით მოქარგული ფურცელი. მონტეგი ჩქარობდა საქმის დასრულებას, მაგრამ ფურცელს მაინც გადაჰკრა თვალი და ამოკითხულმა სტრიქონმა თითქოს სამართებლით დაუსერა გონება. ეს სტრიქონი სამუდამოდ დაამახსოვრდა: „დრომაც ჩათვლიმა შუადღის მზეზე“. მან წიგნი დააგდო, მაგრამ მაშინვე მეორე ჩაუვარდა მკლავებში.

— მონტეგ, აქ ამოღი!

მონტეგმა უნებლიერ ჩაბლუჯა წიგნი და უგონოდ, გიურად,

გაუცნობიერებელი სიყვარულით მიიხურა მკერდგე. მეხანძრები იქ, ზევით, უერნალების გროვას მისდგომოდნენ და მტვრით ავსებდნენ იქაურობას. უერნალები თოფნაკრავი ფრინველებივით მოფარფატებდნენ ძირს, ქალი კი პატარა გოგონასავით იდგა ამ შემუსვრილ ფრინველებში.

მონტეგს არაფერი ჩაუდენია – მისი ხელი იყო ყველაფრის მოქმედი; ხელს თავისი გონება, სინდისი და ცნობის-მოყვარეობა გასჩენოდა თითოეულ აკანკალებულ თითში და ქურდად ქცეულიყო. ხელმა იღლიაში ამოუდო მონტეგს წიგნი, მაგრად მიაკრა ოფლიან სხეულს და ისე სწრაფად და მარჯვედ ამოძვრა ბევით, თითქოს იღუბიონისტის ხელიათ. „აი, ნახეთ! მე უცოდველი ვარ! შემხედეთ!“

მონტეგი თრთოლვით მიაჩერდა თავის ხელს. ხან შორს გასწია, თითქოს შორსმხედველი იყო, ხან ახლოს მიიგანა თვალებთან ბეცივით.

– მონტეგ!

მონტეგი შეკრთა და მიტრიალდა.

– მანდ ნუ დგახარ, იდიოტო!

წიგნები გროვად ეყარა, თითქოს ნაპირზე დასამარილებლად დაყრილი თევზებიაო. მეხანძრები ბედ ახტებოდნენ, ფეხი უცურდებოდათ და ეცემოდნენ. მოოქრული სათაურები წამით გაიელვებდა, მერე წიგნი წაიქცეოდა და ელვარება ქრებოდა.

– ნავთი!

მეხანძრებმა საქაჩავები აამუშავეს და ზურგზე მოკიდებული ავზებიდან, რომლებსაც 451 ეწერა, ცივი სითხე გადმოიღვარა. მათ ჯერ წიგნებს მოასხურეს ნავთი, მერე ოთახებს და კიბისკენ გაემურნენ. ნავთის ორთქლის სუნი აუტანელი გახდა და მონტეგიც ბარბაცით გაჰყვა ამხანაგებს.

— წამოდი! — უყვიროლნენ მეხანძრები ქალს, — სწრაფად!

ქალი მუხლმოყრილი იდგა წიგნებში, ეფერებოდა ტყავისა და მუყაოს სველ ყდებს, ნაბად ეხებოდა თითებით ამოტვიფრულ და მოოქრულ სათაურებს და თან მონტეგს საყვედურით სავსე თვალებს არ აშორებდა.

— თქვენ ვერასოდეს გაეცნობით ჩემს წიგნებს, — თქვა ქალმა.

— კანონი იცით, — დაიწყო ბიჭიმ, — რას ფიქრობთ? ამ წიგნებში გამოთქმული აბრები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თქვენ აქ წლების განმავლობაში იყავით გამოკეტილი ნამდვილ ბაბილონის გოდოლში. ახლა მაინც გამოდით გარეთ. ამ წიგნებში ნახსენები ადამიანები ქვეყნად არასოდეს არსებობდნენ. წამოდით.

ქალმა თავი გააქნია.

— მთელი სახლი უნდა დაიწვას, — გააფრთხილა ბიჭიმ.

მეხანძრები კარისკენ მიიწევდნენ. კართან რომ მივიღენ, მონტეგს მოუხედეს. იგი კვლავ ქალთან იდგა.

— აქ ხომ არ დავტოვებთ? — აღშფოთებით წამოიძახა მან.

— თვითონ არ უნდა წამოსვლა...

— მაშინ ძალით წავიყვანოთ!

ბიჭიმ მაღლა ასწია ხელში ჩაბლუჯული ფარანი.

— ჩვენ გვეჩქარება და გარდა ამისა, ეს ფანატიკოსები ყოველთვის თვითმკვლელობას ამჯობინებენ. ეს ხომ ცნობილი ამბავია.

მონტეგმა იდაყვში წაავლო ქალს ხელი.

— ნუთუ არ წამოხვალთ ჩემთან ერთად?

— არა, მაგრამ თქვენი კი მაღლობელი ვარ.

— მე ათამდე ვითვლი, — თქვა ბიჭიმ, — ერთი, ორი...

— წამობრძანდით, — კვლავ სთხოვა მონტეგმა.

- გააგრძელეთ, — თქვა ქალმა.
  - სამი, ოთხი...
  - წავიდეთ, — მონტეგმა თავისკენ მიიზიდა ქალი.
  - მე აქ დარჩენა მინდა!
  - ხუთი, ექვსი...
  - შეგიძლიათ აღარ გააგრძელოთ თვლა, — წაიჩურჩულა ქალმა და ნელ-ნელა გაშალა მოკუმშული თითები. ხელისგულზე მას რაღაც წვრილი და გრძელი ნივთი ედო.  
ეს ჩვეულებრივი ასანთის დერი იყო!  
ასანთის დანახვისთანავე მეხანძრები კარს ეცნენ და კიბებე დაეშვნენ. მხოლოდ კაპიტანმა ბიჭიმ არ გაიტეა იხტიბარი და ნელ-ნელა დაიხია კარისკენ. დაქდაქა სახე ისე უპრიალებდა, თითქოს ათასობით ხანძარსა და ღამდამობით ატეხილ ორომტრიალს ირეკლამებო.
- „ღმერთო, — გაიფიქრა, მონტეგმა, — მართლაც რომ ასეა. განგაში ხომ ყოველთვის დამე ატყდება ხოლმე. დღისით არასოდეს ყოფილა. ვითომ იმიტომ, რომ ხანძარი ღამით უკეთესი შესახედავია? დიახ, ხანძარი დამე ლამაზ სპექტაკლს წააგავს!“

კარში გახიდულ ბიჭის შიშმა გადაპკრა ალაპლაპებულ სახეზე. ქალი მაგრად უჭერდა ხელს ასანთის ერთადერთ დერს.

ჰაერი ნავთის ორთქლით გაედენთილიყო. მონტეგმა იგრძნო, რომ მოპარული წიგნი გულივით უფართხალებდა უბეში.

— წადით! — უბრძანა ქალმა და მონტეგი კარს მიუახლოვდა, მერე ბიჭის ჩაუდგა კვალში, კიბის საფეხურები ჩაათავა და გაზონს მიადგა. გაზონს გიგანტური ლოკოკინას ნაკვალევივით ჰკვეთდა შეაბე ნავთიანი ბილიკი. ქალი ზღურბლამდე მიჰყვა და მშვიდი, ხანგრძლივი მზერით

გამოუტანა განაჩენი გაქცეულებს.

ბიტიმ ფარანი მოიმარჯვა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მონტეგს სუნთქვა შეეკრა.

ზღურბლბე მდგომბა ქალმა ბიბლნარევი მზერა ესროლა მეხანძრებებს და ასანთის დერი კიბის მოაჯირს აუსვა...

მეზობელი სახლების მცხოვრებლები ქუჩაში გამოცვივდნენ.

\* \* \*

სახანძრო სადგურში ისე მივიღენ, არც ხმა ამოუღიათ და არც ერთმანეთისთვის შეუხედავთ. მონტეგი წინა სკამბე იჯდა ბიტისა და ბლეკის გვერდით. მეხანძრებებს ჩიბუხიც არ გახსენებიათ, ისხდნენ და წინ იყურებოდნენ. უბარმაზარმა „სალამანდრამ“ მოუხვია და უხმოდ განაგრძო გზა.

— მოძღვარი რიდლი, — დაარღვია სიჩუმე მონტეგმა.

— რაო? — ჩაეკითხა ბიტი.

— ქალმა თქვა, მოძღვარი რიდლიო. იგი რაღაც უჩვეულოს ამბობდა, როცა ოთახში შევედით. გამხნევდი, რიდლიო და კიდევ რაღაცებს.

— „დღეს ჩვენ დვთის შეწევნით, ისეთ კელაპტარს ავანთებთ ინგლისში, რომ, მწამს, არასოდეს ჩაქრება“, — განაგრძო ბიტიმ. სტოუმენმა და მონტეგმა გაოცებით გადახედეს ბიტის.

ბიტიმ ნიკაპი მოიფხანა და ჩაილაპარაკა:

— ეს სიტყვები ვინმე ლატიმერმა უთხრა ვინმე ნიკოლას რიდლის, როცა ორივეს ცოცხლად წვავდნენ ერეტიკოსობისთვის ოქსფორდში 1555 წლის 16 ოქტომბერს.

მონტეგმა და სტოუმენმა კვლავ მანქანისკენ მომქროლავ ქუჩას დაუწყეს ყურება.

— მე ათასნაირი ციტატითა და ნაწყვეტით მაქვს გამოტენილი თავი, — თქვა ბიტიმ, — მეხანძრეთა უფროსების უმეტესობა ჩემსავითაა. ხანდახან მე თვითონ მიკვირს ჩემი თავისა. დაგეძინა, სტოუმენ?

სტოუმენმა მანქანა დაამუხრუჭა.

— ფუჟ! — გაბრაზდა ბიტი, — აი, სწორედ იქ უნდა შეგეხვია. გამოვცდით!

\* \* \*

— ვინ არის?

— ვინ იქნება? — სიბნელიდან გამოეპასუხა მონტეგი, რომელსაც ოთახის კარი მიეხურა და ზედ მიყრდნობოდა.

— აანთე სინათლე, — უთხრა კარგა ხნის დუმილის შემდეგ ცოლმა.

— არ მინდა სინათლე.

— მაშინ დაწექი.

ქალი მოუთმენლად აწრიალდა ლოგინში. ლეიიბის გამბარებმა ჭრიალი დაიწყო.

— მთვრალი ხარ? — ჰკითხა ცოლმა. დიახ, სწორედ ხელმა წამოიწყო ყველაფერი. მონტეგმა ახლაც იგრძნო, რომ ჯერ ერთმა ხელმა, მერე კი მეორემ გახადა პალტო და იატკბე დააგდო. ხელებმა დაკიდა მისი შარვალი უფსკრულის თავზე და მერე უკუნეთში ჩააგდო. ხელები გადამდები სენით ჰქონდა დაავადებული და მალე ეს სენი მკლავებსაც მისწვდებოდა. იგიგრძნობდა, რომ შხამი ბევით-ზევით ავიდოდა, მაჯებს, იდაყვებს, მხრებს გაუჯდებოდა, შემდეგ კი ნაპერწკალივით გადახტებოდა ერთი ბეჭიდან მეორებე. ხელებს სიხარბე მორეოდა, თვალებს კი — შიძმილი. უნდოდა განუწყვეტლივ ემზირა რაიმესთვის. სულერთია, რისთვის.

— რას აკეთებ? — ჰკითხა ცოლმა.

მონტეგი სიბნელეში იდგა, ოფლიანი, ცივი თითებით წიგნი ჩაეძღუჯა და წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა.

ერთი წუთის შემდეგ ცოლმა კვლავ დაარღვია სიჩუმე.

— კარგი და, რამდენ ხანს უნდა იდგე ეგრე, შეა თთახში?!

მონტეგმა რაღაც წაილუდლუდა.

— რაო? — ჩაეკითხა ქალი.

მან კიდევ უფრო ხმადაბლა თქვა რაღაც, ბორძიკ-ბორძიკით მიადგა თავის საწოლს, მოუხერხებლად ამოდო წიგნი ცივი ბალიშის ქვეშ და მოწყვეტით დაეშვა ლეიბბე. შემინებულმა ცოლმა შეჰკივლა, მაგრამ მონტეგს სადღაც შორიდან მოესმა ეს ხმა. მონტეგი ყინულოვან კუნძულზე იყო და მათ ამომშრალი ზღვა ყოფდა. ცოლი, როგორც ჩანს, კარგა ხანს ელაპარაკებოდა. ათას რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ სიტყვები ერთმანეთს არ ებმოდა. მონტეგს გაახსენდა, რომ ერთხელ მეგობართან საბავშვო ოთახში შევიდა და ნახა, ორი წლის ბავშვი რაღაც სიტყვებს ტიკტიკებდა. მოსასმენად სასიამოვნო იყო, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანა.

მონტეგი არ გაეპასუხა ცოლს, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ კვლავ აღმოხდა რაღაც გაუგებარი კვნესა. მაშინ მილდრედი წამოდგა, ქმარს თავზე დაადგა და ლოყაბზე ხელი დაადო. მონტეგი მიხვდა, რომ მილდრედს ხელი დაუსველდა.

\* \* \*

გვიან ღამით ცოლის საწოლს გადახედა. ქალს ედვიძა. ოთახში ოდნავ ისმოდა უცნობი ჰანგი — მილდრედს კვლავ „ნიჟარით“ დაეცო ყური და შორეული ქვეყნების ადამიანებს უსმენდა. თვალები ფართოდ გაეხილა და ჭერიდან ჩამოშვებულ სიბნელის სქელ ღრუბლებს მისჩერებოდა.

განა ეს ამბავი იმ ძველ ანეკდოტს არ ჰგავდა, ვიღაცის ცოლი რომ სულ ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული და ქმარი იძელებული ხდებოდა, ახლომდებარე ავტომატიდან დაერეკა, – დღეს რა გვაქვს საღილადო?

პოდა, ვითომ რატომ არ უნდა შეიძინოს პატარა გადამცემი აპარატი, რომ გვიან დამით გაესაუბროს საკუთარ ცოლს, – ეჩურჩულოს, მიესიყვარულოს, უყვიროს, შესჩივლოს, გაუწყრეს. მაგრამ რას უჩურჩულებს, რაზე უყვირებს, რას ეტყვის?

და უეცრად მას ისე უცხოდ მოეჩვენა ეს ქალი, რომ ეჭვიც კი შეეპარა, – ვიცნობ თუ არაო. მონტეგი უცხო სახლში მოხვდა – იმ ანეკდოტისა არ იყოს, ვიღაც მთვრალი კაცი რომ გვიან დამით მიადგა სხვის სახლს, გააღო კარი, შევიდა სხვის ოთახში, ვიღაცის ცოლთან გაათია დამე, დიღას აღრე ადგა, სამსახურში წავიდა და ვერც კაცი და ვერც ქალი ვერ მიხვდა, რომ ერთმანეთს არც იცნობდნენ.

- მიღი! – ჩურჩულით დაუძახა მონტეგმა.
- რა იყო?
- რატომ შეშინდი? მე მხოლოდ მინდოდა მეკითხა...
- რა?
- როდის შევხვდით ერთმანეთს და სად?
- რისთვის შევხვდით?
- მე გეკითხები, – პირველად რომ შევხვდით...
- ბნელოდა, მაგრამ მონტეგი მიხვდა, რომ ქალმა წარბი შეიკრა.
- სად და როდის მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა? – გაამარტივა კითხვა მონტეგმა.
- სად და... აღარ მახსოვს...
- ვერ გაიხსენებ? – ჰკითხა ნაწყენმა მონტეგმა.
- ისე დიდი ხნის წინ იყო, რომ...

— მხოლოდ ათი წელი გავიდა მას შემდეგ, მხოლოდ ათი!

— ნუ ბრაზობ, ხომ ხედავ, ვიხსენებ, — ქალმა ყალბად ჩაიკისკისა, — სასაცილოა, ოპ, რა სასაცილოა, დაგავიწყდეს სად ნახე პირველად შენი ქმარი ან ცოლი.

მონტეგი იწვა და ნელ-ნელა ისრესდა თვალებს, წარბებსა და კისერს. შემდეგ ორივე ხელი მაგრად მიიჭირა თვალებზე, თითქოს უნდოდა, თავის ადგილას ჩაესვა მეხსიერება. მონტეგისთვის უცებ ყველაფერზე მნიშვნელოვანი გახდა იმის გახსენება, თუ სად შეხვდა პირველად მიღდრედს.

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — უკვე აბაზანიდან გამოსძახა ქალმა და ონკანი მოუშვა. ცოტა ხნის შემდეგ მონტეგს წყლის ბუყბუყი შემოესმა და მიხვდა, რომ მიღდრედი წყალს სვამდა.

— მართალია, მეც ეგრე ვფიქრობ, — გაეხმაურა მონტეგი ცოლს და შეეცადა დაეთვალა, რამდენი ყლუპი წყალი დალია მიღდრედმა. უცებ მას იმ ორი კაცის სტუმრობა გაახსენდა, რომლებსაც სახე თუთიასავით გაპფითრებოდათ და პირში სიგარეტი გაეჩარათ. გაახსენდა ელექტრონისთვალება გველი, რომელიც კლაკნით ჩადიოდა ღრმად და ღრმად, რათა დაგუბებულ სითხეს მისწვდომოდა და დააპირა ცოლისთვის დაეძახა: „ამაღამ რამდენი აბი გადაყლაპე და კიდევ რამდენს გადაყლაპავ ისე, რომ არც კი გეცოდინება სათვალავიო?!”

არა, საშველი არ არის! შეიძლება ამაღამ არა და ხვალდამ გადაყლაპოს. თვითონ მონტეგი ამ ღამეს, ხვალინდელ ღამეს და კიდევ მრავალ ღამეს აი, ასე თეთრად გაათენებს, რადგან უკვე დაეწყო უძილობა. და მონტეგს გაახსენდა, როგორ ადგა თავს ლოგინში გაშოტილ მიღდრედს ის ორი

სპეციალისტი. ისინი განა მზრუნველად იყვნენ დახრილნი ავადმყოფის სარეცელთან? არა, წელში გამართულიყვნენ და ხელები გულბე დაეკრიფათ. ისიც გაახსენდა, რომ მაშინ გაიფიქრა, ახლა რომ მოკვდეს, ალბათ ვერც კი ვიტირებო. ვერ იტირებდა, რადგან ეს უცნობი ადამიანის სიკვდილი იქნებოდა, ადამიანისა, რომელსაც ქუჩაში მოჰკრა თვალი ან გაბეთში ნახა მისი ფოტო. ეს უცებ ისე სავალალოდ ეჩვენა, რომ ტირილი აუტყდა. ცოლის სიკვდილს კი არა, თავის გულქვაობას დასტიროდა. დიახ, სულელი, გამოფიტულ დედაკაცს, რომელსაც მშიერი გველი სითხის უკანასკნელ წვეთებს სწოვს.

— ასე როგორ გამოვიფიტე? — შეეკითხა თავის თავს მონტეგი, — ასე როგორ დავკარგე ყველაფერი?!

ახლა ის საშინელი ყვავილი, ის ბაბუაწვერა! მან ხომ მთლად სუფთა წყალბე გამომიყვანა. ასეა, არა? „რა სირცე-ვილია! თურმე თქვენ არავინ გყვარებიათო!“ და რატომ არის, რომ მართლა არავინ მიყვარს?

თუმცა განა ჩემსა და მიღდრედს შორის იმთავითვე კედელი არ იყო აღმართული? უფრო სწორად — სამი კედე-ლი, რომლებიც საკმაოდ ძვირიც ღირდა!

როცა მიღდრებებე ფიქრობდა, ყველაზე ხშირად ტყეში დაკარგულ პატარა გოგოდ წარმოიდგენდა, ოღონდ ამ ტყეში, უცნაური კია, მაგრამ ერთი ხეც არ იყო. ხან კი ვითომ ეს პატარა გოგონა ისეთ უდაბნოში დაკარგულიყო, რომელ-შიც წინათ ხეები ყოფილა (ამ ხეების ნიშანკვალი ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა). იგი მუდამ თავისი „საერთო ოთახ-ის“ შეაში იჯდა. „საერთო ოთახი!“ რა კარგი სახელი დაუ-რქმევიათ!

რა დროსაც უნდა შესულიყო მონტეგი იმ ოთახში,

კედლები მუდამ მიღდრედს მიმართავდნენ:

- რაღაც უნდა ვიღონოთ!
- ნამდვილად რაღაც უნდა ვქნათ!
- მარტო ლაპარაკი ხომ არ გვიშველის?
- ჰოდა, გავაკეთოთ!
- ისეთი გაბრაზებული ვარ, ლამის ფურთხება დავიწყო!

რისი თქმა უნდოდათ? მიღდრედმა ვერ აუხსნა. ვინ ვისტე იყო გაბრაზებული, არავინ უწყოდა. მიღდრედმა გუმანითაც არ იცოდა, რის გაკეთებას აპირებდნენ?

– რისა და... აი მოიცა და თვითონვე ნახავ, – ეუბნებოდა მიღდრედი.

მონტეგიც იცდიდა და უმჩერდა:

კედლებზე ხმების ქარაშოტი ატყდებოდა. მუსიკა ისე ურახუნებდა თავში, რომ ძვალსა და რბილს უერთიანებდა, ყბები უცახცახებდა, თვალები შებლზე აუდიოდა. ერთი სიტყვით, ლამის გონება დაეკარგა. როცა სიჩუმე ჩამოვარდებოდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს ტრიალ-ტრიალით გადააგდეს კლდიდან წყალვარდნილში და ირგვლივ მხოლოდ სიცარიელეა; იგი კვლავ საშინელი სისწრაფით მიქრის ამ სიცარიელეში და იმ კედლებს ვერც კი გრძნობს. მიქრის ქვევით... ქვევით... სწრაფად... და აი, რაღაცას წამოედო! ქუხილი წყდება – მუსიკა დამთავრებულა.

– ხედავ?! – ამბობს მიღდრედი.

ეს მართლაც შესანიშნავი რამ იყო. რაღაც უცნაური მოხდა, თუმცა კედლების ბინადარნი არც კი განძრეულან ადგილიდან. თითქმის არაფერი შეცვლილა, მაგრამ გრძნობდით, რომ ვიღაცამ სარეცხის მანქანაში გაგატარათ, ანდა თითქოს გიგანტურმა მტვერსასრუტმა შეგიწოვათ. გრძნობდით, რომ ხმაურისა და კაკაფონიის ბლვაზე ჩაიძირეთ.

გაოფლიანებული, გონების დაკარგვამდე მისული მონტეგი ოთახიდან გამოვარდებოდა ხოლმე. მიღდრედი კი კვლავ თავის სავარძელში იჯდა და ოთახიდან ისევ ისმოდა ხმები:

— მოიცა, ამიერიდან ყველაფერი მოგვარდება! — ამბობდა დედიდა.

— ეჭ, რა იმედიანი ხარ! — ამბობდა დედიდაშვილი.

— ნუ ბრაზობ!

— ვინ ბრაზობს?

— შენ ბრაზობ!

— მე?

— ჰო, პირდაპირ ცოფიანს ჰეგავხარ!

— ვითომდა რატომ?

— იმიტომ!

— ძალიან კარგი! — ღრიალებდა მონტეგი, — მაგრამ, გამაგებინე რატომ ბრაზობენ! ვინ არის ეს ხალხი? ვინ არის ის კაცი და ის ქალი? ცოლ-ქმარია, გაყრილები არიან, დანიშნულები თუ რა? ღმერთო, ძალლი პატრონს ვერა ცნობს!

— ისინი — იწყებდა მიღდრედი, — იცი რა, ისინი... ერთი სიტყვით... წაიჩხუბნენ. ისინი ხშირად ჩხუბობენ... ნეტა მოგასმენინა, რა დღეში არიან ხოლმე, მე მგონი, ცოლ-ქმარია, ჰო, ცოლი და ქმარი! რატომ მეკითხები?

და როცა მიღდრედი ამ სამი კედლით არ ერთობოდა, რომელსაც მალე მისი ოცნებით მეოთხეუ უნდა მიმატებოდა, მაშინ დია მანქანაში ჯდებოდა მონტეგთან ერთად და ქალაქში დაქროდა საათში ასი მიღის სიჩქარით. მონტეგი რაღაცას უყვიროდა, ისიც ყვირილითვე პასუხობდა, მაგრამ ხეირიანად ვერაფერს აგებინებდნენ ერთმანეთს, რადგან მანქანა საშინლად ღრიალებდა.

„ბოლოს და ბოლოს, შეანელებ თუ არა?“ — უყვიროდა

მონტეგი.

„რას ამბობ?“

„მინიმუმშე დაიყვანე, ორმოცდათხუთმეტშე!“

„რაზე მეუბნები?“ – კიოდა ქალი.

„სიჩქარებე!“ – ღრიალებდა მონტეგი, მილდრედს კი სიჩქარე ას ხუთ მილზე აჰყავდა და მონტეგს სუნთქვა ეკვროდა.

მანქანიდან გადმოსვლისთანავე მილდრედი „ნიუარებით“ იცობდა ყურებს.

ახლა ოთახში დუმილი სუფევდა. ოდნავ, სულ ოდნავ ისმოდა ქარის შრიალი.

– მილდრედ, – დაუძახა მონტეგმა და გვერდი იცვალა.

მერე ხელი გაიწოდა, ქალს ყურიდან გამოაცალა მომღერალი მწერი და კვლავ დაუძახა: „მილდრედ, მილდრედ!“

– რა იყო, – მიძქრალი ხმით გამოეპასუხა ცოლი. მონტეგს მოეჩვენა, რომ თვითონაც ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომლებიც კედლის ეკრანის გადაღმა ბინადრობდნენ.

მონტეგი ლაპარაკობდა, მაგრამ ხმა მინის კედლის გარეთ არ გადიოდა და ამიტომ მიმიკა უნდა მოეშველებინა, თანაც ენაგრა, მილდრედმა ჩემკენ გამოიხედოს. მას ისიც კი არ შეეძლო, რომ მიჰკარებოდა მილდრედს – მუაში ხომ მინის ტიხარი ჰქონდათ.

– მილდრედ, გახსოვს იმ გოგონაზე რომ გელაპარაკებოდი?

– რომელ გოგონაზე? – თითქმის ძილში იკითხა მილდრედმა.

– ჩვენს მებობლად რომ ცხოვრობს.

– რომელია? ვერ გავიხსენე...

– იცი! იცი! სკოლაში რომ სწავლობს. კლარისა ჰქვია.

– ჰო, გამახსენდა, – თქვა მილდრედმა.

- რამდენიმე დღეა აღარ მინახავს. უფრო გუსტად, ოთხი დღეა, შენ ხომ არ შეგხვედრია?
- არა, არსად შემხვედრია!
- მინდოდა, იმ გოგონაზე მელაპარაკა შენთან, ძალიან ჟცნაურია...
- უჰ, ახლა მივხვდი, ვისაც გულისხმობ.
- ვიცოდი, რომ გაიხსენებდი.
- იგი... ის გოგონა... – უთხრა მიღლოებმა ბნელ ოთახს.
- რა დაემართა!
- მინდოდა მეთქვა შენთვის, მაგრამ დამავიწყდა... სულ დამავიწყდა...
- ახლა მითხარი, რა მოხდა?
- მე მგონი, ის აღარ არის.
- როგორ!
- მთელი ოჯახი გადასახლდა სადღაც, მაგრამ თვითონ სამუდამოდ წავიდა. მგონი, მგონი... გარდაიცვალა...
- იქნებ შენ სხვა გოგონაზე ლაპარაკობ?
- არა. ორივენი ერთსა და იმავე გოგონაზე ვლაპარაკობთ, მაკლელანბე. მანქანამ გადაუარა. ოთხი დღის უკან მოხდა ეს ამბავი. ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ჩემი ამრით, ცოცხლებში აღარ წერია. ოჯახი კი გადასახლდა აქედან. გიმეორებ, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ დაიღუპა.
- დარწმუნებული ხარ?
- არა, დარწმუნებული არ ვარ. თუმცა კი... დარწმუნებული ვარ...
- აქამდე რატომ არ მითხარი?
- დამავიწყდა.
- ეს ხომ ოთხი დღის წინ მომხდარა!
- სულ დამავიწყდა ეს ამბავი...
- ოთხი დღის წინ... – ჩუმად ჩაილაპარაკა მონტეგმა.

კარგა ხანს ორივენი ჩუმად და გაუნძრევლად იწვნენ  
სიბნელეში. ბოლოს მიღდრედმა ამოიღო ხმა, ღამე მშვი-  
დობისა უსურვა ქმარს და ხელის ცეცებით რაღაცის ძებნა  
დაიწყო ლოგინში.

რადიონიჟარა კალიასავით ფართხალებდა მიღდრედის  
ხელში. ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე ყურში ეკეთა და ზუტუნებ-  
და.

მონტეგმა დააყურადა: მისი ცოლი ღიღინებდა. ფანჯრის  
გადაღმა რაღაც ჩრდილი ამოძრავდა. შემოდგომის ნიავმა  
ერთი გაიშრიალა და ისევ ჩადგა, მაგრამ სიჩუმეში, რომელ-  
საც მონტეგი უსმენდა, რაღაც იღუმალება დაფარულიყო.  
თითქოს ვიღაცის სუნთქვა მოპფენოდა ფანჯარას და ეს  
სუნთქვა მომწვანო ლუმინესცენციურ კვამლსა თუ შე-  
მოდგომის იმ ფართო ფოთოლს ჰგავდა, რომელიც ქარმა  
მოწყვიტა, მინდორი გადაატარა და სადღაც მიკარგა.

„მექანიკური ძალია, — გაიფიქრა მონტეგმა, — აშვებუ-  
ლია და სახლის ირგვლივ დაძრწის. ფანჯარა რომ გავა-  
ღო“...

მაგრამ მონტეგს ფანჯარა არ გაუღია.

\* \* \*

ღიღით მონტეგს შეაურეოლა, მერე სიცხეც მისცა.

— ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა მიღდრედმა.

მონტეგმა სიცხიანი თვალები დახუჭა.

— ჰო, ავად ვარ!..

— კი მაგრამ, წუხელ რომ კარგად იყავი?!?

— არა, არც წუხელ ვყოფილვარ კარგად...

მონტეგს „ნათესავების“ ხმა მოესმა სასტუმრო ოთახი-  
დან. მიღდრედი თავზე ადგა ქმარს და დაკვირვებით ათვა-  
ლიერებდა.

მონტეგს თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ მაინც ხედავდა მიღდრედის თმას, რომელიც ქიმიურ საღებავებს ნამჯასავით გამოეხმო. ხედავდა მის დაბინდულ თვალებს, რომელთაც თითქოს ლიბრი გადაპკროდა; ხედავდა წითლად შეღებილ ჭირვეულ ტუჩებს, მუდმივი დიეტისგან კალიასავით გაჩხიკულ სხეულსა და ქონივით თეთრ კანს. მონტეგს ყოველთვის ასეთი ახსოვდა თავისი ცოლი.

— შეგიძლია ასპირინი და წყალი მომიგანო?

— უკვე დროა, ადგე. მოშუადღევდა. ჩვეულებრივზე ხუთი საათით მეტი გემინა.

— იქნებ გამოგეთიშა სასტუმრო ოთახში რადიო...

— აქ ახლა ჩემი ახლობლები არიან.

— იქნებ ავადმყოფს მაინც გაუწიო ხათრი?

— მაშინ, დავუწევ.

მიღდრედი სასტუმრო ოთახში შევიდა, მაგრამ ხმისთვის არ დაუწევია, ისევ მობრუნდა უკან და იკითხა: ასე უკეთესია?

— მადლობელი ვარ, — უპასუხა მონტეგმა.

— ეს პროგრამა ყველაზე უფრო მიყვარს, — შენიშნა ქალბა.

— ასპირინი რა უყავი?

— შენ ადრე არასოდეს ხდებოდი ავად, — ჩაიბუზდუნა მიღდრედმა და ოთახიდან გავიდა.

— მართალია, მაგრამ ახლა ავად ვარ. ამაღამ სამსახურში არ წავალ, ბიტის დაურეკე და უთხარი.

— წეხელ რაღაც უცნაურად იქცეოდი, — უთხრა მიღდრედმა, ღილინით მიუახლოვდა ავადმყოფს და წყლიანი ჭიქა მიაწოდა.

— ასპირინი სადღაა?

— ოპ, — წამოიძახა მიღდრედმა და აბაზანაში შევიდა

ასპირინის გამოსატანად, – რაიმე მოხდა?

- ხანძარი იყო, მეტი არაფერი.
- მე კი მშვენივრად გავატარე წუხანდელი საღამო, – უკვე აბაზანიდან გამოსძახა მილდრედმა.
- რას აკეთებდი?
- სასტუმრო ოთახში ვიყავი.
- რა მიდიოდა?
- პროგრამა.
- რომელი პროგრამა.
- ყველაზე უკეთესი.
- ვინ თამაშობდა?
- რა ვიცი, სუსკელა, მთელი ხროვა.
- მთელი ხროვა, ხროვა, ხროვა... – მონტეგმა მტკივან თვალებს თითები დააჭირა. უცებ ნავთის სუნი იგრძნო და გული აერია.
- ოთახში კვლავ ღიღინით შემოვიდა მილდრედი და გაოცებულმა შეჰქვირა:
- ეს რატომ დაგემართა?!
- შეცბუნებული მონტეგი იატაკს დააჩერდა:
- ჩვენ წიგნებთან ერთად მოხუცი ქალიც დავწვით.
- კიდევ კარგი, ეს ნოხი ადვილად ირეცხება, – მილდრედმა ჩვრით დაუწყო წმენდა ნოხს, – იცი, წუხელ ჰელინთან ვიყავი.
- ვითომ შინ არ შეგეძლო გადაცემის ნახვა?
- შემეძლო, მაგრამ სტუმრად წასვლა კარგია...
- ქალი სასტუმრო ოთახში გავიდა. მონტეგს ახლა იქიდან მოესმა ცოლის ღიღინი.
- მილდრედი სიმღერითა და თითების ტკაცუნით დაბრუნდა.
- არ გინდა, იცოდე წუხელ რა მოხდა?

- რა მოხდა?
  - ათასამდე წიგნი და ერთი ქალი დავწვით...
  - მართლა?
- სასტუმრო ოთახი ხმაურისგან განჩარებდა.
- დავწვით დანტეს, სვიფტის და მარკუს ავრელიუსის წიგნები.
  - ეგ ავრელიუსი ევროპელი იყო?
  - მგონი კი.
  - რადიკალი?
  - არ ვიცი, არ წამიკითხავს.
  - რადიკალი იქნებოდა, – მილდრედმა უხალისოდ შეატრიალა ხელში ტელეფონის ყურმილი, – მართლა დავურუკო კაპიტან ბიგის?
  - უნდა დაურეკო!
  - ნუ ყვირი!
  - არ ვყვირი! – სიბრაზისგან აწითლებული და აცახცახებული მონტეგი საწოლში წამოჯდა. ჰაერი დახუთული იყო. სასტუმრო ოთახი ღრიალებდა, – მე ვერ დავურეკავ. მე ვერ ვეტყვი, ავად ვარ-მეთქი!
  - რატომ?
- „იმიტომ რომ მე მეშინია, – გაიფიქრა მონტეგმა – ბავშვივით ვიგონებ ავადმყოფობას და მეშინია დავრეკო, რადგან ვიცი, ცოტა ხნის შემდეგ ვეტყვი: დიახ, კაპიტანო. მე უკვე უკეთესად ვგრძნობ თავს. ამაღამ ათ საათზე მანდ ვიქნები-მეთქი“.
- შენ ავად არ ხარ! – უთხრა მილდრედმა.
- მონტეგი მოწყვეტით ჩაეშვა ლოგინში და ბალიშქვეშ შეაცურა ხელი. წიგნი კვლავ ძველ ადგილასდახვდა.
- მილდრედ, რა იქნება, რომ ცოტა ხნით თავი დავანებო სამსახურს?

— გინდა ყველაფერზე აიღო ხელი? ამდენი წლის მუშაობის შემდეგ? მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც დედაკაცი და მისი წიგნები...

— შენი თვალით უნდა გენახა, მიღი!

— მე რაში მენაღვლება. არ უნდა ჰქონოდა წიგნები. მისი ბრალია. თავიდან რატომ არ იფიქრა. მეჯავრება ის ქალი. მის გამო ჭკუა აგერია და მალე არც ბინა გვექნება, არც სამუშაო და არც არაფერი!

— შენ იქ არ ყოფილხარ და არ გინახავს. ეტყობა, ამ წიგნებში რაღაც ისეთი რამ არის, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებით, თორემ რა გააჩერებდა იმ ქალს ცეცხლმოდებულ ბინაში. არა, ნამდვილად რაღაც იქნება! შენ ხომ არაფრის გულისთვის არ გაწირავ თავს?

— ალბათ, სულელი იყო!..

— იგი ჩვენისთანა იყო. იქნებ ჩვენზე ჭკვიანიც. ჩვენ კი დავწვით.

— არა უშავს, დაგავიწყდება...

— არ დამავიწყდება! ცეცხლი არასოდეს დამავიწყდება! ოდესმე გინახავს დამწვარი სახლი, რამდენიმე დღის განმავლობაში რომ ხრჩოლავს? მეც ასე ვარ: მთელი სიცოცხლე გამყვება ამ ხანძრის კვალი. ო, ღმერთო! მთელი ღამე ვცდილობდი ამომევდო გონებიდან ეს ამბავი, კინაღამ გავგიქდი.

— მაგაზე მანამდე უნდა გეფიქრა, სანამ მეხანძრე გახდებოდი.

— მეფიქრა?! მქონდა კი არჩევანი? პაპაჩემი და მამაჩემი მეხანძრები იყვნენ. მე ხომ ძილშიაც ეს ხელობა მესიმზრებოდა.

სასტუმრო ოთახიდან საცეკვაო მუსიკის ხმა ისმოდა.

— დღეს დილის ცვლაში ხარ. ორი საათის წინ უნდა

წასულიყავი. ახლა გამახსენდა.

— მარტო იმ ქალის სიკვდილს კი არ ვწუხვარ, — თქვა მონტეგმა, — წებელ მთელ ღამეს ვფიქრობდი, თუ რამდენი ნავთი დავხარჯე ამ ათ წელიწადში. ვფიქრობდი წიგნებზე და მივხვდი, რომ ყოველი წიგნის უკან ადამიანი იდგა, ადამიანი ფიქრობდა, მსჯელობდა და დიდი წვალებით ნელნელა გადაპქონდა თავისი აბრი ქაღალდზე. ეს ადრე არასოდეს მომსვლია თავში.

მონტეგი საწოლიდან წამოდგა და განაგრძო:

— ზოგს ალბათ მთელი სიცოცხლე სჭირდებოდა, რომ თავისი ნაფიქრი დაეწერა, რომ გაეცნო სხვებისთვის ნანახი და განცდილი, მე კი მივედი და ორ წუთში მოვსპე ყველაფერი.

— დამასვენე, — უთხრა მილდრედმა, — მე არაფერი დამიშავებია!

— დაგასვენო? ძალიან კარგი, მაგრამ მე რომ ვერ დავისვენებ?.. არა, ჩვენი მოსვენება არ შეიძლება. ჩვენ დროდადრო უნდა შეგვაწუხონ. აბა, მითხარი, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ნამდვილად გაწუხებდა რაღაც? რაიმე მნიშვნელოვანი, რაიმე არსებითი!

მონტეგი უცებ დადუმდა, რადგან წინა კვირის ამბები გაახსენდა. ის ორი თეთრი ქვა, რომლებიც ჭერს მისჩერებოდა, ელექტრონისთვალიანი გველი, ტუმბო და ორი გამოცივებულსახიანი მამაკაცი, რომელთაც ლაპარაკის დროს სიგარეტი ხან ტუჩის ერთ კუთხეში მოექცეოდათ, ხან მეორეში. მაგრამ მაშინ სულ სხვა მილდრედი იყო. იმას ნამდვილად აწუხებდა რაღაც, ძალიან, ძალიან აწუხებდა და ის ქალი, ის აფორიაქებული, შეწუხებული ქალი ისე ღრმად იყო ამ ქალში ჩამალული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. მონტეგმა ბურგი შეაქ-

ცია მილდრედს.

— აი, ბოლოს ხომ ჩავარდი! აბა, გარეთ გაიხედე, ნახე ვინ მოვიდა! — წამოიძახა უცებ მილდრედმა.

— ვინც უნდა, ის მოვიდეს!

— იქ ავტომობილი დგას, „ფენიქსი“ და შიგ შავხალა-თიანი კაცი ბის. მკლავზე ნარინჯისფერი გველი აქვს ამო-ქარგული. აი, აქეთ წამოვიდა...

— კაპიტანი ბიტია?

— კაპიტანი ბიტია!

მონტევი არც კი განმრეულა. იგი იდგა და უხმოდ მის-ჩერებოდა მის წინ აღმართულ თეთრსა და ცივ კედელს.

— წადი და შემოიყვანე! წახვალ? უთხარი, რომ ავად ვარ.

— შენ თვითონ უთხარი! — მილდრედმა ბორიალი დაიწყო ოთახში. მერე უცებ თვალებდაჭყეტილი გაშეშდა. შე-მოსასვლელ კარში დაგანებული მოლაპარაკე აპარატი ხმადაბლა, სულ ხმადაბლა უხმობდა: „მისის მონტევი, მისის მონტევი. აქ ვიღაცაა, აქ ვიღაცაა; მისის მონტევი, მისის მონ-ტევი, აქ ვიღაც არის“.

აპარატი დადემდა.

მონტევმა გულის დასამშვიდებლად ხელი შეყო ბალ-იშქვეშ და როცა დარწმუნდა, რომ წიგნი იქ იყო, ლოგინში შებობლდა, მუხლებსა და მთელ სხეულზე საბანი შემოიკე-ცა და ნახევრად წამოჯდა.

მილდრედი კარის გასაღებად გაეშურა, მაგრამ კაპი-ტანი ბიტი უკვე შემოსულიყო ბინაში და ახლა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დინჯად მიაბიჯებდა მონტევისკენ.

— გააჩუმეთ „ნათესავები“, — ბრძანა მან და იქაურობა ისე დაათვალიერა, რომ მონტევისა და მისი ცოლისთვის არც შეუხედავს. მილდრედი მაშინვე გავარდა სასტუმრო

ოთახში და კედლები გამოთიშა, ღრიალი და ყვირილი შეწყდა.

კაპიტანმა ბიტიმ საუკეთესო სკამი ამოარჩია და დაჯდა. დაქდაქა სახეზე ეტყობოდა, რომ ჩხუბს არ აპირებდა. მან დინჯად გატენა თავისი სპილენძისტარიანი ჩიბუხი, მოუკიდა, კვამლის დიდი ბოლქვი გამოუშვა პირილან და ჩაილაპარაკა.

— შემოგიარეთ. მინდოდა გამეგო, როგორ გრძნობს თავს ავადმყოფი.

— როგორ გაიგეთ, რომ ავად ვარ?

ბიტიმ გაიღიმა და ვარდისფერი ღრძილები და თოვლივით თეთრი კბილები გამოაჩინა:

— გუშინვე ვიგრძენი. მივხვდი, რომ ერთი ღამის შვებულება დაგჭირდებოდათ.

მონტეგი წამოჯდა.

— დიახ, — განაგრძო ბიტიმ, — ვიცოდი, რომ ერთ დამეს გააცდენდით, — ბიტიმ ხელში შეათამაშა თავისი სანთებელა, რომელსაც არასოდეს იშორებდა. სანთებელას ეწერა: „გარანტირებულია ერთი მილიონი ანთება“. იგი ანთებდა ამ ქიმიურ ასანთს, მერე სულის შებერვით აქრობდა, კიდევ ანთებდა, რამდენიმე სიტყვას იტყოდა და ისევ აქრობდა, ისევ აანთებდა, ცოტა ხანს უმზერდა ალს, აქრობდა და ბოლოს წვრილ ხაზს გააღევნებდა ხოლმე თვალს.

— როდის გამომჯობინდები? — დაარღვია ბიტიმ სიჩუმე.

— ხვალ ან შეიძლება, ზეგ, იმ კვირის დასაწყისში.

ბიტიმ ჩიბუხი აათუხთუხა.

— ყველა მეხანძრემ უნდა გაიაროს ეს პერიოდი, ადრე იქნება თუ გვიან. ამიტომ საჭიროა, ყველაფერი კარგად ავუხსნათ. მან უნდა იცოდეს ჩვენი პროფესიის ისტორია. ახლა ახალმიღებულებს აღარ აწვდიან ამ ცოდნას, წინათ

კი განუმარტავდნენ და ასწავლიდნენ ხოლმე. საჭირო კია. ფუქ, — გამოუშვა კვამლის ქულა ბიტიმ, — ახლა კი მხოლოდ მეხანძრეთა უფროსებმა იციან ეს ამბები, — ბიტიმ კვლავ გააბოლა ჩიბუხი, — ახლავე აგიხსნი ყველაფერს.

მილდრედი აწრიალდა.

ბიტი კარგა ხანს ემზადებოდა ლაპარაკის დასაწყებად.

— შენ მეკითხები, როდის დაიწყო ეს ჩვენი საქმიანობა, როგორ განვითარდა, სად, როდის? მე მგონი, დაიწყო დაახლოებით იმ დროს, როცა სამოქალაქო ომი იყო, თუმცა ჩვენი წესდება ამბობს, რომ სახანძრო საქმეს უფრო აღრე ჩაეყარა საფუძველით. ერთი კი უდავოა, სანამ ფოტოგრაფია არ განვითარდა, ჩვენც ვერ გავშალეთ ფრთხი. მერე, XX საუკუნის დასაწყისში, კინო გაჩნდა. მერე რადიო და ტელევიზია და დაიწყო მასობრიობის ეპოქა.

მონტეგი გაუნდრევლად იჯდა ლოგინში.

— და რადგან ყველაფერი მასობრივი იყო, ყველაფერი გამარტივდა, — განაგრძო ბიტიმ, — იყო დრო, როცა წიგნი ყველას არ უყვარდა, აქა-იქ თუ კითხულობდნენ. ამიტომ წიგნებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. დედამიწა ხომ ვრცელი იყო. მერე მსოფლიო დავიწროვდა, რადგან უამრავი თვალი, იდაყვი და კბილი გაჩნდა. მოსახლეობა გაორმავდა, გასამმავდა, გაოთხმავდა და კინოფილმები, რადიოგადაცემები, უურნალები, წიგნები განსაზღვრულ სტანდარტებს დაექვემდებარა. გამიგეთ, მონტეგ?

— მგონი გაგიგეთ...

ბიტი მცირე ხანს ჰაერში მოლივლივე კვამლის ხაზებს მისჩერებოდა. მერე კვლავ ალაპარაკდა.

— აბა, წარმოიდგინეთ XIX საუკუნის ადამიანები თავიანთი ცხენებით, ძაღლებით, ეტლებით; ცხოვრების შენელებული რიტმი. მერე XX საუკუნე – ცხოვრება უფრო ჩქარი

ხდება! წიგნები თხელდება, სიუჟეტი იკუმშება, შემოკლებული გამოცემა, მოკლე შინაარსი. ჩქარა! ყველაფერი იქით მიდის, რომ ბურთი ჩაგჩარონ პირში, რომ ყველაფერი უცებ მორჩეს!

— რომ ყველაფერი უცებ მორჩეს! — თავის ქნევით დაუდასტურა მილდრედმა.

— კლასიკოსები თხუთმეტწუთიან რადიოგადაცემაში ეტევიან, მერე კვლავ ამცირებენ და ერთ სვეტში ატევენ, რომელსაც მხოლოდ ორი წუთი სჭირდება წასაკითხავად. მერე სულ ათ-თორმეტ სტრიქონში ტენიან და ენციკლოპედიაში ათავსებენ. მე, რა თქმა უნდა, ვაჭარბებ — ლექსიკონებს მხოლოდ ცნობარებისთვის იყენებდნენ, მაგრამ ბევრი „ჰამლეტს“ — თქვენთვის ეს სათაური კარგად უნდა იყოს ცნობილი, თქვენ კი, მისის მონტეგ, ალბათ ყური თუ მოგიკრავთ მისთვის — ჰოდა, ბევრი შექსპირის „ჰამლეტს“ მხოლოდ იმ წიგნით იცნობდა, რომლის ყდაზეც ეწერა: „ბოლოს და ბოლოს, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ყველა კლასიკოსს, არ ჩამორჩეთ თქვენს მეზობელს“. წიგნში კი სულ ერთი გვერდი იყო ჰამლეტზე. გესმით? საბავშვო ბალიდან კოლეჯში მიდიოდა კაცი და მერე კვლავ საბავშვო ბაღს უბრუნდებოდა. აი, ეს იყო ინტელექტუალური აღმნდის სქემა, სულ ცოტა უკანასკნელი ხუთი საუკუნისთვის.

მილდრედი წამოდგა და ოთახში დაიწყო ბორიალი. იგი ხან ერთ ნივთს აიღებდა ადგილიდან და ისევ უკან დებდა, ხან — მეორეს. ბიტიმ არც კი შეხედა მას, ისე განაგრძოლაპარაკი:

— ახლა კი ავაჩქაროთ კინოფირი, მონტეგ. სწრაფად! ფლიკ, ჰიკ, დაუკვირდი! ფლიკ, იქით, აქეთ, ცოცხლად! ბევით, ქვევით, შიგნით, გარეთ, რატომ, როგორ, ვინ, რა, სად? ეჰ, ოჰ! ბაც, ბუც, ბუმ, ბრახ, ბრუხ! შემოკლებისშემოკლება; შემოკ-

ლების შემოკლების შემოკლება! პოლიტიკა? ერთი სვეტი, ორი წინადაღება, მხოლოდ სათაური! და წამში ყველაფერი გაგიფრინდება თავიდან! გამომცემლებო, საქმოსნებო, რა-დიოგადაცემის მესვეურებო, დააგრიალეთ ადამიანის გონე-ბა, სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად, რომ მან ცენტრიფუ-გასავით გამოლევნოს ყოველივე ბელმეტი, უსარგებლო ამრი!

მიღდრედმა ბეწარს გადაუსვა ხელი გასასწორებლად. მონტეგმა იგრძნო, როგორ აუძგერდა გული, როცა ქალმა ბალიშს შეახო ხელი. ახლა მიღდრედი მხრებზე მოეჯა-ჯგურა – უნდოდა წამოეყენებინა, ბალიში გამოერიდებინა, კარგად გაეფუმფულებინა და უკანვე დაედო. იგი აღბათ შეჰქივლებს და თვალებს დააჭყეტს ან უბრალოდ შეაც-ურებს ხელს ბალიშქვეშ, ეს რა არისო, პკითხავს და გულუ-ბრყვილოდ შეაგრიალებს დამალულ წიგნს ხელში.

– სწავლების ვადა შეკვეცეს, დისციპლინა დაეცა, ფილ-ოსოფია, ისტორია, უცხო ენები გააუქმეს. ინგლისურ ენასა და მართლწერას სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს უთმობდნენ, და, ბოლოს, სულ მიაგდეს. ცხოვრება ხანმოკ-ლეა, ჯერ მუშაობაა საჭირო. მუშაობის შემდეგ კი უამრავი გასართობია. რა საჭიროა რაიმეს სწავლა, თუ ღილაკე თითის დაჭერა, ამომრთველის გადმოწევა და ხრახნებისა და ჭანჭიკების მოჭერა იცით?

– მოიტა ბალიში, გაგისწორო, – თქვა მიღდრედმა.

– არა, – ჩურჩულით უპასუხა მონტეგმა.

– ღილი ელვაშესაკრავმა შეცვალა და ის დროც გაიყ-ოლა, რომელიც ადამიანს საფიქრებლად უნდოდა, როცა იგი განთიადისას, ამ ფილოსოფიურსა და, ამდენად, მელანქო-ლიურ ქამს, ნელ-ნელა იცვამდა ტანჩე.

– გაგისწორებ, – გაუმეორა მიღდრედმა.

– მომშორდი! – შეუღრინა მონტეგმა.

— ცხოვრება აურგაურად იქცა, მონტეგა ყველაფერი ხმაურობს, გრუხენებს: ბახ, ავ!..

— ავ! — შესძახა მილდრედმა და ბალიშს მოქაჩა.

— დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამს! — შეჰყვირა გამწარებულმა მონტეგმა.

ბიგიმ თვალები დაჭყიტა.

მილდრედმა ხელი შეყო ბალიშქვეშ და გაშეშდა. მერე თითებმა მოსინჯეს საგანი და როცა წიგნად შეიცნო, სახებებე ჯერ გაოცება გამოეხატა, შემდეგ შიში. მან პირი გააღო რაღაცის საკითხავად...

— თეატრებში მხოლოდ კლოუნები დარჩნენ, ოთახებში მინის კედლები მოეწყო, რომელზედაც ლამაზი ფერები ელვარებდა, თითქოს ვინმე კანფეტებს აბნევს ან თითქოს სისხლი, ხერესი ან ვისკი ისხმებაო, თქვენ ბეისბოლი გიყვართ არა, მონტეგ?

— ბეისბოლი შესანიშნავი თამაშია!

ახლა მონტეგი ვედარც კი ხედავდა ბიგის. მისი ხმა თითქოს ფარდის გადაღმიდან ისმოდა.

— ეს რა არის? — თითქმის აღტაცებით შესძახა მილდრედმა. მონტეგი მაგრად დააწვა მკლავზე, მაგრამ მან კვლავ იკითხა, — რა არის ეს?

— დაჯექი! — დაუდრიალა მონტეგმა. ქალი უკან გადახტა. ხელში არაფერი ეჭირა, — ჩვენ ვსაუბრობთ!

ბიგიმ ისე განაგრძო ლაპარაკი, ვითომ არაფერი მომხდარიყოს.

— კეგლის თამაში გიყვართ, ხომ, მონტეგ?

— კეგლის თამაში? დიახ.

— გოლფი?

— გოლფი შესანიშნავი თამაშია!

— კალათბურთი?

- შესანიშნავი თამაშია!
- ბილიარდი, ფეხბურთი?
- ყველა შესანიშნავი თამაშია.

– მეტი სპორტია საჭირო, მეტი თამაში და გართობა. ადამიანმა აღარ უნდა იფიქროს. მაშ! მოაგვარეთ, მოაწყვეთ ზეორგანიზებული, ზესპორტული შეჯიბრებები! მეტი კარიკა-ტურები წიგნებში, მეტი ნახატები და ტვინი სულ უფრო და უფრო ნაკლებ საზრდოს იღებს. ხალხი სულსწრაფი ხდება. შარაგბები ბრძომ გაავსო. ისინი სადღაც, რომელიღაც მხ-არეს მიემურებიან, ოღონდ სად – თვითონაც არ იციან. ისი-ნი ბენზინივით ორთქლდებიან. ქალაქები კემპინგებად იქცა, ხალხი მომთაბარეთა ურდოებად, რომლებიც უაზროდ აწყ-დებიან აქეთ-იქით. დღეს იმ ოთახში ათევს დამეს, რომელ-შიც გუშინ მე ვიწერი, გუშინწინ კი – შენ.

მილდრედი ოთახიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა. სას-ტუმროს „დეიდებმა“ სიცილი დააყარეს სასტუმროს „ბი-ძებს“.

– ახლა შევეხოთ იმ პატარ-პატარა ჯგუფებს, რომლებიც ჩვენს ცივილიზაციაში გაჩნდნენ, კარგი? რაც უფრო იმრდე-ბოდა მოსახლეობა, მით უფრო მეტი ასეთი ჯგუფი ჩნდებო-და მასში და აბა, გაბედე რომელიმე მათგანს ფეხი დაადგი ბებერაზე, სულერთია, ეს ძალლების მეგობართა ჯგუფი იქნე-ბა, კატების მეგობართა, ექიმების, იურისტების, ვაჭრების, დირექტორების, მორმონების, ბაპტისტების, უნიგარიანელების, ჩინელი, შვედი, იტალიელი, გერმანელი ემიგრანტების შთა-მომავლების, ტეხასელების, ბრუკლინელების, ირლანდიელებ-ის თუ ორეგონის ან მეხიკოს შტატის მცხოვრებლებისა. წიგნების, პიესების, სატელევიზიო გადაცემების პერსონაჟე-ბი არ უნდა მოგვაგონებდნენ სადმე ნამდვილად არსებულ მხატვრებს, კარტოგრაფებს თუ მექანიკოსებს. რაც უფრო

ხალხმრავალია ბაზარი, მონტეგ, იცოდე, მით უფრო ჭირს ისე გავლა, რომ მხარი არავის გაპკრა. ღმერთმა ნუ ქნას, ოდნავ გაეკარო რომელიმე პატარა, სულ ერთი ბეწო ჯგუფს. ისინი ხომ ბუზს არ ისვამენ თავზე! ბოროტი აბრებით აღსავსე მწერლებო, დახურეთ თქვენი საბეჭდი მანქანები! და ისინი მართლაც ასე მოიქცნენ. ჟურნალები მურაბასავით ჩაშაქრდნენ. „წიგნები, – აღნიშნავდნენ წყეული სწობი კრიფ-იკოსები, – ჭურჭლის ნარეცხს დაემსგავსა და სულ არ არის საკვირველი, რომ აღარ იყიდება“. მაგრამ საბოგადოებამ კარგად იცოდა, რაც უნდოდა. იგი გართობისა და მხიარულების მორევში ცურავდა და ამიტომ, მხოლოდ კომიქსები დაიტოვა. ასევე არ მოსპო, რაღა თქმა უნდა, სამგანზომილებიანი სექსუალური ჟურნალები. აი, ასე წავიდა საქმე, მონტეგ, და არ დაგავიწყდეს, რომ ამ საქმეში მთავრობა არ ჩარეულა. არც რაიმე ბრძანება ყოფილა, არც დეკლარაცია და არც ცენზურისმიერი აკრძალვა. არა! ტექნიკამ, მასობრივმა მოთხოვნილებამ და იმ მცირე ჯგუფების დაწოლამ, მადლობა ღმერთს, ამ დღემდე მიგვიყვანა და დღეს მათი წყალობით მუდამ ბეღნიერია ადამიანი: იკითხე, რამდენიც გინდა, კომიქსები, სასიყვარულო აღსარებები და სარეკლამო ჟურნალები.

– კი, მაგრამ, მეხანძრეები რაღა შეაშია? – იკითხა მონტეგმა.

– ჰო, – ჩიბუხის კვამლის მსუბუქ ნისლში გახვეული ბიტი წინ გადაიწია, – ამაზე აღვილი გასაგები და ამაზე ბუნებრივი რა უნდა იყოს? სკოლები სულ უფრო და უფრო მეტ მორბენლებს, მხტუნავებს, მოჯირითეებს, მექრთამეებს, წამგლეჯებს, მფრინავებსა და მოცურავეებს უშვებდნენ მკვლევრების, კრიტიკოსების, სწავლულებისა და შემოქმედი ხალხის ნაცვლად. „ინტელექტუალური“, რაღა თქმა უნდა,

სალანბდავ სიტყვად იქცა და ახიც იყო მასზე. ადამიანი ყოველთვის უფრთხის უცნობს და შეუჩვეველს. ალბათ, ყველა გაიხსენებს თავისი კლასის ამხანაგს, რომელიც განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი ყველას ჯობიდა გამოთქმით კითხვაში და ყველა კითხვას უპასუხდა, მაშინ როცა სხვები ბოთეებივით ისხდნენ და ბოდმით სივდებოდნენ. და განა სწორედ ამ ნიჭიერ ბავშვს არ სცემდნენ და აწამებდნენ გაკვეთილის შემდეგ? რასაკვირველია, სცემდნენ! არა, ჩვენ ერთმანეთისგან არ უნდა განვსხვავდებოდეთ. ყველა თავისუფალი და თანასწორი უნდა იყოს. კი არ დავიბადოთ თანასწორნი, როგორც კონსტიტუციაში წერია, არამედ მერე უნდა გავხდეთ. ყოველი ადამიანი მეორის ასლი უნდა იყოს და მაშინ ყველა ბედნიერი იქნება, რადგან პირველი ველარ დაჩრდილავს მეორეს.

დიახ! წიგნი კი გატენილი თოფია, რომელიც კარის მეზობელს დაუმიბნებია შენთვის. დაწვით იგი და თოფი უტყვიოდ დარჩება. ადამიანის გონება უნდა აიღავმოს. რა ვიცით, ვინ გახდება ნაკითხი კაცის სამიზნე? იქნებ მე? აი, ამიტომ ვერ ვიტან მაგისტანებს! დაბოლოს, როცა მთელ მსოფლიოში სახლები ცეცხლგამძლე გახდა (წუხელ მართალი იყავი, მონტეგ, როცა დაეჭვდი, – ნუთუ სახლები ყოველთვის ცეცხლგამძლე იყო), მეხანძრები უქმად დარჩნენ და მათ ახალი საქმე გამოუძებნეს – გონების სიმშვიდის მცველებად დააყენეს. ბუნებრივი და გასაგებია, რომ ყველას ეშინია, სხვამ არ მაჯობოსო და მეხანძრე იმიტომ არსებობს, რომ ეს საფრთხე ააცილოს ადამიანებს. იგი კაცობრიობის ოფიციალური ცენტორი, მოსამართლე და აღმასრულებელია. ეს შენა ხარ, მონტეგ, ეს მე ვარ!

სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და მიღლორედი შემოვიდა. იგი ჯერ ბიჭის მიაჩერდა, მერე მონტეგს. სასტუმროს

კედლებზე შიშინებდა და ტკრციალებდა მწვანე, ყვითელი და ნარინჯისფერი ფეიერვერკი, რომელსაც თან დოლების, ტამტამებისა და ციმბალების აკომპანემენტი ახლდა. მილ-დრედს ტუჩებზე ეფყობოდა, რომ რაღაცას ამბობდა, მაგრამ სასტუმრო ოთახის ხმაურში არაფერი ისმოდა.

ბიგიმ ჩიბუხი ვარდისფერ ხელისგულზე დაიფერთხა და ისე გულდასმით დაუწყო ფერფლს თვალიერება, თითქოს მასში რაღაც საიდუმლოა დამალული და უნდა ამოიცნოსო.

— თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ჩვენი ცივილიზაცია ძალზე ვრცელია და ამიტომ არ შეიძლება, მასში შემავალი დაჯგუფებები უკმაყოფილონი იყვნენ. აბა, თქვენს თავს შეეკითხეთ — ყველაზე უფრო რისკენ მიიღეთ? ბედნიერებისკენ, არა? განა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამას არ გიჩიჩინებდნენ? გვინდა ბედნიერი ვიყოთ — ამბობს ხალხი. კარგი, მაგრამ განა ხალხს ბედნიერება აკლია? განა მათ მოსაწყენად მოვაცლით, განა გართობას ვაკლებთ? ჩვენ ხომ მხოლოდ ამიტომ ვცოცხლობთ ამქვეყნად. ასე არ არის? აუცილებელია სიამოვნება, აღგზნება და დამეთანხმეთ, რომ ჩვენი კულტურა უხვად გვამარაგებს ამით.

— მართალია!

მონტეგი ტუჩების მოძრაობაზე მიუხვდა მილდრედს ნათქვამს და შეეცადა თვალი აერიდებინა, რადგან შეეშინდა, ბიგიც არ მობრუნდეს და ყველაფერს არ მიხვდესო.

— ფერადკანიანებს არ მოსწონთ „პატარა ბანგის ბიჭი სამბო“? დაწვით! თეთრკანიანებს არ სიამოვნებთ „ბიძია თომას ქოხი“? დაწვით! ვიღაცამ დაწერა წიგნი თამბაქოსა და ფილტვების კიბოს შესახებ. სიგარეტის მეწარმეები დაფრთხენენ! დაწვით ეს წიგნიც! სიმშვიდეა, მონტეგ, საჭირო! არავის უნდა აწუხებდეს რაიმე. ყველაფერი, რაც კი გაწუხებს, უნდა მოისპოს, ღუმელში უნდა დაიწვას. დაკრძალვა

საშინელებაა და ამასთან წარმართული გადმონაშთია, არა? ისიც გააუქმეთ! აი, სულ ხუთი წელია, რაც კაცი გარდაიცვალა და უკვე დიდი მიღისკენ მიაქანებენ. კრემატორიუმებს ჰელიკოპტერები ემსახურება. ადამიანი გარდაიცვალა და ათი წელის შემდეგერთ მწკრივ შავ ნაცრად იქცა. მოდი, ნუდარ ვიგლოვებთ გარდაცვლილებს. დავივიწყოთ ისინი. ცეცხლს მივცეთ ყოველივე და ყველაფერი, ცეცხლი ყველაფერს აცისკროვნებს და ასპეტაკებს.

მიღდრედის ბურგს უკან მოციმციმე ფეიერვერკი ჩაქრა და რაღაც ბედად მანაც დაამთავრა ლაპარაკი. მონტეგმა ძლივს ამოითქვა სული.

— აქვე, მეზობლად, ერთი გოგონა ცხოვრობდა, — სვენებსვენებით დაიწყო მონტეგმა, — ახლა აღარ არის, მე სახეც კი აღარ მახსოვს მისი. ოხ, კი ვიცი, რომ რაღაც სხვანაირი იყო. როგორ, რანაირად დაიღუპა?

ბიჭიმ გაიღიმა:

— ხდება ხოლმე, ხან აქ, ხან იქ. კლარისა მაკლელანი, არა? ჩვენ აღრიცხვაზე გვყავდა აყვანილი მისი ოჯახი და ყურადღებით ვაღევნებდით თვალს. მემკვიდრეობითობა და გარემო მეტად უცნაური რამაა. რამდენიმე წელიწადში ყველა სისულელისგან ვერ გათავისუფლდები. ოჯახს შეუძლია გააქარწყლოს ბევრი რამ, რასაც სკოლაში უნერგავენ ბავშვებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყოველ წელიწადს სულ უფრო და უფრო მცირე ასაკის ბავშვები შეგვყავდა საბავშვო ბაღში და ახლა თითქმის აკვნიდან ამოგვყავს ჩვილები. მაკლელანები რამდენჯერმე დაასმინეს ჩვენთან, როცა ისინი ჩიკაგოში ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველაფერი ტყეილი გამოდგა. მაკლელანებს წიგნები არ აღმოაჩნდათ. ბიძამისს ცუდი რეპუტაცია აქვს, ხალხს ვერ ეგუება, ქალიშვილი კი თითქოს დინამიტი იყო, რომელიც

არ იცი, როდის აფეთქდება. ოჯახი ძალიან მოქმედებდა მასზე, მაგრამ თვითონ ვერ გრძნობდა. მე ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა კლარისას დახასიათება ვნახე სკოლაში: მას ის კი არ აინტერესებდა, თუ როგორ აკეთებენ რაიმეს, არამედ ის, თუ რატომ აკეთებდნენ. ეს კი მეტად სავალალო თვისებაა. დაიწყებ გამოძიებას, „რატომ“, „რისთვის“ და თუ ძირამდე ჩაპყვები, გაუბედურდები. საწყალი, უკეთესია, რომ მოკვდა.

— ჰო, მოკვდა!

— საბედნიეროდ, ასეთი უცნაური ხალხი იმვიათია. ჩვენ თავიდანვე კალაპოტში ვაყენებთ ხოლმე ამისთანებს. ლურსმნები და ფიცრები თუ არა გაქვს, სახლს ვერ ააშენებ. თუ არ გინდა, რომ სახლი აშენდეს, ლურსმნები და ფიცრები უნდა დამალო. თუ არ გინდა, რომ ადამიანი პოლიტიკამ დატანჯოს, ნუ მისცემ საშუალებას, საკითხს ორი მხრიდან შეხედოს. ეს კი არა, სულ ნუ შეხედავს. დაე, დაივიწყოს, რომ ქვეყნად ისეთი რამ არსებობს, როგორიც ომია. დაე, სახელმწიფომ უზომო გადასახადები აკრიფოს, დაე, მთავრობა ტლანქი და მოუსაბრებელი იყოს, ოღონდ ხალხმა ამას ყურადღება არ მიაქციოს: მთავარია, ხალხი მშვიდად იყოს, მონტეგ! მოაწყვეთ კონკურსები, თუ ვის ახსოვს ყველაზე პოპულარული სიმღერის სიტყვები, ვის შეუძლია ჩამოთვალოს შტატების დედაქალაქები, ვის შეუძლია გაიხსენოს, რამდენი ხორბალი მოვიდა აიოვაში... ამოუტენეთ ადამიანს გონება ცნობებით, ფიტულივით ამოტენეთ ამ წყეული ფაქტებით და ეგონებათ, რომ ბრწყინვალე განათლება მიიღეს. ეგონებათ, რომ აზროვნებენ და წინ მიდიან. სინამდვილეში ადგილზე იქნებიან გაყინული, თუმცა თვითონ ბედნიერად იგრძნობენ თავს, რადგან ასეთი ცოდნა უცვლელია. ნუ მისცემთ მათ ისეთ ლიპ რაიმეს, როგორიც

ფილოსოფია და სოციოლოგიაა. არ არის საჭირო, რომ ფაქტები ერთმანეთს დაუკავშირონ და დასკვნები გამოიყანონ. ამას მეღანქოლისკენ მივყავართ. ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია სატელევიზიო კედლის დაშლა და აწყობა (ჩვენს დროში ეს უმეტესობას შეუძლია), გაცილებით ბედნიერია მასზე, ვინც ცდილობს გამომოს და გამოიანგარიშოს სამყარო, რადგან სამყაროს ისე ვერ გამომავ და გამოიანგარიშებ, რომ შენი თავი არარაობად და მიუსაფრად არ მოგეჩვენოს. ნამდვილად ასეა! მე თვითონ გამომიცდია, დალახვროს ეშმაკმა! ასე რომ, ჩვენს კლუბებს უნდა მივუბრუნდეთ, ვიფიქროთ აკრობატებისა და ილუბიონისტების გამოსვლებზე. საცირკო ტრიუკებს ვუყუროთ, რეაქტიული ავტომობილებითა და მოტოციკლ-ჰელიკოპტერებით ვისეირნოთ, სექსუალური სურათებითა და კინოვარსკვლავებით გავერთოთ. არ უნდა მოვიკლოთ ისეთი სანახაობები, რომლებიც ავტომატურ რეფლექსებს იწვევს. თუ დრამა უხეიროა, თუ ფილმი არაფერს გვეუბნება, პიესა ყალბია, შეეცადეთ აღმგბნები საშუალება გამოიყენოთ, ე.ი. ხმაურით გამაღიბიანოთ. მე ვიფიქრებ, რომ პიესა მოქმედებს, სინამდვილეში კი ხმაურისგან წარმოშობილი ტალღის რხევა იმოქმედებს. ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე გრანდიოზული გასართობი მიყვარს...

ბიტი ფეხზე წამოდგა:

— ჩემი წასვლის დროა. ლექცია დამთავრდა. იმედია, ყველაფერი აგიხსენი. მთავარია, მუდამ გახსოვდეს, მონტეგ, რომ ჩვენი ბედნიერებისთვის მებრძოლნი ვართ, თქვენ, მე, სხვები... ჩვენ ვიცავთ კაცობრიობას იმ პატარა ჯგუფისგან, რომელსაც უნდა თავისი წინააღმდეგობებით სავსე თეორიებითა და აზრებით გააუბედუროს სხვები, ჩვენ კი კაშალს ვდარაჯობთ. ყოჩაღად, მონტეგ, თორემ მეღან-

ქოლიისა და მოსაწყენი ფილოსოფიის ნიაღვარი წალე-კავს ჩვენს მსოფლიოს. ყველას ჩვენი იმედი აქვს. მე არ ვიცი, შეგნებული გაქვთ თუ არა, მონტეგ, თუ რაოდენ საჭირო-ნი ვართ ჩვენ, მეხანძრეები, იმისთვის, რომ ქვეყანა მუდამ ისეთი ბედნიერი იყოს, როგორიც დღეს არის.

ბიტიმ გამომშვიდობების ნიშნად ხელი მოუჭირა მონტ-ეგის ძალაგამოცლილ ხელს. მონტეგი კვლავ უმოძრაოდ იჯდა ლოგინში და სახლი რომ დაქცეულიყო, ალბათ მაში-ნაც არ გაინძრეოდა. მილდრედი აღარ იდგა სასტუმრო ოთახის ზღურბლზე.

— აი, კიდევ რა უნდა გითხრა, — გაახსენდა ბიტის, — ყვე-ლა მეხანძრე, ადრე იქნება თუ გვიან, დაინტერესდება, ნეტა რას ამბობენ წიგნებით. ისე მოუნდება ამის გაგება, რომ ვეღარ მოისვენებს. მერწმუნე, მონტეგ, მე ხომ თავის დროზე საკმაოდ ბევრი წამიკითხავს, რათა საქმეში გავრკვეული-ყავი, ჰოდა, დამიჯერეთ, რომ წიგნებში არაფერი ისეთი არ წერია! არაფერი, რომ დაიჯერო და სხვას ასწავლო. ისინი არასასურველ, გამოგონებულ ადამიანებზე მოგვითხრობენ, თუ მხატვრული ლიტერატურაა, და თუ მეცნიერულია, კიდევ უარესი: ერთი პროფესორი იდიოგს ეძახის მეორეს, ერთი ფილოსოფოსი ცდილობს ღრიალში აჯობოს მეორეს. ყვე-ლანი წაღმა-უკუღმა დაბოდიალობენ. ცდილობენ ციდან ვარსკვლავები მოწყვიტონ, მზე დააბნელონ. პირდაპირ თავგაბას დაკარგავთ.

— რა მოხდება, თუ მეხანძრე შემთხვევით, ნამდვილად ყოველგვარი ცუდი განზრახვის გარეშე, რაიმე წიგნს წაიღებს შინ? — მონტეგი კანკალმა აიგანა, სასტუმრო ოთახ-ის ღია კარი უტარმაზარ ამოთხრილ თვალის ბუდედმო-ეზვენა.

— ეგეთი შეცდომა ყველას მოუვა. ცნობისმოყვარეობის

ბრალია, — დაამშვიდა ბიტიმ, — თუ ასეთი რამ მოხდა, ჩვენ  
არც ვწეხვართ და არც ვბრაზობთ. ოცდაოთხ საათს დავ-  
იცდით და თუ მერე თვითონ მეხანძრე არ დაწვავს, ჩვენ  
მივდივართ და ვეხმარებით.

— ასეც უნდა მოიქცეთ, — შენიშნა მონტეგმა და იგრძნო,  
რომ პირი გაშრობოდა.

— ძალიან კარგი, მონტეგ, მაგრამ დღეს ღამის ცვლაში  
მაინც გამოსულიყავი. ალბათ, ამაღამ გნახავთ, არა?

— არ ვიცი, — მიუგო მონტეგმა.

— რაო? — ცოტა არ იყოს, გაოცებით ჰკითხა ბიტიმ.

მონტეგმა თვალები დახუჭა.

— საწყენი იქნება, დღეს რომ არ გამოჩნდე სამსახურში,

— ჩაილაპარაკა ბიტიმ. ჩიბუხი ჯიბეში ჩაიდო და მცირე  
ხნით ჩაფიქრდა.

„მე არასოდეს აღარ მოვალ“, — გაიფიქრა მონტეგმა.

— კარგად იყავით, გამომჯობინდით, — დაარიგა ბიტიმ,  
მიტრიალდა და ლია კარისკენ გაემართა.

\* \* \*

მონტეგმა ფანჯრიდან დაინახა, ბიტი ცეცხლივით ყვი-  
თელ, შავსაბურავებიან მანქანაში რომ ჩაჯდა და წავიდა.  
ქუჩის გაყოლებაზე ბრტყელსარდაფიანი სახლები მოჩან-  
და. რა თქვა ამ სახლებზე კლარისამ ერთ საღამოს? „ფას-  
ადგე აივნები აღარ არის. ბიძაჩემმა მითხრა, წინათ ფასა-  
დგე აივნები ჰქონდათო. საღამოობით თურმე ხალხი თა-  
ვიანთ აივნებგე ჯდებოდა და მასლაათობდა. თუ საუბრის  
სურვილი არ ჰქონდათ, ჩუმად იყვნენ — ისხდნენ მოქანავე  
სავარძლებში, წინ და უკან ირწეოდნენ. ბიძაჩემმა მითხრა,  
რომ არქიტექტორებმა მოსპეს აივნები, — თქვეს, ფასადს  
აუმნოებსო, მაგრამ ბიძაჩემმა ისიც თქვა: მთავარი მიზები

ეს არ არის, მთავარი ის იყო, რომ არ შეიძლებოდა ხალხი ასე უსაქმოდ მჯდარიყო, სავარძლებით ექანავა, ემასლაათა. ასეთი ცხოვრება არ შეიძლებოდა. ხალხი მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობდა, და ბევრი დრო ჰქონდათ საფიქრელად. აი, ამიგომ გააქრეს აივნები და ბაღებიც მიაყოლესო. ახლა ბაზს ვეღარსად ნახავ, რომ ცოგა ხნით დაჯდე და დაისვენო. ახლა ავეჯს დააკვირდი – სადღაა მოქანავე სავარძლები. ისინი მეტისმეტ ფუფუნებად ჩათვალეს და მოსპეს. ხალხმა მეტი უნდა იმოძრაოსო, ამბობს ბიძაჩემი... ბიძაჩემი... კლარისას თანდათან მიეღია ხმა და ბოლოს სულ დადუმდა.

\* \* \*

მონტეგი შეტრიალდა და ცოლს მიაჩერდა. იგი სასტუმრო ოთახის შეაში იჯდა, დიქტორს ელაპარაკებოდა და ისიც პასუხობდა: მისის მონტეგი, – ამბობდა დიქტორი და მერე რაღაცას მიაყოლებდა ხოლმე.

დამატებითი მოწყობილობა, რომელიც ასი დოლარი ღირდა, ავტომატურად წარმოთქვამდა ოჯახის წევრის სახელს, როცა დიქტორი პაუზას გააკეთებდა. მეორე აპარატი კი დიქტორს ისე უმოძრავებდა სახის კუნთებსა და ტუჩებს, როგორც სათანადო სახელის წარმოთქმისას იყო საჭირო. იგი ყველა ოჯახის მეგობარი იყო, კარგი მეგობარი. „მისის მონტეგი, – თქვა მან, – ახლა აქეთ მოიხედეთ“.

მილდრედმა მიიხედა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ დიქტორს არ უსმენდა.

– საკმარისია, დღეს არ წავიდე სამუშაოდ, რომ მერე ხვალაც ასე მოვიქცე და ბოლოს სულ დავანებო თავი სახანძრო სადგურში მუშაობას, – თქვა მონტეგმა.

– ჰო, მაგრამ დღეს ხომ წახვალ? – ჰკითხა მილდრედმა.

— ჯერ არ გადამიწყვეტია. სწორედ ახლა რაღაც საშინელი სურვილი გამიჩნდა. მინდა ყველაფერი დავლეწო და მოვსპო.

— ავტომობილით გაისეირნე.

— გმადლობ, არ მინდა!

— მანქანის გასაღები პატარა მაგიდაზე დევს. როცა მე ასეთ ხასიათზევდები, მაშინვე მანქანას მივაშურებ ხოლმე. აიყვან ოთხმოცდათხუთმეტზე სიჩქარეს და შესანიშნავად გამოგიკეთდება გუნება. ხანდახან მთელ ღამეს ვსეირნობ და შენ ვერც კი ხვდები ხოლმე. ქალაქებარეთ ძალიან კარგია გასეირნება. ხან კურდღლელს გაჭყლიტავ, ხან ძაღლს... წადი, წაიყვანე მანქანა.

— არა, ახლა არ მინდა. სულაც არ მსურს სხვა ხასიათზე დავდგე. ღმერთო, რა მემართება?! არ ვიცი, რა არის! ო, რა უბედურად ვგრძნობ თავს. გაცოფებული ვარ და მიზები არც კი ვიცი. მეჩვენება, თითქოს გავსივდი და დავმძიმდი, თითქოს გულ-მუცელში უამრავი რაღაც დამიგროვდა, ოღონდ არ ვიცი რა. მგონი, წიგნების კითხვაც კი დავიწყო!

— მაშინ ხომ ციხეში ჩაგსვამენ! — მილდრედმა ისე შეხედა ქმარს, თითქოს მათ შორის მინის კედელი ყოფილიყო აღმართული.

მონტეგმა ჩაცმა დაიწყო. თან მოუსვენრად დადიოდა საწოლ ოთახში.

— დიახ, ეს კარგი აზრია. ციხე! ვიდრე თავი არ გამიხეთქავს ვინმესთვის. ბიტის უსმენდი? გაიგე მისი ნათქვამი? მას ყველაფერზე მჩად აქვს პასუხი და ყველაფერში მართალია. მთავარია ბედნიერებაო, გართობა — პირველ ყოვლისაო. მე კი ვუსმენდი და გულში ვამბობდი: „მე არ ვარ ბედნიერი, მე არ ვარ ბედნიერი!“.

— მე კი ვარ, — ყურებამდე გაიღიმა მილდრედმა, — ბედ-

ნიერი ვარ და ამით ვამაყობ კიდეც!

— მე რაღაცის გაკეთებას ვაპირებ, — თქვა მონტეგმა, — თუმცა ჯერ ისიც არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო, მაგრამ რაღაც-მნიშვნელოვანი უნდა წამოვიწყო.

— მომბეგბრდა ამდენი სისულეელის მოსმენა, — ჩაიბუზდუნა მილდრედმა, მონტეგს ბურგი შეაქცია და კვლავ დიქტორს დაუწყო მზერა.

მონტეგმა კედლისკენ გაიწოდა ხელი, რეგულატორი გადაატრიალა და დიქტორიც გაჩუმდა.

— მილი! — დაიწყო მან და ცოტა ხანს ისევ დაღუმდა, — მილი, ეს სახლი ხომ ორივეს გვეკუთვნის და სამართლიანობა მოითხოვს, საიდუმლო გაგიმხილო. მე ადრეც მინდოდა მეთქვა, მაგრამ ჩემს თავსაც ვერ ვემხელდი. რაღაც უნდა გაჩვენო. მთელი წელი ვაგროვებდი და ვმალავდი. სულ თითო-თითოდ მოვიტანე. მეც არ ვიცი, რატომ ჩავიდინე ეს საქმე, მაგრამ ჩავიდინე კი და დღემდე არც არაფერი გითხარი.

მონტეგმა სწორბურგიან სკამს წაავლო ხელი და ნელ-ნელა გააცურა ტალანისკენ. როცა წინკართან მივიდა, სკა-მბე შედგა და წამით ისე გაირინდა, თითქოს კვარცხლ-ბეკბე მდგომი ქანდაკება ყოფილიყო. ცოლი ქვევიდან უმზ-ერდა და ელოდებოდა.

მონტეგმა ხელი მაღლა ასწია და კონდიციონერის ცხ-აური გახსნა. მერე ხელი ღრმად შეყო თახჩაში, ლითონის ფირფიტა გადასწია, წიგნი გამოიღო და ისე დააგდო იატაკბე, რომ ბედ არც კი დაუხედავს. კვლავ შეყო ხელი თახჩაში, ორი წიგნი გამოიღო და ისინიც იატაკბე დაყარა. შემდეგ ბედიბედ გამოიღო წიგნები — პატარები, მობრდილები, ყვითლები, წითლები, მწვანეები — და იატაკბე დააზვავა, როცა გამოიღია და ძირს დაიხარა, ნახა, რომ ცოლის ფეხებთან

ოცამდე წიგნი ეგდო.

— მაპატიე, მოუფიქრებლად ჩავიდინე, მაგრამ ახლა კი, როგორც ეტყობა, ორივენი ჩათრეულები ვართ.

მილდრედმა უკან დაიწია, ისეთი შეშინებული იყო, თითქოს იატაკიდან თაგვების ხროვა ამოხტაო. ქალი ჩქარ-ჩქარა სუნთქვავდა, სახე გაპფითრებოდა, თვალის გუგები გაფართოებოდა.

„მონტეგ! მონტეგ! მონტეგ!“ ბუზბუზებდა მილდრედი, მერე ამოიკვნესა, წიგნებს მივარდა, ერთ-ერთი აიტაცა და ნაგვის დასაწვავ ღუმელს მიაშურა. მონტეგი ხელში ეცა. ქალი კივილითა და კაწვრით ცდილობდა გამოხსნოდა.

— ნუ, მილი, ნუ! მოიცა! დაწყნარდი! შენ არ იცი... დამშვიდ-დი! — მონტეგმა სილა გააწნა სახეში, შემდეგ ხელი წაავლო მხარში და მაგრად შეაჯანჯდარა.

მილდრედს კვლავ აღმოხდა ქმრის სახელი. მერე ცრემ-ლები წასკდა.

— მილი! მომისმინე! ერთი წამით მომისმინე, კარგი? ჩვენ ახლა ვედარაფერს გავაწყობთ. ახლა მაგათი დაწვა არ შეიძლება. მინდა გადავხედო, ერთხელ მაინც გადავავლო თვალი და თუ ყველაფერი, რაც კაპიტანმა თქვა, მართალია — ორივემ ერთად დავწვათ. დამიჯერე, მაშინვე დავწვათ, ოღონდ ახლა უნდა დამეხმარო... — მონტეგი სახეში ჩააჩ-ერდა ქალს, მერე ყელზე მოხვია ხელი და თავისკენ მიიჩიდა. ცდილობდა მილდრედის სახეზე ამოეკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო.

— გინდა, არ გინდა, მაინც გახვეული ვართ ამ ამბავში! რამდენი წელია არაფერზე შემიწუხებიხარ; ახლა კი გთხოვ და გემუდარები, ბოლოს და ბოლოს, დავიწყოთ და გამოვარკვით, რატომ ჩავეფალით ასეთ ლაფში. რა არის შენი უძილობის მიზები, რატომ დავქრივართ დამდამობით ავ-

ტომობილით, მე რა დამემართა, რატომ ვმუშაობ მეხანძრედ. ჩვენ ქარაფისკენ მივექანებით, მიღი! ღმერთო, როგორ არ მინდა, რომ გადავიჩეხო, გაგვიჭირდება. არც კი ვიცი, რა გავაკეთო, მაგრამ თანდათან გავერკვეთ ყველაფერში, გადავწყვიფოთ, როგორ მოვიქცეთ და მხარი მივცეთ ერთმანეთს.

— მიღი, იცი როგორ მაკლიხარ, აი სწორედ ახლა?! სიტყვით არც კი შემიძლია გითხრა. თუ გიყვარვარ, ოდნავ მაინც თუ გიყვარვარ, ოცდაოთხი, ორმოცდარვა საათი მოითმინე ეს წიგნები. მარტო ამას გთხოვ. მერე ყველაფერი დასრულდება, დამიჯერე, გეფიცები! და თუ ამ წიგნებში რაიმე ჰქვიანური მოიპოვება, თუ მთელ ამ აბდაუბდაში ჰქეშმარიტების ერთი მარცვალი მაინც აღმოჩნდა, მაშინ იქნებ მოვახერხოთ და სხვებსაც გავუზიაროთ იგი.

მიღდრედი უკვე აღარ ცდილობდა, ხელიდან გასხლეომოდა მონტეგს და მანაც ხელი შეუშვა. ქალი უდონოდ წაფარფატდა უკან-უკან. კედელს რომ მიაწყდა, იატაკბე ჩაიკეცა და წიგნებს მიაჩერდა. მერე უცებ შეამჩნია, რომ ერთერთი წიგნი ფეხბე მიყუდებოდა და ფეხი მაშინვე უკან გასწია.

— ის ქალი რომ იყო, წუხელ, მიღი... შენ ხომ იქ არ ყოფილხარ, ხომ არ გინახავს მისი სახე. კლარისასაც არ იცნობდი. არასოდეს დალაპარაკებიხარ. მე მისაუბრია მასთან. ბიგისნაირ ხალხს ეშინია მისი. მე ვერ გამიგია, რატომ ეშინიათ! რატომ უნდა ეშინოდეთ კლარისასნაირების? გუშინ სახანძრო სადგურში რომ ვიყავი, კლარისა მეხანძრეებს შევადარე და უეცრად მივხვდი, რომ თურმე სრულიად აღარ მომწონს არც ჩემი ამხანაგები და არც საკუთარი თავი. მერე ვიფიქრე, იქნებ ყველაზე კარგი ის იყოს, თვითონ მეხანძრეები დაწვან-მეთქი.

— გაი!

შემოსასვლელი კარი ბუტბუტებდა:

— მისის მონტეგ, მისის მონტეგ, აქ ვიღაცაა, აქ ვიღაცაა,  
მისის მონტეგ, მისის მონტეგ, აქ ვიღაცაა.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

ისინი ხან შემოსასვლელ კარს აპყრობდნენ მზერას, ხან  
იატაკბე მიმოფანტელ წიგნებს.

— ბიტია! — ჩაიჩურჩულა მილდრედმა.

— ყოვლად შეუძლებელია!

შემოსასვლელი კარიკვლავ აჩქამდა:

— აქ ვიღაცაა...

— არ გამოვეპასუხოთ, — გადაწყვიტა მონტეგმა და  
კედელს მიეყრდნო ბურგით. მერე ჩაცუცქდა და ანგარიშ-  
მიუცემლად დაიწყო წიგნების ქექვა. იგი ხან ერთს წაატან-  
და ხელს, ხან მეორეს. მონტეგი ცახცახებდა, გულით უნდო-  
და კვლავ კონდიციონერის ცხაურის უკან დაემალა წიგნე-  
ბი, მაგრამ თან იმასაც გრძნობდა, რომ ბიტის მერეც ვერ  
გაუღებდა კარს. მას აღარ ძალუძდა ბიტისთან შეხვედრა.  
მონტეგი იატაკბე დაჯდა. კარი კვლავ ალაპარაკდა. ოღონდ  
ახლა უფრო დაჟინებით. მონტეგმა ერთი პატარა წიგნი  
აიღო ხელში, იკითხა, რითი დავიწყოთო, მერე წიგნი შუაში  
გადაშალა, შიგ ჩაიხედა და თვითონვე უპასუხა შეკითხვას:  
„ჩემი აზრით, თავიდან უნდა დავიწყოთ!“

— შემოვა და ჩვენც დაგვწვას და ამ წიგნებსაც! — ჩაი-  
ჩურჩულა მილდრედმა.

ბოლოს, კარის ხმა მიწყდა, დერეფანში სიჩუმემ დაიბუ-  
და, მაგრამ მონტეგი გრძნობდა, რომ კართან ვიღაც იდგა  
და აყურადებდა. მერე ნაბიჯების ხმა გაისმა. უცნობი ბი-  
ლიკს დაადგა და გამონი გადაჭრა.

ფეხის ხმა მიწყდა...

— მოდი, წავიკითხოთ, რა წერია ამაში, — ისე ჩაილუდლუ-  
ლა მონტეგმა, თითქოს თავისი ნათქვამის შერცხვაო. მან  
წიგნს ფურცელა დაუწყო, ათიოდე გვერდი ჩაიკითხა და  
ბოლოს ასეთ ფრაზას წააწყდა: „დადგენილია, რომ ამ ხნის  
განმავლობაში თერთმეტი ათასმა კაცმა არჩია, სიკვდილ-  
ით ყოფილიყო დასჯილი, ოღონდ არ დამორჩილებოდა  
ბრძანებას, გაეტეხათ კვერცხი წვრილი თავიდან“.

მილდრედი მოპირდაპირე მხარეს იჯდა.

— ეგ რას ნიშნავს, — იკითხა მან, — განა მაგაში არის  
რამე აზრი? კაპიტანი ბიტი მართალი იყო.

— არა, მოიცა, კვლავ დავიწყოთ, თავიდან დავიწყოთ, —  
უთხრა მონტეგმა.

## ნაწილი მეორე ცხრილი და ქვიშა<sup>1</sup>

ისინი მთელ დამეს კითხულობდნენ, ციდან კი იმ მყუდრო სახლს ნოემბრის წვიმა დასდიოდა თავზე. ორივენი დერეფანში ისხდნენ, რადგან სასტუმრო ოთახი ცარიელი და მოსაწყენი ეჩვენებოდათ. მის კედლებზე აღარ თამაშობდა ნარინჯისა და ყვითელი ფერის კანფეტი და შუმხუნები, აღარ გამოდიოდნენ ოქროსფერი, გამჭვირვალე კაბით შემოსილი ქალები. და აღარც შავი ხავერდის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცები მოჩანდნენ, რომლებსაც თავიანთი ვერცხლის შლაპებიდან ასგირვანქიანი კურდლები ამოჰყავდათ ხოლმე.

სასტუმრო ოთახში სიცოცხლე ჩამკვდარიყო და მიღდრედი ხშირად მიატრიალებდა ხოლმე მისკენ ყოველგვარ გამომეტყველებას მოკლებულ სახეს. მონტეგი მოუსვენრად სცემდა ოთახში ბოლთას და ხანდახან ათჯერ ზედიზედ კითხულობდა ხმამაღლა ერთსა და იმავე გვერდს:

„ჩვენ არ შეგვიძლია ბუსტად დავადგინოთ მეგობრული გრძნობის ჩასახვის მომენტი. როცა რაიმე ჭურჭელში წვეთ-წვეთად ასხამენ სითხეს, დგება წამი, როცა ბოლო წვეთი აავსებს ჭურჭელს და ეს სითხე გადმოიღვრება. ასევე მთელი რიგი სიკეთის შემდეგ, ერთი სიკეთე გაავსებს გულს და მეგობრობად გადმოიღვრება“.

მონტეგი დაჯდა და წვიმის შხაპუნს მიაპყრო ყური.

– ნუთუ იმ მებობელ გოგონასაც ასევე ემართებოდა? მე ხომ გულით ვცდილობდი გამეგო მისი საქციელის მიზები.

— ის ხომ აღარ არის. მოდი, თუ ღმერთი გწამს, ვინმე ცოცხალზე ვიღაპარაკოთ.

აკანკალებულმა მონტეგმა არც კი მიხედა ცოლს, ისე გადაჭრა დერეფანი და სამჩარეულოში შევიდა. იგი დიდხანს იდგა სამჩარეულოში და უსმენდა ფანჯრებზე წვიმის კაკუს. ბოლოს, როცა კანკალი დაუცხრა, კვლავ დერეფნის ბინდუნდს დაუბრუნდა და სხვა წიგნი გადაშალა.

„ჩვენი უსაყვარლესი თემაა ჩვენივე თავი“, — ეწერა წიგნში. მონტეგმა კედელს გახედა და წაკითხული გაიმეორა.

— აი, ეგ კი გასაგებია, — თქვა მილდრედმა.

— მაგრამ კლარისასთვის არ იყო „საკუთარი თავი“ უსაყვარლესი თემა. მას სხვებზე, მაგალითად ჩემზე, უყვარდა ლაპარაკი. ყველა იმათგან, ვისაც მრავალი წლის განმავლობაში ვხვდებოდი, მხოლოდ კლარისა მომეწონა ნამდვილად. რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ ის მიყურებდა თვალებში, როცა მელაპარაკებოდა, ისე მიყურებდა, თითქოს დიდი ვინმე ვიყავი, — მონტეგმა ორი წიგნი აიღო, — ეს ხალხი დიდი ხნის წინათ დაიხოცა, მაგრამ ვიცი, რომ მათი დაწერილი როგორლაც კლარისას ეხება.

შემოსასვლელი კარის უკან წვიმის ხმას რაღაც ფხაჭუნი შეერია.

მონტეგს ბურგი გაეყინა. მილდრედი კედელს აეკრა და აქმინდა.

— ვიღაცაა... კართან ვიღაც დგას. კარი რატომ არაფერს გვეუბნება?

— მე გამოვთიშე, — თქვა მილდრედმა.

კარს უკან სუსტი ფრუტუნი და ელექტრომანქანის შიშინი ისმოდა.

— ძალლი ყოფილა, მე კი შემემინდა, — გაიცინა მილდრედმა, — გინდა დავუცაცხანო?

— ფეხი არ მოიცვალო ადგილიდან!

კვლავ სიჩუმე. მხოლოდ წვიმის წვეთების ხმა ისმოდა. გარედან ლურჯი ელექტრობის სუნი შემოდიოდა.

— მოდი, საქმეს მივუბრუნდეთ, — ყრუდ ჩაილაპარაკა მონტეგმა.

მილდრედმა ფეხი გაჰკრა წიგნებს:

— წიგნები ხალხი არ არის. აი, შენ რომ კითხულობდი, მე აქეთ-იქეთ ვიყურებოდი, მაგრამ არავინ ჩანდა!

მილდრედი სასტუმროს კედლებს მიაჩერდა. ისინი მიცვალებულივით დაღუმებულიყვნენ, ფერი კი ოკეანის რუხ წყალს მიუგავდათ. მაგრამ საკმარისია ჩართო ელექტრონის მზე და ირგვლივ მჩქეფარე ცხოვრება დაიწყება.

— ჩემი „ნათესავები“ კი ნამდვილად ხალხია, — განაგრძო მილდრედმა, — ისინი იცინიან და მეც ვიცინი! ახლა ფერები!

— ვიცი.

— გარდა ამისა, თუ კაპიტანმა ბიტიმ გაიგო, რომ წიგნები გვაქვს, — ქალი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და სახეზე ჯერ გაოცება გამოეხატა, მერე შიში, — თუ გაიგო, მოვა და სახლ-საც დაგვიწვავს და „ნათესავებსაც“. რა საშინელება იქნება! აბა გაიხსენე რამდენი ფული გაქვს ჩაყრილი ამ სახლში. რატომ უნდა ვიკითხო წიგნები, რად მინდა?

— რატომ! რად მინდა! — გაიმეორა მონტეგმა, — ამას წინათ ის წყეული გველი ვნახე, მკვდარიც იყო და ცოცხალიც. ბრმა იყო, მაგრამ ყველაფერს ხედავდა. არ გინდა ნახო? იგი სასწრაფო დახმარების საავადმყოფოშია, სადაც დაწვრილებით ჩაწერეს, თუ რა საძაგლობა ამოგაცალა გველმა მუცლიდან! იქნებ წახვიდე, მოძებნო და წაიკითხო? იგი ან გაი მონტეგბე იქნება გაფორმებული, ან „შიშბე“, ან „ომზე“. ან იქნებ იმ სახლში წაგიყვანო, წუხელ რომ დავწვით? წამო-

დი, ფერფლიდან ამოქექე იმ ქალის ძვლები, რომელმაც საკუთარ სახლში გააჩინა ხანძარი! კლარისა მაკლელანს რა ვუყოთ? სად ვეძებოთ? მორგში არა?! აი, უსმინე!

ცა ბომბდამშენებმა გადასერა. ისეთი ღრიალით, გუგუნითა და სტვენით გადაუფრინეს სახლს თავზე, თითქოს ცაბე ვეება უხილავი ვენტილაცორი ტრიალებსო.

— იესო მაცხოვარო, — ჩაიდუღუნა მონტეგმა, — საათი არ გაივლის, რომ ეს წყეულები არ გამოჩნდნენ! ნუთუ ერთი წამი არ უნდა იყოს ჩვენს ცხოვრებაში ისეთი, რომ ეს ჯოჯოხეთური ბომბდამშენები არ ტრიალებდნენ ცაში! ხმამაღლა კი არავინ ლაპარაკობს ამაბე. 1960წლიდან ჩვენ ორი ატომური ომი დავიწყეთ და გავიმარჯვეთ! ნუთუ იმიტომ დავივიწყეთ მთელი მსოფლიო, რომ შინ ამდენი გასართობი გვაქვს? ნუთუ იმიტომ დავივიწყეთ სხვა ქვეყნების არსებობა, რომ ჩვენ ასე მდიდრები ვართ, ისინი კი დატაკები? ყური მოვკარი, რომ მსოფლიო შიმშილობს, ჩვენ კი თავზე საყრელად გვაქვს ყველაფერი. ნუთუ მართალია, რომ მთელი მსოფლიო წელს იწყვეტს ჯაფით, ჩვენ კი მხოლოდ ვმხიარულობთ? ალბათ, ამიტომ ვეჯავრებით ყველას. გამიგონია, ადრე, დიდი ხნის წინათ გამიგონია, რომ ყველას ვძულვართ. შენ იცი ამისი მიზეზი? მე ნამდვილად არ ვიცი! იქნებ ეს მიზეზი საშინელი შეცდომებია! არასოდეს გამიგონია, რომ იმ შენს გამოტვინებულ ნაბიჭვრებს, სასტუმრო ოთახში რომ მოკალათებულან, ოდესშე კრინგი დაეძრათ ამაბე. ო, ღმერთო, ნუთუ ამდენს ვერ ხვდები, მილი?! ერთი ან ორი საათი რომ ვიკითხოთ დღეში, ვინ იცის...

ტელეფონმა დარეკა. მილდრედმა ყურმილი აიტაცა ხელში.

— ენ! ჰო, — მან მხიარულად ჩაიხითხითა, — ამაღამ თეთრი კლოუნია ტელევიზორში!

მონტეგი სამჩარეულოში გავიდა, წიგნი დაახეთქა და გულში გაიფიქრა: „მონტეგ, შენ ნამდვილად სულელი ხარ, მაგრამ როგორ მოვიქცე? გავამხილო წიგნების ამბავი თუ სულ დავივიწყოთ ისინი?“ – მან წიგნი გაშალა და შეეცა-და მილდრედის სიცილისთვის ყური აერიდებინა.

„საწყალი მილი, საწყალი მონტეგი, – გაიფიქრა მან, – მეც ხომ არაფერი მესმის ამ წიგნებისა. ვინ დამეხმარება. სად ვიშოვო მასწავლებელი. განა უკვე ძალიან გვიან არ არის?“

„არა, იარაღის დაყრა არ შეიძლება, – მონტეგმა თვალები დახუჭა, – დიახ, რასაკვირველია მე კვლავ იმ მწვანე პარკზე ვფიქრობ, ამ ერთი წლის წინ რომ მოვინახულე“. ეს პარკი მონტეგს ხშირად გახსენებია, მაგრამ ახლა თითქოს განმეორდა ის დღე, როცა ქალაქის პარკში იმ შავკოსტიუმიან მოხუცს შეხვდა. მოხუცს, რომელმაც მონტეგის დანახვაზე სწრაფად ამოაფარა რაღაც საგანი პალტოს კალთას.

...მოხუცი ისე წამოხტა, თითქოს გაქცევას აპირებდა. მონტეგმა დაუძახა.

– მოითმინეთ!

– მე არაფერი დამიშავებია, – ამოიკნავლა აკანკალებულმა მოხუცმა.

– არც არავინ გაბრალებს რაიმეს.

ისინი ერთხანს მდუმარედ ისხდნენ ფოთლებშუა გამოპარულ მომწვანო, ნამ სხივებში. მერე მონტეგმა ამინდზე დაიწყო საუბარი. მოხუცი სუსტი ხმით აჟყვა, საოცრად მშვიდი იყო ეს საუბარი. მოხუცი გამოტყდა, – აღრე ინგლისერი ენის პროფესორი ვიყავით. იგი ორმოცი წლის წინათ გამოუგდიათ ქუჩაში, როცა უკანასკნელი ჰუმანიტარული კოლეჯი დაიხურა სტუდენტებისა და სახსრების ნაკლებობის გამო. მოხუცს ფაბერი რქმევია. მალე ფაბერს მიშმა

გაუარა. მშვიდი ხმით ალაპარაკდა და თან ცას, ხეებსა და მწვანე გაზონებს დაუწყო ყურება. ერთი საათის შემდეგ მან რაღაც უთხრა მონტეგს და მონტეგი მიხვდა, რომ მოხუცმა თეთრი ლექსი წაუკითხა. ფაბერს ხელი პალტოს მარცხენა ჯიბებე ედო და გრძნობით წარმოთქვამდა ლექსს. მონტეგმა იცოდა, რომ საკმარისი იყო ხელი გაეწვდინა და პალტოს ჯიბიდან ლექსების წიგნს ამოუღებდა. მაგრამ ის არც განძრეულა. ორივე ხელი, უსიცოცხლო და გამოუყენებელი, მუხლებზე ელავა.

— მე ნივთებზე არ ვლაპარაკობ, სერ, — თქვა მოხუცმა, — მე ნივთების მნიშვნელობა მაინტერესებს. აი, ვზივარ აქ და ვიცი, რომ ცოცხალი ვარ.

აი, ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა. მოხუცი მთელ საათს ლაპარაკობდა, ლექსებს კითხულობდა, რაღაცას განმარტავდა. მერე ისე, თითქოს არც კი იცოდა, რომ მის წინ მებანძრე იჯდა, ოდნავ აკანკალებული ხელით დაწერა თავისი მისამართი ქაღალდის ნაგლეზზე, მონტეგს გაუწოდა და დააყოლა:

— ეს თქვენი კარტოთეკისთვის იყოს. იქნებ შემდეგში გაბრაზდეთ ჩემზე.

— არა, არ გავბრაზდები. ისე კი ძალიან კი მიკვირს, რომ ახლაც არ ვბრაზობ, — უთხრა მონტეგმა.

\* \* \*

მილდრედი სიცილით იჭაჭებოდა დერეფანში. მონტეგი საწოლ ოთახში გავიდა, კედლის კარადა გამოაღო და იმ ბარათებს დაუწყო თვალიერება, რომლებსაც გამყოფზე ეწერა: „გამოსაძიებელი საქმეები“. მან იპოვა ფაბერის ბარათი. მონტეგმა არ დააბემდა მაშინ მოხუცი, მაგრამ ბარათიც არ დაუხევია.

მან ტელეფონის ნომერი აკრიფა. მავთულის ბოლოში აპარატმა ათჯერ მაინც გაიმეორა ფაბერის სახელი. ბოლოს ყურმილში პროფესორის სუსტი ხმა გაისმა. მონტეგ-მა თავი გაახსენა. ფაბერი კარგა ხანს დუმდა, მერე იკითხა:

— გისმენთ, მისტერ მონტეგ!

— პროფესორო, ერთი უცნაური კითხვა უნდა დაგისვათ: რამდენი ცალი ბიბლია დარჩა ჩვენს ქვეყანაში?

— მე არ მესმის, რას მეკითხებით!

— მინდა გავიგო, ერთი ცალი მაინც თუ არის დარჩენილი.

— მახეს მიგებთ? მე ყველას კი არ ველაპარაკები ტელეფონით!

— შექსპირისა და პლატონის რამდენი ეგზემპლარი დარჩა?

— არც ერთი! თქვენც ხომ იცით, რომ არც ერთი!

ტელეფონი დადგემდა. მონტეგმაც დადო ყურმილი. არც ერთიო! მონტეგმა იცოდა ეს სახანძრო სადგურის სიებიდან, მაგრამ რატომდაც თვითონ ფაბერისგან უნდოდა მოესმინა.

დერეფანში დაწვებშეფაკლულ მილდრედს შეეჩება. ქალმა მაშინვე მიახარა:

— იცი, დღეს ქალები გვეყოლება სტუმრად.

მონტეგმა წიგნი დაანახვა.

— ეს ძველი და ახალი აღთქმაა და...

— ნუ დაიწყე ახლა თავიდან!

— შეიძლება ეს უკანასკნელი ცალი იყოს ჩვენს ქვეყანაში.

— შენ ამაღამვე უნდა ჩააბარო ეგ წიგნი, აუცილებლად! კაპიტანმა ბიტიმ იცის, რომ ეს წიგნი გაქვს! ხომ იცის?

— არა მგონია, იცოდეს, რა წიგნი მოვიპარე, შემიძლია შეეცვალო, მაგრამ რით? ვთქვათ, ჯეფერსონით... რომელია

უფრო ძვირფასი? მერე, თუ ბიჭიმ იცის, რა წიგნი მოვიპარე და მე სხვას ჩავაბარებ, მიხვდება, რომ აქ მთელი ბიბლიოთეკა გვაქვს!

მილდრედს სახე მოექცა.

— გესმის რას სჩადიხარ? თავსაც დაიღუპავ და მეც დამღება! მე უფრო მაფასებ თუ ბიბლიას?

ქალი თანდათან უწევდა ხმას და ბოლოს ისტერიკულად აკივლდა. იგი სანთლის თოჯინას ჰგავდა, რომელიც თავისით რბილდებოდა და იღვენთებოდა ხოლმე.

მონტეგს კი ბიჭის ხმა ესმოდა: „დაჯექით, მონტეგ! უყურეთ! აი, ფრთხილად ვიღებთ, ვითომ ყვავილის ფურცელია. ვუკიდებთ პირველ გვერდს, მერე მეორეს. ისინი შავ პეპლებად გადაიქცნენ, რა ლამაზია, არა?! მეორიდან მესამე ფურცელს ვუკიდებთ ცეცხლს, მესამიდან მეოთხეს, ასე მიდის და თანდათან იწვის. სიტყვებით გამოთქმული ყველა სულელური აზრი, ყალბი დაპირება, გაცვეთილი თვალსაზრისი და დრომოჭმული ფილოსოფია!“

მონტეგს წინ თფლით შებლდაცვარული ბიჭი ეჯდა, მის ირგვლივ კი იატაკი მოფენილი იყო დახოცილი პეპლებით. ისინი ერთბაშად მოვარდნილ ქარიშხალს მოესრა.

მილდრედმა ისევე უეცრად შეწყვიტა კივილი, როგორც დაიწყო, რადგან მონტეგმა სულაც არ მიაქცია ყურადღება.

— ერთადერთი სახსარილა დარჩა: საღამომდე, ვიდრე ბიჭის ჩავაბარებდე წიგნს, ასლი უნდა გადავიდო, — ჩაილაპარაკა მონტეგმა და ოთახისკენ გაემართა.

— შინ იქნები, როცა თეთრი კლოუნის გამოსვლა დაიწყება და ქალები მოვლენ? — მიაძახა მილდრედმა.

მონტეგი კართან შეჩერდა და თავმოუბრუნებლად დაუძახა ცოლს:

— მილი!

ქალი ჯერ არ გამოეხმაურა, მერე ჰკითხა:

— რა იყო?

— მიღი, თეთრ კლოუნს უყვარხარ?

პასუხი არ იყო.

— უყვარხარ, მიღი! — მონტეგმა ენა მოისვა ტუჩებზე, — „ნათესავებს“ ასე ძალიან, მთელი გულით, მთელი სულით უყვარხარ? მითხარი, მიღი! — მონტეგი გრძნობდა, რომ ახლა ქალი კეფაში უმზერდა მას და დაბნეულად ახამხამებდა თვალებს.

— რატომ მისვამ ასეთ სულელურ შეკითხვებს? — ამ-ოიღო ბოლოს მიღდრედმა ხმა და მონტეგმა იგრძნო, რომ ქალს ტირილი უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, — თუ ის ძაღლი დაინახო გარეთ, — განაგრძო ქალმა, — ერთი პან-ლური ამოჰკარი ჩემ მაგივრად.

მონტეგი ერთხანს ყოყმანობდა, მერე კარი გააღო და გარეთ გავიდა.

წვიმას გადაეღო და მოწმენდილ ცაბე მზე ჩადიოდა.

გასასვლელი ქუჩა და მინდორი ცარიელი იყო.

მონტეგმა შვებით ამოისუნთქა და კარი გაიჯახუნა.

\* \* \*

მონტეგი მიწისქვეშა მატარებელში იჯდა.

„თითქოს გახევებული ვარ, — ფიქრობდა იგი, — ნეტა როდის გამიხევდა სახე, სხეული. ნუთუ იმ ღამით, როცა სიბ-ნელეში ფეხი ისე წამოვკარი დასაძინებელი აბებით სავსე შუმას, როგორც მიწაში დაფლულ ნაღმს. ეს გახევება გაივ-ლის, ოღონდ დრო უნდა. მე ცდას არ დავაკლებ ან ფაბერი დამეხმარება. ვინმე ოდესმე დამიბრუნებს ძველ სახეს, ძველ ხელებს და ისევ ის გავხდები, რაც ვიყავი. ღიმილიც კი, მეხ-ანძრის ღიმილიც, გამიქრა სახიდან, უიმისოდ კი არაფრად

ვვარგივარ“.

გვირაბი უკან მიქროდა: რძისფერი კაფელი, უკუნი სიბ-ნელე, კაფელი, სიბნელე, ციფრები, კვლავ უკუნეთი და მერე კიდევ ყოვლისმომცველი წყვდიადი, რომელიც თანდათან იზრდებოდა. ერთხელ, ბავშვობისას, მონტეგი ბლვის პირას, ყვითელ ქვიშაბე იჯდა.

შეადღე იდგა, ბაფხულის ცხელი, ლურჯი შუადღე. ბოროტ-მა ბიძაშვილმაუთხრა: „აი, ეს ცხრილი ქვიშით აავსე და ათცენტიანს მოგცემ“. მონტეგიც დათანხმდა და ცხრილის ავსებას შეუდგა. რაც უფრო სწრაფად ყრიდა, მით უფრო სწრაფად, ცხელი ხრიალით ცვიოდა ქვიშა ნახვრეტებიდან. ხელები დაედალა, ქვიშას ცხელი მტვერი აუვიდა, მაგრამ ცხრილი კვლავ ცარიელი დარჩა.

მონტეგი ჩუმად იჯდა იმ შეაგულ ივნისში ბლვის ნა-პირზე და გრძნობდა, რომ დაწვებბე ცრემლები ჩამოსდიოდა.

ახლა, როცა პნევმატური მატარებელი რწევით მი-აქროლებდა ცარიელ მიწისქვეშა დერეფანში, მონტეგს იმ ცხრილის მკაცრი კანონი გაახსენდა, მუხლებბე დაიხარა და დაინახა, რომ ხელში გადაშლილი ბიბლია ეჭირა.

პნევმატურ ვაგონში სხვა მგბავრებიც იყვნენ. მონტეგს კი ყველას დასანახავად ეჭირა წიგნი ხელში. უცებ ერთმა სულელურმა აგრმა შეიპყრო მისი გონება: თუ სწრაფად წავიკითხავ და არაფერს გამოვტოვებ, იქნებ ცხრილში ცოტაოდენი ქვიშა დარჩესო. მან სწრაფად დაიწყო კითხვა, მაგრამ სიტყვები აქეთ-იქით იფანტებოდა. რამდენიმე საა-თის შემდეგ კი ბიგი უნდა ნახოს და ეს წიგნი გადასცეს. ამიტომ არც ერთი ფრაზა არ უნდა გაუსხლდეს, ყოველი სტრიქონიუნდა დაიმახსოვროს. უნდა აიძულოს თავი, რომ ყველაფერი დაიმახსოვროს.

მონტეგმა მაგრად ჩაბლუჯა წიგნი ხელში. რეპროდუქტორები ღრიალით აყრუებდნენ იქაურობას:

— კბილის პასტა „დენპემი“.

„ხმა ჩაიწყვიტე, — გაიფიქრა მონტეგმა, — პასტა კი არა, მინდვრის შროშანებზე უნდა ვიფიქროთ“.

კბილის პასტა „დენპემი“.

„არცა შერების“...

— კბილის პასტა...

„შროშანნი ველისანი“... ხმა გაიკმინდეთ, ხმა გაიკმინდეთ!“

— კბილის პასტა...

მონტეგმა სწრაფად გადაშალა წიგნი და ფაციფუცით დაუწყო ფურცელა. იგი ბრმასავით უსვამდა თითებს თითოეულ ასოს, თვალდაუხამხამებლად დასცქეროდა სტრიქონებს.

— დენპემი. გადმოგცემთ ასო-ასო: დ-ე-ნ...

„არცა შერების, არცა“...

ცხრილის ნახვრეტებიდან ჩამოცვენილი ცხელი ქვიშის უსიამოვნო ხრიალი!

— დენპემი საუცხოოა!

„ვიფიქროთ შროშანებზე... — შროშანები, შროშანები“.

— დენპემი კბილის სადებინფექციო საშუალებაა...

„გაჩუმდი, გაჩუმდი, გაჩუმდი!..

ეს ისეთი შემაძრწუნებელი ღაღადისი და მოთქმა იყო, რომ თვითონ მონტეგიც, თავისდაუნებურად, ზებე წამოვარდა. სახე არეოდა და გასწითლებოდა, ტუჩები მოღრეცოდა და გაფიცხებოდა, ხელში კი მაგრად ჩაებლუჯა გადაშლილი წიგნი.

ხმაურიანი ვაგონის მგზავრები შემინებულნი მიაწყდ-

ნენ კედლებს. ერთი წამის წინ კი ყველა მშვიდად იჯდა სკამბე და რადიოს აყოლებდა ფეხს: კბილის პასტა „დენ-ჰემი“, „დენჰემი“ – კბილის საუკეთესო ელექტრიკი. კბილის პასტა – „დენჰემი“, „დენჰემი“, „დენჰემი“, ერთი, ორი, ერთი, ორი, სამი. ერთი, ორი, სამი. ისინი თავისთვის ბუტბუტებდნენ – პასტა, პასტა, პასტა.

ვაგონის რადიო ვალში არ დარჩა მონტეგს და მთელი ტონა მუსიკა დააყარა თავზე. ეს მუსიკა თუნუქის, სპილენძის, ვერცხლისა და თითბრის ქლარუნისა და გრუხუნის ნარევი იყო.

მგბავრები მთლიანად დამორჩილებოდნენ ამ ხმებს, არც კი ცდილობდნენ გაქცეოდნენ, თუმცა გასაქცევიც არსად იყო – ვეება პნევმატური მატარებელი ისარივით მიქროდა მიწის ქვეშ.

„შრომანნი ველისანი“...

– დენჰემი!

– შრომანები-მეთქი!

ხალხი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მონტეგს.

– დაუძახეთ დაცვას!

– კაცი გაგიჲდა!

– სადგური „ნოლ ვიუ“!

მატარებელი სისინით შეჩერდა.

„ნოლ ვიუ“ – ხმამაღლა გამოაცხადა რადიომ.

– დენჰემი, – გაისმა თითქმის ჩურჩულით.

– შრომანები... – ოდნავ გასაგონად ამოილაპარაკა მონტეგმა.

ვაგონის კარი სტვენით გაიღო. მონტეგი ადგილიდან არ იძროდა. კარმა ამოიხვნება და დახურვა დაიწყო. მონტეგმა კვლავ იყვირა, ოღონდ ახლა გონებაში, წინ გავარდა, მგბავრები გვერდზე მიყარ-მოყარა და ძლივს მოასწრო

## ვაგონიდან გასვლა.

მონტეგი უკანმიუხედავად გარბოდა გვირაბის თეთრ ფილაქანზე და ყურადღებას არ აქცევდა ესკალატორს, რადგან უნდოდა ეგრძნო, რომ ხელები და ფეხები აქვს, რომ ფილტვები ეკუმშება, ეშლება და თითოეულ ამოსუნთქვასა თუ ჩასუნთქვაზე ყელს ცივი ჰაერი უწვავს. უკან კი ფეხდაფეხ მოსდევდა: „დენპემი, დენპემი, დენპემი!“

მაგარებელმა გველივით დაისისინა და ხვრელში გაუჩინარდა.

\* \* \*

- ვინ არის?
- მონტეგი ვარ!
- რა გნებავთ?
- შემომიშვით.
- მე არაფერი დამიშავებია!
- მარტო ვარ, დალახვროს ეშმაკმა!
- დაიფიცეთ!
- ყველაფერს გეფიცებით!

კარი ნელ-ნელა გაიღო და ფაბერმა გარეთ გამოიხედა. დღის სინათლეზე იგი ძალგე მოხუცი, სუსტი და მეტისმეტად დამფრთხალი ჩანდა. კაცი იფიქრებდა, ამ მოხუცს წლების განმავლობაში არ გამოუდგამს სახლიდან ფეხით.

ფაბერის სახე და თაბაშირით შეღესილი კედელი, ღია კარიდან რომ მოჩანდა, ერთი ფერისა იყო. ტუჩები, ღაწვები, თმა და ჩამქრალი ღია ცისფერი თვალებიც თეთრი გეგონებოდათ.

მოხუცმა თვალი მოპკრა მონტეგის იღლიაში ამოდებულ წიგნს და უცებ შეიცვალა — ახლა იგი არც წინანდებურად მოხუცი და ღონებისღილი ჩანდა და თანდათან

შიშიც გაუქრა თვალებში.

— მაპატიეთ, ხომ იცით, ფრთხილად უნდა იყოს კაცი, — ფაბერი კვლავ წიგნს მისჩერებოდა, — ესე იგი, არ მომატყუეთ.

მონტეგმა ოთახში შეაბიჯა. კარი დაიკეტა.

— დაბრძანდით, — ფაბერი უკან-უკან მიღიოდა და თან ისე მიემტერებინა თვალი წიგნისათვის, თითქოს ეშინოდა, არსად გაუჩინარდესო. მონტეგის პირდაპირ, ღია კარიდან, მოჩანდა საწოლი ოთახი. მაგიდა რაღაც ხელსაწყოებითა და რკინის იარაღებით იყო სავსე. მონტეგმა მხოლოდ თვალის გადავლება მოასწრო, რადგან მოხუცმა შეამჩნია სტუმრის დაინტერესება, სწრაფად მიტრიალდა და კარი გამოხურა.

ფაბერი კარებთანვე დარჩა და აკანკალებული ხელით მოეჭიდა სახელურს. მერე ყოყმანით გადაიტანა მზერა მონტეგბე, რომელიც უკვე დამჯდარიყო და წიგნი მუხლებზე დაედო.

— ეს წიგნი... საიდან...

— მოვიპარე.

ფაბერმა პირველად შეხედა სახეში მონტეგს:

— თქვენ მამაცი ყოფილხართ!

— არა, — თქვა მონტეგმა, — ცოლი მიკვდება, მეგობარი გოგონა მომიკვდა, ქალი, კი, რომელიც შეიძლებოდა ჩემი მეგობარი გამხდარიყო, სულ ოცდაოთხი საათი არც არის, რაც დაწვეს. თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელ-საც ჩემი დახმარება შეუძლია. უნდა ვნახო. უნდა...

ფაბერმა მოუთმენლად გაიწოდა ხელი წიგნისკენ:

— შეიძლება?

— ინებეთ, — მონტეგმა მაშინვე მიაწოდა წიგნი.

— რამდენი ხანია აღარ მინახავს! მე მორწმუნე არ ვარ,

მაგრამ დიდი ხნის წინათ... – ფაბერმა წიგნს ფურცვლა დაუწყო. დროდადრო შეჩერდებოდა და რამდენიმე ფრაგას ჩაიკითხავდა ხოლმე, – დიახ, ზესტად ისეთია. ღმერთო, ესენი კი როგორ ამახინჯებენ სატელევიზიო კედლებზე. ქრისტე დღეს ჩვენი ერთ-ერთი „ნათესავია“. ნეტა თუ იცნობდა ზეციერი მამა თავის შვილს იმ ტანსაცმელში, დღეს რომ გამოვაწყვეთ, უფრო სწორად – რომ გავაშიშვლეთ. ახლა ადამიანი ნამდვილ პიტნის კანფეტად იქცა, რომელსაც შაქრისა და სახარინის ცრემლი ჩამოსდის, თუკი ჩუმჩუმად არ ცდილობს რეკლამა გაუწიოს რაიმე საქონელს, ურომლისოდაც, თითქოს მორწმუნეს სიცოცხლე არ შეუძლია.

ფაბერმა წიგნი დაყნოსა.

– იცით თუ არა, რომ წიგნებს მუსკატისა თუ შორეული ქვეყნის სხვა რომელიღაც სანელებლის სუნი უდის? ბავშვი რომ ვიყავი, სულ წიგნებს ვყნოსავდი. ღმერთო, რამდენი კარგი წიგნი არსებობდა, სანამ დაწვის ბრძანებას გასცემდნენ... – ფაბერმა რამდენიმე გვერდი გადაშალა, – მისტერ მონტეგ, თქვენ წინაშე მხდალი ადამიანი დგას. მე კარგა ხნით აღრე ვიცოდი, საით მიდიოდა საქმე. მაგრამ არაფერი ვთქვი. მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ერთ-ერთი მიამიტი, რომელსაც შეეძლო ხმა აემაღლებინა. თუმცა მაშინ „დამნაშავეებს“ არავინ უსმენდა, მაგრამ მაინც უნდა ამომედო ხმა. მე კი ვიყუჩე და ამით ნამდვილ დამნაშავეთა ჯგუფს შევუერთდი. ბოლოს კი, როცა დაადგინეს, დაეწვათ წიგნები და ეს საქმე მეხანძრეებს დაავალეს, ცოტა წავიბუზღდუნე და გავჩუმდი. გავჩუმდი, რადგან არავინ ამყვა, არავინ დამიჭირა მხარი. ახლა კი ძალზე გვიან არის.

ფაბერმა ბიბლია დახურა.

– ახლა მითხარით, რისთვის მოხვედით!

— მე არავინ მისმენს: კედლებს ვერ დავუწყებ ლაპარაკს. ისინი აქეთ ჩამყვირიან ყურში. ცოლს ვერ ვესაუბრები, იგი კედლებს უსმენს. მე კი მინდა ვინმემ მომისმინოს. დიდხანს, დიდხანს რომ ვილაპარაკო, იქნებ რაიმე ჭკვიანური გამოვიდეს. ამას გარდა მინდა, მასწავლოთ, თუ როგორ გავიგო წაკითხული.

ფაბერი ყურადღებით მიაჩერდა მონტეგის ხმელ-ხმელ, მოლურჯო სახეს.

— რამ აგაფორიაქათ? რამ გაგაგდებინათ ხელიდან მეხანძრის ჩირალდანი?

— არ ვიცი... ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ ბედნიერად ვიგრძნოთ თავი, მაგრამ მაინც არ ვართ ბედნიერნი. რაღაც გვაკლია. ბევრი ვიფიქრე და დავასკვენი, რომ ერთადერთი, რაც ამჟამად აღარ გვაქვს – წიგნებია. წიგნები, რომელთაც აგერ უკვე ათი-თორმეტი წელია ვწვავ. ამიტომ გადავწყვიტე, რომ წიგნები მიხსნიდა.

— თქვენ გამოუსწორებელი რომანტიკოსი ყოფილხართ. ეს სასაცილო იქნებოდა, სერიოზული რომ არ იყოს. თქვენ წიგნები კი არა, ის გაკლიათ, რაც ოდესლაც ეწერა მათში. იგივე შეიძლება გადმოსცენ დღევანდელ პროგრამებში. რადიოსა და ტელევიზიასაც შეუძლია ისეთსავე უსაზღვრო შეგნებისა და ყურადღებისკენ მოგვიწოდოს, გვიჩვენოს, რომ წვრილმანებს ყურადღებით მოვეკიდოთ, მაგრამ ასე არ იქცევიან. არა, არა, წიგნებში განა ყველაფერია, რასაც თქვენ ეძებთ? იგი ყველგან უნდა ეძებოთ – ძველ გრამაფონის ფირფიტებში, ძველ კინოფილმებში, ძველ მეგობრებში. ეძებეთ ბუნებაში, საკუთარ თავში! წიგნები მხოლოდ ერთ-ერთი ვრცელი საცავი იყო, სადაც იმას ვინახავდით, რისი დავიწყებისაც გვეშინოდა. წიგნებში არავითარი ჯადოსნობა არ არის. მხოლოდ მათი ნათქვამია ჯადოსნური, მხოლოდ ის,

რომ ისინი ნაკუწებისგან მთლიან სამყაროს გვიკერავენ. ამის მიხვედრა აღვიღი არ იყო. თქვენ, ალბათ, ახლაც ვერ ხვდებით ჩემი ნათქვამის არსს, მაგრამ ალღოთი გრძნობთ, როგორ მოიქცეთ და სწორედ ესაა დასაფასებელი... მაგრამ ჩვენ სამი რამ გვაკლია: პირველი – იცით, რატომ არის ძვირფასი ასეთი წიგნები? იმიტომ, რომ ისინი ხარისხიანები არიან. ახლა, რა არის ხარისხი? ეს, ჩემი გაგებით, წიგნის სხეულია. აი, ამ წიგნს აქვს თავისი ფორმები, თავისი დამახასიათებელი ნიშნები. იგი შეიძლება მიკროსკოპით გაისინჯოს და მაშინ დაინახავთ, რომ წიგნში სისხლჭარბი სიცოცხლე ჩქეფს. რაც მეტი ფორია, მით უფრო მართლად და დაწვრილებით აშუქებს ცხოვრებას წიგნის თითოეული კვადრატული დუიმი, მით უფრო მხატვრულია წიგნი. აი, ასეთია ჩემი განმარტება. მეტი ცოცხალი დეფალებია საჭირო, თანაც ახალ-ახალი. კარგი მწერალი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, საშუალო – ნაპირ-ნაპირ უვლის, ცუდი კი ძალას ხმარობს მასზე და მერე ბუზების წასაბილწავად ტოვებს.

ახლა ხომ გესმით, რატომ იწვევენ წიგნები ასეთ სიძულვილსა და შიშს! ისინი გვიჩვენებენ ფორმებს ცხოვრების სახეზე. ფუფუნების მაძიებელთ კი უნდათ, მხოლოდ სანთელივით დაწმენდილ, უფერო, უბეწვო და არაფრის მთქმელ სახეს უყურონ. ჩვენ ახლა ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ ყვავილებიც კი უარს ამბობენ წვიმის წყალსა და ნოყიერ ნიადაგზე და ცდილობენ თავიანთი თანამოძმებით დაიკმაყოფილონ შიმშილი. მაგრამ თვით ცაში ანთებული თვალწარმტაცი ფეიერვერკიც ხომ მიწიერი ქიმიის პირმშოა!

ჩვენ კი რატომდაც ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია ვისაბრდოთ და აღვიზარდოთ ყვავილებითა და ფეიერვერკე-

ბით ისე, რომ არ გავიაროთ ციკლი, რომელსაც სინამდვილისკენ მივყავართ. გაგიგონიათ ლეგენდა პერკულესსა და ანტეოსტე? გოლიათ მოჭიდავეს, ანტეოსს განუსაზღვრელი ძალა ეძლეოდა, ვიდრე მტკიცედ ედგა მიწაზე ფეხი, მაგრამ პერკულესმა მიწას მოსწყვიტა, ჰაერში აიტაცა და სულ ადვილად დაამარცხა. ეს ლეგენდა ჩვენ, ამ ქალაქის მცხოვრებლებს გვესადაგება, ან არადა, მე სულ არაფერი გამეგება ამ ცხოვრებისა. აი ასეა. ეს – პირველი, რაც ჩვენ გვაკლია. სარისხი – ცოდნის ქსოვილი, ცოდნის სხეული!

– მეორე?

– მოცალეობა.

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ უამრავი თავისუფალი დრო გვრჩება სამუშაოს შემდეგ.

– მართალია. თავისუფალი დრო ბევრი გვაქვს, მაგრამ განა ფიქრის დროც გვაქვს? ან საათში ასი მიღის სიჩქარით მიაქროლებ მანქანას და მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ რაიმეს არ დაეჯახო, ან რაიმე თამაშით ერთობი, ან ოთახში ბიხარ, რომელსაც კედლებად სატელევიზიო ეკრანი აქვს. ამ ეკრანს კი კამათს ვერ დაუწყებ. თუმცა გამოსახულება მეტისმეტად რეალურია. იგი სამგანზომილებიანია და თითქოს ხელის შეხებაც კი შეგიძლია. კედლები გვეუბნებიან, რაც უნდა იფიქროთ და თავიანთ აბრებს გიჭირხნიან თავში. „ეს მართალი უნდა იყოს. თითქოს სიმართლესა ჰგავს“, – ფიქრობთ თქვენ და ისე სწრაფად მიღიხართ ვიღაცის მიერ წინასწარ გამოყვანილ დასკვნასთან, რომ თქვენი გონება ვეღარ ასწრებს თქვას, – ეს რა სისულე-ლეათ.

– მხოლოდ „ნათესავებია“ ნამდვილი ხალხი.

– რა ბრძანებ?

– ჩემი ცოლი ამბობს, – წიგნები ნაკლებად რეალურები

არიანო.

— ღვთის წყალობით, მართლაც ასეა. თქვენ შეგიძლიათ დახუროთ წიგნი და შეისვენოთ. თქვენ წიგნის მბრძანებელი ხართ. მაგრამ, აბა მითხარით, გინახავთ ადამიანი, რომელმაც ჩართო სასტუმროს კედლები და მერე მოახერხა თავი დაეხსნა მისი კლანჭებისგან? იგი თავის ნება-სურვილზე გატრიალებთ. იგი ისეთსავე გარემოდ იქცევა, როგორიც ნამდვილი სამყაროა. იგი თვითონ იქცევა ჭეშ-მარიფებად. წიგნი შეიძლება უარყო გონების განსჯით, მა-გრამ მიუხედავად ჩემი განსწავლულობისა და სკეპტი-ციზმისა, ვერასოდეს ვაჯობე ასინსტრუმენტიან სიმფონიურ ორკესტრს, რომელიც ჩვენი გასაოცარი სასტუმრო ოთახ-ის მდიდრულად შეფერადებულ სამგანზომილებიან კედელ-ში ჩნდება ხოლმე. როგორც ხედავთ, ჩემსსასტუმრო ოთახ-ში ბათქაშით შელესილი ოთხი კედელი მაქვს და აი, კიდევ ეს, — მოხუცმა ორი პატარა რეზინის საცობი დაანახვა, — ამით ყურებს ვიცობ ხოლმე, როცა მიწისქვეშა მატარებელში ვჯდები.

მონტეგმა თვალი დახუჭა და ჩაიდუდუნა:

— კბილის პასტა „დენპემი“. „არცა შურების, არცა სთავს“... საით მივდივართ? ვითომ წიგნები გვიხსნის?

— მხოლოდ მაშინ, თუ მესამე რამ გვექნება. პირველი, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ცოდნის ხარისხია, მეორე — თავისუფალი დრო, რომ ეს ცოდნა შევითავსოთ, მესამე — გვქონდეს უფლება, ისე მოვიქცეთ, როგორც ამ პირველი ორი პირობის შესრულების შემდეგ მივიჩნევთ საჭიროდ. მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია, რა უნდა გააკეთოს ერთმა მიხოწნილმა მოხუცმა და გაბოროტებულმა მეხანძრემ, ახლა რომ უკვე ისე ჩავეფალით ტალახში, რომ...

— მე წიგნები შემიძლია ვიშოვო.

— ეს მეტად სახიფათოა!

— მე ხომ მაინც დაღუპული ვარ. ბოგი ჭირი მარგებელია: როცა დასაკარგავი არაფერი გაქვს, არც არაფრისა გეშინია.

— საინტერესო აბრი გამოთქვით, — გაიცინა ფაბერმა, — თანაც არსაიდან არ გაქვთ ამოკითხული!

— ნუთუ წიგნებში ამისთანა აბრები წერია? მე კი უცებ მომივიდა თავში.

— მით უკეთესი. ესე იყი განგებ, ჩემთვის, ვინმესთან ან თუნდაც საკუთარი თავისთვის არ მოვიგონიათ?

მონტეგი წინ გადაიხარა:

— აი, რა მოვიფიქრე ამ საღამოს: თუ წიგნები მართლა ასე ძვირფასია, ჩვენ იქნებ საბეჭდი დაზგა გვეშოვა და რამდენიმე ეგზემპლარი დაგვებეჭდა...

— ვინ ჩვენ?

— თქვენ და მე.

— ო, არა, — ფაბერი ფეხზე წამოხტა.

— მომისმინეთ მაინც, რას ვაპირებ.

— თუ დამაჟინდებით, იძულებული გავხდები, ჩემი სახლ-იდან გაგაგდოთ.

— კი მაგრამ, სულ არ გაინტერესებთ?

— არა, სულ არ მაინტერესებს ისეთი საუბარი, რისთვისაც ცოცხლად დამწვავენ. მხოლოდ მაშინ მოგისმენდით, თუ თვითონ სახანძრო სისტემის დაწვაზე მიღვებოდა საქმე. თქვენ რომ დაგეპირებინათ რამდენიმე წიგნის გადაბეჭდვა და მერე ისინი მთელი ჩვენი ქვეყნის მეხანძრეთა ბინებში დაგემალათ, რათა ამით თვითონ ცეცხლის გამჩაღებელის რიგებში დაგეთესათ ეჭვი და დაბნეულობა, აი, მაშინ კი ვიზუოდი — ვაშა თქვენს ვაჟკაცობას-მეთქი.

— წიგნები მივუგდო, მერე განგაში ავტეხო და მეხან-

ძრეთა სახლები დავაწვევინო, არა?

ფაბერმა წარბები ასწია, ცოტა ხანს ისე მიაშტერდა მონტეგს, თითქოს პირველად ხედავსო და მერე ჩაილაპარაკა: „არა, ვიხუმრე“.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ღირს ამის გაკეთება? დანამდვილებით უნდა ვიცოდე, რომ ეს გვიშველის...

— მაგას დარწმუნებით ვერავინ გეტყვით! იყო დრო, როცა ყველა წიგნი გვქონდა და მაინც ფრიალო კლდეს ვეძებდით გადმოსახტომად. მაგრამ ჩვენ თავისუფლად სუნთქვის საშუალება უნდა გვქონდეს. ჩვენ ცოდნა უნდა დავიბრუნოთ და, ალბათ, ერთი ათასი წლის შემდეგ უფრო დაბალ კლდეს ავირჩევთ გადმოსახტომად. წიგნები ხშირ-ხშირად შევახსენებენ, თუ რა ვირები და რეგვენები ვართ. ისინი კეისრის პრეტორიანულ დაცვას ჰგვანან, რომელიც ზეიმის დროს ჩასჩურჩულებდა ხოლმე მბრძანებელს: „გახსოვდეს, კეისარო, რომ შენც მოკვდავი ხარ“. მოსახლეობის უმეტესობას არ შეუძლია იმოგბაუროს, ხალხს ესაუბროს, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქი მოიაროს. ჩვენ არც დრო გვაქვს, არც ფული და არც მეგობრები გვყავს. ყოველივე, რასაც თქვენ ეძებთ, მონტეგ, არსებობს ამქვეყნად, მაგრამ ჩვენისთანა ადამიანს მხოლოდ ერთი პროცენტი შეუძლია ნახოს. დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი კი წიგნებით უნდა შეითვისოს. თქვენ კი ნურც გარანტიას ითხოვთ და ნურც იმას ფიქრობთ, რომ მხოლოდ რომელიმე ადამიანი, მანქანა ან ბიბლიოთეკა მოგიტანთ ხსნას. თვითონვე უნდა გაიკვლიოთ გზა და თუ დაიხრჩობით, ის მაინც გეცოდინებათ, რომ ნაპირისკენ გეჭირათ გეზი.

ფაბერი წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— მერე? — შეეხმიანა მონტეგი.

— წელან გულით ლაპარაკობდით?..

— რა თქმა უნდა!

— უნდა ითქვას, რომ ძალიან ეშმაკური გეგმაა.

ფაბერმა შეშფოთებით მიხედა საწოლი ოთახის კარს, ყველა მეხანძრის სახლს ცეცხლი მოედება და კვალიც აღარ დარჩება ამ გამცემლობის კერძისგან. რა სანახაობა იქნება! სალამანდრა საკუთარ კუდს ჩანთქავს. ოჰ, ღმერთო!

— მე ყველა მეხანძრის მისამართი მაქვს. თუ რაიმე საიდუმლო ორგანიზაციას...

— ვეღარავის ენდობი კაცი, ესაა მთელი უბედურება. მე, თქვენ, კიდევ ვინ უნდა გააჩაღოს ხანძარი?

— ნუთუ აღარ არიან თქვენნაირი პროფესორები? აღარ დარჩნენ ყოფილი მწერლები, ისტორიკოსები, ლინგვისტები?

— დაიხოცნენ ან უკვე ძალიან დაჩაჩანაკდნენ.

— რაც უფრო მოხუცი იქნება, უკეთესია — უფრო ვერ მიიგანენ ეჭვს. ალბათ უამრავი ასეთი ნაცნობი გყავთ, არა?

— კი, არიან, მაგალითად მსახიობები, რომელთაც მრავალი წელია აღარ უთამაშიათ პირანდელოს, შოუსა და შექსპირის პიესებში. ეს პიესები ხომ ბედმიწევნით მართლად ასახავენ ცხოვრებას. შეგვიძლია მათი მრისხანება გამოვიყენოთ. შეგვიძლია, აგრეთვე გამოვიყენოთ იმ ისტორიკოსების სამართლიანი აღმფოთება, რომელთაც აგერომოცი წელია, ერთი სტრიქონიც არ დაუწერიათ. მართლაცდა, შეგვეძლო შეგვექმნა ჯგუფები, სადაც ფიქრსა და კითხვას ვასწავლიდით ადამიანებს.

— მართალია! შეგვეძლო!

— მაგრამ ყოველივე ეს ბლვაში წვეთი იქნება. მთელი კულტურა განადგურებულია. საჭიროა მთლიანად გადავადნოთ მისი ჩონჩხი და მერე ხელახლა ჩამოვასხათ. ღმერთო დიდებულო, ეს განა აღვილი საქმეა! ამისთვის განა

საკმარისია, კვლავ ხელში აიღო წიგნი, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ გადადე გვერდზე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეხანძრეებს არც ისე ხშირად უჩნდებათ საქმე. ხალხმა თვითონ, თავისი ნებით მიატოვა წიგნების კითხვა... დროდადრო თქვენ, მეხანძრეები, საცირკო წარმოდგენას მართავთ – სახლებს წვავთ და ბრძოც ერთობა ცეცხლის ყურებით. მაგრამ ეს მხოლოდ მისამდერია, მთავარი ჰანგი კი, რომელსაც ყველა აყოლებს ხმას, სულ სხვაა. ამბოხების მსურველი, ალბათ, თითებზე ჩამოითვლება და იმათვანაც უმეტესობა, ჩემი არ იყოს, მხდალია. მოახერხებთ „თეთრ კლოუნზე“ სწრაფად ცეკვას ან „ბატონ მთავარ ილუბიონისტსა“ და „ნათესავებზე“ ხმამაღლა ყვირილს? თუ მოახერხებთ, მაშინ იოლად გაიმარჯვებთ, მონტეგ. ასეა თუ ისე, თქვენ სულელი ხართ. ხალხი ხომ მართლაც მხიარულობს და ერთობა.

– მერე თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს ან სხვებს ხოცავენ.

მთელი საუბრის განმავლობაში აღმოსავლეთისკენ განუწყვეტლივ მიფრინავდნენ ბომბდამშენები, მაგრამ მონტეგმა და ფაბერმა მხოლოდ ახლა მიაქციეს ყურადღება ხმაურს, დაღუმდნენ და ყური მიუგდეს რეაქტიული ძრავების გუგუნს, რომელიც მთელ მათ არსებას აბანბარებდა.

– მოთმინება მოიკრიბეთ, მონტეგ. ომი ძირფესვიანად ამოჟლეტს „ნათესავებს“. ჩვენი ცივილიზაცია უფსკრულისკენ მიექანება. გვერდზე გადექით, თორემ თან ჩაგიგანთ.

– კი, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა იყოს მზად, რომ ხელახლა დაიწყოს შენება, როცა ყველაფერი დაინგრევა!?

– რაო?! ვინა?! ისინი, ვისაც ზეპირად ახსოვს მილტონი?! ვინც ამბობს, სოფოკლეს ვიცნობო?! იმათ შეუძლიათ გაახ-

სენონ გადარჩენილებს, რომ ადამიანებს კეთილი თვისე-ბებიც აქვთ?! გადარჩენილები მათ კი არ მოუსმენენ – ქვებს წამოავლებენ ხელს და ერთმანეთს დაერევიან. შინ დაბრუნდით, მონტეგ! დაბრუნდით და დაიძინეთ! რაგომ ფლანგავთ თქვენს ბოლო საათებს. ბორბალს ატრიალებთ და თან თავს არწმუნებთ, ციყვი არ ვარო.

- მაშასადამე, თქვენ აღარაფერი გაღელვებთ.
- მე ისე მაღელვებს ყოველივე ეს, რომ ცედად ვხდები.
- მერე არ გინდათ, დახმარების ხელი გამომიწოდოთ?
- ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა.

მონტეგის ხელმა ბიბლია აიღო მაგიდიდან.

მონტეგი ხედავდა თავისი ხელების მოქმედებას და ძალიან უკვირდა.

– გინდათ ამ წიგნის მფლობელი იყოთ? – ჰკითხა მან ფაბერს.

- მაგ წიგნში ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი.

მონტეგი იდგა და ელოდა, თუ რა მოხდებოდა...

მცირე ხნის შემდეგ მისმა ხელებმა, ორი ცოცხალი ადამიანის მსგავსად, წიგნიდან ფურცლების ამოგლეჯა დაიწყო.

ხელებმა წიგნს ჯერ ფორმაცი მოახია, შემდეგ პირველი გვერდი, შემდეგ მეორე...

– იდიოტო, რას სჩადიხარ?! – ფაბერი დამდუღრულივით წამოვარდა ფეხზე და ხელებში ეცა მონტეგს. მონტეგმა მოიშორა იგი და ფურცლების გლეჯა განაგრძო. კიდევ ექვსი ფურცელი დაცვივდა იატაკზე. მონტეგმა ისინი წამოკრიფა და ფაბერის თვალწინ დაჭმუჭნა.

- ნუ, ნუ იგამთ! – აკვნესდა მოხუცი.

– ვის შეუძლია დამიშალოს? მე ხომ მეხანძრე ვარ. შემიძლია დაგწვა კიდეც!

მოხუცმა თვალებში შეხედა მონტეგს:

- არა, ამას არ ჩაიდენ!
- შემიძლია, თუ მოვინდომე!
- წიგნი! ნუდარ დახევთ!

ფაბერი სკამზე დაეშვა. სახე გაპფითრებოდა, ტუჩები უკანკალებდა.

– ნუდარ მაწვალებთ, დავიღალე. მითხარით, რა გინდათ?

- მინდა, რომ მასწავლოთ!..
- კარგი, კარგი...

მონტეგმა მაგიდაბე დადო წიგნი, დაჭმუჭნილი ფურცლები გაათავთავა და სწორება დაუწყო. მოხუცი დაღლილი თვალებით უმზერდა მის საქმიანობას, მერე თავი ისე გაიქნია, თითქოს უნდა მოძალებული ძილი გაიფრთხოსოდა ჰკითხა:

- მონტეგ, ცოტა ფული ხომ არ გექნებათ?
- კი, მაქვს, ოთხასი თუ ხუთასი დოლარი. რად გინდათ?

– მომიტანეთ. ერთ კაცს ვიცნობ, რომელიც ჩვენი კოლეჯის გამარჯვების ბეჭდავდა ამ ნახევარი საუკუნის წინათ. ეს იმ წელიწადს იყო, როცა სემესტრისდასაწყისში შევედი კლასში და ვნახე, რომ მხოლოდ ერთ სტუდენტს გამოუცხადებია სურვილი, შეესწავლა დრამატურგია ესქილედან ო'ნილამდე. წარმოგიდვენიათ?! მაშინ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მშენებელი ყინულის ქანდაკება დნებოდა გზებზე. მასსოვს, გამარჯვები გიგანტური ფარვანებივით იღუპებოდა. არავინ ცდილობდა, გადაერჩინა ისინი, გული არავის სწყდებოდა. მერე მთავრობა მიხვდა, რომ ძალიან სასარგებლო იქნებოდა, თუ ხალხი მხოლოდ ვნებიან ტუჩებსა და მუცელში ამორტიფირებულ მუშტებე დაწერილ წიგნს წაიკითხავდა და თქვენ, ცეცხლისმფრქვევლებს, მოგიწოდათ დასახმარებლად.

ერთი სიტყვით, გვყავს ერთი უმუშევარი მბეჭდავი. შეგვიძლია, რამდენიმე წიგნი დავბეჭდოთ და დაველოდოთ ომს, რომელიც არსებული წყობის საფუძველს მოშლის და სამოქმედოდ გვიბიძგებს. რამდენიმე ბომბი და – ის კედლის „ნათესავები“, ის ტაკიმასხარები იმწამსვე ჩაიწყვეტენ ხმას. უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში კი აღბათ გაიგონებენ ჩვენს ჩურჩულს.

ორივეს მზერა მაგიდაზე დადებული წიგნისაკენ იყო მიჰყრობილი.

– მე ვცდილობ, დავიმახსოვრო, – დაიჩივლა მონტეგმა, – მაგრამ ეს ოხერი, თვალს მოვამორებ თუ არა, მაშინვე მავიწყდება. ღმერთო, როგორ მინდოდა, რაიმე მეპასუხა კაპიტნისთვის. იგი ძალიან ნაკითხია და ყველაფერზე გამზადებული აქვს პასუხი. ყოველ შემთხვევაში, ასე გაჩვენებს თავს. დათაფლული ლაპარაკი იცის და მეშინია, კვლავ არ მომაქციოს თავის ჭკუაზე. სულ ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც შლანგს ნავთით ვავსებდი და ვფიქრობდი: ღმერთო, რა მხიარული ცხოვრება მაქვს-მეთქი.

მოხუცმა თავის ქნევით უთხრა:

– ვინც არ აშენებს, უნდა დაანგრიოს. ეს ძველთაგანვე ასე ყოფილა. ასე იქცევიან მცირეწლოვანი დამნაშავენი.

– აი, თურმე ვინ ვყოფილვართ.

– მეტ-ნაკლებად ყველანი ასეთები ვართ.

მონტეგი კარისკენ გაემართა, მაგრამ შეა გმაბე შედგა:

– არ შეგიძლიათ, როგორმე დამეხმაროთ ამაღამ, როცა მეხანძრეთა კაპიტანს დავუწყებ ლაპარაკს? მე ჯებირი მინდა, თორემ, როცა სიტყვების ნიაღვარს მომიშვებს, დავიხინავი.

მოხუცმა პასუხის ნაცვლად კვლავ შეშფოთებით შეხედა საწოლი ოთახის კარს. მონტეგმა შეამჩნია და ჰკითხა,

– რა მოხდათ.

ფაბერმა ღრმად ჩაისუნთქა და კარგა ხნის შემდეგ ამ-  
ოთიქვა სული. მერე თვალები დახუჭა და კვლავ ამ-  
ოსუნთქა. ისე, რომ მტკიცედ მოკუმული ტუჩები არც კი  
გაუხსნია. ბოლოს ხმადაბლა ჩაილაპარაკა: „მონტეგ“.

იგი სტუმრისკენ მიბრუნდა და ახლა უკვე ხმამაღლა  
მიმართა:

– წამომყევით. ლამის ისე არ გაგისტუმრეთ სახლიდან?!  
მართლაც რომ მხდალი და სულელი ბებერი ვარ.

ფაბერმა კარი გააღო და ორივენი პატარა საწოლ  
ოთახში აღმოჩნდნენ. მაგიდაბე საბეინკლო იარაღები,  
ობობას ქსელივით წვრილი მავთულის ხვიები, ციცქა ზამ-  
ბარები, კოჭები და კრისტალები ელავა.

– ეს რა არის? – გაიკვირვა მონტეგმა.

– ჩემი საშინელი სიმხდალის დამამტკიცებელი. მე მრავა-  
ლი წელია ამ კედლებში ვცხოვრობ და მხოლოდ ჩემი  
ფიქრები მყავს მეგობრად. ელექტრო და რადიოხელსაწყ-  
ოებით ჩხირკედელაობა ჩემი ერთადერთი გასართობია.  
სწორედ ჩემი სიმხდალისა და ამავე დროს მეამბოხე სუ-  
ლის წყალობით შევქმნი აი, ეს!..

ფაბერმა მაგიდიდან ლითონის პატარა, მწვანე საგანი  
აიღო. იგი 22 კალიბრის ტყვიაზე დიდი არ იქნებოდა.

– ახლა საამისო თანხა სად ვიშოვე, არა? რაღა კითხვა  
უნდა, რომ ბირჟაზე ვთამაშობდი. ბირჟა ხომ უმუშევარ,  
არალოიალურად განწყობილ ინტელიგენტთა უკანასკნე-  
ლი იმედია. დიახ, ბირჟაზე ვთამაშობდი, შიშით ვკანკალებ  
და ველოდები, რომ ვინმე დამლაპარაკებელი გამომიჩნდეს.  
მე თვითონ ვერ ვბედავდი, ვინმეს გამოვლაპარაკებოდი.  
იმ დღეს, პარკში რომ მომიჯექით გვერდით, მივხვდი, რომ  
ოდესმე შემომივლიდით, მაგრამ მაშინ არ შემეძლო გა-

მომეცნო, ცეცხლს გამიჩენდით თუ მეგობრობას შემომთავაზებდით. ეს უკვე რამდენიმე თვის მოთავებული მაქვს, მაგრამ კინადამ ისე გაგიშვით შინ. აი, ასეთი მშიშარა ვარ.

— ეს ყურში დასამაგრებელ რადიომიმღებს წააგავს.

— ცოტათი სჯობს კიდეც! ეს აპარატი უსმენს! თქვენ რომ ყურში ჩაიდოთ, შემიძლია მხართემობე წამოვწვე, ბებერი ძვლებიც დავასვენო და მეხანძრეთა სამყაროსაც ვუსმინო. შემიძლია გავაანალიზო მონასმენი, აღმოვაჩინო მეხანძრეთა სუსტი მხარეები და თანაც არავითარ საფრთხეში არ ჩავიგდოთ თავი. მე სკაში ჩამჯდარი დედა ფუტკარი ვიქნები, თქვენ კი მუშა ფუტკარი, ჩემი მოძრავი ყური. მე ქალაქის ყოველ კუთხეში და ყოველნაირ ხალხში შემიძლია მქონდეს ყურები, რომ ყველას მოვუსმინო და დასკვნები გამოვიტანო. შეიძლება მუშა ფუტკარი დაიღუპოს, მაგრამ მე გადავრჩები. ასე რომ, რაც უნდა მშიშარა იყოს კაცი, მაინც გაბედავს ამის გამოყენებას, რადგან საფრთხე თითქმის არ ემუქრება. ხედავთ, რა მცირე რისკს ვეწევი? გიბდის დირსი ვარ, არა?!

მონტეგმა მწვანე ტყვია ყურში ჩაიდო, მოხუცმა მას მიპაპა და ტუჩები ააცმაცუნა:

— მონტეგ!

ხმა პირდაპირ მონტეგის ტვინში ისმოდა.

— დიახ, მე მესმის თქვენი.

მოხუცმა გაიცინა:

— მეც მშვენივრად მესმის.

ფაბერი ჩურჩულებდა, მაგრამ მონტეგს მკაფიოდ ესმოდა ყველაფერი.

— როცა დრო დადგება, წადით სახანძრო სადგურში. მე თქვენთან ვიქნები. მოდი, ერთად მოვუსმინოთ იმ თქვენს კაპიტანს. ვინ იცის, იქნებ ისიც ჩვენისთანაა, მე გიკარნახებ

სათქმელს. ერთი მაგრად შევახუროთ. მითხარით, ძალიან გეჯავრებით ამ მხდალთა აპარატის გამოგონებისთვის? აი, მე ამ ღამეში გგზავნით საბრძოლველად, თვითონ კი საფარში ვრჩები. ეს წყეული ყურები უშიშრად მოისმენენ ყველაფერს, თქვენ კი შეიძლება თავი წაგაცალონ.

— ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლია, — დაამშვიდა მონტეგმა და ბიბლია გაუწოდა, — აიღთ. მე შევეცდები სხვა წიგნი ჩავაბარო. ხვალ კი...

— ხვალ კი მე მოვინახულებ იმ უმუშევარ მბეჭდავს. ეს მაინც შემიძლია.

— ღამე მშვიდობისა, პროფესორო!

— ეს არ იქნება მშვიდობის ღამე, მონტეგ! მე მთელ ღამეს შენთან ვიქნები. აბებარ კოლოსავით ავტუბუნდები შენს ყურში, თუკი საჭირო იქნა, მაგრამ მაინც მშვიდობის ღამესა და წარმატებას გისურვებ.

კარი გაიღო და მიიხურა. მონტეგი კვლავ ჩაბნელებულ ქუჩაში იდგა, მთელი მსოფლიოს პირისპირ.

\* \* \*

იმ ღამით თითქოს ბეცაც საომრად ემბადებოდა. ორუბლები შეუჩერებლივ დაცურავდნენ წინ და უკან და მათ შორის, ხან აქ, ხან იქ, მტვრის დროშებივით მოჩანდა მიღიონთან ვარსკვლავი. ადამიანს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ცა სადაცაა ჩამოიქცევა, ქალაქს ნაცარტუტად აქცევს, მთვარე კი უბარმაზარ ხანძრად აბრიალდებათ. აი, ასეთი იყო ის ღამე.

მონტეგი მეტროდან ამოვიდა. ჯიბეში ფული ედო (ფული ბანკიდან გამოიტანა, რომელიც მთელ ღამეს მუშაობდა. ბანკში ადამიანთა ნაცვლად რობოტები ემსახურებოდნენ კლიენტებს).

მონტეგს ცალ ყურში ნიჟარარადით ედო და სიარულის  
დროს გადაცემას უსმენდა:

„ჩვენ მობილიბაცია გავუკეთეთ ერთ მილიონ კაცს. თუ  
ომი დაიწყო, ჩვენ სწრაფად გავიმარჯვებთ“... დიქტორის  
ხმა საიდანდაც მოვარდნილი მუსიკის ნიაღვარში ჩაიძირა...

— ათი მილიონია მობილიბული; მაგრამ ეგენი ერთ  
მილიონს აცხადებენ, რომ ხალხი არ აღმფოთდეს, — ჩას-  
ჩურჩულა ფაბერმა მეორე ყურში.

— ფაბერი ბრძანდებით?

— დიახ, გისმენთ!

— მე არ ვფიქრობ, მხოლოდ ბრძანებას ვასრულებ,  
როგორც ყოველთვის. თქვენ მითხარით, ფული გამოიტა-  
ნეთ და მეც გამოვიტანე, ისე, რომ უარი არც კი გამივლია  
თავში. ჩემი გონება როდისღა ამუშავდება?

— უკვე ამუშავდა, რადგან ასე მსჯელობთ, ოღონდ ჯერ  
მე უნდა მომენდოთ.

— მე იმათაც ვენდობოდი.

— მერედა, ხომ ხედავთ, რა დღეში ჩავარდით. ახლა ერთხ-  
ანს ბრმასავით იბორიალებთ, მაგრამ მე მაღე გამოგი-  
წვდით ხელს.

— სულ არ მინდა, რომ მიმართულება შევიცვალო და  
მერე მაინც სხვის დაკრულზე ვიცეკვო. მაშინ რაღა აჩრი  
ექნება თქვენს მხარეზე გადმოსვლას?

— აი, თქვენ უკვე დაბრძენდით.

მონტეგმა ფეხქვეშ ნაცნობი ქვაფენილი იგრძნო...

ფეხებს იგი შინისკენ მიჰყავდა.

— განაგრძეთ, პროფესორო!

— გინდათ, რაიმე წაგიკითხოთ? მე ისე წავიკითხავ, რომ  
დაგამახსოვრდეთ. მე მხოლოდ ხუთი საათი მძინავს დამე-  
ში და აღარ ვიცი, დრო როგორ მოვკლა. თუ გინდათ, ყოველ-

ღამე წაგიკითხავთ. ამბობენ, მძინარე კაცი ყველაფერს იმახსოვრებს, თუკი ჩურჩულით ელაპარაკებიანო.

— მინდა!

— დავიწყოთ, — შორს, ქალაქის მეორე კიდეში სუსტად აშრიალდა წიგნის ფურცლები, — იობის წიგნი!

მთვარე ამოვიდა. მონტეგი ნელა მიაბიჯებდა ქვაფენილზე და უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს.

\* \* \*

საღამოს ცხრა საათზე, როცა მონტეგი მსუბუქ ვახშამს ამთავრებდა, შემოსასვლელმა კარმა სტუმრების მოსვლა ამცნო მასპინძლებს. მილდრედი სასტუმრო ოთახიდან გამოვარდა და ისე სწრაფად ეცა კარს, თითქოს თავი ვეტუვის ამოფრქვევისგან უნდა იხსნასო. სტუმრები მისის ფელპსი და მისის ბაჟელსი აღმოჩნდნენ. თან თითო მარტინი მოეყოლებინათ. ქალები ისე ჩაინთქნენ სასტუმრო ოთახში, გეგონებოდათ, კრატერში ჩაცვივდნენო. მონტეგმა ჭამა შეწყვიტა. ეს ქალები უბარმაზარ ბროლის ჭადებს ჰგავდნენ, რომლებიც გამუდმებით წერუნობდნენ ხოლმე. მონტეგი თითქოს კედლის მიღმაც ხედავდა, რომ ქალები ჩეშირული კატებივით იღიმებოდნენ.

სასტუმრო ისე გრუხუნებდა, რომ სტუმრები იძულებული იყვნენ, კივილით მისალმებოდნენ მილდრედს.

მონტეგი საჭმლის ღეჭვით მიუახლოვდა სასტუმრო ოთახს და კართან გაჩერდა.

— რა შესანიშნავად გამოიყურებით!

— მართლაც შესანიშნავად!

— შენ ბრწყინვალედ ყოფილხარ, მილი!

— მართლაც ბრწყინვალედ ყოფილა!

— ყველანი მშვენივრად გამოვიყურებით!

- ნამდვილად მშვენივრად გამოვიყურებით!
- მონტეგი იდგა და თვალს არ აშორებდა მათ.
- მშვიდად იყავით, მონტეგ, – დაარიგა ფაბერმა.
- მე აქ არ უნდა ვიყო, – თითქმის თავისთვის ჩაიჩურ-ჩულა მონტეგმა, – ახლა თქვენთან უნდა მოვდიოდე ჩემი ფულიანად.

– ხვალაც მოესწრება. ფრთხილად იყავით!

– გასაოცარი სანახაობაა! – წამოიკივლა მილდრედმა.

ერთ-ერთ კედელზე ვიღაც ქალი თან იღიმებოდა, თან ფორთოხლის წვენს სვამდა.

„როგორ ახერხებს ორივეს“, – გაბრაზდა მონტეგი. დან-არჩენი კედლები რენტგენის აპარატად ქცეულიყო და ჩანდა, როგორ მიემართებოდა ეს გამაგრილებელი სასმელი იმ ქალის საყლაპავი მილით მოუთმენლად მომლოდინე კუჭისკენ.

უცებ სასტუმრო ოთახმა რეაქტიული თვითმფრინავის ფრთები გამოისხა და ღრუბლებში შეინავარდა, შემდეგ კი ზღვის მწვანე ტალღებში ჩაყვინთა, სადაც წუთის შემდეგ სამი თეთრი, დაღრეჯილი ტაკიმასხარა ერთმანეთს ხელ-ფეხს აჭრიდა. ამ სანახაობას თავშეუკავებელი ხარხარის ტალღა მოსდევდა. კიდევ ორი წუთი და ოთახი ქალაქგარეთ აღმოჩნდა, სადაც წარმოუდგენელი სისწრაფით უფლიდნენ ავტოდრომს რეაქტიული ავტომობილები. ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, უკან იხევდნენ და მერე კვლავ ეჯახებოდნენ. მონტეგმა დაინახა, როგორ ავარდა ჰაერში რამდენიმე კაცი.

– მილი, დაინახე, რა მოხდა?

– კი, დავინახე!

მონტეგმა კედელს გააყოლა ხელი და მთავარი ჩამრთველი გადააბრუნა. გამოსახულება გაქრა. თითქოს

უბარმაზარი ბროლის აკვარიუმიდან, რომელშიც გაგიქვებული თევზები დაქროდნენ, ვიღაცამ წყალი გაუშვაო.

სამივე ქალმა ნელ-ნელა მიაბრუნა სახე მონტეგისკენ, სამივემ დაუფარავი ბრაზითა და სიძულვილით დაუწყო მჩერა.

— თქვენი ვარაუდით, ომი როდის უნდა დაიწყოს? — ჰკითხა მონტეგმა სტუმრებს, — ვხედავ, რომ ქმრები არ მოგყვნენ თან.

— ოჰ, ისინი მოდიან და მიდიან, მოდიან და მიდიან, — ადადღანდა ფელპსი, — შემოვლენ, გავლენ, შემოვლენ, გავლენ... ჰიტი გუშინ ჯარში გაიწვიეს. შინ იმ კვირას დაბრუნდება. იქ ასე უთხრეს, მოკლე ომი იქნება. სულ ორმოცდარვა საათი და ყველა შინ დაბრუნდებაო. აი, ასე უთხრეს ჯარში. მოკლე ომი იქნებაო. ჰიტი გუშინ გაიწვიეს და უთხრეს, — იმ კვირას შინ იქნებიო. მოკლე ომი...

სამივენი მოუსვენრად ცმუკავდნენ სკამზე და ნერვიულად მიშტერებოდნენ ცარიელ, ტალახისფერ კედლებს.

— მე სულაც არ მაწუხებს ეს ამბავი. ჰიტმა იდარდოს! — ქალმა ჩაიხითხითა, — მე რა მენაღვლება, თვითონ იკითხოს. მე სულ არ ვწუხვარ...

— სწორედაც იქცევი, — მოუწონა მილდრედმა, — თავისი საქმე თვითონ იდარდოს! ყოველთვის სხვისი ქმარი კვდებაო, ამბობენ.

— ჰო, ეგ მეც მოვისმინე. მე არასოდეს გამიგია, რომ ომში დაღუპულიყოს ვინმე, ფანჯრიდან გადმომხტარი კი ბევრი მინახავს. აი, გლორიას ქმარიც ხომ გადმოხტა გასულ კვირას. ომში კი არავინ იღუპება.

ომში არავინ იღუპება, — კვერი დაუკრა ფელპსმა, — ასეა თუ ისე, მე და ჰიტმა მოვილაპარაკეთ: არავითარი ცრემლები და არაფერი ამის მსგავსი არ იყოს. მეც მესამედ

ვარ დაქორწინებული და პიტიც. ორივენი დამოუკიდებელნი ვართ. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ მთავარია, შენი თავის ბატონ-პატონი იყო. პიტმა მითხვა, თუ მომკლავენ, შენ არ იგირო, მაშინვე გათხოვდი და ჩემზე აღარ იფიქროთ.

— მართლა, მაგაბე გამახსენდა, — ჩაურთო მილდრედმა, — ნახეთ, წუხელ კლარა დავის ხუთწუთიანი რომანი? ჰოდა, იქ ერთი ქალია, რომელიც...

მონტევი მდუმარედ მისჩერებოდა ქალებს და ახსენდებოდა ბავშვობაში ნანახი წმინდანები, რომელიდაც უცხო რჯულის ეკლესიის კედლებზე რომ იყო დახატული. იმ არსებათა მომინანქრებული სახეები არაფერს ეუბნებოდა ბავშვს, თუმცა თვითონ დიდხანს იდგა და ესაუბრებოდა მათ.

მონტევი ცდილობდა გასცნობოდა და შენივთებოდა ამ უცხო რჯულს, ცდილობდა ბლომად შეესუნთქა იქაური მტვერი და საკმეველი. ეგონა, თუ ეს მტვერი და საკმეველი ფილტვებიდან სისხლში გადავიდოდა, იგი შეიგრძნობდა და შეიცნობდა ამ ფერად-ფერადი, ფაიფურისთვალებიანი, ლალივით წითელტუჩება მამაკაცებისა და ქალების სულს. მაგრამ მონტევს არაფერი გამოუვიდა. სრულიად არაფერი! იგი თითქოს უცხოურ მაღაზიაში იყო, სადაც მისი ფული არ გადიოდა. ბავშვმა ხელიც მოუსვა წმინდანებს სახეზე, მაგრამ მაინც ვერ აღეგზნო — წმინდანები თიხისა და თაბაშირისგან იყვნენ შექმნილნი.

ახლაც ასე გრძნობდა თავს აქ, თავის საკუთარ სასტუმრო ოთახში. უმბერდა ამ სამ ქალს, რომლებიც მოუსვენრად ცმუკავდნენ სკამზე, ქაჩავდნენსიგარეტს და კვამლს ბოლქვა-ბოლქვად უშვებდნენ ჰაერში. ისინი ხან გამოხუნებულ თმას ისწორებდნენ, ხან კი ფრჩხილებზე იმზირებოდნენ, რომელთაც თითქოს მონტევისთვალებიდან მო-

ეტაცათ სიწითლე. ქალები ძალიან შეაწუხა ამ დაძაბულმა სიჩუმემ და როცა მონტეგმა, როგორც იყო, ჩაყლაპა ბოლო ლუკმა, სამივენი წინ გადაიხარნენ და მოუთმენლად მიუგდეს ყური მის სწრაფ სუნთქვას.

სამი ცარიელი კედელი სამი გოლიათის შუბლს წააგავდა. ამ გოლიათებს თითქოს უსიმრო ძილით ეძინათ. მონტეგს მოეჩვენა, რომ ეს შუბლები მღამე თფლით იყო დაცვარული. რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა სიჩუმე, მით უფრო მეტი თფლი მოსდიოდათ გოლიათებს, მით უფრო იძაბებოდა იქაურობა და იგრძნობოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი თრთოდა, ჰაერი, კედლები, მოუთმენლობისგან შეშლილი ქალები. ყოველწამს მოსალოდნელი იყო, რომ ეს ყველაფერი ხმამაღლა აშიშინდებოდა და გასკდებოდა.

— მოდი, ვისაუბროთ, — ამოიდგა მონტეგმა ენა.

ქალები შეკრთხენ და მონტეგს მიაჩერდნენ.

— როგორ არიან თქვენი შვილები, მისის ფელპს?

— თქვენ ხომ იცით, რომ შვილები არ მყავს! აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იყოლიებს შვილებს, — წამოიძახა მისის ფელპსმა, რომელიც თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რატომ ანერვიულებდა ამ კაცის ყურება.

— მე სხვა აზრის ვარ, — ჩაერია საუბარში მისის ბაუელსი, — მე ორი შვილი მყავს, ოღონდ ორივეჯერ საკეისრო გავიკეთე. მაში იმ ტანჯვა-წამებას ხომ არ გადავიტანდი ღლაპის გულისთვის? ხალხი ხომ უნდა გამრავლდეს, ადამიანთა მოდგმა ხომ არ უნდა ამოწყდეს. გარდა ამისა, ბავშვები ხანდახან მშობლებს ემგვანებიან და ეს ძალიან კარგია. ორი საკეისრო კვეთა და მორჩა! ჩემმა ექიმმა მითხვა: გაკვეთა აუცილებელი არ არის, მენჯები კარგი გაქვს, ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობსო, მაგრამ მე დავიკინე.

- საკეისროთი გაჩნდნენ თუ ისე, ბავშვები მაინც საშინელებაა. რად გინდოდა შვილები, თუ სულელი არ ხარ?
- დაგესლა იგი მისის ფელპსმა.

— ორივენი სკოლაში გავყარე და ათ დღეში ერთხელ მოდიან შინ. ასე რომ, თვეში სამ დღეს ვნახულობ. ამას გაუძლებს კაცი, რადგან მაშინაც სასტუმრო ოთახში შევყრი და კედლებს ჩავურთავ ხოლმე. ისეა, როგორც ტანსაცმელი გარეცხო: ჩაყრი სარეცხ მანქანაში და თავს დაახურავ! მეტი არაფერია საჭირო, — მისის ბაუელსმა ჩაიხითხითა, — კოცნას არც კი იფიქრებენ, — უფრო იმას ცდილობენ, თავში წამითაქონ. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით შემიძლია ხურდა დავუბრუნო.

ქალებმა გულიანად გადაიხარხარეს.

მილდრედი ცოტა ხანს ჩუმად იჯდა. მერე, როცა დაინახა, მონტეგი კვლავ კარში დგას და წასვლას არ აპირებსო, ტაში შემოჰკრა და შესძახა:

— მოდი, პოლიტიკაზე ვისაუბროთ, გაის ესიამოვნება.

— ძალიან კარგი იქნება, — დაუჭირა მხარი მისის ბაუელსმა, — წინა არჩევნებზე მეც და სხვებმაც, რა თქმა უნდა, ნობლს მივეცით ხმა. ჩემი აბრით, იგი ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მამაკაცია, ვინც კი ოდესმე პრეზიდენტი გამხდარა.

— მართალია. გახსოვთ, ის კაცი როგორი იყო, ნობლის მეტოქედ რომ გამოიყვანეს?

— კარგი ვინმე კი იყო, არა? უბრალო, დაბალი, შეუხედავი მამაკაცი ჩანდა და არც გაპარსული და დავარცხნილი იყო, როგორც წესი და რიგია.

— რა ჭკუაში მოუვიდა ოპოზიციას მისი წამოყენება? შეიძლება იმ ახოვან მამაკაცს ასეთი ცეროდენა დაუპირისპირო? გარდა ამისა, ბლუც იყო, ნახევარი ვერ გავიგონე

მისი ნალაპარაკევი და რაც გავიგონე, ისიც ვერ გავიგე.

— სქელიც არის და არც კი ცდილობს ისე ჩაიცვას, რომ გამხდარი გამოჩნდეს, რაღა გასაკვირია, რომ დიდმა უმრავლესობამ უინსტონ ნობლს მისცა ხმა. აქ სახელებმაც იქონია გავლენა. აბა, შეადარე „უინსტონ ნობლი“ „პიუ-ბერტ ჰოუგს“ და ყველაფერი გასაგები გახდება.

— დასწყევლოს ღმერთმა! — გაბრაზდა მონტეგი, — თქვენ რას იცნობთ ან ჰოუგს, ან ნობლს!

— რაფომ? ორივენი ვნახეთ სასტუმრო ოთახის კედლებზე! იმის მერე სულ ექვსი თვე გავიდა. ჰოუგი სულ ცხვირში იტენიდა თითს. პირდაპირ გავცოფდი.

— ჰოდა, მისტერ მონტეგ, გინდოდათ ამისთანა კაცისთვის მიგვეცა ხმა? — ჰკითხა ფელპსმა.

— ნუ გვაბრაზებ, მონტეგ, და კარს მოშორდი, — ღიმილით უთხრა მილდრედმა.

მონტეგმა სიტყვის დამთავრება არც კი აცალა, დერუფანში გავიდა და მაშინვე მობრუნდა უკან. ხელში წიგნი ეჭირა.

— გაი!

— ჯანდაბას ყველაფერი, ჯანდაბას, ჯანდაბას!

— ეგ რა გიჭირავთ ხელში? ნუთუ წიგნია? მე კი მეგონა, ყველა სპეციალური სწავლება კინოფილმების საშუალებით წარმოებდა, — მისის ფელპსი დაბნეულად ახამხამებდა თვალებს, — თქვენ სახანძრო საქმის თეორიას სწავლობთ, არა?

— თეორია ჭირს წაუღია. ეს ლექსებია!

— მონტეგ... — გაისმა ჩურჩული.

— თავი დამანებეთ! — მონტეგმა იგრძნო, რომ რაღაც უბარმაზარ მოგუგუნე და მოზუგუნე მორევში ტრიალებდა,

— მონტეგ, თავი შეიკავე, ნუ...

— გესმოდათ ამათი ლაპარაკი, ფაბერ? გაიგეთ, რას ამბობდნენ ეს ურჩხულები სხვა, თავიანთ მსგავს ურჩხულებები? ო, ღმერთო! რას არ ჩმახავდნენ ადამიანებზე, შვილებზე, საკუთარ თავზე. როგორ იხსენიებდნენ თავიანთ ქმრებს, როგორ წარმოუდგენიათ ომი.

— დასწყიერებლოს ღმერთმა, მე ჩემი ყურით ვისმენდი და არ მჯეროდა!

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე ერთი სიტყვაც არ მითქვამს ომზე, — თქვა მისის ფელპსმა.

— მე სასტიკად მძულს ლექსები, — დაამატა მისის ბაუელსმა.

— ოდესმე მოგისმენიათ თუნდაც ერთი ლექსი?

— მონტეგ! — ფაბერის ხმა ყურში უფხაჭუნებდა მონტეგს,

— თქვენ ყველაფერს დაღუპავთ. გაჩუმდით, სულელო! ქალები ფეხზე წამოცვივდნენ.

— დასხედით!

სამივენი დასხდნენ.

— მე შინ მივდივარ! — აკანკალებული ხმით წარმოთქვა მისის ბაუელსმა.

— მონტეგ, მონტეგ, გევედრები! ღვთის გულისათვის! რას სჩადიხართ! — თითქმის ტიროდა ფაბერი.

— ვითომ რა მოხდება, ერთი ლექსი რომ წაგვიკითხოთ მაგ პატარა წიგნიდან? — იკითხა მისის ფელპსმა, — მე მგონი, ძალიან საინტერესო იქნება.

— ეს კანონის დარღვევა იქნება, — აკივლდა მისის ბაუელსი, — ამას არ ჩავიდენთ!

— ჰო, მაგრამ აბა შეხედე მისტერ მონტეგს. როგორ ეტყობა, რომ ძალიან უნდა წაგვიკითხოს. თუ ყურადღებით მოვუსმენთ, კმაყოფილი დარჩება და მერე შეგვეძლება სხვა რამე გავაკეთოთ.

მისის ფელპსმა შეწუხებულმა მოავლო თვალი დაცარ-იელებულ კედლებს.

— მონტეგ, თუ ამას ჩაიდენთ, მე გამოვითიშები. დაგ-ტოვებთ! — ზუბუნებდა ყურში კოლო, — აბა, რა გამოგივათ, რას დაამტკიცებთ?!

— ხომ შევაშინებ? ისე შევაშინებ, რომ თვალთ დაუბ-ნელდეთ!

მილდრედმა ოთახი მოათვალიერა და ჰკითხა:

— კი, მაგრამ, ვის ელაპარაკები, გაი!

მონტეგს ტვინში ვერცხლის ნემსი ჩაერჭო:

— მისმინეთ, მონტეგ! მხოლოდ ერთი გამოსავალი დარ-ჩა: ყოველივე ხუმრობაში გაატარეთ, მიაფუჩეჩეთ, ისე მოაჩვენეთ თავი, ვითომ სულ არა ხართ გაბრაზებული, მერე მიღით ნაგვის ღუმელთან და წიგნი შიგ შეაგდეთ.

მაგრამ მილდრედმა დაასწრო და აკანკალებული ხმით დაიწყო:

— ქალბატონებო, ყოველ მეხანძრეს ნება ეძლევა წელი-წადში ერთხელ ერთი ძველი წიგნი მიიგანოს შინ, რათა აჩვენოს თავის ოჯახს, თუ რა სისულელე იყო წიგნები, როგორ აღიბიანებდა ადამიანებს და როგორ მიჰყავდა ისინი სიგიჟემდე. გაის უნდა სიურპრიზი მოგიწყოთ ამა-ღამ: იგი აპირებს, ერთი რამ წაგიკითხოთ იმის დასამტკი-ცებლად, თუ რა არეულობა სუფევდა წინათ. ამის მერე არც ერთი ჩვენგანი აღარ ჩაიყრის თავში ამ ნაგავს. ასე არ არის, ძვირფასო?

მონტეგმა მაგრად მოუჭირა წიგნს ხელი.

— თქვით „დიახ“! — მოესმა ფაბერის ხმა და მონტეგმაც მაშინვე გაიმეორა:

— „დიახ!“

მილდრედმა სიცილით გამოსტაცა ხელიდან წიგნი:

— აი, ეს წაიკითხე. არა ეს არა, ეს სასაცილო ლექსი წაიკითხე, დღეს რომ მიკითხავდი ხმამაღლა. თქვენ ერთ სიტყასაც ვერ გაიგებთ, ჩემი კარგებო. სულ აბდაუბდაა. დაიწყე, გაი! აი, ამ გვერდზეა, ძვირფასო!

მონტეგმა გადაშლილ გვერდს დახედა. ყურში ბუბმა შეაქანა ფრთები:

— წაიკითხე!

— რა პქვია ლექსს, ჩემო ძვირფასო?

— „დუვრის სანაპირო“, — უპასუხა მონტეგმა და ხმა ჩაუწყდა.

— პოდა, წაიკითხე გამოთქმით, ხმამაღლა არ აჩქარდე...

ოთახში ხვატი იდგა. მონტეგი ხან ცეცხლი იყო, ხამ ყინვა. ოთახი თითქოს უდაბნოდ ქსეულიყო. უდაბნოს შეაგულში სამი სკამი იდგა, რომლებზეც ქალები ისხდნენ. მონტეგი წინ ედგა მათ, აქეთ-იქით ირწეოდა და იცდიდა, ვიდრე მისის ფელპსი ტანსაცმელს გაისწორებდა და მისის ბაუელსი თითებით თმის ვარცხნას მორჩებოდა. მერე ხმადაბლა, ბორძიკით დაიწყო კითხვა. ხმა თანდათან გაუმტკიცდა და მალე ეს ხმა მთელ უდაბნობზე, თეთრ სიცარიიელებზე, ხვატსა და უდაბნოში მსხდომ ქალებზე გაბატონდა.

გლვა რწმენისა

სავსე იყო ოდესადაც და დედამიწის მრუდე ნაპირს

მოელვარე მოსასხამის ნაოჭებად ეტმასნებოდა.

მაგრამ ახლა,

წუთისოფლის თვალუწვდენელ ველებიდან მოვარდნილი,

დამეული ქარით უკუმიქცეული -

უკაცრიელ ქარაფებთან

შემჩარავად გაშიშვლებულ ნაპირებს აჩენს.

ქალები მოუსვენრად აწრიალდნენ. მონტეგმა განაგრძო:

ო, ძვირფასო, ერთმანეთის ერთგულნი ვიყოთ!

წუთისოფელს ხომ, საოცნებო ქვეყანას რომ ჰგავს -

ეგზომ მშვენიერს, სანუკვარს და მრავალფეროვანს,

სინამდვილეში არც სიყვარული აბადია, არც სიხარული, არც მშვიდობა, სიმტკიცე და გულმოწყალება.

და ჩვენ აქ ვართ, ამ ბინდით მოცულ უდაბურ ველზე,

რომელსაც ბოგჯერ გაქცეულთა განგაშის ხმა და

ბრძოლის ეინით ანთებულთა ყიჯინა იპყრობს:

ველზე, სადაც ღამის ბნელში ერთმანეთის პირისპირ მდგარნი

ვერც კი ხედავენ და ვერ სცნობენ ერთურთის სახეს.

მისის ფელპსი ტიროდა.

უდაბნოს დანარჩენი ბინადარნი უხმოდ უსმენდნენ და თვალს არ აშორებდნენ ტირილისგან დამახინჯებულ მე-  
გობრის სახეს. ისინი ვერ ბედავდნენ, ხელი შეეხოთ მის-  
თვის. ორივეს თავბარი დასცა გრძნობათა ამ უცნაურმა  
აფეთქებამ. მისის ფელპსი თავშეუკავებლად ქვითინებდა.  
თვითონ მონტეგიც გაოცებული და თავბარდაცემული იყო.

— ჩუ, ჩუ, კლარა, — დაუწყო დამშვიდება მილდრედმა, — დაწყნარდი, ნუ ტირი, რა მოგივიდა?

— მე, მე... არ ვიცი, არა, არაფერი არ ვიცი. უუ, უუ, — ქვითინებ-  
და მისის ფელპსი.

მისის ბაუელსი ფეხზე წამოდგა და მრისხანედ მიაჩერ-  
და მონტეგს:

— აი, ხედავთ?! ვიცოდი, ასე მოხდებოდა! აი, სწორედ ამა-  
ში მინდოდა დავრწმუნებულიყავი. ვიცოდი, რომ ამას ვერ  
ავცდებოდით. მე ყოველთვის ვამბობდი: „პოეზია და ცრემ-  
ლები, პოეზია და თვითმკვლელობა, პოეზია და ღრიალი და  
ცედი განწყობილება“. სისულელეა და მეტი არაფერი! ახლა  
ხომ ჩემი თვალით ვნახე. თქვენ საბიზლარი ადამიანი ყო-

ფილხართ, მისტერ მონტეგ, საზიმდარი!

— ახლა კი... — დაიჩურჩულა ფაბერმა.

მონტეგი მიბრუნდა, კედელს მიადგა და წიგნი სპილენძის წნელებით დაფარულ, ანთებული ღუმლის ჭრილში შეაგდო.

— სულელური სიტყვებია, საშინელი, გულის დამღალავი!  
— განაგრძო მისის ბაუელსმა, — რა საჭიროა, ადამიანებმა გული მოუკლან ერთმანეთს? განა ცოტაა შესაწუხებელი ამქვეყნად, რომ კიდევ ეს სისულელე არ მივიმატოთ სატანჯველად!

— კლარა, გეყოფა, კლარა, — ევედრებოდა მილდრედი და მკლავში ექაჩებოდა, — მოდი, ვიმხიარულოთ, „ნათესავები“ ჩაერთოთ, ვიცინოთ, ვიბედნიეროთ. დამშვიდდი, ნუ ტირი, მოდი, ქეიფი მოვაწყოთ!

— არა, არა, — თქვა მისის ბაუელსმა, — მე ახლავე შინ მივდივარ. თუ მოხვალთ, ჩემი სახლისა და „ნათესავების“ სანახავად, კეთილი და პატიოსანი, მე კი ჩემს დღეში აღარ მოვალ ამ გადარეულ სახლში!

— წადით, — მონტეგი ჯიქურ მიაჩერდა სახეში სტუმრებს,  
— წადით და იფიქრეთ თქვენს პირველ ქმარზე, რომელსაც გაეყარეთ, მეორე ქმარზე, რომელიც რეაქტიული მანქანის ავარიაში მოჰყვა, მესამე ქმარზე, რომელიც მალე დაანთხევს ტვინს. წადით და იფიქრეთ, რამდენი აბორტი გაგიკეთებიათ, იფიქრეთ საკეისროებბზე, შვილებბზე, რომლებსაც თვალის დასანახავად ეჯავრებით. წადით და ჩაუფიქრდით, თუ როგორ მოვედით აქამდე და რა გააკეთეთ, რომ ასე არ მომხდარიყო. წადით, დამტოვეთ! — უკვე ღრიალებდა მონტეგი, — მალე, სანამ ცემით არ გამიგდიხართ გარეთ!

კარი გაჯახუნდა და სახლში სიჩუმე დამკვიდრდა. მონტეგი მარტოდმარტო იდგა გაყინულ სასტუმრო ოთახში,

რომლის კედლებს თითქოს გაჭუჭყიანებული თოვლის ფერი ედო.

სააბაზანოში ონკანი მოუშვეს. მილდრედი ხელისგულზე იბერტყავდა დასაძინებელი წამლების ფლაკონს.

— სულელი ყოფილხარ, მონტეგ, სულელი, სულელი. ო, ღმ-ერთო, რა სულელი...

— გაჩუმდით! — მონტეგმა სწრაფად გამოიძრო ყურიდან მწვანე ტყვია და ჯიბეში ჩაიდო, მაგრამ იგი ჯიბეშიც განაგრძობდა ბუზუნს — „სულელი, სულელი, სულელი“.

\* \* \*

მონტეგმა მთელი ბინა გადააქოთა და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა წიგნები. მილდრედს მაცივრის უკან შეეტენა ისინი. რამდენიმე ცალი აკლდა და მიხვდა, რომ ცოლს ნელ-ნელა დაეწყო დინამიტის გაფანა სახლიდან. მაგრამ მონ-ტეგი არ გაბრაზებულა. იგი მხოლოდ დადლილობას გრძნობდა და თავის თავს ეკითხებოდა — ეს რატომ ჩავ-იდინეო.

მონტეგმა ეზოში გაიტანა წიგნები და ღობის ძირას ბუჩქებში ჩამალა.

„მარტო ამაღამ დავტოვებ, თორემ იქნებ მილდრედმა დღესაც გააგრძელოს წიგნების დაწვა“, — გაიფიქრა და შინ დაბრუნდა, ჩაბნელებულ საწოლ ოთახს მიადგა, ცოლს გაეხ-მაურა, მაგრამ არავინ უპასუხა.

მონტეგმა მინდორი რომ გადაჭრა და სამსახურისკენ გაემართა, შეეცადა თვალი აერიდებინა კლარისა მაკლე-ლანის ბინის ფანჯრებიდან გამომავალი უკუნეთი სიბნელ-ისთვის.

როცა მიწისქვეშა მატარებელში ჩაჯდა, მიხვდა, რომ სულ მარტო დარჩენილიყო თავის საშინელ შეცდომასთან და

გულით მოუნდა ამაღამ კვლავ შეეგრძნო ის საოცარი სითბო და გულითადობა, რომელსაც ფაბერის მეგობრული, სუსტი ხმა ანიჭებდა. მონტეგს სულ რამდენიმე საათის ნაცნობობა აკავშირებდა ფაბერთან, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ მთელი სიცოცხლე ერთად გაეტარებინათ.

ახლა მონტეგმა იცოდა, რომ მის არსებაში ორი ადამიანი დამკვიდრებულიყო: ერთი – მონტეგი, რომელსაც არაფერი, თვით საკუთარიუვიცობაც კი არ ჰქონდა შეცნობილი და მხოლოდ გუმანით ხვდებოდა, რომ უვიცი იყო და მეორე – მოხუცი მამაკაცი, რომელიც ამჟამად ესაუბრებოდა მას და არც მაშინ შეწყვეტდა საუბარს, როცა პნევმატური მატარებელი ერთი ხანგრძლივი ამოსუნთქვით გააქროლებდა ჩაბნელებული ქალაქის ერთი თავიდან მეორეში. იგი არც მომდევნო დღეებში დაანებებდა თავს და დამეებსაც მონტეგთან გაატარებდა. სულერთია, ეს დამეები უკუნეთი იქნებოდა თუ მთვარის შექით განათებული. მოხუცი არ მოშორდებოდა და თანდათან, ნამცეც-ნამცეც დაიწყებდა მონტეგის ცოდნის საგანძურის შევსებას.

ბოლოს, როცა იქნება, ეს საგანძურიც აივსება და მონტეგი სულ სხვა ადამიანად გადაიქცევა. ასე უთხრა იმ მოხუცმა. ასეთი დაპირება მისცა. მაშინ მონტეგს ფაბერი დაემატება – ანუ ცეცხლს წყალი და მერე, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ყველაფერი ერთმანეთში აირევა, დადუღდება და დაცხრება, წყლისა და ცეცხლის ნაცვლად დვინო გაჩნდება. ორი სხვადასხვანაირი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ნივთიერებისგან მესამე წარმოიშობა. და დადგება დღე, როცა მონტეგი უკან მოიხედავს და მიხვდება, თუ რა უვიცი ყოფილა აქამდე. ახლაც კი გრძნობს, რომ უკვე დაიწყო ეს ხანგრძლივი მოგზაურობა, გრძნობს, თუ როგორ ცდილობს გაექცეს საკუთარ თავს.

ო, რასასიამოვნო იყო ამ ხოჭოსა თუ კოლოს ბზუილი, ეს დახვეწილი, ბებრუელი ხმა. იგი ჯერ ლანძღავდა, შემდეგ კი ამშვიდებდა მონტეგს, რომელიც ამ შუალამისას მიწისქვეშა დახუთული სადგურიდან ამოვიდა და კვლავ მეხანძრეთა სამყაროში მოხვდა.

— შეიცოდეთ ეგენი, მონტეგ, შეიცოდეთ, ნუ დასცინით, ნუ ჩააცივდით. სულ ახლახან თქვენც მაგნაირი იყავით. მაგათ ღრმად სწამთ, რომ ეს ქვეყანა მუდამ ასე იქნება. მაგათ არ იციან, რომ ეს დიდი თვალწარმტაცი მეტეორი, რომელიც ალმოდებული მიქრის სამყაროს სივრცეში, ოდეს-მე რაიმეს დაეჯახება და ჩაქრება. ჯერ კი ისინი მხოლოდ კაშკაშს ხედავენ, თვალწარმტაც მხიარულ ალს, ოდესლაც შენც სხვას ვერაფერს ამჩნევდი.

იმ მოხუცს, მონტეგ, რომელიც შემინებული იმალება შინ და თავის საცოდავ ძვლებს უფრთხილდება, უფლება არა აქვს სხვას ჭკვა დაარიგოს, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ კინალამ ჩანასახშივე ჩაკალით ჩვენი წამოწყებული საქმე. ამის შემდეგ მაინც გაფრთხილდით. გახსოვდეთ, რომ მე მუდამ თქვენთან ვარ. მესმის, როგორ მოხდა ყველაფერი და გულახდილად უნდა გითხრა, რომ თქვენმა რისხვამ გამამხნევა კიდეც. ღმერთო, რა ახალგამრდად ვიგრძენი მაშინ თავი! მაგრამ ახლა მინდა, რომ თქვენც მოხუცი იყოთ, მინდა ჩემი სიმხდალის ნაწილი გადმოგდოთ. ამაღამ ფრთხილად იყავით. იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, როცა კაპიტან ბიჭის გვერდით იქნებით, ეცადეთ სულ ფეხის წვერებზე იაროთ, საშუალება მომეცით მოვუსმინო, მდგომარეობა ავწონ-დავწონ. ჩვენთვის მთავარია, ცოცხლები დავრჩეთ. დაივიწყეთ ის საცოდავი გამოშტერებული ქალები...

— მგონი ასე უბედურად არასოდეს უგრძნიათ თავი. მე თვითონ შევძრწუნდი, როცა მისის ფელპსის ტირილი გავ-

იგონე. იქნებ ისინი არც ტყუიან, იქნებ არ ლირდეს, პირდაპირ შეხედო ამ ცხოვრებას. ვინც იცის, მართლაც სჯობდეს, დახუჭო თვალები და მხიარულების მორევში გადაეშვა. არ ვიცი, მე კი თავს დამნაშავედ ვგრძნობ და...

— არა, მაგას ნუ იფიქრებ! ომები რომ არ არსებობდეს, ქვეყნად რომ მშვიდობა სუფევლეს, მე თვითონ გეტყოდით, დრო გაატარეთ-მეთქი, მაგრამ თქვენ არ შეიძლება კვლავ მეხანძრედ იქცეთ. ქვეყნად ჯერ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი.

მონტეგს შუბლზე ოფლმა დაასხა.

— მისმენთ, თუ არა, მონტეგ?

— რა მემართება, — ჩაიდუღუნა მონტეგმა, — ფეხები არ მემორჩილება. ეს რა დღეში ვარ! ნაბიჯი ვეღარ გადავდგი!

— მისმინეთ, მონტეგ! დამშვიდდით, — დაიჩურჩულა მოხუმა, — მესმის, ვხვდები, რაც გემართებათ. თქვენ გეშინიათ, რომ კვლავ არ დაუშვათ შეცდომები. ნუ გეშინიათ. შეცდომები ხანდახან შეიძლება სასარგებლოც კი იყოს. როცა მე ახალგაზრდა ვიყავი, ჩემს სიბრიყვესა და უცოდინარობას ყოველთვის პირდაპირ ცხვირ-პირში ვახლიდი ხოლმე ხალხს და კარგ მათრახებსაც ვიმსახურებდი. ორმოც წელს რომ მივაღწიე, ჩემი ცოდნის ბლაგვი ხმალი თანდათან აიღესა და გაბასრდა. თუ თქვენს უვიცობას დამალავთ, მუჯლუგუნებს არავინ წაგკრავთ და ვეღარაფერს ისწავლით. ახლა კი გადაადგით ფეხები და სახანძრო სადგურში მივიდეთ. ჩვენ ახლა ტყუპისცალები ვართ, ამიერიდან მარტო აღარ ივლით, ამიერიდან ცალ-ცალკე სასტუმროებში არ ვისხდებით. თუ დახმარება დაგჭირდებათ, როცა ბიჭი შემოგიტევთ, მე მანდ ვიქნები, თქვენს ყერში, და ჩემს შენიშვნებს მოგაწვდით.

მონტეგმა იგრძნო, რომ მარჯვენა ფეხი გადადგა წინ,

მერე მარცხენა.

— არ დამტოვოთ, მეგობარო! — შეევედრა იყი ფაბერს.

\* \* \*

მექანიკური ძაღლი წასული აღმოჩნდა, მისი ბინა ცარი-ელი იყო. სახანძრო სადგური თეთრ სიჩუმეში ჩაფლულიყო. ნარინჯისფერ „სალამანდრას“ მუცელი ნავთით ამოვესო და ეძინა. გვერდებზე ერთიმეორებზე გადაჯვარედინებული ცეცხლისმფრქვევლები ჰქონდა ასხმული.

მონტეგმა მიყუჩებული ოთახი გადაჭრა, სპილენძის ჭოკს მოეჭიდა და ისეასრიალდა სიბნელეში, რომ ძაღლის დაცარიელებული ბინისთვის თვალი არ მოუმორებია. გული ხან შეეჩერდებოდა, ხან კი კვლავ მოუხშირებდა ცემას. რუხ პეპელას — ფაბერს — ცოტა ხნით მისძინებოდა მის ყურში.

ბიგი ლუკოთან უცდიდა, ოღონდ ბურგით იყო შებრუნებული, თითქოს არავის ელოდებაო.

— ნახეთ, — მიმართა მან ბანქოს თამაშში გართულ მეხანძრეებს, — მოდის ერთი ძალზე უცნაური ცხოველი, რომელსაც ყველა ენაზე სულელი ჰქვია.

მან ხელი შეუშვირა მონტეგმს. ეს ძღვენის მოთხოვნას ნიშნავდა. მონტეგმა ხელისგულზე დაუდო წიგნი. ბიგიმ ისე მოისროლა სანაგვე კალათაში, რომ სათაურს არც კი დახედა, მერე სიგარეტი მოქაჩა და ჩაილაპარაკა:

— „ყველაზე დიდი სულელი ის არის, ვისაც ცოტა ჭკვა მაინც აქვს“. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მონტეგმი! იმედია, ამიერიდან ჩვენთან იქნებით, რაკი ციებ-ცხელებამ გაგიარათ და გამოჯანმრთელდით. ერთ ხელ პოკერს არ ითამაშებთ?

ისინი მაგიდას მიუსხდნენ. ბანქო დარიგდა. ბიგი ხელებზე დააჩერდა და მონტეგმა მწვავედ იგრძნო ამ ხელების

დანაშაული. მონტეგის თითები იმ ქრცვინს წააგავდნენ, რომელმაც რაღაც დააშავა და ახლა ვეღარ ისვენებს. ხელები წუთით არ ისვენებდნენ. ხან რაიმეს წაეტანებოდნენ, ხან ჯიბეებში ემალებოდნენ ბიტის მზერას, რომელიც სპირტის ალივით ლურჯიდა მცხუნვარე გამხდარიყო.

მონტეგმა იგრძნო, რომ საკმარისია ბიტის ერთი შებერვა და ხელები გაუხმება, დაეკრუნჩხება, აღარასოდეს დაუბრუნდება სიცოცხლეს და სამუდამოდ დაიმარხება ქურთუკის სახელოებში. ამის მიზები კი ის არის, რომ ხელებმა პატრონის დაუკითხავად დაიწყეს მოქმედება, ხელებმა ხომ პირველად შეიცნეს მისი იდუმალი სურვილი: ჩაებლუჯათ წიგნები და გაქცეულიყვნენ. გაქცეულიყვნენ და თან წამოელოთ იობი, რუთი და უილიამ შექსპირი. ამიტომ, იყო ისინი აქ, სახანძრო სადგურში, კაცის სისხლში ამოსვრილ ხელებს წააგავდნენ.

მონტეგმა ნახევარ საათში ორჯერ მიატოვა თამაში, საპირფარეშოში შევიდა და ხელები დაიბანა. უკან რომ ბრუნდებოდა, ხელებს მაგიდის ქვეშ მალავდა.

— მოდი, ხელებს ნუ დაგვიმალავ, მონტეგ, — სიცილით უთხრა ბიტიმ, — განა არ გენდობით, მაგრამ მაინც...

მეხანძრეებმა გადაიხარხარეს.

— მაშასადამე, კრიბისმა გაიარა და ყველაფერი კარგად მიდის. ცხვარი თავის ფარას დაუბრუნდა. „ვინ არის ისეთი, რომ გაბარენდეს ხანდახან, ჭეშმარიტება მარადიულია“, — გაყვიროდით ხოლმე ჩვენ, — ვიდრე განკითხვის ქამი არ დადგა. „ის არასოდეს დარჩება მარტო, ვინც კეთილშობილურ აბრებს ატარებს გულში“, — ვარწმუნებდით საკუთარ თავს. „ო, სიტკბორებავ, ლამაზი სიტყვებით გამოხატული ცოდნისა“, — თქვა სერ ფილიპ სიდნიმ, მაგრამ ალექსანდრ პოუპი კი ამბობს: „სიტყვები ფოთლებს წააგავს: როცა

ისინი ხშირია, იშვიათად ხარობს მათში აზრის ნაყოფი“.  
ამაზე რას ფიქრობთ, მონტეგ?

— არ ვიცი...

— ფრთხილად! — შორიდან, მეორე სამყაროდან ჩურ-  
ჩულებდა ფაბერი.

— ან კიდევ: „მცირე ცოდნა საშიში რამაა. ან დრმად  
ჩასწვდი კასტალის წყაროს, ან სულ ნუ იგემებ. იქ პატარა  
ყლუპები შხამავს და აბრუებს გონებას და მხოლოდ უხ-  
ვად დალევა აფხიბლებს მას“.

ისევ პოუპია, იმავე ესედან ამოღებული. ახლა რაღას  
იტყვი?

მონტეგმა ტუჩზე იკბინა.

— ახლავე აგიხსნით, — უთხრა ბიტიმ და თავის ბანქოს  
გაუღიმა, — თქვენც ხომ ერთმა ყლუპმა დაგათროთ. ორი-  
ოდე სტრიქონი წაიკითხეთ და ლამის კლდიდან გადაიჩე-  
ეთ, ლამის მთელი მსოფლიო ააფეთქოთ, ხალხს თავები  
მოჰკვეთოთ, ქალები და ბავშვები მიწაზე დაანარცხოთ, ავ-  
ტორიტეტები გაანადგუროთ. მესმის, მონტეგ, მეც გამომიც-  
დია.

— მე ძალიან მშვიდად ვარ, — უპასუხა აფორიაქებულმა  
მონტეგმა.

— ნუ წითლდებით. მე განა გასაბრაზებლად გეუბნები,  
არა, ნამდვილად არ მინდა თქვენი გაბრაზება. იცით, ერთი  
საათის წინ სიბმარი ვნახე. დასასვენებლად წამოვწექი და  
მესიბმრა, ვითომ მე და თქვენ სასტიკი კამათი მოგვივიდა  
წიგნების თაობაზე. საშინლად იყავით განრისხებული და  
ციფატებს ღრიალებით. მე კი მშვიდად ვიგერიებდი თქვენს  
იერიშებს. „ძალაუფლება“ — ვთქვი მე, თქვენ კი ჯონსონის  
სიტყვები მოიტანეთ: „ცოდნა ძალაუფლებაზე ძლიერია“.  
მერე მე გიპასუხეთ: დოქტორ ჯონსონს სხვაც უთქვამს,

ჩემო ძვირფასო-მეთქი, და ეს ციტატა მოვიტანე: „იმ კაცს ბრძენი არ ეთქმის, ვინც გარკვეულს გაურკვეველს ამჯობინებს“. მეხანძრებს შეიძლება დაეყრდნოთ, მონტეგ. სხვა ყველაფერი საშინელი ქაოსია!

— ნუ უსმენთ! — ჩურჩულებდა ფაბერი, — იგი ცდილობს, დაგაბინიოს. ფრთხილად იყავით, ძალიან მოუხელთებელი ვინმეა!

ბიტიმ ჩაიხითხითა და განაგრძო:

— მერე თქვენ მიპასუხეთ: „ჭეშმარიტება არ დაიმაღება, მკვლელობა ადრე თუ გვიან გამომჟღავნდება“. „ღმერთო, ეს კიდევ თავისას ამბობს. ხანდახან თვით ეშმაკსაც კი შეუძლია საღვთო წიგნი დაიმოწმოს-მეთქი“. მერე შენ შეპყვირე: „ეს ეპოქა უფრო აფასებს მოოქრულ სულელს, ვიდრე იდაყვებგამოგლეჯილ, წმინდან ბრძენს“, მე კი დავიჩურჩულე: „ჭეშმარიტების სიდიადეს დაცვა ამდაბლებს“. თქვენ კი იღრიალეთ: „გვამებს სისხლი სდით იარებიდან, როცა მკვლელი აქვეა!“ მე ხელბე ხელი მოგითათუნეთ დაგითხარით: „ნუთუ ასეთი ხარბი გახდით ჩემს დანახვაზე“. თქვენ კი გაპკიოდით: „ცოდნა ძალაა! გოლიათის მხრებებე შემდგარი, გოლიათებე მეტს ხედავს“. მე კი იშვიათი სიმშვიდით დავასრულე ჩვენი კამათი მისტერ ვალერის სიტყვებით: „ჩვენ მეტაფორას საბუთად ვიჩნევთ, უაბრო სიტყვებს — ჭეშმარიტებად, ყველას გვგონია თავი მისანი და მომავლის მაუწყებელი“.

მონტეგს თავბრუ დაეხვა. იგი გრძნობდა, რომ უმოწყალოდ ურცყამდნენ წარბებებე, თვალებებე, ცხვირბე, ტუჩებებე, ნიკაპებე, მხრებებე, უმწეოდ აწეულ მკლავებებე.

მონტეგს უნდოდა ეყვირა: „გეყოთ, გაჩუმდით, თქვენ ყველაფერი აურიეთ ერთმანეთში, შეწყვიტეთ“. ბიტიმ წვრილი თითები წაატანა მაჯაში.

— ღმერთო, ეს როგორი მაჯა გაქვს! კარგად კი შეგა-ჯანჯღარე, არა, მონტეგ? იესო მაცხოვარო, მაჯა ისე გიცემს, თითქოს ომის მეორე დღე იყოს. მარტო სირენებისა და ზარების ხმა აკლია. გინდა, განვაგრძო საუბარი? მე ძალიან მომწონს შენი დამფრთხალი გამოხედვა. რა ენაზე გინდა საუბარი? სუაპილტე, ჰინდიბე, ლიტერატურულ ინგლისურტე? მე სამივე ვიცი: „თუმცა ეს ხომ მუნჯთან საუბარს ემგვანება, უილი!“

— ყოჩადად იყავით, მონტეგ! — ჩაზუტუნა ყურში ფარვანამ, — იგი ცდილობს წყალი აამდვრიოს!

— ო, როგორ შეშინდით, — განაგრძო ბიტიმ, — მე მართლაც სასტიკად მოვიქეცი, სწორედ ისწიგნები გამოვიყენე თქვენს წინააღმდეგ, რომლებსაც ასე ებლაუჭებოდით და ყველა ნაბიჯი და ყოველი სიტყვა გაგიბათილეთ. აი, რა გამყიდველია წიგნი! გვონია, მხარში ამოგიდგება და სწორედ ამ დროს ბურგს შეგაქცევს. თურმე მოწინააღმდეგესაც შეუძლია იმათი გამოყენება და აი, უცებ შეა საფლობში აღმოჩნდები ჩავარდნილი, არსებითი სახელების, გმნებისა და ბედსართავების უწესრიგო ლაშქრით გარშემორტყმული. ჩემი სიბმრის ბოლოს მე „სალამანდრათი“ მოვედი და გკითხეთ, ერთი გზა ხომ არა გვაქვს-მეთქი. თქვენ ჩამიჯექით და ისე მოვედით სახანძრო სადგურში, რომ არც ერთს არ დაგვირდვევია ნეტარი დუშილი. მოვდიოდით და უფრო და უფრო ვეწყობოდით ერთმანეთს, — ბიტიმ მონტეგის ხელს თითები შეუშვა და ხელი მოწყვეტით დაეცა მაგიდაზე, — ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება.

მონტეგმა არაფერი უპასუხა. იგი თეთრი ქვის ქანდაკებას წააგავდა. უკანასკნელი დარტყმების გამოძახილი თანდათან ილეოდა და სადლაც, ტვინის მრუმე მღვიმეებში

იკარგებოდა. ფაბერიც ერთ-ერთ მღვიმესთან ელოდა სრული სიჩუმის ჩამოვარდნას.

...და როცა ბოლოს მონტეგის გონიერაში ატეხილი კორიანტელი დაცხრა, ფაბერმა დინჯად დაიწყო:

— ძალიან კარგი, მონტეგ. მან უკვე თქვა თავისი სათქმელი და თქვენც ყურადღებით მოუსმინეთ. ახლა რამდენიმე საათის განმავლობაში მე დამიგდეთ ყური და ჩემსასაც გეტყვით. ამის შემდეგ კი თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, რომელ გზას უნდა დაადგეთ: ოღონდ მე მინდა, რომ ეს თქვენი საკუთარი აზრი იყოს. არც მე დამიჯეროთ და არც კაპიტან ბიტის. ეს კი არ დაგავიწყდეს, რომ კაპიტანი ჭეშმარიტებისა და თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე საშიში მტერია — იგი ბრიყვია და გულცივი „უმრავლესობის“ ჯოგს ეკუთვნის. ო, ღმერთო, ეს რა საშინელი ტირანია მოვივლინე! ჩვენ ხომ სულ სხვა საკრავბე ვუკრავთ და ახლა თქვენ თვითონ ამოირჩიეთ, ვის მოუსმენთ — ჩვენ თუ იმათ.

მონტეგს ის იყო ხმამაღლა უნდა ეპასუხა, რომ საგანგაშო ბარმა დარეკა და საშინელი შეცდომა აღარავის ჩაუდენია. ჭერბე მიკრული საგანგაშო ბარი განუწყვეტლივ წკრიალებდა. ოთახის კუთხეში დადგმული ტელეფონის აპარატი კაკუნით იწერდა მისამართს.

კაპიტანი ბიტი, რომელსაც ვარდისფერ ხელში კვლავ ბანქო ეჭირა, საგანგებოდ გამოტომილი დინჯი ნაბიჯით მივიდა აპარატთან და როცა ტელეფონი დადუმდა, მისამართიანი ქაღალდი მოახია, დაუდევრად გადაავლო თვალი და კვლავ თავის ადგილზე დაჯდა.

მეხანძრეები თვალმოუშორებლად უმზერდნენ თავიანთ კაპიტანს.

— გუსტად ორმოცი წამი შეგვიძლია დავყოვნდეთ.

სწორედ ამდენი მჭირდება, რომ ჯიბეები დაგიცარიელოთ,

– მხიარულად თქვა ბიტიმ.

მონტეგმა ბანქო მაგიდაზე დადო.

– დაიღალეთ, მონტეგ? აღარ ითამაშებთ?

– არა, აღარ ვითამაშებ!

– გამხნევდით. თუმცა, მოდი შევწყვიტოთ ეს ხელი და მერე დავამთავროთ. ქაღალდი პირჩაღმა დატოვე და სასწრაფოდ მოემზადე. აბა, მარდად! – ბიტი წამოდგა, – მონტეგ, თქვენ ისევ ცედად გამოიყურებით. მეშინია, კვლავ ავად არ გახდეთ.

– არა, კარგად ვარ.

– ნუ გეშინია, კარგად იქნები. ეს საგანგებო შემთხვევაა, ვიჩქაროთ!

ისინი ამოჭრილ იატაკში ჩახტნენ და ისე მაგრად მოეჭიდნენ სპილენძის ჭოკს, თითქოს ქვევით ფალდები ბობოქრობდნენ და ჭოკი უკანასკნელი იმედიაო. მაგრამ ჭოკმა იმედი გაუცრუა და ქვევით, სიბნელეში გააქანა ისინი, სადაც უკვე ისმოდა ბენბინის ახალგაღვიძებული დრაკონის ქშენა და ფრუტუნი.

– ეჰე, ჰე!

მანქანამ გრუხუნითა და ღრიალით მოუხვია. აწივლდა საბურავები, მანქანის პრიალა სპილენძის რებერვუარში ისე აჭყაპუნდა ნავთი, თითქოს გოლიათს მუცელი უყურყურებსო. მონტეგს ღროდადღო ხელი უსხლტებოდასლიპ სახელურზე და მაშინ უმწეოდ ეჭიდებოდა ცივ სივრცეს. ქარი თმას უწეწავდა, პირში უძვრებოდა, მაგრამ მონტეგი ამას სულ არ აქცევდა ყურადღებას.

მონტეგს გონებიდან არ ამოსდიოდა ის ქალები, საკუთარ სასტუმრო ოთახში რომ ნახა. ქალები, რომლებიც ნეონის ქარმა გამოფიტა და დააცარიელა. ფიქრობდა თავის

სულელურ საქციელზე: „რა ეშმაკი შემიჩნდა, წიგნის წაკითხვა რამ მომანდომა“. ეს ხომ იმას ჰგავდა, ხანძრის ჩაქრობა რომ მოინდომო წყლისმფრქვეველი სათამაშო დამბაჩით. რა სიგიჟეა! რა დაეტაკა! ვერ იქნა და ვერ დაიცხო სიბრაზე! როდის მოერევა საკუთარ რისხვას, როდის დაწყნარდება საბოლოოდ?

— წინ, წინ!

მონტეგმა ბევით აიხედა. ბიგის აღრე არასოდეს წაუყვანია მანქანა, დღეს კი საჭეს მისჯდომოდა, წინ გადაწეული მაღალი სავარძლიდან და მკვეთრად ახვევინებდა მანქანას ოკრობოკრო ქუჩებში. გრძელი, შავი ლაბადის კალთები უფრიალებდა და უბარმაზარ დამურას ამსგავსებდა. ეს ღამურა მანქანას მოსჯდომოდა და ქარს მიაპობდა.

— წინ, მონტეგ! ჩვენ მსოფლიო უნდა გავაბედნიეროთ!

ბიგის ვარდისფერი ღაწვები ფოსფორივით ანათებდნენ სიბნელეში. კაპიტანი გაბრაზებული აღრჭიალებდა კბილებს.

— მოვედით!

„სალამანდრა“ გრიალით გაჩერდა. მეხანძრები მოუხერხებლად ხტებოდნენ მანქანიდან.

მონტეგს კვლავ მანქანის ცივი და პრიალა მოაჯირისთვის ჩაეჭიდა ხელი, ჩაწითლებული თვალები დაბლა დაეხარა და ფიქრობდა: „მე ამის ჩადენა აღარ ძალმიძს. როგორდა შევასრულო ეს დავალება, როგორდაგავაჩინო ხანძარი. არა, მე ამ სახლში ფეხს ვერ შევდგამ!“

ბიგი, რომელსაც სულ ახლახან გადალახული ქარის სუნი უდიოდა, მონტეგს მიუახლოვდა:

— რას გაჩერებულხართ, მონტეგ!

უხეშ ჩექმებში გამოწყობილი მეხანძრები უბარმაზარი ობობებივით უხმაუროდ გაიფანგნენ აქეთ-იქით.

როგორც იქნა, მონტეგმა თავი ასწია და მიტრიალდა. ბიჭი პირდაპირ თვალებში მისჩერებოდა:

- რა დაგემართათ, მონტეგ?
- რაო?! – ჩაიჩურჩულა მონტეგმა, – ჩემს სახლთან გავჩერებულვართ?!

## ნაფილი მესამე „ცეცხლის ზეიმი“

\* \* \*

მეტობელ სახლებში გედიზედ ინთებოდა ნათურები. ის-მოდა კარის გაღების ხმა, ხალხი მოუთმენლად ელოდა სანახაობის დაწყებას. მონტეგი და ბიჭი სხვადასხვანაირი გრძნობით მისჩერებოდნენ მათ წინ აღმართულ სახლს: ერთს თავშეკავებული კმაყოფილება ეწერა სახეზე, მეორე თითქოს ჯერ ვერც კი გამოფხიბლებულიყო ძილისგან. აი, ამ სახლში უნდა შემდგარიყო საცირკო სპექტაკლი – ჩირალდნების ტრიალი და ცეცხლის ალის ყლაპვა.

– აპა, ბოლოს და ბოლოს, მიიღე საკადრისი. ჩვენმა მონტეგმა მზის სიახლოვეს მოინდომა ნავარდი და ახლა, როცა თავისი წყეული ფრთები დაიწვა, გაოცებულია, ეს როგორ დამემართაო. განა მაშინ ვერ უნდა მიმხვდარიყო, ქოფაკი რომ მივუგბავნე შინ?

მონტეგი გაქვავებული სახით უსმენდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი მიაბრუნა და იქვე, მოთეთრო ყვავილის ბუჩქებში მდგარ ჩაბნელებულ სახლს შეხედა.

ბიტიმ ჩაიფრუტუნა:

— არა, ნეთუ მართლა გაგასულელათ იმ პატარა, ჯოუტ-მა შემლილმა? ყვავილები, პეპლები, ფოთლები, მზის ჩასვლა და რა ვიცი, ათასნაირი ოხრობა? ეს ყოველივე მის კარტოთეკაში წერია. ოპო, მგონი გულში მოგხვდათ, არა? გეტყობათ, ისე დაიბენით! ბალახის ღეროები, ნამგალა მთვარე... რა სისულელებია! ვითომ ვის რა არგო ამით?

მონტეგი დრაკონის გრილ ფრთაზე ჩამოჯდა და თავი ჯერ მარცხნივ მიაბრუნა ოდნავ, მერე მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ... იგი ყველაფერს ამჩნევდა. არავის უშავებდა რამეს, არავის საქმეში არ ერეოდა...

— არ ერეოდათ?! განა შენ არ გიტრიალებდა ირგვლივ? არა?! განა ერთ-ერთი წყეული ქველმოქმედთაგანი არ იყო, რომლებსაც სახებე კეთილშობილური მდუმარება აწერია და სხვების ჭკეის დარიგების გარდა არაფერი იციან? ჯანდაბაშიც წასულან, რაღა ეგენი და რაღა შეაღამებე ამოსული მჩე — არც ერთი დაგაძინებს და არც მეორე!

კარი გაიღო და კიბებე მილდრედმა ჩამოირბინა. მოკრუნჩეული თითებით ჩემოდანი ეჭირა. ქვაფენილთან ჭრიალით შეჩერდა შავი ტაქსი.

— მილდრედ!

მილდრედმა გვერდით ჩაურბინა მონტეგს. წელი გაშემქებული მიჰქონდა, სახე პუდრით გაეთეთრებინა, პირი აღარ ჰქონდა: პომადის წასმა დავიწყებოდა.

— მილდრედ, ნეთუ შენ დამასმინე?!

მილდრედმა ჩემოდანი მანქანაში შეაგდო, თვითონაც შიგ შეძვრა და აბურტყუნდა:

— საწყალი ნათესავები, საწყალი ნათესავები! ოპ, ყველაფერი დაიღუპა, უკვე ყველაფერი, ყველაფერი დაიღუპა...

ბიტიმ მხარში სტაცა ხელი მონტეგს. მანქანა წინ გა-

ვარდა, უცებ განავითარა სამოცდაათი მიღი სიჩქარე და მალე გაუჩინარდა. გაისმა წკრიალი – თითქოსდა თლილი მინის სარკეებისა და ბროლისგან ნაგები ოცნების კოშკი დაიმსხვრაო. მონტეგი ისე შემობრუნდა, თითქოს მოულოდნელად ქარიშხალმა დაბერაო და დაინახა, რომ სტუმენსა და ბლექს ნაჯახები მოემარჯვებინათ და ფანჯრის ჩარჩოებს ამტვრევდნენ, რათა ორპირი ქარისთვის მიეცათ გბა. დამის პეპელა კვლავ მიაფრინდა ცივსა და შავ დაფას:

– მონტეგ, მე ფაბერი ვარ. გესმით ჩემი ლაპარაკი? რა მოხდა?

– ახლა ჩემს თავზეა ეს ამბავი, – თქვა მონტეგმა.

– რა ძალიან გიკვირთ, – წამოიძახა ბიტიმ, – ჩვენს დროში რატომდაც ყველა დარწმუნებულია, რომ პირადად მას არაფერი დაემართება. „აი სხვები იხოცებიან, მე ვცოცხლობ, მე არაფერი მომივა. მე არავის უნდა გავუწიო ანგარიშიო“, მაგრამ სინამდვილეში ადამიანს მრავალი რამ ევალება. მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. ახლა, როცა დათესილი უნდა მოიმკა, ძალგე გვიანაა ამაზე ლაპარაკი. ასე არ არის, მონტეგ?

– მონტეგ, შეგიძლია გაიქცე? – პკითხა ფაბერმა ცოტა ხნის შემდეგ.

მონტეგი სახლისკენ გაემართა, მაგრამ ვერც კი იგრძნო, რომ ჯერ ფილაქანი გადაიარა და მერე ნამიან ბალახზე შედგა ფეხი. სადღაც გვერდით ბიტის სანთებელა გაჩხაკუნდა და მონტეგს პატარა ნარინჯისფერმა ალმა მოსტაცა მჩერა.

– რატომ არის ცეცხლი ასე მომხიბვლელი? რატომ იბიდავს იგი დიდსაც და პატარასაც? – ბიტიმ სულის შებერვით ჩააქრო ალი და მერე კვლავ ჩამოჰკრა ხელი სანთებელას ბორბალს, – ცეცხლი მარადიული მოძრაობაა, რომ-

ლის შექმნას დასაბამიდან მიეღვის ადამიანი, მაგრამ ვერ ახერხებს, უფრო სწორად, თითქმის მარადიული. თუ თავს მიანებებს, მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე არ ჩაქრება. რა არის ცეცხლი? ცეცხლი გამოუცნობი საიდუმლოა. მეცნიერები რაღაცას ბოდავენ ხახუნსა და მოლეკულებზე, მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ იციან. ცეცხლის ნამდვილი სილამაზე იმაში მდგომარეობს, რომ იგი პასუხისმგებლობისა და მოვალეობისგან ათავისუფლებს ადამიანს. თუ პრობლემა მეტად მძიმე ასაგანი გახდა, შეუძახე ღუმელში და მორჩა! ახლა თქვენ ხართ ჩემთვის ასეთი მძიმე პრობლემა, მონტეგ, და ცეცხლი სწრაფად, უმტკივნეულოდ და საბოლოოდ გამათავისუფლებს თქვენგან. დასალპობიც აღარაფერი დარჩება. ასე უფრო ჰიგიენური და მოხერხებულია.

მონტეგი ახლა ამ უცნაურ სახლს მისჩერებოდა. საკუთარი სახლი უკვე უცხოდ ექცია ამ გვიან ქამს, მებობელთა ჩურჩულს, მინის ნამსხვრევებს და შიგნით, იატაქტე დაყრილ ყდამოგლეჯილ წიგნებს, რომელთა ფურცლები გედის თეთრი ბუმბულივით მიმოფანტულიყო ირგვლივ და რომელნიც ახლა ისე უაბროდ და საცოდავად გამოიყერებოდნენ, რომ ნამდვილად არ ღირდა მათთვის თავის შეწუხება. ისინი ახლა მხოლოდ გაყვითლებულ ქაღალდზე დაბეჭდილი შავი ნიმნები და დაქექილი ყდები იყო.

„მილდრედმა, რაღა თქმა უნდა, დაინახა, წიგნები რომ დავმალე ბაღში და ისევ ოთახში შემოზიდა. მილდრედმა, მილდრედმა!“

— მე მინდა, რომ მარტო თქვენ ჩაატაროთ მთელი სამუშაო, მონტეგ, ოღონდ ნავთით და ასანთით კი არა, ცეცხლმფრქვევით უნდა შემოიაროთ ყოველი კუთხე და კუნჭული. თქვენი სახლი თქვენვე უნდა გაწმინდოთ.

— მონტეგ, ნუთუ არ შეგიძლიათ მოშორდეთ მანდაუ-  
რობას? გაქცევას ვერ მოახერხებთ?

— არა, — განწირული ხმით შესძახა მონტეგმა, — ნაგაზის,  
ნაგაზის გამო არ შეიძლება!

ფაბერმა გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ ბიტმაც გაიგონა,  
იფიქრა, მე მეუბნებაო და გამოეპასუხა:

— დიახ, ნაგაზი სადღაც აქვე, მახლობლად დაძრწის, ასე  
რომ, ცუდი არაფერი განიზრახოთ. მზად ხართ?

— დიახ, — მონტეგმა ცეცხლმფრქვევის დამცველი გადა-  
სწია.

— ცეცხლი!

ცეცხლმფრქვევიდან უჩარმაზარი გუნდა გამოვარდა,  
წიგნები მოხვეგა და კედელს მიაყარა. შემდეგ მონტეგი  
საწოლ ოთახში გავიდა და ორჯერ მიუშვირა ცეცხლმ-  
ფრქვევი ერთად შეტყუპებულ საწოლებს. საწოლებს შიშინ-  
ით მოედო ცეცხლი. მონტეგი ვერასოდეს იფიქრებდა, რომ  
მათში ამდენი სითბო, სინათლე და ვნება იქნებოდა დაბუდე-  
ბული. მერე საძინებელი ოთახის კედლებსა და ტუალეტის  
მაგიდას მისდგა.

მონტეგს უნდოდა, ყველაფერი გადაესხვაფერებინა, ამი-  
ტომ ჯერ სკამები და მაგიდები დაწვა, შემდეგ კი სასადი-  
ლო ოთახში შევიდა და დანები, ჩანგლები და პლასტმასის  
ჭურჭლებიც ზედ მიაყოლა. მას არ უნდოდა, რაიმე ნივთს  
მოეგონებინა, რომ ოდესმე აქ, ამ ცარიელ სახლში ცხოვრობ-  
და უცხო ქალთან, რომელიც ხვალვე დაივიწყებს კიდეც. ის  
ქალი ახლა მარტოდმარტო მიქრის ქალაქში და „რადიონ-  
იქარის“ გაუთავებელ გადაცემას უსმენს.

ცეცხლის გაჩენა, ისევე როგორც წინათ, მთელი ნეტარე-  
ბა იყო. ბედნიერი ხარ, როცა გრძნობებს სადავვს მიუშვებ  
და ყველაფერს წვავ, გლეჯ, ანადგურებ, როცა სპობ უაბრო

პრობლემას. ეს პრობლემა გადაუწყვეტელია? ცეცხლი! და  
თან თვითონ პრობლემაც აღარ არის.

ცეცხლი ყველაფრის წამალია!

— წიგნები, მონტეგ!

წიგნები ცეცხლმოდებული ჩიტებივით დაფრთხიალებდ-  
ნენ თთახში. ფრთები წითლად და ყვითლად უელავდათ.

მონტეგი სასტუმრო თთახში შევიდა, სადაც კედლებში  
მძინარე, ვეება და ბრიყვი ურჩხულები მიმალულიყვნენ. მათ  
ახლაც უფერული ფიქრები უტრიალებდათ თავში და თეთრი  
სიბმრების ღრუბლებში ლივლივებდნენ. მან ცეცხლის თითო  
ჭავლი სტყორცნა თითო ცარიელ კედელს და უპაერო სისინ-  
ით დასკდა. სიცარიელე უშინაარსო სტვენითა და უაზრო  
ჭყივილით გამოეპასუხა მონტეგს. იგი შეეცადა წარმოედ-  
გინა სიცარიელე, რომელსაც არარაობა ბადებდა, მაგრამ  
ვერ მოახერხა.

მონტეგმა სუნთქვა შეიკრა, რათა სიცარიელე ჩაესუნთქა  
და ხმალივით მოიქნია ცეცხლმფრქვევი — უნდოდა ეს  
საშინელი სიცარიელე გაეკვეთა. შემდეგ შემოტრიალდა  
და მთელ თთახს ცეცხლის კიდევ ერთი დიდი, ყვითელი  
თაიგული უძღვნა.

კედლის ცეცხლგამძლე საფარი დასკდა და ალმოდებუ-  
ლი სახლი ციებიანივით აცახცახდა.

— იცოდეთ, როცა დაამთავრებთ, დაგაპატიმრებთ, — გა-  
ისმა ბურგს უკან ბიგის ხმა.

\* \* \*

სახლი წითელ ნაკვერჩხლებად და შავ ნაცრად იქცა.  
იგი ახლა მიწაბე ეგდო, მოვარდისფრო-რუხი ფერფლით  
დაფარული და თავზე ბეცამდე აწვდილი, წინ და უკან მო-  
ქანავე კვამლის სვეტი ადგა.

უკვე დილის ოთხის ნახევარი გახდა. ხალხი თავიანთ ბინებში შებრუნდა – უბარმაზარი საცირკო ფარდულიდან ნახშირისა და ნაცრის გროვალა დარჩა. წარმოდგენა დამთავრებული იყო.

მონტეგს ძლივსლა ეჭირა ხელში ცეცხლმფრქვევი. ხალათზე ოფლის ლაქები ეტყობოდა, გაჭვარტლული სახე შავად უპრიალებდა. მიბეჭული ცეცხლის შუქბე ძლივს, ბუნდოვნად მოჩანდნენ მონტეგის ბურგს უკან მომლოდინე მეხანძრები.

მონტეგი ორჯერ შეეცადა ხმის ამოღებას და მესამედ, როგორც იყო, მოუყარა თავი სათქმელს:

– განგაში ჩემმა ცოლმა ატეხა?

ბიჭიმ თავი დაუქნია:

– მისმა მეგობრებმა უფრო ადრე შეგვატყობინეს, ოღონდ მე ყურადღება არ მივაქციე. ასე იქნებოდა თუ ისე, თქვენი საქმე უკვე გათავებული იყო. აბა, რა სისულელეა ლექსების კითხვა ასე აშკარად. ასე მხოლოდ ტუტუცი სნობები იქცევიან. წაიკითხავენ რამდენიმე განთქმულ სტრიქონს და ღმერთად წარმოიდგენენ თავს. გგონიათ, წიგნი თუ წაიკითხეთ, ბლვას ფეხით გადალახავთ, მაგრამ თურმე ქვეყანა მშვენივრად ძლებს თქვენი წიგნების გარეშეც. ხედავთ, რა დღეში ჩაგაგდეს მაგ წიგნებმა?! კისრამდე ჩავარდით ლაფში. ნეკი რომ დაგაჭიროთ, დაიხრჩობით კიდეც!

მონტეგს განძრევაც აღარ შეეძლო. ამ უეცრად მოვარდნილმა ცეცხლის ნიაღვარმა და მძლავრმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა მისი სახლი. ახლა მიღდრედიც და მონტეგის მთელი წარსულიც ამ სახლთან ერთად დამარხულიყო და მონტეგს განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

მიწისძვრა ჯერ არ დამცხრალიყო და მონტეგს მთელ გულ-ღვიძლს უთროთოლებდა. საშინელი დაღლილობის,

დაბნეულობისა და მრისხანებისგან მუხლები ეკეცებოდა და თავი აღარ ჰქონდა, რომ ბიტის დარტყმები მოეგერიებინა.

— მონტეგ, შე სულელო, მონტეგ, შე ბრიყვო, მართლაც, რაფომწაუკითხე?

მონტეგს ადარაფერი ესმოდა. იგი სადღაც, შორს იყო. მისი სული სხვაგან ფრენდა. სხეული კი, ეს უსიცოცხლო, გამურული სხეული, ამ ცოფიანი ბრიყვის საჯიჯგნად დარჩენილიყო.

— მონტეგ, მოშორდით მანდაურობას! — ურჩევდა ფაბერი. მონტეგმა დააყურადა.

ბიტიმ ისე მაგრად ჩაარტყა მონტეგს თავში, რომ დაარეფიანა. იგი უკან-უკან წავიდა. მწვანე ტყვია კი, რომლიდანაც ფაბერის ჩურჩულ-ყვირილი ისმოდა, ქვაფენილზე დავარდა. ბიტი მაშინვე დააცხრა ბედ და კმაყოფილი ღილით მიიღო ყურთან.

მონტეგს ახლა შორიდან ესმოდა ძახილი:

— მონტეგ, რა მოხდა?!

ბიტიმ ტყვია ყურიდან მოიშორა და ჯიბეში იკრა.

— ესეც ასე. თურმე აქ სხვანაირად ყოფილა საქმე. აკი ვატყობი, რომ თავს გვერდზე ხრიდი და რაღაცას აყურადებდი. ჯერ მეგონა „ნიქარა“ გეკეთა ყურში, მაგრამ უცებ, ძალიან დამჯერე რომ გახდი, დავეჭვდი. არა უშავს, გეშს ავიღებთ და მოვუელით მაგ შენს მეგობარს.

— არა! — შესძახა მონტეგმა და ცეცხლმფრქვევის დამცველი გადასწია. ბიტიმ სწრაფად გადაპკრა თვალი მონტეგის ხელს და თვალის გუგები გაუფართოვდა. მონტეგმა შეამჩნია მისი შეშფოთება და თვითონაც დაიხედა ხელებზე, რათა გაეგო, კიდევ რა დანაშაული ჩაიდინესო. მოგვიანებით, როცა ამ ამბავს იხსენებდა, ვერაფრით ვერ გაარკვია,

თუ რამ გადააწყვეტინა საბოლოოდ ბიჭის მოკვლა – თვითონ ხელებმა, თუ ბიჭის რეაქციამ ამ ხელების მოძრაობაზე. ზვავის გაბმულმა გრუხუნმა ყურთან ჩაუარა, მაგრამ მონტეგს არაფერი გაუგია.

— მართლაც, შესანიშნავი ხერხია ხალხის დასამორჩილებლად, — მომხიბლავად გაიღიმა ბიჭიმ, — კაცს თოფის ლულას რომ მიუშვერ, რაღა წინააღმდეგობას გაგიწევს. ჰა, რას იტყვით? რაფომ არ მომახლი შექსპირის ციტატას, შე ტუტუცო სნობო? „შენი მუქარის არ მემინია, კასიუს, რადგანაც მე ისე ძლიერად ვარ შეიარაღებული პატიოსნებით, რომ შენი მუქარა უქმი ქარივით ჩამივლის გვერდით და მას არაფრად ჩავაგდებ“. ასე არ არის? მოდი, შე საცოდავო ლიტერატორო, დაუშვი ჩახმახი, — მან ერთი ნაბიჯი გადადგა მონტეგისკენ.

— აქამდე ყოველთვის იმას ვწვავდით, რაც არ უნდა დაგვეწვა, — ძლივს ამოილაპარაკა მონტეგმა.

— მომეცით ცეცხლისმფრქვევი, გაი! – უბრძანა ბიჭიმ და სახეზე ღიმილი შეეყინა.

იმავე წამს იგი ცეცხლის გუნდად გარდაიქმნა! გუნდა ყვიროდა და ხტოდა. ბიჭი აღარ იყო ადამიანი – იგი ტლანქ, ბურტყუნა, ცეცხლმოდებულ თოჯინად იქცა, რომელიც ბალახზე გორავდა, რადგან მონტეგმა თხევადი ალის გრძელი ჭავლი მიუშვა მისკენ.

ისმოდა შიშინი, თითქოს გახურებულ ღუმელზე დააფურთხეს, ან თითქოს უბარმაზარ შავ ლოკოკინას მარილი დააყარეს და ისიც გაიდღაბნა და თავზე მობუყბუყე ყვითელი ქაფი მოიგდოთ. მონტეგმა თვალები დახუჭა, ყვირილი ატეხა და ყურებზე ხელები მიიფარა, რომ ეს ხმები აღარ გაეგონა. ბიჭიმ რამდენჯერმე კიდევ გაიფართხალა, მერე მოიკუნტა, მზეში დატოვებულ სანთლის თოჯინასავით მოიღ-

ვენთა და გაირინდა.

სხვა მეხანძრეებიც გაუნძრევლად იდგნენ იქვე.

მონტეგმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ცეცხლმფრქვევი მეხანძრეებს მიუშვირა და უბრძანა:

– შეტრიალდით!

მეხანძრეები მორჩილად შეტრიალდნენ ზურგით. მოხარშული ხორცისფერი სახე ოფლით დასველებოდათ. მონტეგმა ორივეს მაგრად ჩასცხო თავში. მათი მუტარადები მიწაზე გაგორდა. მეხანძრეები დაეცნენ და აღარ განძრეულან.

ზურგს უკან რაღაც აფარფატდა, თითქოს ხიდან შემოდგომის ფოთოლი ჩამოვარდათ.

მონტეგი მობრუნდა და მექანიკური ძალი დაინახა. ძალი სიბნელიდანგამოსულიყო და უკვე ნახევარი მინდორი გამოეტარებინა ფეხქვეშ. ისე მსუბუქად მორბოდა, თითქოს ქარი კვამლის სქელ ღრუბლებს მოაქანებსო. ძალი ნახანძრალს მიუახლოვდა და, როცა მონტეგამდე ცოტადა დარჩა, კამარა შეკრა, რომ სამი ფუტის სიმაღლიდან დასცხომოდა მტერს. მან ობობასნაირი ფეხები გაჩაჩხა და თავისი ერთადერთი კბილი – პროკაინიანი ნესტარი გარეთ გამოყო. მონტეგმა ცეცხლის თაიგული შეაგება და ლითონის ძალი ყვითელი, ლურჯი და ნარინჯისფერი ყვავილების სამოსმა დაამშვენა. ძალი ზევიდან დააცხრა მონტეგს და თავის ცეცხლმფრქვევიანად უკან, ათი ფუტის მანძილზე გადააგდო. ორივენი ხის ძირში დაენარცხნენ მიწას.

მონტეგმა იგრძნო, რომ ძალი აფართხალდა, ფეხში სწვდა და ნემსი ჩაასო. იმავე წამს აღმა ჯერ ჰაერში აისროლა ძალი, მერე რკინის ფეხები ამოუგდო სახსრებიდან და ბოლოს მუცელზე გახეთქა. ძალის გავარვარებული

შიგნეულობა ისე გაიფანტა ირგვლივ, თითქოს რაკეტა გასკდაო.

მონტეგი იწვა და უყურებდა, როგორ დავარდა მიწაზე ეს უსულო და ამავე დროს სულიერი საგანი, უკანასკნელად გაფართხალდა და გათავდა. ძაღლი თითქოს კიდევ აპირებდა წამომხტარიყო, სცემოდა მას და დაემთავრებინა შხა-მის შეშხაპუნება, რომლის მოქმედებას მონტეგი უკვე გრძნობდა ცალ ფეხში. მონტეგმა ერთდროულად იგრძნო შიშიც და შვებაც, როგორც იმ ადამიანმა, რომელმაც ეს-ეს არის მოასწრო უკან გადახტომა და საშინელი სიჩქარით მიმქროლავმა მანქანამ მხოლოდ ოდნავ გაპკრა გვერდი. მონტეგს ფეხზე წამოდგომისა ეშინოდა, ეგონა, სულ ვერ გადაადგამდა დაბუჟებულ ფეხს. წამალმა თითქოს მთელ სხეულში შეაღწია დაყველა იოგი გაუშეშა:

„რაღა ვქნა?!“

ქუჩა ცარიელია, სახლი ძველ დეკორაციასავით დაიფერ-ფლა, სხვა სახლები ჩაბნელებულია, აქ ძაღლი აყდია, იქ ბიგი, ცოტა მოშორებით კი მეხანძრები და „სალამანდრაა“. მონტეგმა ვეებერთელა მანქანა შეათვალიერა – „ესეც უნდა მოისპოს!“

– „კარგი, – გამოელაპარაკა მონტეგი საკუთარ თავს, – აბა, ვნახოთ როგორ ხარ. აბა, ახლა ფეხზე წამოდექი! ფრთხილად, ნელა... აი ასე!“ მონტეგი წამოდგა, ოღონდ ახლა მხოლოდ ცალი ფეხი ჰქონდა. მეორე შერუჯულ კუნძად ქცეულიყო და ამიერიდან ისე უნდა ეტარებინა, როგორც კირთებს ატარებენ ხოლმე იღუმალი ცოდვის მოსანანიებლად. მან მტკივანი ფეხი მიწაზე დადგა, მაგრამ მაშინვე წვივიდან მუხლამდე უამრავი ვერცხლის ნემსი შეერჭო. მონტეგი აქვითინდა: „არა, უნდა წავიდე, უნდა წავიდე, ჩემი აქ დარჩენა არ შეიძლება!“

8ოგ სახლში კვლავ აინთო სინათლე, „იქნებ ხალხს აღარ ეძინება ამ ამბის შემდეგ, ან იქნებ უეცრად ჩამოვარდნილი სიჩუმე ეუცხოვათ“, – გაიფიქრა მონტეგმა და კოჭლობით გადაჭრა ნანგრევები. იგი ხელით მიათრევდა მტკივან ფეხს, ტირილითა და სლუკუნით ელაპარაკებოდა მას, უყვიროდა, ბრძანებებს აძლევდა, წყევლიდა და ემუდარებოდა, არ მიღალაფოო, რადგან ახლა ამ ფეხს შეეძლო სასიკვდილო მახე დაეგო პატრონისთვის. სიბნელიდან ხალხის ყვირილი ისმოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მონტეგმა მიაღწია უკანა ეზოს და ვიწრო ქუჩაში გავიდა. „ბიტი! შენ უკვე აღარა ხარ პრობლემა, – გაიფიქრა, – შენ ყოველთვის მარიგებდი, პრობლემის გადაჭრას დაწვა სჯობსო. მე კი ორივე შევძელი. მშვიდობით, კაპიტანო“.

მონტეგი ბორძიკით დაადგა ბნელ ქუჩას.

\* \* \*

ყოველი ნაბიჯი ჯოჯოხეთურ ტკივილს აყენებდა.

– სულელი ვარ, – ფიქრობდა იგი, – შტერი, იდიოტი, წყელი იდიოტი, საშინელი ტუტუცი, გამოტვინებული. ეს რა ჩავიდინე, ახლა რაღა ეშველება ამ საქმეს?! ყველაფერი წყელი სიამაყის ბრალია. სიამაყისა და სიფიცხის. თავი ვეღარ შევიკავე და ყველას და, მათ შორის, საკუთარ თავსაც გადავარწყიე. მაგრამ რა მექნა, ყველაფერი ერთად დამატყდა თავს. ყველაფერი ბედიზედ წაეწყო: ბიტი, ის ქალები, მიღდრები, კლარისა – სუყველა! მაინც არ მეპატიება, არა! სულელი ვარ, ნამდვილი სულელი! არა, უნდა ვაღიარო დანაშაული და ჩავბარდე პოლიციას. არა, რაც გადასარჩენია, უნდა გადავარჩინოთ, რაც გასაკეთებელია, უნდა გავაკეთოთ. თუ ცეცხლში დაწვა გვიწერია, ბოგიერთი თან გავიყ-

ოლოთ! პო, მართლა!... – მონტეგს წიგნები გაახსენდა, უკან დაბრუნდა, და ბაღის ღობესთან მოაფათურა ხელები, თუმცა თითქმის არ ჰქონდა იმედი, რომ იპოვიდა.

მაგრამ რამდენიმე წიგნი იქვე დახვდა, სადაც დატოვა. მადლობა ღმერთს, მიღდოედს ყველა ვერ უპოვია. ოთხი წიგნი ხელუხლებლად იდო სამალავში. სიბნელეში ისმოდა ხმები, აქა-იქ ინთებოდა და ისევ ქრებოდა სინათლე. შორიდან ისმოდა „სალამანდრების“ მოტორების ღრიალი. პოლიციის მანქანები სირენების ყვირილით მოქროდნენ აქეთკენ.

მონტეგმა ოთხივე წიგნი წამოკრიფა და კოჭლობით მიაშურა იმ ბნელ ქუჩას, საიდანაც დაბრუნდა. უცებ იგი ისე დაენარცხა მიწას, თითქოს თავი მოჰკეეთესო. თავში უეცრად გაელვებულმა აზრმა ჯერ შეაკანკალა, მერე გააშემა და მიწაზე დაანარცხა. ახლა მოკრუნჩხული იწვა მიწაზე, სახე ხრეშში ჩაემალა და ქვითინით ამბობდა: „ბიტი სიკვდილს ეძებდა“.

მონტეგს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ბიტის სიკვდილი უნდოდა. ის ხომილგა და არც ცდილობდა თავის დაცვას. მხოლოდ იდგა და დასცინოდა მონტეგს. დასცინოდა და აღიზიანებდა. მონტეგმა ქვითინი შეწყვიტა, რადგან ამ აზრმა სუნთქვა შეუკრა.

რა საოცარია, რა წარმოუდგენელია, ისე გინდოდეს სიკვდილი, რომ შეიარაღებული ადამიანი ირგვლივ გივლიდეს და შენ ხმა კი არ ჩაიწყვიტო, რათა ამით სიცოცხლე შეინარჩუნო, პირიქით, იღრიალო და დასცინო, ვიდრე მოთმინებიდან არ გამოიყვან, არ გააცოფებ და მერე...

შორიახლო ვიღაცის აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა.

მონტეგი წამოჯდა: „უნდა მოვშორდე აქაურობას. უნდა ავდგე და წავიდე!“ მაგრამ ჯერ ცრემლები უნდა შეეშრო

და დამშვიდებულიყო. აი, თანდათან მშვიდდება კიდევ. არა, მონტეგს არავის მოკვლა არ უნდოდა, ბიჭიც კი არ ემეტებოდა. მონტეგს მთელი სხეული დაეკრუნჩა, თითქოს მეავაში ჩააგდესო. მან მაგრად მოკუმა პირი. თვალწინ მაშბალასავით ანთებული, უმოძრაო, ბალახზე გართხმული ბიჭი ედგა.

მონტეგმა თითები დაიჭიმა: „ღმერთო, დამნაშავე ვარ, არ მინდოდა, არა!.. იგი ცდილობდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა მოვლენები, გაეხსენებინა ის უშფოთველი დღეები, როცა მის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ იყო შემოჭრილი ცხრილი და ქვიშა, კბილის პასტა „დენპემი“, ფარვანის ფრთების ფარფატი ყურში, ციცინათელები, განგაშის სიგნალი და ეს ღამეული ექსპედიცია. „არა, მეტისმეტია დროის ამ მოკლე მონაკვეთისთვის, მეტისმეტია, თუნდაც მთელი ცხოვრებისთვის!“.

ფეხის ხმა უკვე ქუჩის ბოლოდან ისმოდა.

„გაინძერი! – უბრძანა მან მტკივან ფეხს, – გაინძერი, დალახვროს ეშმაკმა!“

მონტეგი ფეხზე წამოდგა და მაშინვე გაჰკრა ტკივილმა მუხლში. შემდეგ ჯერ უამრავი ნემსის, მერე კი ბლაგვი ქინდისთავების ჩხვლეტა იგრძნო. როცა ორმოცდაათიოდე ნაბიჯი გაიარა ბორბიკითა და კელაობით ხის ღობის გასწვრივ და მთლად დაიკაწრა ხელი, ტკივილი ისე შემოენთო ფეხზე, თითქოს მდუღარე გადასხესო. მაგრამ მონტეგი ახლა უკვე გრძნობდა საკუთარ ფეხს, თუმცა გაქცევისა მაინც ეშინოდა – დასუსტებული მაქვს და არ მეღრმოსო. მონტეგმა პირი დააღო, ბნელ ჰაერს ხარბად დაუწყო ყლაპვა და იგრძნო, როგორ მძიმედ წვებოდა სიბნელე მის არსებაში. იგი კოჭლობდა, მაგრამ წიგნები მაგრად ჩაებლუჯა ხელში და ჯიუტად მიიწევდა წინ.

მონტეგი ფაბერზე ფიქრობდა:

„ფაბერიც იქ არის, გუდრონის იმ გამლღვალ მასაში, რომელსაც სახელიც კი არა აქვს. მან ხომ ფაბერიც დაწვა!“ ამ ფიქრმა ისე შეაკრთო, თითქოს ფაბერი მართლა მკვდარი იყო, თითქოს იგი წვრილი თევზივით შეხრაკულიყო იმ პატარა მწვანე კაფსულაში. კაფსულა კი ახლა იმ კაცის ჯიბეშია ჩაკარგული, რომლისგანაც მხოლოდ ჩონჩხი და ბედ მიმწვარი ძარღვებიღად დარჩენილი. „გახსოვდეს – ან შენ უნდა დაწვა ისინი, ან ისინი დაგწვავენ“. და ეს სწორედ ახლა უნდა გაკეთდეს.

მონტეგმა ჯიბეები მოიქექა: ფული ჯიბეში ჰქონდა. აქვე ჩვეულებრივი „ნიუარამიმღები“ მოხვდა ხელში, რომლითაც ქალაქი თავის თავს ესაუბრებოდა ამ ცივსა და ბნელ განთიადგე.

„საპოლიციო განგაში: ვეძებთ გაქცეულ დამნაშავეს, რომელიც ქალაქში იმყოფება. ჩაიდინა მკვლელობა და სახელმწიფო დანაშაული. სახელი და გვარი: გაი მონტეგი, ხელობით – მეხანძრე. უკანასკნელად ნახეს“...

მონტეგმა ექვსიოდე კვარტალი გაირბინა ამ ქუჩაბანდში და შემდეგ ფართო, უკაცრიელ მაგისტრალზე გავიდა. იგი ათვერ უფრო განიერი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ქუჩა. დღის სინათლის ნათურების შექით გაკაშკაშებული მაგისტრალი გაყინულ მდინარეს წააგავდა და ამ მდინარის გადალახვა თითქმის უკველ დახრჩობას უქადდა ადამიანს. იგი მეტად ფართო, მეტად მიუსაფარი იყო. ქუჩა უბარმაბარ ცარიელ სცენას წააგავდა, რომელიც თავისკენ ეპატიუებოდა მონტეგს. ამ გაკაშკაშებულ სცენაზე კი ადამიანს მაშინვე შეამჩნევდნენ და ან დაიჭერდნენ, ან არადა ტყვიით გააფრთხობინებდნენ სულს.

ყურში კი „ნიუარა“ ბუბუნებდა:

„თვალი დაიჭირეთ გაქცეულ მამაკაცზე, თვალი დაიჭირეთ მამაკაცზე, რომელიც მირბის, იგი მარტოა, ქვეითია... თვალი გეჭიროთ“...

მონტეგმა ისევ სიბნელეში შერგო თავი. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ბენბინის ჯიხურთან, ფაიფურის ვეება, თეთრად მბრწყინავ ლოდთან, ორი ვერცხლისფერი ხოჭომანქანა შეჩერდა ბენბინის ასაღებად.

თუ თავის გადარჩენა უნდა, იგი სუფთად და წესიერად უნდა იყოს გამოწყობილი და ეს ფართო ბულვარიც სირბილით კი არა, ნება-ნება, სეირნობით უნდა გადაჭრას. უფრო მეტი უშიშროებისთვის კი საჭიროა, თმა დაივარცხნოს, პირი დაიბანოს და ისე გაეშეროს...

„კი, მაგრამ სად მივეშურები?“ – თავის თავს შეეკითხა მონტეგი.

არსად, სულ არსად არ ჰქონდა წასასვლელი! მას არც მეგობარი ჰყავდა, რომელსაც თავს შეაფარებდა. ფაბერის გარდა არავინ ჰყავდა და მონტეგი უეცრად მიხვდა, რომ ანგარიშმიუცემლად სწორედ ფაბერის სახლისკენ აედო გეგი. თუმცა ფაბერი ვერ შეიფარებდა ასეთ ლტოლვილს – ეს თავის განწირვა იქნებოდა, მაგრამ მონტეგი გრძნობდა, რომ მცირე ხნით მაინც უნდა ენახა იგი. ფაბერმა უნდა აღაგზნოს მასში რწმენისა და იმედის მიღეული ცეცხლი. მონტეგი კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნდეს, რომ ქვეყნად ნამდვილად არსებობს ასეთი აღამიანი. უნდა დარწმუნდეს, რომ ფაბერი ცოცხალია და დამწვარ-დანახშირებული არ გდია იმ მეორე დაკრუნჩხული აღამიანისგარსში გახვეული. ფულის ნაწილიც უნდა დაუტოვოს სახარჯოდ, და ისე წავიდეს.

შეიძლება მონტეგმა თავი დააღწიოს ამ ქალაქს და სადმე მდინარის ნაპირას, ანდა შარაგბის მახლობლად,

გორაკებით შემოსაზღვრული მინდორი იპოვოს საცხოვრებლად.

უეცრად ცაში საშინელი სტვენა ატყდა და მონტეგმა გევით აიხედა.

გეცაში ისე გედიბედ ადიოდნენ საპოლიციო ჰელიკოპტერები, თითქოს ვიდაცამ გამხმარ ბაბუაწვერას შეუბერა და ღინდლები გააყრევინაო. მონტეგიდან სამიოდე მიღის დაშორებით ოცტე მეტი ჰელიკოპტერი მოჩანდა. მათ ერთხანს შემოდგომის სიცივედაკრული ფარვანებივით იფარფატეს ჰაერში, მერე კი, ერთიმეორის მიყოლებით, სწრაფად დაეშვნენ ქუჩებში, „ხოჭოავჭომობილებად“ იქცნენ და ღრიალით გაექანენ წინ, რათა ცოტა ხნის შემდეგ ასევე სწრაფად აფრენილიყვნენ ცაში და ძებნა გაეგრძელებინათ.

\* \* \*

ესეც ბენბინის ჯიხური! ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ იყო. ბენბინის გამყიდველები, ალბათ, მუშტრებს ემსახურებოდნენ. მონტეგმა უკნიდან შემოუარა და მამაკაცთა საპირფარეშოში შევიდა. ალუმინის კედლის გადაღმიდან რადიოს ხმა ისმოდა: „ომი გამოცხადებულია!“

გარეთ ბენბინს ტუმბავდნენ მანქანებში. მგბავრები და ბენბინის გამყიდველები მოტორზე, ბენბინზე, ფულის გადახდაზე ლაპარაკობდნენ. მონტეგი იდგა და ფიქრობდა: ალბათ ეს მოკლე ცნობა მეხივით დამეცემა თავზეო, მაგრამ არაფერი უგრძნია. მონტეგისთვის ომი ერთი-ორი საათის შემდეგ დაიწყება.

მან უხმაუროდ შეისხა წყალი და პირსახოცით შეიწმინდა, მერე ჩუმად გაიხურა კარი, სიბნელეში შეაბიჯა და ქვაფენილის კიდეს მიადგა.

აი, ესეც – კეგლის მოედანი, რომელზეც უკვე განთიადის ცივინიავი დაქრის. მონტეგმა ეს თამაში უნდა მოიგოს. ბუღვარი ისე კრიალა იყო, როგორც საბრძოლო ასპარეზი, რომელზედაც ორი წუთის შემდეგ ვიღაც მსხვერპლი და მისი მკვლელი უნდა გამოსულიყვნენ.

ასფალტის განიერი მდინარის თავზე ჰაერს მხოლოდ მონტეგის სითბო ათრთოლებდა. საცავი იყო, როგორ ჰყოფნიდა ეს სითბო იქაურობას ასათრთოლებლად. მონტეგი მანათობელი მიზანი იყო და თვითონაც მშვენივრად გრძნობდა ამას. მან მაინც უნდა გაიაროს ეს მცირე მანძილი.

სამიოდე კვარტალის დაშორებით მანქანის ფარების შუქმა გაიელვა. მონტეგმა ღრმად ჩაისუნთქა. მკერდში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს ფილტვები ცხელ ჯაგრისად ექცა და კაწვრა დაუწყოო. სირბილისგან პირში რკინის გემოს გრძნობდა, ფეხები თითო ფუთი გახდომოდა.

რა მოუხერხოს იმ სინათლეებს? როცა ქუჩაზე გადასვლას იწყებ, უნდა იანგარიშო, როდის მოგიახლოვდება მანქანა. რა მანძილია მოპირდაპირე ქუჩამდე? თითქოს ასი იარდი უნდა იყოს. არა, ნაკლები იქნება, მაგრამ ასე ჩავთვალოთ, დინჯი ნაბიჯით რომ გადავიდეს კაცი, ერთი ოცდაათი, ორმოცი წამი დასჭირდება. მანქანას რამდენი უნდა, რომ ჩემამდე მოვიდეს? სიჩქარეს რომ აიღებს, ამ სამ კვარტალს სულ თხუთმეტ წამში გამოივლის. ამიტომ შუამდე რომ მივიდე და მერე სირბილით გადავჭრა მეორე ნახევარი?..

მონტეგმა ერთი ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მეორე, მესამე. იგი უკაცრიელ ქუჩაზე გადადიოდა.

როცა ქუჩაში მანქანის ჭაჭანება არ ჩანს, მაშინაც ვერ იტყვი დარწმუნებით, რომ უხიფათოდ გადახვალ მეორე

მხარეს. შესაძლებელია დაღმართიდან გამოვარდეს მანქანა, სანამ გონიერე მოხვიდოდე, დაგეჯახოს და გზა განაგრძოს.

მონტეგმა გადაწყვიგა, არც ნაბიჯი დაეთვალა და არც გვერდი გაეხედა. მანქანის შუქი შეადღის მზესავით კაშკაშებდა და თითქოს მზესავით აცხუნებდა კიდეც.

მარჯვინვ, ორი კვარტალის იქით, მანქანა თანდათან უმატებდა სიჩქარეს. ფარები აქეთ-იქით მოძრაობდნენ და ბოლოს მთლიანად ჩაიჭირეს მონტეგი.

იარე, არ დადგე!..

მონტეგი წამით შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ წიგნები მაგრად ჩაბლუჯა ხელში და გზა გააგრძელა. უნებურად რამდენიმე ნაბიჯი სირბილით გაიარა, მაგრამ მერე ხმამაღლა უთხრა თავს – ასე არ შეიძლებაო და კვლავ ნაბიჯზე გადავიდა. იგი უკვე ქუჩის შუაში იყო, მაგრამ მანქანის ღრიალიც უკვე სულ ახლოდან ესმოდა. მანქანა თანდათან უმატებდა სიჩქარეს.

„რა თქმა უნდა, პოლიცია, – გაიფიქრა მონტეგმა, – უკვე შემამჩნიერ, მაგრამ მაინც მშვიდად იყავი, ნუ ღელავ, არ მოტრიალდე, არ მიიხედო. წადი, იარე, ნუ შეჩერდები!“..

მანქანა მოქროდა, მანქანა ღრიალებდა და სულ უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს; მანქანა წიოდა, გრუხუნებდა და თითქმის არ ეხებოდა მიწას. მანქანა სტვენით მოქროდა, უხილავი თოფიდან გამოსროლილ ტყვიასავით! მონტეგმა კბილები დაკრაჭუნა. მანქანის სინათლე თითქოს შემოენთო, და ლოყები აუწვა. მონტეგს ქუთუთოები აუთამდა და მთლად ოფლად დაიღვირა.

ახლა იგი დამბლადაცემულივით მიათრევდა ფეხებს და ხმამაღლა ელაპარაკებოდა საკუთარ თავს. უცებ ადგილს მოსწყდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

„ღმერთო, მიშველე!“ სირბილში ერთი წიგნი დაუვარდა, შეჩერდა, კინაღამ უკან მიბრუნდა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ წინ გავარდა, თან ყვირილით შესთხოვდა რაღაცას ამ ასფალტის უდაბნოს. ხოჭო კი სადაცაა მისწვდებოდა ლტოლვილ საკბილოს. სულ ორასი ნაბიჯი დარჩა, ასი, ოთხმოცდათი. ოთხმოცი, სამოცდაათი!..

მონტეგს სუნთქვა ეკვროდა, ცდილობდა უფრო სწრაფად გაქცეულიყო, მაგრამ მხოლოდ ფეხებს იქნევდა უფრო სწრაფად. ხოჭო კი სულ ახლოვდებოდა, გუგუნებდა, ყვიროდა! მონტეგმა თავი მიაბრუნა და თვალები თეთრმა სინათლემ აუწვა, მანქანა აღარ ჩანდა – ეს მხოლოდ მაშეალა იყო. საშინელი სისწრაფით გამოსროლილი მაშეალა. ახლა მხოლოდ ღრიალი ისმოდა, მხოლოდ გრუხუნი. „აპა, გამიტანა!“

მონტეგმა წაიბორძიკა და წაიქცა.

„მორჩა, დავიღუპე!“

მაგრამ სწორედ წაქცევის შემდეგ შეტრიალდა საქმე: გაცოფებულმა ხოჭომ უეცრად მკვეთრად მოუხვია და თავის გზაზე წავიდა. მონტეგი კვლავ ასფალტზე იყო გაშელართული გულდაღმა, როცა მანქანიდან გამობოლქვილმა ლურჯმა კვამლმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხარხარი მოიყოლა. მარჯვენა ხელი წინ გაშვერილი დარჩა და შუათითის წვერზე შავი, წვრილი ხაზი გაუჩნდა – ეს მანქანის საბურავის კვალი იყო. მონტეგი ფეხზე წამოდგა და ყურადღებით დააცერდა ამ შავ ხაზს.

„არა, ეს პოლიცია არ იყო“, – გაიფიქრა მონტეგმა და ქუჩას გადახედა: უკვე აღარავინ ჩანდა. – არა, მანქანა ბავშვებით იყო გატენილი, ალბათ ოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე იქნებოდნენ, ყვიროდნენ, ხორხოცობდნენ. ალბათ ღროს გასატარებლად გამოვიდნენ, მოსეირნე კაცი რომ

დაინახეს, გაუკვირდათ (ჩვენს დროში აბა, ვინდა სეირნობს) და თქვეს, – მოდი გავიფანოთო. ვერც კი მიხვდნენ, რომ იყი ლტოლვილი მისტერ მონტეგი იყო. ისინი ჩვეულებრივი მყვირალა ბავშვები იყვნენ, უნდოდათ ეს გრძელი ღამე გაელიათ, ხუთასი, ექვსასი მილი გაევლოთ მთვარის ჩასვლამდე, სახეზე ყინულიანი ქარი ეგრძნოთ და განთიადგე ან დაბრუნებულიყვნენ შინ, ან – არა, ან დარჩენილიყვნენ ცოცხლები, ან – არა. და ამას ფათერაკის ძიება ეწოდება!

„ჩემი მოკვლა უნდოდათ“ – დაასკვნა მონტეგმა. იგი აქეთიქით ირწეოდა. მანქანის გავლისას ავარდნილი მტვერი ახლა ნელ-ნელა ჯდებოდა. მონტეგმა ხელით მოისინჯა ნატკენი დაწვი: „მოკვლა უნდოდათ, ისე, უმიზებოდ!“

მან ძალა მოიკრიბა და მოპირდაპირე ქვაფენილისკენ წაჩანჩალდა. ჯერ კიდევ კარგა მანძილი ჰქონდა გასავლელი. წიგნები ისევ ხელში ეჭირა, მაგრამ აღარ ახსოვდა, როდის და როგორ წამოკრიფა ისინი. ახლა ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა, თითქოს პოკერს თამაშობდა და ვეღარ მიმხვდარიყო, თუ როგორ სჯობდა ბანქოს დალაგება.

„იქნებ ამათ მოკლეს კლარისა!“

მონტეგი შეჩერდა და ახლა უკვე ხმამაღლა თქვა: „იქნებ ამათ მოკლეს კლარისა!“ იგი ლამის ღრიალით დასდევნებოდა მანქანას.

თვალები დაენამა!

წაქცევამ გადაარჩინა. მძღოლმა მიწაბე გართხმული მონტეგის დანახვისას იგრძნო, რომ ასეთი სიჩქარით მიმქროლავი მანქანა აუცილებლად გადაბრუნდებოდა და გვერდი აუქცია. აი, ფეხზე რომ მდგარიყო...

მონტეგს სუნთქვა შეეკრა.

ოთხი კვარტალის იქით ხოჭომ სრბოლა შეანელა, უკანა ბორბლებზე შემოტრიალდა, მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს წამოვიდა და თანდათან მოუმატა სიჩქარეს. მაგრამ მონტეგი უკვე სამშვიდობოს გასულიყო. მან ბნელ შესახვევს შეაფარა თავი. ერთი საათისა თუ ერთი წუთის წინ წამოწყებული შორეული მოგზაურობის მიზანი ხომ ეს იყო.

დამის სიცივისგან აკანკალებულმა მონტეგმა უკან მიიხედა და დაინახა, რომ „ხოჭომ“ სწრაფად ჩაუქროლა, ქუჩის შუაში გადავიდა და გაქრა. ჰაერი კვლავ შეარხია თავშეუკავებელმა ხარხარმა.

მონტეგი ბნელ ქუჩებს დაადგა. ზეციდან დიდი თოვლის მაუწყებელი ფანტელებივით ზედიზედ ეშვებოდა დედამიწაზე ჰელიკოპტერები...

\* \* \*

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მონტეგმა ბაღის მხრიდან შემოუარა შენობას. ირგვლივ ნარგიზების, ვარდებისა და ნამიანი ბალახის სუნი იდგა. უკანა, რკინისბადიანი კარი ღია აღმოჩნდა. მონტეგმა ცოტა ხანს დააყურადა, მერე შიგნით შევიდა და დერეფანს დაუყვა.

„თქვენ გძინავთ, მისის ბლეკ, — ფიქრობდა მონტეგი, — ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი, მაგრამ თქვენი ქმარიც ასე იქცეოდა და სინდისი არ ქენჯნიდა. იგი არც კი ეკითხებოდა თავის თავს, ცუდ საქმეს ხომ არ ჩავდივარო. ახლა კი, რადგან მეხანძრის ცოლი ხართ, სამაგიერო უნდა მოგემდოს. ახლა თქვენი სახლის ჯერია. პასუხი უნდა აგოთ იმ სახლებისთვის, რომელთაც თქვენი ქმარი წვავდა, იმ ადამიანებისთვის, რომელთაც დაუფიქრებლად აგდებდა სატან-

ჯველში.

სახლი დუმდა.

მონტეგმა წიგნები სამჩარეულოში დამალა, ქუჩაში გავი-და, მხოლოდ ერთხელ მოხედა მდუმარე, ჩაბნელებულ და მიძინებულ შენობას და გზა განაგრძო. ციდან კვლავ ქაღალ-დის ნაფლეთებივით ეშვებოდა ჰელიკოპტერები.

მონტეგმა დაკეტილი მაღაბიის გვერდით ტელეფონის ჯიხური შენიშნა და სახანძრო სადგურს დაურეკა. შემდეგ ცოტა ხანს იქვე იდგა სიცივისგან მოკუნგული და ელოდა, როდის აღრიალდებოდა სახანძრო განგამის მაუწყებელი საყვირები და როდის მოგრიალდებოდა „სალამანდრები“ მისტერ ბლეკის სახლის დასაწვავად. თვითონ ბლეკი სამ-უშაობე იყო, მაგრამ ცოლი, დილის სუსხისგან აკანკალებუ-ლი, მიაშტერდება აბრიალებულ, ჩამოქვეცის პირას მიმდგარ სახურავს. ახლა კი სძინავს და არც იცის, რა ელოდება.

„მშვიდ ძილს გისურვებ, მისის ბლეკ“.

— ფაბერ!

კაკუნი კარბე. კიდევ კაკუნი. მერე ჩურჩული და ხანგრ-ძლივი ლოდინი, შემდეგ, ერთი წუთის შემდეგ ფაბერის პა-ტარა ბინიდან შუქი გამოვარდა. ცოტა ხანიც, და უკანა კარი გაიღო.

ისინი მდუმარედ მისჩერებოდნენ ერთმანეთს ბინდუნდ-ში და არც ერთი არ უჯერებდა თვალებს. ბოლოს ფაბერი შეინძრა, სტუმარს ხელი სტაცა, ოთახში შეათრია და სკა-მბე დასვა. შემდეგ, კართან მივიდა და ქუჩიდან შემოსულ ხმებს მიუგდო ყური: განთიადის სიჩუმეს სახანძრო საყვირის ღრიალი არღვევდა. მოხუცი ოთახში დაბრუნდა და კარი მიხურა.

— თავიდან ბოლომდე სულელურად მოვიქეცი, — თქვა მონტეგმა, — აქ დიდხანს ვერ გავჩერდები. მივდივარ, მა-

გრამ ღმერთმა უწყის, სად!

— ბოლოს და ბოლოს სამართლიანი საქმისთვის იქცეოდით ასე, — დაამშვიდა ფაბერმა, — მე მეგონა ცოცხლებში აღარ ეწერეთ. ის სასმენი აპარატი რა იქნა, მე რომ მოგეცი?

— დაიწვა.

— მესმოდა, კაპიტანი რომ გელაპარაკებოდა. მერე უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. კინალამ წამოვედი თქვენ საძებნელად.

— კაპიტანი მოკვდა. აპარატი მიპოვა, თქვენი ხმა გაიგონა და მოინდომა მოეძებნეთ და დაეპატიმრებინეთ. მაშინ ცეცხლმფრქვევით დავწვი.

ფაბერი სკამბე ჩამოჯდა და ცოტა ხანს იყეჩა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ამბები დატრიალდა! — ამოიხვნეშა მონტეგმა, — წეხელ ყველაფერი რიგბე იყო, დღეს კი დაღუპვის პირას ვარ მიმდგარი. ნეტავ რამდენჯერ შეიძლება გადარჩეს კაცი? ვეღარც კი ვსუნთქავ! ბიტი მკვდარია და ის ხომ ჩემი მეგობარი იყო ოდესლაც. მილი გაიქცა — აღრე ჩემს ცოლად ვთვლიდი მილდრედს, ახლა კი აღარც კი ვიცი, რა ვუწოდო. სახლი დამეწვა, სამსახური აღარ მაქვს და მეც დევნილი ვარ. წიგნები მეხანძრის ბინაში დავჭოვე, ღმერთო დიდებულო, ამ ერთ კვირაში რამდენი რამ ჩავიდინე!

— ის ჩაიდინეთ, რაც უნდა ჩაგედინათ, ეს გარდაუვალი იყო.

— მეც მწამს, რომ ამას ვერ ავცდებოდი. მარტო ეს მწამს, სხვა არაფერი. ვიცი, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა. კარგა ხნის წინათ ვიგრძენი, რომ რაღაც უჩვეულომ შეიპყრო ჩემი არსება. ერთს ვაკეთებდი და მეორეს ვფიქრობდი. რაღაც მემართებოდა და მიკვირს, რომ გარეგნულად

არაფერი მემჩნეოდა. ახლა აქა ვარ და თქვენი ცხოვრებაც უნდა ავრიო. ისინი ხომ ფეხდაფეხ დამეღევნებიან.

— ამდენი წლის განმავლობაში პირველად ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ, — თქვა ფაბერმა, — ვგრძნობ, რომ იმას ვაკეთებ, რაც მრავალი წლის წინათ უნდა გამეკეთებინა. ახლა სულ არ მეშინია. იქნებ იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, სიმართლეს ვემსახურები, იქნებ იმიტომ, რომ დაუფიქრებლად მოვიქეცი და არ მინდა მხდლად გაჩვენო თავი. კი არა, მგონი უფრო დაუჯერებელი საქმეები ჩავიდინო და თანაც, არც საქმე გავაფუჭო და არც მაშინდელივით დავფრთხე. ახლა რას აპირებთ?

— უნდა გავიქცე.

— იცით, რომ ომია?

— კი, მოვისმინე.

— რა საოცარია, რომ ვერ ვგრძნობთ. ომი თითქოს რაღაც შორეული რამაა. ალბათ იმიტომ, რომ ასეთი გაჭირვება გვადგას.

— მე დოოც არა მაქვს, რომ ომზე ვიფიქრო, — მონტეგმა ასდოლარიანი ამოიღო, — ეს უნდა დაგიტოვოთ. მე რომ წავალ, როგორც გინდათ, ისე მოიხმარეთ.

— კარგი, მაგრამ...

— შეადლისას შეიძლება ამქვეყნად აღარც ვიყო. დაიტოვეთ და გამოიყენეთ.

ფაბერმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და უთხრა:

— თუ მოახერხოთ, მდინარისკენ წადით და დაღმა დაუყევით. მერე იქნებ ის ძველი რკინიგზა იპოვოთ, ქალაქს რომ აკავშირებდა შიდარაიონებთან და იმას გაჰყევით. თუმცა დღეს სულ ფრენაზე გადავედით და სარკინიგზო მიმოსვლა გაუქმებულია, მაგრამ ლიანდაგი ჯერ არ აუყრიათ — აგია და ნელ-ნელა იქანგება. ყური მოვკარი, რომ

აქა-იქ კიდევ შეხვდებით მაწანწალების ბანაკებს. მათ ქვეითების ბანაკებს უწოდებენ. ქალაქს კარგა მანძილზე უნდა გასცდეთ, ფხიბლად იყოთ და სადმე გადაეყრებით. ამბობენ, რკინიგზის ხაზის გაყოლებაზეათ. აქედან ლოს-ანჯელესში რომ მიდის, ჰარვარდის უნივერსიტეტის უამრავ აღმრდილს შეხვდებითო. მათი უმეტესობა ქალაქიდან-აა გაქცეული. იმათ ეძებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველას ვერ პოულობენ. ეტყობა, გულით არ ეძებენ, რადგან ცოტანი არიან და მთავრობას მაინცდამაინც არ ეშინია მათი. ცოტა ხანს ასეთ ბანაქს შეაფარეთ თავი დამერე სენტ-ლუისში მომძებნეთ. ამ დილითვე უნდა წავიდე იქ.

ავტობუსი ხუთზე გადის. სენტ-ლუისში ის ყოფილი მბეჭდავი უნდა ვიპოვო. ხომ ხედავთ, ბოლოს მეც გამოვიფხიკე ყური. ამ ფულს კარგ გზას მოვუნახავ. მადლობელი ვარ, ღმერთმა დაგლოცოს. ხომ არ გინდათ, თვალი მოატყუოთ?

- არა, სჯობს გავიქცე.
- მოდი, გავიგოთ როგორ არის საქმე.

მან საჩქაროდ გაიყვანა მონტეგი საწოლ ოთახში და კედელზე დაკიდებული ერთ-ერთი სურათი გვერდზე გადასწია. გამოჩნდა საფოსტო ბარათისოდენა ეკრანი.

— მე ყველაფერი პატარა მიყვარს. აი, სწორედ ასეთი ეკრანია კარგი. თუ დაგჭირდება, ხელისგულით დაფარავ. არ მიყვარს უბარმაზარი ნივთები, არ მიყვარს ისეთი ეკრანი, რომელიც გამოგაყრუებს. აი, ნახე!

ფაბერმა ეკრანი ჩართო.

— მონტეგი, — გაისმა ტელევიზორთან და ეკრანიც განათდა. — მ-ო-ნ-ტ-ე-გ-ი, — ასო-ასო წარმოთქვა დიქტორმა, — გაი მონტეგი. ჯერ კიდევ ვერ ვიპოვეთ. ცაში პოლიციის ჰელიკოპტერებია. მებობელი რაიონიდან ახალი მექანი-

კური ძაღლი მოვიყვანეთ...

მონტეგმა და ფაბერმა ერთმანეთს შეხედეს.

— მექანიკური ძაღლი შეცდომას არ უშვებს, — განაგრძობდა დიქტორი, — ამ შესანიშნავმა გამოგონებამ თავიდანვე გაგვიმართლა იმედი, იგი ყოველთვის პოულობს დამნაშავეს. ჩვენი ფირმა ამაყობს იმით, რომ შესაძლებლობა აქვს, ამაღამ ჰელიკოპტერზე დადგმული კამერით გიჩვენოთ თუ როგორ მოძებნის მექანიკური ძაღლი დამნაშავის კვალს...

ფაბერმა ორი ჭიქა შეავსო ვისკით და ერთი მონტეგს შესთავაზა: დავლით, მოგვიხდებაო.

— მექანიკურ ძაღლს ისეთი მახვილი ყნოსვა აქვს, რომ შეუძლია დაიმახსოვროს ათი ათასი ადამიანის სუნი და ხელახლა მოუმართავად ამოიცნოს სწორედ ის, რომელიც დამნაშავეს ეკუთვნის.

ფაბერი შეკრთა და კედლებს, კარს, კარის სახელურსა და მონტეგის სკამს შეავლო თვალი. მონტეგმა შეამჩნია მასპინძლის შეშფოთება და თვითონაც თვალიერება დაუწყო იქაურობას. იგრძნო, როგორ შეუთრთოლდა ცხვირის ნესტოები. ახლა თითქოს თვითონ დაადგა საკუთარ კვალს. უცებ ისე გაუმახვილდა ყნოსვა, რომ შეამჩნია მის მიერ ოთახში გავლებული კვალი, დაინახა კარის სახელურზე დატოვებული ოფლის უხილავი წვეთები, რომლებიც ციცქნა ჭაღბები დაკიდებული მარგალიტებივით ციმციმებდა. ყველაფერს აჩნდა მონტეგის ნაკვალევი, აქაც — ოთახშიც და გარეთაც. ეს ნაკვალევი მანათობელ ღრუბლად თუ უცნაურ მოჩვენებად ქცეულიყო, რომელიც სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდა აღამიანს.

მონტეგმა შენიშნა, რომ ფაბერი სუნთქვას იკავებდა. მას ალბათ ეშინოდა ჰაერთან ერთად ღირებულების სუნი არ

შევისუნთქოო.

— ახლა ჰელიკოპტერი მექანიკურ ძაღლს ნახანძრალზე გადმოსვამს.

პატარა ეკრანზე სახლის დანახშირებული ნარჩენები, ბრბო და რაღაც ბეწარგადაფარებული საგანი გამოჩნდა. ჰელიკოპტერი უცნაური ყვავილივით მოფარფატებდა ცი-დან.

„მაშასადამე, თამაშის ბოლომდე მიყვანა გადაუწყვეტი-ათ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წესს შეიძლება ომი გაჩაღდეს“, — გაიფიქრა მონტეგმა.

მონტეგი მონუსხულივით მისჩერებოდა ეკრანს. ყვე-ლაფერი, რაც ეკრანზე ხდებოდა, თითქოს შორეული იყო და მონტეგს არც კი ეხებოდა. ეს პიესას წააგავდა, ვიღაცის ცხოვრების უჩვეულო დრამას, რომლის მზერა უცნაურ სია-მოვნებასაც კი ანიჭებდა მაყურებელს.

„თუმცა, ეს ხომ ჩემზეა, ღმერთმანი, ეს პიესა ხომ ჩემი გულისთვის დადგეს“, — ფიქრობდა იგი.

რომ მოინდომოს, მონტეგს შეუძლია აქვე, ამ მყუდრო ოთახში დარჩეს და მთელ დევნას უყუროს. შეუძლია გაპყვეს ნაგაბს ბნელ შესახვევში, ხელახლა გადაპკვეთოს ქუჩები, სირბილით გაიაროს უკაცრიელი ხეივანი, გადაჭრას გამონები და ბავშვების სათამაშო მოედნები, აქა-იქ შეჩ-ერდეს, რათა დიქტორის აუცილებელი ახსნა-განმარტებე-ბი მოისმინოს, მერე კიდევ დაუყვეს ქუჩაბანდებს, მისტერ და მისის ბლეკების ალმოდებულ სახლს მიადგეს და ბო-ლოს აქ აღმოჩნდეს, ამ სახლში, საღაც ახლა ის და ფაბერი სხედან და ვისკის შეექცევიან. შეუძლია დაინახოს, როგორ ყნოსავს სიკვდილივით მდუმარე ელექტრონის ძაღლი მის უკანასკნელ ნაფეხურებს და როგორ რინდდება ფანჯრის ქვეშ.

ახლა მონტეგს შეუძლია ეკრანს უმზიროს. მაშინ შეეძლება პატარა მოციმციმე ეკრანზე დაინახოს საკუთარი თავი – ინსცენირებული და გადასხვაფერებული. შეუძლია მოისმინოს დიქტორის კომენტარები, ნახოს საკუთარი დრამა და თანაც იცოდეს, რომ სხვა სასტუმრო ოთახებშიც ცოცხალივით მოჩანს, დიდი ფერადი, სამგანზომილებიანი და, ბოლოს, მოუსავლეთში წასვლის წინ, თვალებს თუ არ დახუჭავს, შეუძლია დაინახოს, როგორ შეერწობა სხეულში მომაკვდინებელი ნემსი იმ მრავალრიცხოვან მოქალაქეთა საამებლად, რომლებიც რამდენიმე წუთის წინ გააღვიძა საყვირების საბარელმა ღრიალმა და ახლა თავიანთ ტელევიზორებში უმზერენ ამ ნადირობას, ამ გრანდიოზულ თამაშს, ამ ერთადერთგმირიან კარნავალს.

მოასწრებს კი საბოლოო სიტყვის თქმას? როცა ათი, ოცი თუ ოცდაათი მილიონი მაყურებლის თვალწინ ძალლი წასწვდება. განა მონტეგმა არ უნდაშეაჯამოს თავისი ბოლო კვირა ერთი ფრაზით ან თუნდაც ერთი სიტყვით?

ამ სიტყვებმა მაშინაც უნდა იცოცხლოს ხალხში, როცა ძალლი თავის ლითონის ყბებს გაუშვებს მონტეგს და სიბნელეს შეერევა (ტელეკამერა კი ადგილზე დარჩება და ეკრანზე თანდათან გაბუნდოვანდება ძალლის გამოსახულება. ასე უფრო ეფექტური დაბოლოება გამოვა!). კი მაგრამ, რა იქნება ის სიტყვა ან ფრაზა, რომელიც სახეს აუწვავს ხალხს, რომელიც გამოაფხისლებს მას ამ ღრმა ძილისგან?

– ნახე! – დაიჩურჩულა ფაბერმა.

ჰელიკოპტერიდან ნარნარად ეშვებოდა მიწაზე რაღაც, რომელიც არც მანქანა იყო, არც ცხოველი, არც უსულო იყო და არც სულიერი. ეს რაღაცა მკრთალ მომწვანო ფერს ასხივებდა. იგი მონტეგის სახლის მბოლავ ნანგრევებთან შეჩერდა. ვიღაცებმა მიწაზე დაგდებული ცეცხლმფრქვევი

აიღეს და ცხვირთან მიუტანეს ძალლს. გაისმა ზუზუნი, ტკა-  
ცუნი, გუგუნი. მონტეგმა თავი გააქნია, წამოდგა, თავისი ჭიქა  
დაცალა და ჩაილაპარაკა:

— უკვე დროა. ძალიან ვწუხვარ...

— რაზე? ჩემზე? ჩემს სახლზე? მე ეს დავიმსახურე.  
გაიქეცით! ღვთის გულისათვის, მალე მოშორდით აქაუ-  
რობას. იქნებ როგორმე დავაყოვნო ისინი...

— მოიცა, თქვენი ჩავარდნა რას გვარგებს? როცა წავალ,  
ლოგინის გადასაფარებელი დაწვით, წელან შევეხე ხელით.  
აი, ის სკამიც, ამ ოთახში რომ დგას, ნაგვის საწვავ ღუმელ-  
ში შეაგდეთ. სპირტით გაწმინდეთ მთელი ავეჯი, კარის  
სახელურები. დაწვით ფეხის საწმენდი ტილო, შემოსასვ-  
ლელთან რომ აგდია. მერე სრული სიმძლავრით აამუშავეთ  
ვენტილატორები, ყველგან ნაფტალნი დაყარეთ — თუ გეშ-  
ოვებათ, ბილიკები კი შლანგით გადარეცხეთ. ვინ იცის, ღმ-  
ერთმა შეგვიწყალოს და კვალი მოისპოს.

ფაბერმა ხელი ჩამოართვა:

— ამაზე მე ვიმრუნებ. წარმატებას გისურვებთ. თუ გა-  
დავრჩით, იმ კვირას, ან შემდეგ კვირას სენტ-ლუისის მთა-  
ვარ ფოსტაში მიკითხეთ. რა საწყენია, რომ საპარაკე-  
ფონით ვეღარ ვილაპარაკებთ. ისე კი, რა კარგი იქნებოდა  
ორივესთვის. მარტო ის ერთი ცალი მქონდა იცით? არა-  
სოდეს მიფიქრია, რომ გამომადგებოდა. რა სულელი ბე-  
ბერი ვარ! ჭკუის ნაფამალი არ მქონდა მე ჩერჩეჭს, თორემ  
რაფომ არ უნდა გამეკეთებინა მეორე ცალი? ახლა მეორე  
ცალი რომ იყოს, ხომ გაგაფანდით! კარგი, ახლა კი წადით!

— კიდევ ერთი რამ მინდა გთხოვთ საბოლოოდ. ჩქარა  
მომიტანეთ ჩემოდანი და შიგ თქვენი ძველი, ჭუჭყიანი  
ტანსაცმელი ჩააწყვეთ. ძველი კოსტიუმი გექნებათ, რაც  
დაქექილი იქნება, უკეთესია. პერანგი, ძველი ფეხსაცმელი,

წინდები...

ფაბერი ოთახიდან გავიდა და მალევე შემობრუნდა. მეყაოს ჩემოდანს ნახვრეტები საიმოლაციო ბაფთით დაუგმანეს.

— ეს იმიტომ, რომ მისტერ ფაბერის წარსულის სუნი არ ამოქარდეს? — ჩაილაპარაკა გაოფლიანებულმა ფაბერმა.

მონტეგმა ვისკი მოასხურა ჩემოდანს:

— არ მინდა, რომ ძაღლმა მეორე სუნიც აიღოს. შეიძლება ეს ვისკი წავიღო? გზაში დამჭირდება. ო, ღმერთო, ნეტავი ამაოდ ხომ არ ჩაივლის ყველაფერი!

მონტეგმა კიდევ ჩამოართვა ხელი მოხუცს და ბლურბლს გადააბიჯა. ღია კარიდან ორივემ ერთდროულად შეხედა ტელევიზორს. ძაღლი ფეხაკრეფით მოდიოდა და თან ღამის ნიავს ყნოსავდა. თავზე კი ტელევიზორიანი ჰელიკოპტერი დასტრიალებდა, ახლა ძაღლი პირველ შესახვევს დაადგა.

— ნახვამდის!

და მონტეგი უხმაუროდ გასხლტა უკანა კარიდან თავის ნახევრად ცარიელი ჩემოდნიანად.

მალე მოისმა სარწყავი სისტემის ამუშავების ხმა. სიბნელე წვიმის წვეთების ხმაურმა აავსო. წყალმა გადარეცხა ბაღის ბილიკები და ახლა ქეჩაში გამოვიდა. რამდენიმე წვეთი სახეზეც დაეცა მონტეგს. შემდეგ მოეჩვენა, თითქოს მოხუცმა რაღაც მიაძახა, მაგრამ სიტყვები ვერ გაარჩია. მონტეგი სწრაფად შორდებოდა სახლს. გეზი მდინარისკენ ეჭირა.

მონტეგი გარბოდა.

ძაღლი კი ყველგან იგრძნობოდა, როგორც სწრაფად ჩამომდგარი ციფი, მშრალი შემოდგომა, როგორც სუსტი ქარი, რომელიც ისე მოვა, რომ არც ბალახს ააშრიალებს, არც

ფანჯრებს მიაჯახუნებს და არც ხეების ჩრდილებს შეაქანებს თეთრ ქვაფენილზე.

ძაღლი თითქოს არც კი ეხებოდა ამ ქვეყანას. მას მდუ-  
მარება მოუძღვოდა წინ და ეს მდუმარება ლოდივით დას-  
წოლოდა მთელ ქალაქს. მალე მდუმარება კიდევ უფრო  
დამძიმდა და მონტეგი გაიქცა.

იგი მდინარისკენ გარბოდა. გზადაგზა, სულის მოსა-  
ბრუნებლად რომ ჩერდებოდა, ახალგაღვიძებული სახლებ-  
ის დანისლული ფანჯრებისკენ გააპარებდა ხოლმე თვალს.  
სასტუმრო ოთახებში ლანდად მოჩანდნენ ადამიანები. ისინი  
ტელევიზორის კედლებს მისჩერებოდნენ. კედლებზე კი  
ნეონის ნისლივით დაცურავდა მექანიკური ძაღლი. იგი  
უხმაუროდ შემოდიოდა ეკრანზე ობობასნაირი ფეხებით,  
ასევე უხმაუროდ ქრებოდა და შემდეგ სხვა აღვილას ჩნ-  
დებოდა. აი, ახლა ელმ-ტერასზეა, ახლა ლინკოლნის ქუჩაზე,  
შემდეგ მუხნარში, პარკში და აი, უკვე ფაბერის სახლისკენ  
გადაუხვია!

„გაიარე, — ურჩია თავის თავს მონტეგმა, — ნუდარ ყოვნ-  
დები, დრობე მოშორდი აქაურობას“.

კედელზე ფაბერის სახლი მოჩანდა. სარწყავი მოწყო-  
ბილობა შხაპუნა წვიმას აფრქვევდა იქაურობას.

ძაღლი შედგა და აცახცახდა.

— „არა! მანდ არა, აქეთ!“ — მონტეგი ვიღაცის ფანჯრის  
რაფას მოეჭიდა.

ძაღლმა პროკაიანის ნემსი გამოყო და დამალა, გამოყო  
და დამალა. ნემსის წვერიდან იმ წამლის ერთადერთი  
კრიალა წვეთი გადმოვიდა, რომელსაც ადამიანი ოცნება-  
თა სამყაროში გადაჰყავს.

მონტეგს სუნთქვა შეეკრა. ყელში თითქოს მუშტი ჩას-  
ჩარა ვიღაცამ.

მექანიკურმა ძაღლმა ზურგი შეაქცია ფაბერის სახლს  
და რომელიღაც მოსახვევში შევარდა.

მონტეგმა სწრაფად აიხდა ზევით. ჰელიკოპტერები სულ  
ახლოს მოფრენილიყო. ყველა მონტეგისკენ მოისწრაფო-  
და, როგორც ფარვანებმა იციან ხოლმე სინათლებე თავ-  
მოყრა.

მან ძალა მოიკრიბა და ძლივს შეახსენა საკუთარ თავს,  
რომ ეს გამოგონილი ეპიზოდი კი არ არის, რომელსაც  
შემთხვევით მოჰკრა თვალი, როცა მდინარისკენ გარბოდა,  
არა, ეს ჭადრაკის პარტია, რომელმაც მისი ბედი უნდა გადა-  
წყვიტოს და მონტეგი ყველა სვლას აღევნებს თვალს.

მონტეგმა შეჰყვირა, რათა გამოფხიბლებულიყო და ფან-  
ჯარასა და ტელევიზორის ეკრანზე გათამაშებულ, ჯერ  
კიდევ დაუმთავრებელ სპექტაკლს მოშორებოდა:

— ეჟე! — შეჰყვირა მონტეგმა. ყვირილმა გამოაფხიბლა.  
სწრაფად მოსწყდა ფანჯარას და გაიქცა. შესახვევი, ქუჩა,  
შესახვევი, ქუჩა და აი, უკვე მდინარის სუნიც იგრძნობა! აი,  
ჰაერშია, ცალი ფეხით დახტა მიწაზე, ისევ ჰაერშია და ახლა  
მეორე ფეხით შეეხო მიწას. ახლა რომ კამერამ დაინახოს,  
ოცი მიღიონი მონტეგი გაიქცევა მდინარისკენ, ოცი მიღ-  
იონი! სულ ისე იქნება, როგორც ძველებურ კინოკომედია-  
შია: პოლიციელები და ქურდები, მდევრები და დევნილები,  
მონადირე და ნადირი. მონტეგს ხომ ათასჯერ უნახავს ეს  
სურათი. აი, ამ წუთში მას უხმოდ ჩასდგომია კვალში ოცი  
მიღიონი ძაღლი. ისინი ბიღიარდის ბურთულებივით  
დაქრიან სასტუმროს კედლებზე — ერთიდან მეორებე გადა-  
დიან, მეორიდან მესამებე. აი, მარჯვენა კედელზე გამოჩნ-  
და, ახლა შეაში, მერე მარცხენაზე, გაქრა! ისევ მარჯვენაზეა,  
მერე შეაში, მარცხენაზე, გაქრა!

მონტეგმა „ნიჟარა“ შეიდო ყურში:

— პოლიცია წინადადებას აძლევს ელმ-ტერასის რაიონის მთელ მოსახლეობას, მოიქცეს შემდეგნაირად: ამ რაიონის ყველა მობინადრემ, რომელ ქუჩაზეც უნდა ცხოვრობდეს, გააღოს წინა ან უკანა კარი, ან ფანჯარა და ქუჩაში გადმოიხედოს. ლტოლვილი ვეღარ გაგვისხლტება ხელიდან, თუკი ყველა ერთდროულად გადმოიხედავს თავისი სახლიდან. მოემზადეთ!

კარგი აზრია! ნეტა აქამდე რატომ არ მოიფიქრეს? წინა წლებში რატომ არ გამოიყენეს ეს ხერხი? ყველა მოემზადება, ყველა ერთად გადმოიხედავს გარეთ და ლტოლვილი ვეღარსად დაიმალება. ამ ბნელ ქუჩაში ხომ მხოლოდ ის მირბის, მხოლოდ ის ატანს ფეხებს ძალას.

— გამოიხედეთ მეათე დათვლაზე! ერთი, ორი!

მონტეგმა იგრძნო, რომ მთელი ქალაქი ფეხზე წამოდგა.

— სამი!

მონტეგმა იგრძნო, რომ მთელი ქალაქი კარისკენ შეტრიალდა და სირბილს უმატა — მარჯვენა, მარცხენა, მარჯვენა...

— ოთხი!

ყველანი მთვარეულებივით გაემართნენ კარისკენ.

— ხუთი!

მონტეგმა იგრძნო, რომ ყველა კარის სახელურს წაეტანა.

მდინარეს სიცივისა და წვიმის სუნი უდიოდა. მონტეგმა სირბილისგან ცეცხლი ეკიდა ყელში, უეცრად შეჰყვირა და მოეჩვენა, რომ ეს ყვირილი უშველოდა, უკანასკნელი ასიოდე იარდის გარბენას გაუადვილებდა.

— ექვსი, შვიდი, რვა!

ხუთი ათასმა კარის სახელურმა დაბლა დაიწია.

— ცხრა!

მონტეგმა უკანასკნელ სახლებს ჩაურბინა წინ და ფერ-დობით დაეშვა უბარმაზარი სიშავისკენ.

— ათი!

ყველა სახლის კარგი გაიღო.

მონტეგს თვალნათლივ წარმოუდგა გონებაში ეზოებს, ქეჩებსა და ცას მიშტერებული ათასობით ადამიანი. ისინი ფარდებს ეფარებიან, ფერმიხდილ სახეზე შიშს დაუდვია ბინა და რუხი ცხოველებივით აჭყეტენ თავიანთ უფერულ თვალებს ელექტრონის სოროებიდან; ენა, ფიქრები, ლოკუ-ბი... ყველაფერი უსიცოცხლო და უნდილი აქვთ...

მაგრამ აი, მდინარეე!

მონტეგმა ხელი ამოურია წყალში – ხომ არ მეჩვენებაო, როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილი იყო, შიგ შევიდა, გაშიშვ-ლდა, ტანბე, მკლავებზე, ფეხებზე წყალი შეისხა, თავი ცივ წყალში ჩაყო, წყურვილიც მოიკლა და ცოტა ცხვირითაც შეისრუტა. შემდეგ ფაბერის ძველ ტანსაცმელსა და ფეხ-საცმელში გამოეწყო, თავისი წყალში გადაყარა და თვალი გააყოლა. როცა ტანსაცმელი სიბნელეში გაუჩინარდა, ჩე-მოდანი ხელში დაიჭირა და მდინარის შუაგულისკენ წავი-და. ცოტა ხნის შემდეგ მდინარემ ფსკერი გამოაცალა ფეხ-იდან და მონტეგი მთლიანად მინებდა სიბნელეს.

\* \* \*

სამასი იარდი ექნებოდა გავლილი, როცა ძაღლი ნა-პირს მიადგა. მას თავზე ჰელიკოპტერების უბარმაზარი მარაოები დასტრიალებდა. მდინარეს სინათლის ნიაღვარი მოეფინა, თითქოს ღრუბლებიდან მჩემ გამოიხედაო.

მონტეგმა ჩაყვინთა... ჩაყვინთა და იგრძნო, რომ მდინარ-ემ სიბნელეში შეაცურა. სინათლემ ნაპირზე გადაინაცვლა

და ცოტა ხანში ჰელიკოპტერები ისე გაეშერნენ ქალაქისკენ, თითქოს ახალ კვალს მიაგნესო. ახლა აღარც ჰელიკოპტერები ჩანდა და აღარც ძაღლი. დარჩა მხოლოდ ცივი მდინარე და მონტეგი, რომელიც მოულოდნელად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ნელა მიტივტივებდა და თანდათან შორდებოდა ქალაქს, სინათლეს, დევნასა და ყველაფერს.

მონტეგი თითქოს უბარმაბარი სცენიდან ჩამოვიდა, საღაც უამრავი მსახიობი დაფუსფუსებდა, თითქოს გრანდიოზული მოჩურჩულე მოჩვენებებით სავსე სპირიტული სეანსი დატოვა. იგი საშინელი, მოჩვენებითი სამყაროდან რეალურ სამყაროში მოხვდა, მაგრამ ცვლილება ჯერ კიდევ ვერ აღექვა, რადგან ეს გარემო სრულიად უცნობი იყო მისთვის.

ჩაბნელებული ნაპირები მდინარის აღმა მისრიალებდნენ. მალე გორაკები გამოჩნდა. მონტეგს თავზე ვარსკვლავთა მოციმციმე გუნდი დასტრიალებდა. იგი პირველად ხედავდა ასეთ სურათს. ცაბე ჯაგერნაუტის უბარმაბარი ეტლი დაქროდა და ყოველწამს გასრესით ემუქრებოდა მონტეგს.

როცა ჩემოდანი წყლით გაივსო და ჩაიძირა, მონტეგი ზურგზე გადატრიალდა. მდინარე გარმაცად მიიჩლაზნებოდა და სულ უფრო და უფრო შორდებოდა იმ ხალხს, რომლებიც საუბმედ ჩრდილს შეექცეოდნენ, სადილად – ორთქლსა და ვახმად – ნისლს.

მდინარე ძალიან რეალური იყო. მას ფრთხილად ჩაეკრა მონტეგი გულში და დასვენებისა და წარსული თვის, წლისა თუ მთელი სიცოცხლის გახსენებისა და განსჯის საშუალებას აძლევდა. მონტეგმა საკუთარ გულისცემას დაუგდო ყური და მიხვდა, რომ შენელებოდა. ფიქრებიც თითქოს სისხლის მიმოქცევას აჰყოლოდა და როგორლაც

დუნედ უტრიალებდა თავში. უცებ შენიშნა, რომ მთვარე დაბლა დაშვებულიყო. „საიდან წარმოიშვა მთვარე, როგორ ანათებს? პო, მზისგან, რაღა თქმა უნდა! მზე საიდანდა შოულობს სხივებს? არსაიდან, თვითონ აქვს. ანთია და ანთია განუწყვეტლივ. მზე და დრო! მზე, დრო და მცხუნვარე, მწველი ცეცხლი“.

მდინარე მსუბუქად არწევდა მონტეგს. „მწველი ცეცხლი – მზე, ცაგე მზეა, დედამიწაზე – საათი“. უცებ მის გონიერაში საათიცა და მზეც ერთ საგნად იქცა. მონტეგი, რომელსაც ძალიან დიდხანს მიატივტივებდა ცხოვრება და ახლა სულ ცოტა ხნის წინ მიენდო მდინარეს, მიხვდა, რაფომ უნდა აეღო ხელი ცეცხლის გაჩენაზე: „მზე ყოველდღე ანთია. იგი დროს წვავს. სამყარო მიქრის, სამყარო ტრიალებს და თვითონვე, მონტეგის დაუხმარებლად წვავს დროსა და ადამიანებს. მონტეგმა და სხვა მეხანძრეებმა კვლავ რომ განაგრძონ ნივთების დაწვა, მზემ კი დრო ჩანთქას თავის ცეცხლიან სტომაქში, ქვეყნად აღარაფერი დარჩება! ერთ-ერთი უნდა შეჩერდეს, მზე, რაღა თქმა უნდა, არ შეჩერდება. ასე რომ, მონტეგმა და იმ ხალხმა უნდა აიღონ ხელი თავის ხელობაზე, რომლებთანც სულ ცოტა ხნის წინ მუშაობდა. სადღაც უნდა დაიწყოს ფასეულობის შეგროვება და დაცვა. ვიღაცამ უნდა მოუყაროს თავი კაცობრიობის მიერ შექმნილ განძს ანუ წიგნებს. მოათავსოს ეს განძი პატეფონის ფირფიტებსა და ადამიანთა გონებაში, რათა როგორმე დაიცვას იგი ჩრდილის, ობის, ჟანგის, რკილისა და ასანთიანი ადამიანისგან. ამქვეყნად ხომ ყველაფერი იწვის და თანაც სულ სხვადასხვაგვარად – ზოგი სწრაფად, ზოგი კი ნელნელა. ახლა უკვე დადგა დრო, რომ დავიწყოთ ცეცხლგამდლე ტანსაცმლის დამზადება.

მონტეგმა ქუსლები ფსკერს წაჰკრა და ფეხქვეშ მაშ-

ინვე იგრძნო ღორლი და ქვიშა. მდინარეს უკვე მეორე ნაპირზე გაერიყა იგი.

მან ნაპირს გახედა: შავი სივრცე უბარმაზარ, უთვალო, უფორმო და ათასობით მიღბე გაწოლილ არსებას წააგავდა. მისი ამწვანებული ბორცვები და ტყეები თავის წიაღში უხმობდა მონტეგს.

იგი შეყოყმანდა – დავტოვო თუ არა ეს მყუდრო მდინარეო. ვინ იცის, ნაპირზე ძაღლია ჩასაფრებული, ან იქნებ ეს ხეები მოულოდნელად ააშრიალოს ჰელიკოპტერებიდან მონაბერმა ქარმა. მაგრამ ვეღბე მხოლოდ შემოდგომის ჩვეულებრივი ქარი დაქროდა, ისეთივე მშვიდი, როგორიც ეს მდინარე. რა იქნა ძაღლი? რაფომ დაბრუნდნენ მდევრები უკან, ქალაქში. მონტეგმა ყურთასმენა გაამახვილა: ირგვლივ მდუმარება გამეფებულიყო.

„მიღი, – გაიფიქრა მან, – აი მთელი ქვეყანა, ყური დაუგდე! ხედავ, რა სიჩუმეა, რა სიმშვიდეა, მიღი! ნეტავი როგორ აიგანდი ამ დუმილს? ალბათ ყვირილს ატეხდი – გაჩუმდიო! მიღი, მიღი!“

მონტეგს საშინელი დარღი შემოაწვა გულბე. ნაპირზე არც მიღდრედი იყო, არც მექანიკური ძაღლი. აქ მხოლოდ მშრალი თივის სურნელი იგრძნობოდა, რომელიდაც შორეული მინდვრიდან რომ მოპქონდა ნიავს. ამ სურნელმა სულ სხვა მხარეს წარმართა მონტეგის ფიქრები: მას ბავშვობაში ნანახი ფერმა გაახსენდა. ეს იშვიათი და ნეტარი დღე იყო მის ცხოვრებაში.

მონტეგმა აღმოაჩინა, რომ სადღაც, წარმოსახვითი სამყაროს შვიდი ფარდის იქით, ტელევიზორის კედლებისა და ქალაქის თუნუქის თხრილს გადაღმა ნამდვილი ძროხები ძოვენ, ღორები ტალახის გუბეში გორაობენ მზისგულბე და ძაღლები ყეფით მიაცილებენ მთის ფერდობბე მიმავალცხ-

ვრის ფარას.

თივის სურნელმა და წყლის შხაპუნმა გაახსენა ის დამე, ერთ მიყრუებულ, შარაგბიდან კარგა მანძილით მოშორებულ ფერმაში, განმარტოებულად მდგარ საბძელში რომ იწვა ახალმოთიბულ თივაბე. მახლობლად ქარის ძველი წისქვილი იდგა. წისქვილის ფრთები ჭრიალით ჰყვებოდნენ გარდასულ დღეთა ამბებს.

მონტეგი ჭერამდე დაზინულ თივაბე იწვა დილამდე და ცხოველებისა და მწერების ხმას, ფოთლების შრიალისა და ღამეულ ხმაურს უსმენდა.

„ახლაც რომ დამაწვინა თივაბე, — გაიფიქრა მონტეგმა, — ალბათ ფეხის ხმას გავიგონებდი და წამოვჯდებოდი. ფეხის ხმა მინელდებოდა და ბოლოს შეწყდებოდა. მაშინ ისევ თივაბე გადავწვებოდი და სარკმელში დავიწყებდი მზერას. გვიან დამით ფერმერის სახლში სინათლე ჩაქრება, ჩაბნელებულ ფანჯარას თვალწარმტაცი გოგონა მოადგება და თმის დაწვნას დაიწყებს. იგი ბუნდოვნად გამოჩნდება სიბნელეში, მაგრამ სახით იმ გოგონას ემგვანება, ოდესდაც, ძალიან დიდი ხნის წინ რომ ვიცნობდი. გოგონას, რომელმაც იცოდა წვიმისა და ქარის ფასი, არ ეშინოდა ცეცხლოვანი ციცინათელებისა და გეტყოდათ, რას ნიშნავდა ნიკაპქვეშ დარჩენილი ბაბუაწვერას ღინდლი. შემდეგ გოგონა ფანჯარას მოშორდება და ზევით ავა, მთვარის შუქით განათებულ ოთახში“.

შემდეგ სიკვდილი ალაპარაკდა: ზეცა თვალის მისაწიერამდე ორად გაიყოფა რეაქტიული თვითმფრინავების მიერ დატოვებული მრუმე კვალით, მონტეგი კი უშიშრად იქნება წამოწოლილი თივის ბულულებზე და ამ უცნაური, დღემდე უცნობი ვარსკვლავების მზერით დატკბება, რომლებიც განთიადის დადგომისას თანდათან გაუფერულდე-

ბიან და ცის დასალიერისკენ გადაინაცვლებენ. დილით ძილი არ წაართმევს თავს, თუმცა მთელ ღამეს თვალმოუხუჭავად იყნოსავდა თივის თბილ სურნელს, მთელ ღამეს უღიმოდა სოფლურ სიმშვიდეს.

ქვევით, კიბის ძირში, გასახარებელი რაღაც ელოდა. ცა რომ ვარდისფრად შეიფერება, იგი ნეტარებით აღვსილი, ფრთხილად ჩამოვა თივის ბულულებიდან და ცოტა ხანს მოჯადოებული მიაჩერდება, შემდეგ კი დაიხრება და ხელით მოსინჯავს ამ საოცრებას – კიბის ძირში დალაგებულ ერთ ჭიქა ახალმოწველილ რძეს, ორიოდე ვაშლსა და მსხალს. ამის მეტი არაფერი უნდა. მაშასადამე, ამ უბარმაზარმა სამყარომ ხელი არ ჰქონა. მაშასადამე, ამ უბარმაზარმა სამყარომ დრო მისცა, რომ ყველაფერი კარგად გადახარშოს გონებაში.

ერთი ჭიქა რძე, ვაშლი, მსხალი...

მონტეგი წყლიდან ამოვიდა.

მიწა ვეება ტალღასავით გამოექანა მისკენ. მონტეგს ერთბაშად დაეძგერა უკუნეთი, უცნობი მხარე და გამყინავი ქარი, რომელსაც მიღიონნაირი სუნი მოჰქონდა. იგი დააფრთხო ამ საშინელმა სიბნელემ, ხებმა, ათასნაირმა სუნმა. ყურებმა გუგუნი დაიწყო, თავი დაუბრუვდა. ვარსკვლავები ცეცხლოვანი მეტეორებივით მოქროდნენ მისკენ, უცებ კვლავ მდინარეში დაბრუნება მოუნდა: „ჩავწები და მდინარებას მივენდობი! ჯანდაბას, საითაც წამიღებს, წამიღოს“. ამ ყალყბე დამდგარმა მიწამ ის თვალუწვდენელი ტალღა გაახსენა, რომელსაც ერთხელ, ბავშვობაში ძლივს რომ გადაურჩა. ის ტალღა მოულოდნელად მოვარდა სადღაციდან, ფეხებიდან მიწა გამოაცალა მონტეგს, ძირს დაახეთქა, მარილიან ლაფში გახვია და მწვანე წყვდიადში გააქანა. წყალმა ამოუვსო და აუწვა ცხვირ-პირი, გული

აურია...

ო, რამდენი წყალი იყო!

აქ კი რამდენი მიწაა!

უეცრად კედელივით აღმართულ წყვდიადში შრიალი გაისმა და რაღაც ლანდი წამოიმართა. მონტეგს ორი თვალი უმზერდა. ეს ალბათ დამემ ანდა ტყემ მოინდომა, რომ სტუმრისათვის შეევლო თვალი.

მექანიკური ძაღლი?!

ამდენი ირბინო, იჩქარო, ოფლში გაიღვარო, დახრჩობას ძლივს გადაურჩე, ამ სიმორეს წამოხვიდე ასეთი ტანჯვითა და წვალებით და, ბოლოს, როცა მიწაზე დაადგამ ფეხს, უცებ შენ წინ აღიმართოს...

მექანიკური ძაღლი?!

არა, ამდენის ატანა შეუძლებელი იყო. მონტეგს განწირული ყვირილი აღმოხდა... აჩრდილი გაუჩინარდა, თვალები ჩაქრა. მიწაზე გამხმარი ფოთლების წვიმა წამოვიდა. მონტეგი მარტოდმარტო იდგა უღრან ტყეში.

ირემი ყოფილა! მონტეგმა შეიგრძნო მუშკის, სისხლისა და ცხოველთა თბილი ამონასუნთქის სუნი, მერე ილის, ხავსისა და ხარისშებლას სუნმა დაფარა ყველაფერი. ხეები სწრაფად მოექანებოდნენ მისკენ და ასევე სწრაფად იხევდნენ უკან, სიბნელეში, შემდეგ ისევ მოეშურებოდნენ მისკენ...

მონტეგმა იგრძნო, რომ საფეთქლებში რაღაც უკაკუნებდა.

მიწა, ალბათ, ფოთლებით არის დაფარული. მონტეგს ფეხები ეფლობოდა ფოთლებში. იგი თითქოს მშრალ, მოშრიალე მდინარეში მიაბიჯებდა, რომელსაც მიხაკისა და თბილი მტვრის სუნი ასდიოდა. კიდევ რამდენნაირი სუნელება ტრიალებდა ირგვლივ! უმი თეთრი კარტოფილისა,

გრილ, მთვარიან დამეს რომ გაათევს მიწაზე და დილას გაჭრიან; აი, მწნილის სუნი, ეს კი სამბარეულო მაგიდაზე დალაგებული ნიახურის სუნია, მერე მდოგვის სუსტი სუნიც მოვიდა – ალბათ ქილა თავღია დარჩა; ეს კი მეტობელ ეზოში დარგული წითელი მიხაკების სურნელებაა.

მონტეგმა მიწაზე მოაფათურა ხელი და რადაც რბილის სათუთი შეხება იგრძნო ხელისგულზე. ეს ალბათ ბალახის ღერო იყო, რადგან თითებისახესთან რომ მიიგანა, ლაკრიციის სუნი იგრძნო.

მონტეგი იდგა, ღრმად ისუნთქავდა მიწის სურნელს და თანდათან უფრო კარგად ეცნობოდა აქაურობას. მონტეგი აღარ გრძნობდა სიცარიელეს – დედამიწამ აავსო მისი დაცლილი სული და ამიერიდან სულ ასე სავსე იქნება. იგი ბორძიკით მიარღვევდა ხმელი ფოთლების ტალღებს.

უეცრად რადაც ნაცნობი იგრძნო ამ უცნობ სამყაროში – ფეხი რადაც მაგარს წამოჰკრა. გაისმა ლითონის ხისტი ხმა.

მონტეგი დაიხარა და ბალახებში ხელი მოაფათურა.  
ლიანდაგი!

რკინიგბის ლიანდაგი, ჯერ მდინარეს რომ მიჰყვებოდა და მერე ტყეებსა და უდაბნოებს ჰქვეთდა. ლიანდაგი ახლა უპატრონოდ, ჟანგის შესაჭმელად რომ გაუწირავთ!

აი, სწორედ ამ გზას უნდა გაჰყვეს. ეს ლიანდაგი მისი ერთადერთი ნაცნობია აქ. იგი ავგარობია, რომელმაც ერთხანს კიდევ უნდა დაიცვას. შეუძლია ხელით შეეხოს ამ ლიანდაგს, შეუძლია ზედ გაიაროს, სანამ ამ ბუჩქნარზე უდევს გზა, სანამ სურნელებისა და ტკბილ შეგრძნებათა ზღვაში მიცურავს, სანამ ფოთლების შრიალი და ჩურჩული ესალბუნება სმენას.

მონტეგი ლიანდაგს დაუყვა...

და უცებ იგრძნო, რომ მტკიცედაა დარწმუნებული, თუმცა საბუთი არა აქვს, რომ... რომ ოდესლაც, დიდი ხნის წინათ, კლარისასაც გაუვლია ამ გზაზე!

\* \* \*

მონტეგი ფრთხილად მიდიოდა ლიანდაგის შუაში. ნახევარი საათის შემდეგ, როცა მთლად გაითოშა, როცა სიბნელით გაექლინთა მთელი სხეული, როცა სიბნელემ პირი დაუცვა, თვალები აუხვია და ყურები ათასნაირი ხმით ამოუტენა. როცა ფეხები დაეკაწრა და ჭინჭრით დაესუსხა, წინ ცეცხლი დაინახა.

ერთი წამის შემდეგ ცეცხლი ციცინათელასავით გაქრა. მონტეგი შეშინებული შეჩერდა და სუნთქვა შეიკრა, თითქოს ფრთხილობდა, ჩემი ამოსუნთქვით ცეცხლი არ გავაქროო, მაგრამ ცეცხლი კვლავ აციმციმდა და მონტეგი ფეხაკრეფით გაემართა მისკენ. კარგა თხუთმეტი წუთი გავიდა, ვიღრე ცეცხლთან მივიღოდა. მერე ბუჩქებს ამოეფარა და იმ პატარა მოციმციმე ალის თეთრსა და წითელ ენებს დაუწყო მჩერა.

ეს ცეცხლი უცნაურად მოეჩვენა მონტეგს. წინათ სულ სხვანაირი ცეცხლები უნახავს, ეს ცეცხლი კი არაფერს წვავდა – იგი მხოლოდ ათბობდა ყველაფერს!

მონტეგი ცეცხლისკენ გაწვდილ ხელებს ხედავდა (მხოლოდ ხელის მტევნებს – მკლავებს სიბნელე ეფარა). ხელის მტევნებსა და უძრავ სახეებს, რომლებსაც დროდადრო ალი გაეთამაშებოდა და გაანათებდა ხოლმე.

მონტეგმა პირველად გაიგო, რომ ცეცხლს ასეთი თვისებაც ჰქონდა. აქამდე ეგონა, რომ ცეცხლი მხოლოდ წვავდა და ანადგურებდა ყველაფერს, თურმე მას სარგებლობის მოცემაც შეუძლია. ამ ცეცხლს სუნიც სხვანაირი ჰქონდა.

მონტევგმა შემდეგ ვეღარ გაიხსენა, რამდენ ხანს იდგა გაუნძრევლად, ის კი ახსოვდა, რომ სულელური და ამავე დროს სასიამოვნო აბრი მოუვიდა: ვითომ რომელიდაც ცხოველი იყო, ტყიდან ცეცხლის შუქით გამოტყუებული. ვითომ ფანთ ბეწვი ესხა, წყლიანი თვალები, შავი, სველი დრუნჩი, ჩლიქები და რქები ჰქონდა. სისხლი კი, მიწაზე რომ დაღვრილიყო, ალბათ შემოდგომის სუნს მოპფენდა იქაურობას. მონტევგი დიდხანს იდგა გაუნძრევლად და კოცნის თბილ ტკაცაზე უსმენდა. ცეცხლის გარშემო მჯდომი ხალხი ხმას არ იღებდა. ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა. აქ ადამიანს შეეძლო მიგოვებული რკინიგბის მახლობლად მჯდარიყო ხეების ჩრდილში და რამდენიც უნდოდა, იმდენი ემბირა ამ სამყაროსთვის, თვალებით გადაეტრიალებინა მთელი მსოფლიო ისე, თითქოს ეს მსოფლიო აი, ამ კოცნის შუაგულში ყოფილიყო მოკალათებული, თითქოს იგი ფოლადის ნაჭერი ყოფილიყო, რომელიც აი, ამ ხალხმა უნდა გამოკვეროს და სულ ახალი სახე მისცეს. აქ მარტო ცეცხლი კი არ იყო სხვანაირი – თვით სიჩუმესაც ახლებური იერი ედო.

მონტევგი კიდევ ორითოდე ნაბიჯით მიუახლოვდა იმ უცნაურ სიჩუმეს, რომელიც მთელი სამყაროს საგრუნავს იტევდა.

ცოტა ხნის შემდეგ ხალხი ალაპარაკდა, მაგრამ მონტევგს სიტყვები არ ესმოდა. ისინი დინჯად საუბრობდნენ, ხანდახან ოდნავ აუმაღლებდნენ ხმას და მონტევგი მიხვდა, რომ მოსაუბრენი სამყაროს ათვალიერებდნენ. ისინი იცნობდნენ მიწას და ტყეს, იცნობდნენ იმ მდინარისპირა ქალაქს, საიდანაც ეს რკინიგბა გამოდიოდა. ისინი ყველაფერზე ლაპარაკობდნენ, რადგან ქვეყნად არაფერი იყო, რასაც მათი გონება ვერ მისწვდებოდა. მონტევგი ამას მაშ-

ინვე მიხვდა, როგორც კი საუბრის ცოცხალ, ცნობისმოყვარეობითა და გაოცებით შეფერადებულ კილოს დააკვირდა. შემდეგ ერთ-ერთმა თავი ასწია და სტუმარი დაინახა, თუმცა ვინ იცის, იქნებ აქამდეც ხედავდა. ვიღაცამ ხმა მიაწვდინა მონტეგს:

— გეყოფათ, შეგიძლიათ, გამოხვიდეთ!

მონტეგმა უკან, სიბნელეში შერგო თავი.

— ნუ იმალებით, მობრძანდით, — კვლავ მოუხმო უცნობა.

მონტეგი დინჯად მიუახლოვდა კოცონს, რომელსაც მუქლურჯ ტილოს მარვლებში, ასეთივე ფერის პერანგებსა და ქურთუკებში გამოწყობილი ხუთიმოხუცი შემოსჯდომოდა.

მონტეგი მოხუცებს მიუახლოვდა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო — არ იცოდა, რა ეთქვა.

— დაჯექით, — უთხრა ერთ-ერთმა, რომელიც ამ პატარა ჯგუფის უფროსი ჩანდა, — ყავა არ გინდათ?

შავი, ქაფქაფა ყავა თუნუქის დასაკეც ფინჯანში დაასხეს და მონტეგს მიაწოდეს. მან უხერხულად მოსვა რამდენიმე ყლუპი, რადგან მისკენ მიმართულ ცნობისმოყვარე მჩერას გრძნობდა. ყავამ ტუჩები დასწვა, მაგრამ ტკივილი არ უგრძნია — პირიქით, ეამა კიდეც.

მოხუცებს წვერი მოემვათ, მაგრამ სუფთად და ლამაზად ჰქონდათ მოვლილი და ხელებზეც არ ეყყობოდათ ჭუჭყი. მონტეგის მისვლისას ყველანი ფეხზე წამოდგნენ სტუმრის პატივსაცემად და შემდეგ ისევ დასხდნენ.

მონტეგმა კიდევ მოსვა ყავა და მადლობა გადაუხადა მასპინძლებს:

— გმადლობთ, დიდი მადლობა!

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მონტეგ! მე გრენ-

ჯერი მქვია, – მოხუცმა რაღაც უფერული სითხით სავსე პატარა ბოთლი გაუწოდა, – აი, ამასაც თუ დალევთ, ოფლის ქიმიური ინდექსი შეგეცვლებათ და ნახევარი საათის შემდეგ სულ სხვა ადამიანის სუნი გექნებათ. თქვენ ხომ ძალა მოგდევთ, ბოლომდე დაცალეთ, ბოლომდე.

მონტეგმა მწარე სითხე შესვა

– ამიერიდან ფოცხვერივით აქოთდებით, მაგრამ არა უშავს, – უთხრა გრენჯერმა.

– საიდან იცით ჩემი სახელი? – ჰკითხა მონტეგმა.

გრენჯერმა მომცრო ტელევიზორზე მიუთითა, რომელიც კოცონის გვერდით იდო:

– ჩვენ თავიდანვე გადევნებდით თვალს და დავასკვენით, რომ აქეთ, სამხრეთისკენ ჩამოჰყებოდით მდინარეს. მერე, როცა გავიგონეთ, რომ მთვრალი ლალი ირემივით მოარღვევდით ამ ტევრს, აღარ დავიმალეთ, როგორც ადრე ვიმალებოდით ხოლმე. როცა ჰელიკოპტერებმა ქალაქისკენ იბრუნეს პირი, მაშინვე მივხვდით, რომ მდინარეში ჩაყვინთეთ. ქალაქში კი უცნაური ამბავი ხდება – დევნა კვლავ გრძელდება, ოღონდ სხვა მიმართულებით.

– სხვა მიმართულებით?

– ჰო, მოდი, ვუყუროთ.

გრენჯერმა ის პატარა ტელევიზორი ჩართო. კოცონთან ღამეული მოჩვენებებივით ათამაშდა პატარა, ფერადი, მობუზუნე ლანდები, რომლებიც ციცქა ჩარჩოში ჩაჭედილიყო და სულ ადვილად შეიძლებოდა ხელიდან ხელში გადასულიყო.

ეკრანიდან ყვირილი ისმოდა.

„დევნა ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გრძელდება! პოლიციის ჰელიკოპტერები თავს იყრიან ოთხმოცდამეშვიდე ქუჩასა და ელმ გროუვის პარკის რაიონში!“

— თვალს გვიხვევენ, — თავის ქნევით ჩაილაპარაკა გრენჯერმა, — თქვენი კვალი მდინარესთან დაკარგეს, მაგრამ სახალხოდ ხომ ვერ იტყვიან! თან ისიც იციან, რომ ამ საქმის გაჭიანურება არ ივარგებს. ეს სპექტაკლი უცებ უნდა დამთავრდეს! იმ წყეულ მდინარეში რომ დაეწყოთ ძებნა, ალბათ მთელ დამეს ვეღარ დაამთავრებდნენ. ამიტომ ახლა უდანაშაულო მსხვერპლს ეძებენ, რომ ლამაზად დაამთავრონ ყველაფერი. ნახეთ, თუ ხუთი წეთის შემდეგ არ დაიჭირონ მონტეგი.

— კი მაგრამ, როგორ?

— აი, ნახავთ!

ჰელიკოპტერის მუცელში მოთავსებული ტელეკამერა ახლა უკაცრიელ ქუჩას დაპყურებდა.

— ხედავთ? — დაიჩურჩულა გრენჯერმა, — აი, ახლა თქვენ გამოჩნდებით! აი, იქ, იმ ქუჩის ბოლოს. იქ უნდა დავინახოთ ის განწირული. აკვირდებით, როგორ მუშაობენ? ჯერ ქუჩას გვიჩვენებენ, მაყურებელი მოუთმენლად მოელის რაღაც უჩვეულოს გამოჩენას ამ ქუჩაზე. მერე დიდხანს, დიდხანს იძლევიან ქუჩის პერსპექტივას და აი, სწორედ ახლა, ალბათ, ვინმე საწყალი კაცია გამოსული სასეირნოდ სახლიდან. ვინმე უცნაური, მოსულელო ადამიანი. არ გეგონოთ, რომ პოლიციამ არ იცის ამისთანა ბატების ხასიათი. პოლიციამ მშვენივრად იცის, რომ ისინი განთიადგე გამოდიან ხოლმე სასეირნოდ. ისე, სრულიად უმიბებოდ გამოდიან ხოლმე, ან ზოგჯერ იმიტომ, რომ უძილობა აწუხებთ. მათ თვეობით, წლობით ადევნებენ თვალს — ვინ იცის, როდის გამოადგებათ. აი, ნახეთ, დღეს პირდაპირ სულბე მოუსწრებს. უამისოდ საქმე წასული იქნებოდა. ღმერთო, აი, შეხედეთ!

ცეცხლის ირგვლივ მოხუცები ტელევიზორს ჩააშტერდნენ. მოსახვევიდან კაცი გამოვიდა. უცებ ეკრანზე მექანი-

კური ძაღლი გამოვარდა.

ჰელიკოპტერებმა ათიოდე ბრილიანტის სვეტი ჩამოუშვეს დაბლა და უცნობი ამ სვეტებშეა მოიმწყვდიეს.

გაისმა დიქტორის ხმა: „აი, მონტეგი! ძებნა დამთავრებულია!“

უდანაშაულო კაცი დაბნეული შეჩერებულიყო შუა ქუჩაზე, ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა და თვალდაუხამაშებლად მისჩერებოდა ძაღლს. იგი ვერ ხვდებოდა და ალბათ ისე დალევდა სულს, რომ ვერც მიხვდებოდა, თუ რა სულიერთან ჰქონდა საქმე. ეტყობოდა, არასოდეს ენახა მექანიკური ძაღლი. მან ჯერ ბევით აიხედა, მერე კი სირენების ღრიალს მიუგდო ყური.

ტელეკამერები დაბლა დაეშვნენ.

ძაღლი მარჯვედ აიჭრა ბევით, ნესტარი დაიგრძელა და წამით უძრავად გაჩერდა ჰაერში, რათა მაყურებელთა მიღიონებს უკეთ დაენახათ ყველაფერი: უკაცრიელი ქუჩა, მსხვერპლის გაოგნებული სახე და ფოლადის ცხოველი, რომელიც ტყვიასავით მიექანებოდა მიზნისკენ!

— არ გაინძრეთ, მონტეგ! — გაისმა ბრძანება ბეციდან. კამერა და ძაღლი დაბლა დაეშვნენ და ერთდროულად დააცხრენ მსხვერპლს. ორივემ ერთდროულად ჩაბლუჯა იგი.

განწირული ყვირილი!

სიბნელე!

სიჩუმე!

ტელევიზორის ეკრანი მთლად გაშავდა. მონტეგმა შეჰყვირა და კოცონს ბურგი შეაქცია. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

კოცონის ირგვლივ მსხდომ მოხუცებს სახე გაჰქვავებოდათ. ჩაბნელებული ეკრანიდან დიქტორის ხმა გაისმა:

— ძებნა დამთავრდა. მონტეგი მკვდარია. საფრთხე, რომელიც საბოგადოების კეთილდღეობას ემუქრებოდა, ლიკვიდირებულია!

სიჩუმე!

— ახლა თქვენთან ერთად ვიხილოთ ოტელ ლუქსის „ლია დარბაზი“. ნახეთ ნახევარსაათიანი გადაცემა „განთიადის წინ“. ჩვენს პროგრამაში... გრენჯერმა ტელევიზორი გამოთიშა და მონტეგს მიუბრუნდა:

— იმ კაცის სახე ბუნდოვნად გვიჩვენეს. ხომ შენიშნეთ? თქვენი საუკეთესო მეგობარიც ვერ იტყოდა დარწმუნებით, ნამდვილად ვიცანიო. მხოლოდ კონტურები გვიჩვენეს, იცოდნენ, რომ დანარჩენს მაყურებელი წარმოიდგენდა. ო, ღმერთო!

მონტეგმა ხმა არ ამოიღო. მას თავი მიებრუნებინა, ტელევიზორის შავ ეკრანს მისჩერებოდა და ცახცახებდა.

გრენჯერმა ხელი წაავლო მკლავში და უთხრა:

— სალამი, მკვდრეთით აღმდგარო!

მონტეგმა თავი დაუქნია. გრენჯერმა განაგრძო:

— ახლა შეიძლება ყველა გაიცნოთ. ეს ფრედ კლემენტია. წინათ, სანამ კემბრიჯის უნივერსიტეტი ატომურ-საინჟინრო სასწავლებლად გადაკეთდებოდა, თომას ჰარდის სახელობის კათედრის უფროსი იყო. ეს კი დოქტორი სიმონსია, ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს თრტეგა ი გასეგის შემოქმედებაზე. პროფესორი უესტი კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობდა და დიდი წვლილი მიუძღვის ეთიკის, ამჟამად მივიწყებული მეცნიერების, განვითარებაში. ღირსეულმა მამა ჰადოვერმა ოცდაათიოდე წლის წინ რამდენიმე ქადაგება წაიკითხა და ერთ კვირაში მთელი მრევლი დაკარგა. ეს ერთი ხანია ერთად დავხეტიალობთ. ახლა საკუთარ თავზე

მოგახსენებთ: მე დავწერე წიგნი, რომლის სათაურია: „ხელი და ხელთათმანი, ანუ საბოგადოებისა და ინდივიდის ჭეშ-მარიტო ურთიერთობა“ და ამიტომ აქ აღმოვჩნდი! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან, მონტეგ!

— მე თქვენი დირსი არა ვარ, — ძლივს ამოღერდა მონ-ტეგმა, — მთელი ცხოვრება მხოლოდ სისულელებს ჩავ-დიოდი.

— უმაგისობა არ იქნება. შეცდომა რომ არ ჩაგვედინა, აქ არ ვიქნებოდით. როცა ცალ-ცალკე ვიღვწოდით, მხოლოდ სიძულვილი იყო ჩვენი ერთადერთი იარაღი. მაგალითად, მე მრავალი წლის წინათ მეხანძრეს გავარტყი. იგი ჩემი ბიბლიოთეკის დასაწვავად იყო მოსული. მას შემდეგ ვი-მალები. გინდათ შემოგვიერთდეთ, მონტეგ.

— დიახ!

— რისი შემოთავაზება შეგიძლიათ?

— არაფრის. მეგონა „ეკლესიასტესა“ და „აპოკალიფ-სის“ ნაწილი მქონდა, მაგრამ თურმე შევმცდარვარ.

— „ეკლესიასტე“ შესანიშნავი იქნებოდა. სად გქონდათ?

— აქ, — მონტეგმა შუბლზე მიიღო ხელი.

— ჰოო, — ღიმილით დააქნია თავი გრენჯერმა.

— რა მოხდა, არ შეიძლება? — იკითხა მონტეგმა.

— პირიქით, კარგია, საუცხოოა! — გრენჯერი მღვდელს მიუბრუნდა, — „ეკლესიასტე“ გეგულება სადმე?

— არის ერთი, ჰარისი. იანგსტაუნში ცხოვრობს.

გრენჯერმა მაგრად ჩაავლო მხარში ხელი მონტეგს:

— მონტეგ, ფრთხილად იყავით, თავს მოუარეთ. ჰარისის რომ რაიმე შეემთხვეს, თქვენ გარდა „ეკლესიასტე“ აღარ დაგვრჩება. ხედავთ, რა საჭირო აღამიანად გადაიქცით?

— კი მაგრამ, რომ აღარ მახსოვს!

— არა, უკვალოდ არაფერი იკარგება. შეიძლება ტვინის

ხრახნების მოჭერა, თუ საჭირო იქნება.

— მე ვეცადე გამეხსენებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი!  
— ნუ ეცდები!.. როცა აუცილებელი იქნება, თავისით გაგახ-  
სენდებათ. მეხსიერება ფოტოფირს წააგავს. ჩვენ კი მთე-  
ლი სიცოცხლის განმავლობაში სულ იმას ვცდილობთ, რომ  
ამ ფირზე გადაღებული გამოსახულება არ გამო-  
ვამჟღავნოთ. სიმონსმა ოცი წელი იმუშავა ამ საკითხებე-  
და ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია გავიხსენოთ, თუკი ოდესმე  
რაიმე წაგვიკითხავს. პლატონის „რესპუბლიკის“ წაკითხ-  
ვა არ გინდათ?

— რასაკვირველია, მინდა!

— „რესპუბლიკა“ მე ვარ. მარკუს ავრელიუსი გსურთ?  
აი, მისტერ სიმონსიამარკუსი.

— სალამი, — დაუკრა თავი სიმონსმა.

— გაგიმარჯოთ, — უპასუხა მონტეგმა.

— მე მინდა იცნობდეთ ჯონათან სვიფტს. მწვავე პოლი-  
ტიკური სატირის, „გულივერის მოგზაურობის“ ავტორს. აი,  
ეს „ყმაწვილი“ ჩარლზ დარვინია, ეს შოპენპაუერია — მეტად  
კეთილი ფილოსოფოსი. აი, ყველანი აქ ვართ, მონტეგ —  
არისტოფანე და მაპათმა განდი, გაუტამა ბუდა და კონფუცი,  
თომას ლავ პიკოკი, თომას ჯეფერსონი და მისტერ  
ლინკოლნი. ჩვენა ვართ აგრეთვე მათე, მარკობი, ლუკა და  
იოანე.

მოხუცებმა ხმამაღლა გაიცინეს.

— ეს შეუძლებელია, — დაეჭვდა მონტეგი.

— ნამდვილად ასეა, — ღიმილით უთხრა გრენჯერმა, —  
ჩვენც წიგნის დამწველები ვართ. ვკითხულობთ და მერე  
ვწვავთ ხოლმე. გვეშინია, არ იპოვონ. მიკროფილმები არ  
გამოგვადგა. ჩვენ სულ გზაში ვართ, მიკროფილმები კი  
სადმე მიწაში უნდა ჩაფლა. მერე, ამოსაღებად რომ მიხ-

ვალ, შეიძლება დაგიჭირონ. ეს ბებერი თავი ყველაფერს სჯობს – ვერავინ ჩაიხედავს შიგ და ვერც ეჭვს მიიტანს ვინმე. ჩვენ ისტორიის, ლიტერატურის, საერთაშორისო სამართლის ნამსხვრევები და ნაგლეჯები ვართ – ბაირონი, თომას პეინი, მაკიაველი, იესო ქრისტე – ყველამ აქ მოვიყარეთ თავი. მაგრამ უკვე დაგვიანებულია და თან ომიც დაიწყო. ჩვენ აქ ვართ გადმოხვეწილები, ქალაქი კი იქ დარჩა, მორთულ-მოკაზმული, ნაირფერადი. რაზე ფიქრობთ, მონაცემ?

– რაზე და, რა სულელი ვიყავი, რომ მარტო ვაპირებდი ბრძოლის დაწყებას. როცა წიგნები მეხანძრის ბინაში შევყარე და განგაში ავტეხე.

– რაც შეგეძლოთ, იმას აკეთებდით. ყველას რომ ასე ექნა, შესანიშნავ შედეგს მივიღებდით, მაგრამ ჩვენი მეთოდი უფრო მარტივია და ალბათ უკეთესიც. ჩვენ ერთადერთი მიზანი გვაქვს – ხელუხლებლად დავიცვათ ის ცოდნა, რომელიც მომავალში გამოგვადგება. ამიტომ არავის ვაქებებთ და თანაც ძალიან ვფრთხილობთ, რომ ჩვენც არ დავიმსახუროთ ვინმეს რისხვა, რადგან ჩვენ თუ დავიხცებით, ცოდნაც სამუდამოდ დაიღუპება. ჩვენ ყველაზე წყნარ მოქალაქეებად მიგვიჩნიეს, რადგან დღე მიტოვებულ ლიანდაგებთან დავეხეტებით, ღამე კი მთებს ვაფარებთ თავს. ამიტომ არის, რომ ქალაქელები მოგვეშვნენ. მხოლოდ ხანდახან გაგვაჩერებენ და გაგვჩხერებენ, მაგრამ ვერაფერს გვიპოვიან ხოლმე ისეთს, რომ დაპატიმრების საბაბად გამოდგეს. ეს ორგანიზაცია ძალგე მოქნილი და მოუხელთებელია. მისი წევრები მთელ სახელმწიფოში არიან მიმოფანგული. ბოგმა ჩვენგანმა სახისა და თითების პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. ახლა მძიმე დღე გვადგას – ომის დაწყებას ველოდებით. გვინდა, მალე დაიწყოს და

მალევე დამთავრდეს. ომი საშინელებაა, მაგრამ ჩვენ საცოდავი უმცირესობა ვართ და ბევრიც რომ ვიყვიროთ, არ მოგვისმენენ. აი, ომი რომ დამთავრდება, მაშინ ალბათ ცოტათი მაინც გამოვადგებით ქვეყანას.

— დარწმუნებული კი ხართ, რომ მაშინ მაინც მოგისმენენ?

— თუ არ მოგვისმენენ, კიდევ უნდა მოვიცადოთ. მაშინ წიგნებს ჩვენს შვილებს უჟამბობთ, ისინი, თავის მხრივ, თავიანთ შვილებს უამბობენ. ბევრი, რა თქმა უნდა, დაიკარგება, მაგრამ რა გაეწყობა — ძალით ვერავის დააგდებინებ ყურს. თვითონ უნდა გაუგონ თავიანთ ეპოქას, დაუფიქრდნენ და მიხვდნენ, თუ რატომ მოხდა ასე, რატომ გაუქრათ დედამიწა ფეხქვეშ. არ შეიძლება სულ ასე გაგრძელდეს: როცა იქნება მიხვდებიან.

— სულ რამდენი იქნებით?

— ათასობით. ჩვენ აი, ასე მივყვებით მიტოვებულ ლიან-დაგებს, გარეგნულად მაწანწალებს ვგავართ. მაგრამ თავით მთელ ბიბლიოთეკას ვატარებთ. თავიდან ასეთი განზრახვა არ გვქონია — თითოეული ერთ რომელიმე წიგნს იმახსოვრებდა ბეპირად: მერე, ამ ოცი წლის განმავლობაში, რაც ერთმანეთს ვხვდებით, თანდათან შევკავშირდით და მოქმედების გეგმაც შევიმუშავეთ. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იყო, მტკიცედ ჩაგვებეჭდა გონებაში, რომ ჩვენ თვითონ არაფერს წარმოვადგენდით. ჩვენ მხოლოდ ყდები ვართ და ამ ყდებმა მტვრისა და ჭუჭყისგან უნდა დაიცვას წიგნები — არც მეტი, არც ნაკლები. ბოგი ჩვენგანი პატარა ქალაქში ცხოვრობს. მაგალითად, თოროს „უოლდენი, ანუ ტყეში ცხოვრების“ პირველი ნაწილი გრინ-რივერის მცხოვრებია, მეორე — უილოფარმისა, მენის შეგატში რომ მდებარეობს. მერილენდში ერთი ქალაქია, სადაც სულ

ოცდაშვილი კაცი ცხოვრობს. ამ ქალაქისათვის ბომბს არ დახარჯავენ, ეს ქალაქი კი ვინმე ბერტრან რასელის თხზულებათა სრული კრებულია. იგი შეგიძლიათ წიგნივით აიღოთ ხელში და გადაფურცლოთ. აი, ამ კაცს ამდენი ფურცელი ჰქონია, ამას ამდენი... და ერთ დღეს, როცა ომი დამთავრებული იქნება, ჩვენ შეგვეძლება ხელახლა შევუდგეთ წიგნების წერას. შევკრებთ ამ ხალხს, მოვაყოლებთ, რაც ახსოვთ და ყველაფერს ქაღალდზე გადავიტანთ. შემდეგ კი შესაძლებელია, კვლავ დადგეს „უვიცობის ხანა“ და ისევ ხელახლა დავიწყოთ ყველაფერი. კარგია, რომ ადამიანს ერთი საოცარი თვისება გააჩნია: იგი მხნედ და დაუბარებლად იწყებს ხოლმე საქმეს თავიდან, თუკი იცის, რომ ეს საქმე მნიშვნელოვანია და აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

— ამაღამ რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა მონტეგმა.

— უნდა მოვიცადოთ და ყოველი შემთხვევისთვის ცოტათი გადავინაცვლოთ მდინარის მიმართულებით, — უპასუხა გრენჯერმა და კოცონს მიწა და ტალახი მიაყარა.

სხვებმაც, მათ შორის მონტეგმაც მხარი აუბეს გრენჯერს და უდაბურ ტყეშიხალხი ერთად მიესია კოცონს ჩასაქრობად.

ცაბე მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდა. ხალხი მდინარის პირას შექუჩებულიყო.

მონტეგმა საათის მანათობელ ციფერფლაფზე დაიხედა. ხუთი იყო. დილის ხუთი საათი. ეგონა, მთელმა წელიწადმა განვლო და თურმე მხოლოდ ერთი საათი მოჰკლებია ღამეს. მდინარის ნაპირს კი უკვე განთიადი მოადგა.

— რატომ მენდობით? — იკითხა მონტეგმა.

ვიღაც შეინძრასიბნელეში და უპასუხა:

— თქვენ ერთი შეხედვით გეტყობათ. ალბათ, კარგა ხანია

სარკე არ გინახავთ თვალით. გარდა ამისა, ქალაქს აქამდე ასე არ შეუწებია თავი ჩვენს საპოვნელად და რაღა ახლა მოვიგდავნიდა ვინმეს. ლექსებით გამოტენილი ათიოდე სულელი დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს. ეს ჩვენც გვესმის და იმათაც. სანამ მთელი მოსახლეობა „თავისუფლების ქარტიისა“ და კონსტიტუციის ციტირებას არ დაიწყებს. ყველაფერი რიგბეა. მანამდე მეხანძრეებიც მოუვლიან საქმეს. არა, ქალაქი არ გვაწებებს ხოლმე. აი, თქვენ კი საშინლად გამოიყურებით.

ისინი ქვევით, სამხრეთისკენ მიჰყვებოდნენ მდინარის ნაპირს. მონტეგმა შეათვალიერა თანამგბავრები. უნდოდა, კვლავ დაენახა მოხუცების დადლილი, ნაოჭებით დასერილი სახე, უნდოდა, გაეგო, ემჩნეოდათ თუ არა სახებე სიხარული, მხნეობა და ხვალინდელი დღის იმედი. მონტეგს ეგონა, რომ ცოდნას ჩირალდანივით უნდა გაებრწყინებინა მოხუცთა სახეები, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. იქ, ტყეში რომ იყვნენ, კოცონი უცისკროვნებდათ სახეებს, აქ კი ჩვეულებრივი ადამიანები ჩანდნენ. ისინი თავიანთი დღე და მოსწრება გზებზე გაკრულიყვნენ და მუდამ რაღაცას ეძებდნენ. ხედავდნენ, როგორ იღუპებოდა ყოველივე ლამაზი და მშვენიერი ამქვეყნად და ამიტომ სიბერეში ყველამ ერთად მოიყარა თავი, რათა ენახათ, როგორ დამთავრდებოდა ღრეობა და როგორ ჩაქრებოდა ლამპრები. დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ მათი გონების საგანძურის შექი გაასპეტაკებდა მომავლის განთიადს, მაგრამ ის კი სწამდათ, რომ იმ წიგნებს, რომლებიც წყება-წყებად ჰქონდათ ჩალაგებული გონებაში, ოდესმე მკითხველები გამოუჩნდებოდნენ და ბოგი სუფთა და ბოგი კი დასვრილი ხელით წასწვდებოდა ახალთახალ, ჯერ კიდევ გაუჭრელ ეგზემპლარებს.

მონტევი ხან ერთ მოხუცს გადაჰკრავდა თვალს, ხან მეორეს.

— წიგნი ყდით არ უნდა შეაფასო, — ჩაიდედუნა ერთ-ერთმა. სხვებმა სიცილით დაუდასტურეს ნათქვამი და გზა გააგრძელეს.

\* \* \*

ცაში ყურისწამლები ღრიანცელი გაისმა და რეაქტიული თვითმფრინავები მანამდე გაუჩინარდნენ, სანამ მოგზაურები ზევით ახელვას მოასწრებდნენ.

თვითმფრინავები ქალაქიდან მოფრინავდნენ და მონტევმაც მდინარის გადაღმა, ქალაქისკენ გაიხედა. ახლა იქ მხოლოდ მქრქალი აისი მოჩანდა.

— ჩემი ცოლი ქალაქში დარჩა.

— სამწეხაროა. ქალაქს ამ მოკლე ხანში ცუდი დღე დაადგება, — თქვა გრენჯერმა.

— საკვირველია, რატომ არ ვდარდობ ცოლს? საკვირველია, საერთოდ რატომ არაფერს განვიცდი? აი, ამ წესს გამიელვა კიდეც თავში: რომ მოკვდეს, სულაც არ ვინაღვლებ-მეთქი. ასე არ ვარგა. ეტყობა, რაღაც დამემართა...

— მისმინე, — უთხრა გრენჯერმა, ცალი ხელი მკლავში წაავლო და მეორით ბუჩქები მოარიდა, — მე პატარა ვიყავი, როცა პაპა მომიკვდა. იგი მოქანდაკე იყო. გარდა ამისა, მეტად კეთილი ადამიანი გახლდათ, სიყვარულით სავსე გული ჰქონდა და ამ სიყვარულს ყველასთვის იმეტებდა. ჩვენი ქალაქის გაწმენდა ჯურდმულებისგან პაპაჩემის დამსახურებაა. იგი სათამაშოებს გვიკეთებდა ბავშვებს. მთელი თავისი ცხოვრება ალბათ უამრავი რამ შეუქმნია. იმის ხელებს მოცალეობა არ ჰქონდა. როცა გარდაიცვალა და ვასაფლავებდით, უცებ მივხვდი, რომ პაპაჩემს კი არ

დავტიროდი, არამედ მის ნამოღვაწარს. იმიტომ ვტიროდი, რომ ვხვდებოდი, ამიერიდან ვერაფერს შექმნიდა, ვეღარასოდეს გამოვითლიდა ხისგან სათამაშოებს, ვეღარ მოგვეხმარებოდა მტრედების მოშენებაში, ვეღარ დაუკრავდა ვიოლინოს და ვეღარ მოგვიყვებოდა სასაცილო ამბებს. იგი ჩვენი სხეულის ნაწილი იყო და როცა მოკვდა, ეს ნაწილი დაგვიდუნდა: ამქვეყნად ისეთი ადამიანი აღარ დარჩა, რომელიც პაპაჩემის ასლი იქნებოდა. იგი თავისებური, საჭირო და უბადლო ადამიანი იყო. მე დღემდე ვერ მომინელებია მისი დაკარგვა. ხშირად დანანებით მითქვამს, – ცოცხალი რომ ყოფილიყო, ძვირფას ნივთს გამოთლიდამეთქი. რამდენი სასაცილო ამბავი ჩაიყოლა სამარეში, რამდენ მტრედს მოაკლდა მისი ალერსიანი ხელი. იგი სამყაროს თავისებურ ფორმას აძლევდა, თავის ხელს ამჩნევდა მას. და იმ დამეს, როცა გარდაიცვალა, სამყაროს ათიოდე მიღიონი შესანიშნავი ნამოღვაწარი დაკლდა.

მონტევი ერთხანს მდუმარედ მიაბიჯებდა, მერე ჩურჩულით აღმოხდა: „მიღი, მიღი!“

– რა თქვით?

– ჩემი მეუღლე! ჩემი მეუღლე! საწყალი, საცოდავი მიღი, – კვლავ აჩურჩულდა იგი, – აღარაფერი მახსოვს. მინდა მისი ხელები გავიხსენო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ეს უმოქმედო ხელები ხან უსიცოცხლოდაა დაშვებული მხრებიდან, ხან მუხლებზე დალაგებული, ხან კი სიგარეტი უჭირავთ. ეს არის და ეს. სხვანაირად ვერ ვიხსენებ.

მონტევი მიტრიალდა და განვლილ გბას გახედა.

შენ რა მიეცი ქალაქს, მონტევ?

ფერფლი!

რას აძლევდა ხალხი ერთმანეთს?

სრულიად არაფერს!

გრენჯერიც მიტრიალებულიყო და ქალაქს გასცექერო-  
და:

— ყოველმა ადამიანმა რაიმე უნდა დატოვოს ამქვეყნა-  
დო, — იტყოდა ხოლმე პაპაჩემი. ბავშვი, წიგნი, ნახატი, საკუ-  
თარი ხელით აშენებული კედელი, საკუთარი ხელით შეკ-  
ერილი ფეხსაცმელი, საკუთარი ხელით გაშენებული ბალი...  
რაიმე, რასაც შენი ხელი შეხებია და რაშიაც შენი სული  
ჩასახლდება სხეულის სიკვდილის შემდეგ. ხალხი შეხედავს  
შენ მიერ დარგულ ხეს ან ყვავილს და გაცოცხლდები. სუ-  
ლერთია, რას გააკეთებთო, -ამბობდა იგი, — ყველაფერი,  
რასაც შენი ხელი მიეკარება გადასაკეთებლად, შენვე და-  
გემსგავსებაო. სწორედ ამიტომ განსხვავდება ნამდვილი  
მებაღისგან ის ადამიანი, რომელიც ისე, უბრალოდ თიბავს  
ბალახს მინდორში. ბალახის მთიბავი შეიძლება სულაც  
გაქრეს, მებაღის სული კი მუდამ იქ იტრიალებს.

გრენჯერმა ხელი წაავლო მკლავში მონტეგს და გა-  
ნაგრძო:

— ერთხელ, ორმოცდაათი წლის წინათ, პაპამ რამდენ-  
იმე ფილმი მიჩვენა V-2 ტიპის რაკეტების შესახებ. გინახ-  
ავთ ოდესმე ორასი მილის სიმაღლეზე აღმართული ატომ-  
ური ბომბის სოკო? უბარმაგარ, გადამწვარ უდაბნოსთვის  
ეს ქინძისთავის ჩხვლეფაა მხოლოდ, მეტი არაფერი. პაპაჩემ-  
მა ეს ფილმი ერთი ათჯერ მაინც მაჩვენა და მერე იმედი  
გამოთქა, რომ ოდესმე ქალაქები ფართოდ გაუდებენ კარს  
სიმწვანეს, მიწასა და პირველყოფილ ბუნებას, რათა არ  
დავივიწყოთ, რომ ჩვენ მხოლოდ მიწის მცირე ფართობი  
გვეკუთვნის და რომ ბუნებას შეუძლია უკან წაიღოს თავისი  
ნაბოძვარი. მას სულ აღვილად შეუძლია ჩვენი განადგურე-  
ბა: ერთს შევიძერავს და აღგვგვის პირისაგან მიწისა, ან  
ზღვას მოგვისევს, რათა დაგვიმტკიცოს, რომ არც ისე

ძლიერები ვართ, როგორც გვგონია. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დამით ბუნება უფრო გვიახლოვდება. თუ ეს დაგვავიწყდა, ისიც დაგვავიწყდება, თუ რა საშიშია და ძლიერია იგი და მაშინ, ერთ დამეს, მოვა და წაგვიყვანსო, — ამბობდა პაპაჩემი. გასაგებია? იგი დიდი ხანია, აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ ახლა თავის ქალა რომ ამხადო და ტფინის ხვეულებს დახედო, პაპაჩემის ცერის ანაბეჭდს დაინახავ. იგი ოდესლაც შეეხო ჩემს ტვინს და ფართო კვალი დატოვა ბედ. აკი წელან გითხარი, მოქანდაკე იყო-მეთქი.

მე მეჯავრება რომაელი, რომელსაც „სტატუს კვო“ ჰქვია სახელადო, — ამბობდა ხოლმე პაპაჩემი, — თვალებში ცნობისწადილის ცეცხლი უნდა გენთოსო. ისე უნდა დაეხარბო ყველაფერს, თითქოს ათი წამის სიცოცხლე დაგრჩენია. შეეცადე, დაინახო ცხოვრება. იგი ყოველივე ხელოვნურზე უფრო მშვენიერია. არასოდეს მოითხოვო გარანტია და უშიშროება — ასეთი ცხოველი არ არსებობს, ან თუ არსებობს, ალბათ იმ ბარმაცი მაიმუნის ნათესავია, რომელიც თავდაყირა ჰკიდია ხეზე და მთელ ცხოვრებას ძილში ატარებს. ჯანდაბას იმისი თავი! მაგრად შეარხიე ხე და ის გარმაცი უკანალით დაახეთქე მიწაზეთ.

— შეხედეთ! — შეჰყვირა მონტეგმა.

იმ წამში ომი დაიწყო და დამთავრდა კიდეც! შემდგომში ვერც ერთმა ვერ თქვა ნიშნეულად, თუ რა დაინახა. უფრო იგრძნეს, ვიდრე დაინახეს, რომ ცაში რაღაც აფეთქდა და ამოძრავდა. იქ ალბათ ბომბები ჩამოცივდა და ათი, ხუთი თუ ერთი მიღის სიმაღლეზე გადაიქროლა რეაქტიულმა თვითმფრინავებმა. ვიღაცის უბარმაბარმა ხელმა ფეტვივით მოაბნია ბომბები განთიადის ძილში განაბულ ქალაქს და გაუჩინარდა. ბომბები საშინელი სისწრაფით ეშვებოდა დაბლა, მაგრამ მიწამდე მაინც დააგვიანეს მისვ-

ლა. სინამდვილეში დაბომბვა მაშინ დამთავრდა, როცა საათში ხუთი ათასი მილის სიჩქარით მიმქროლავმა თვით-მფრინავებმა თავიანთი სამიზნე შენიშნეს და მსროლელებს შეატყობინეს. ომი ისე სწრაფად მოთავდა, თითქოს ცელი გაიქნიეს. ამას მხოლოდ ბომბდამჭერების ბერკეტის გადა-წევა დასჭირდა. და შემდეგ, იმ სამიოდე წამის განმავლო-ბაში, სანამ ბომბები მიწაბე დაცვივდებოდნენ, მტრის სა-ჰაერო ხომალდები ცისკიდურს მიეფარნენ. დიახ, ისინი იმ ტყვიას ჰგავდნენ, რომლისაც ველურს არ ეშინია, რადგან თვალით ვერ ხედავს, თუმცა კი უკვე გული აქვს გახ-ვრეტილი. სხეული უღონოდ ეშვება მიწაბე, სისხლი დვარ-ად მოსჩქეფს ჭრილობიდან, გონება ცდილობს შეინარჩუნ-ოს ძვირფასი მოგონებები, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთ-ში ირევა და წყვდიადში იძირება.

ეს ძნელი დასაჯერებელი იყო. ისე ადვილად ვერც კი შეამჩნევდა კაცი, მაგრამ მონტეგმა მაინც დაინახა, როგორ მოუქნიეს ლითონის ვეება მუშტი შორეულ ქალაქს და მიხ-ვდა, რომ უკვე ყველაფერი მოთავდა, ახლა თვითმფრინავები აღრიალდებოდნენ: „დაანგრიე, ქვა ქვაბე აღარ დატოვო, გაანადგურე, მოსპე!“ მონტეგმა უმწეოდ აღაპყრო ხელები ზეცისკენ და გონებით შეეცადა წამით შეეჩერებინა ბომბები ჰაერში. „გაიქეცი!“ – შესძახა ფაბერს, კლარისას, – „გაიქე-ცი! მოშორდი მანდაურობას!“ შეევედრა მილდრედს, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ კლარისა ცოცხალი აღარ იყო, ფაბერმა კი უკვე დატოვა ქალაქი და ახლა სადღაც ხეობა-ში მიქრის ხუთსაათიანი ავტობუსით ერთი განადგურებუ-ლი ქალაქიდან მეორისკენ. თუმცა განადგურება ჯერ ჰაერ-შია ჩამოკიდებული, მაგრამ აუცილებლად ჩამოვარდება და სანამ ავტობუსი ორმოცდაათ იარდს გაივლიდეს, ისადგ-ილი, სადაც უნდა მივიდეს, აღიგავება ჰირისაგან მიწისა,

ხოლო დედაქალაქი, საიდანაც ამ დილით გამოვიდა, ჯართის გროვას დაემსგავსება.

მილდრედი?..

გამოასწარი, გაიქეცი!

ბომბები უკვე ერთი იარდით იყო დაცილებული იმ სასტუმროს სახურავს, რომელშიც მილდრედი ცხოვრობდა. აი, უკვე ერთი ფუტი დარჩა, შემდეგ ერთი გოჯი და მონტეგმა თვალნათლივ დაინახა თავისი მეუღლე! იგი წინ გადახრილიყო, უბარმაბარ მოციმციმე კედლებს მისჩერებოდა და „ნათესავების“ ლუდლუდს უსმენდა. ისინი ყბედობდნენ, ლაქლაქებდნენ, უღიმობდნენ, სახელით იხსენიებდნენ, მაგრამ არაფერს უუბნებოდნენ იმ ბომბის შესახებ, რომელიც ერთი, ნახევარი, არა, ახლა უკვე მეოთხედი გოჯით იყო დაცილებული სასტუმროს სახურავს. მილდრედი ისე ხარბად ჩაშტორებოდა კედელს, თითქოს იქ ამოიკითხავდა, რატომ ატარებდა დამეებს ტანჯვასა და უძილობაში. იგი ნერვიულად ჩასჩერებოდა კედლებს, თითქოს უნდოდა შერწყმოდა ამ ათასნაირ ფერებს, ჩაძირულიყო ამ კაშკაშა ბედნიერების მორევში...

გაისმა პირველი ბომბის აფეთქების ხმა!

– მილდრედ!

ვინ იცის, პირველად სწორედ ის უბარმაბარი სატელევიზიო სადგურები მოისპოს, სხივების, ფერების, ხმებისა და ყბედობის კორიანტელს რომ აყენებდა ეკრანებზე.

მონტეგი მოწყვეტით დაეცა მიწაბე და იმავე წამს დაინახა, იგრძნო თუ მოეჩვენა, რომ კედლები ჩაქრა და მილდრედის სახეს სიბნელე მოეფინა, გაიგონა მისი კივილი, როცა, რაღაც მემილიონედ ნაწილში, სანამ ყველაფერი გათავდებოდა, ჯადოსნური ბროლი უბრალო სარკედ იქცა და მილდრედმა თავისი საოცრად უშინაარსო სახე დაინახა,

მარტოობას მიჩვეული სახე, სახე, რომელიც თანდათან იღეოდა შიმშილისგან, რომელიც მხოლოდ საკუთარი უჯრედებით იკვებებოდა. და ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ეს თვითონ იყო: მან სწრაფად ახედა ჭერს და იმავე წამს ჭერი თავზე დაემხო და მილიონ გირვანქა აგურთან, ლითონთან, ბათქაშთან და ფიცართან ერთად ჩაიტანა მომდევნო სართულზე, მერე კიდევ ერთი სართულით ქვევით, კიდევ და ბოლოს უკვე სარდაფში, ძლიერმა აფეთქებამ მოუსპო სიცოცხლე.

— გამახსენდა! — მონტეგი კიდევ უფრო მაგრად ჩაეკრა დედამიწას, — მოვიგონე! ჩიკაგოში... ჩიკაგოში იყო, დიდი ხნის წინათ. მე და მილი... სწორედ იქ შევხვდით ერთმანეთს! ახლა ნამდვილად გამახსენდა. ჩიკაგოში. დიდი ხნის წინათ!..

ძლიერი აფეთქების ტალღამ გადაურა მდინარეს და დომინოს კოჭებივით ერთიმეორის მიყოლებით დააფინა მიწაზე ხალხი, ცაში წყლისა და მტვრის სვეტები აღმართა, მერე ხეები ააკვნესა და სამხრეთისკენ გაიჭრა. მონტეგმა თვალები დახუჭა, მოიკუნტა და კიდევ უფრო მაგრად ჩაეკრა მიწას. მან მხოლოდ ერთხელ გაახილა თვალი და ზეცაში ავარდნილი ქალაქი დაინახა. ქალაქსა და ბომბებს ადგილი გაეცვალათ ერთმანეთისთვის. კიდევ ერთი უცნაური წამით ქალაქი ჰაერში გაირინდა — სულ შეცვლილი და გადასხვაფერებული — უფრო მაღალია, ვიდრე ადამიანი ინაგრებდა, ბეგონის შხეფებისა და ნაპერწკლებივით მოელვარე ლითონის ნამსხვრევებისგან აშენებული სახლებით თავუკუდმა ჩამოკიდებული, ათასნაირი ფერით აელვარებული ფრესკისა თუ ზეცაში ავარდნილი ბვავის მსგავსი. კარი — ფანჯრის, სახურავი — სამირკვლის, გვერდი კი ბურგის ადგილას მოჰქცეოდა... მერე ქალაქი გადატრი-

ალდა და მკვდარი დაენარცხა დედამიწაზე.

ქალაქის დაღუპვის ხმამ ცოტა ხნის შემდეგ მოაღწია მონტეგამდე.

\* \* \*

მონტეგი ისევ მიწაზე იწვა. დახუჭული თვალები და მაგრად მოკუმული პირი წვრილი, ნესტიანი ცემენტით ამოვსებოდა და გულამომჯდარი ქვითინებდა. უცებ გონებაში გაუელვა: „გამახსენდა, გამახსენდა, კიდევ რაღაც გამახსენდა! ნეტავი რა არის? ჰო, ვიცანი, – „ეკლესიასტეს“ ნაწილი. „ეკლესიასტეს“ და „გამოცხადების“ ნაწილი, ამ წიგნებიდან ამოკითხული! ჩქარა, ჩქარა, სანამ ისევ გამიფრინდებოდეს თავიდან, სანამ ამ აფორიაქებამ არ გამიარა, სანამ ქარი არ ჩამდგარა.

„წიგნი ეკლესიასტესი“ აი, აქ მაქვს! – მონტეგი მოცახცახე მიწას ჩაპკვროდა და ბედიზედ ჩურჩულით იმეორებდა ტექსტის სიტყვებს. ისინი თავისთავად მოდიოდნენ, თუმცა ძალას სულაც არ ატანდა თავს. ახლა „დენპემის პასტა“ აღარ უბმულდა ყურებში – თვითონ მოციქული ჩასჯლომოდა გონებაში და უმტერდა...

– მორჩა! – ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ბალახებში გართხმული ადამიანები ნაპირზე გამოყრილი თევზებივით აღებდნენ პირს და ჩქარ-ჩქარა სუნთქვადნენ. მათ ისე მაგრად ჩაბდლუჯათ დედამიწა, როგორც ბავშვი ჩაბდლუჯავს ხოლმე ნაცნობ ნივთს, თუნდაც ცივი და უსიცოცხლო იყოს იგი, თუნდაც ვერაფერი უშველოს. ყველა მაგრად ჩასჭიდებოდა მიწას და ღრიალებდა, რათა ყურები არ გახეთქოდათ და გონება არ დაბნელებოდათ. მონტეგიც ღრიალებდა, რათა თავი დაეცვა ქარისგან, რომელიც ლოკებსა და ტუჩებს აგლეჯდა და ცხვირიდან

სისხლს ადენდა. მონტეგი იწვა და უმზერდა, როგორ ემვებოდა დაბლა მტვერი დასიჩუმე. იგი მტვრის თითოეულ, სულ უმცირეს ნაწილაკს, ბალახის თითოეულ დეროს ხედავდა და ყოველი შრიალი, ჩურჩული და ყვირილი ესმოდა, რომელიც ახლად იბადებოდა ქვეყნად.

მტვერს სიჩუმე ჩამოჰქონდა მიწაზე, სიჩუმესთან ერთად კი მოცალეობა, რომ კაცს მიეხედ-მოეხედა ირგვლივ და სწორად აღექვა ამ დღის ამბავი.

მონტეგმა მდინარეს გადახედა: „იქნებ მდინარის ნაპირს გავყეთ“. შემდეგ მიტოვებულ ლიანდაგს გააყოლა თვალი: „ან იქნებ ამ გზით წავიდეთ? იქნებ უკვე შეიძლება, შარაგზაზე გავიდეთ? ვინ იცის, უკვე გვექნეს ფიქრისა და აზროვნების საშუალება. ერთ დღეს კი, კარგა ხანი რომ გავა და ნანახი და ნაფიქრი კარგად გადაიხარმება გონიერაში, ყველაფერი სიტყვებად და საქმეებად გადმოიდვორება. ბევრი მცდარი იქნება, მაგრამ ჭეშმარიტიც საკმაოდ აღმოჩნდება მათ შორის. დღეს კი გზას უნდა დავადგეთ და ქვეყანა დავათვალიეროთ: ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, რაზე საუბრობს, როგორ ცხოვრობს იგი. უნდა დავინახოთ მისინამდვილი სახე. ახლა ყველაფერი მინდა ვნახო, ყველაფერი, რაც ახლა განცალკევებულია ჩემგანაც და ერთიმეორისგანაც. როცა ისინი ჩემში შემოვლენ და ერთურთს შეერწყმიან, უკვე ისე შემისისხლხორცებენ, რომ ვედარავინ გაგვარჩევს ერთმანეთისგან. უნდა შეგხედო, ღმერთმანი, კარგად უნდა დავაკვირდე ამ ქვეყანას, ჩემ თვალწინ რომ გადაშლილა. აი, მაშინ ნამდვილად შევხვდები მას და ბოლოს და ბოლოს შევითვისებ, ბოლოს და ბოლოს სისხლში გამიჯდება და დღეში ათასჯერ, ათიათასჯერ დამივლის ძარღვებში. მე მაგრად ჩავეჭიდები მას, აღარ გავუშვებ ხელიდან და ოდესმე მთლიანად

დავისაკუთრებ. დღეს კი მხოლოდ თითს შევახებ. დღეს მხოლოდ დასაწყისია“.

ქარი ჩადგა. ჯერ ყველანი მიწაზე იწვნენ გაბრუებულები. ჯერ არ შეეძლოთ, წამომდგარიყვნენ და ყოველდღიური საბრუნავის უდელში გაეყოთ თავი. ჯერ არ შეეძლოთ აენთოთ ცეცხლი, ემოვათ საკვები, ემოძრავათ, ემუშავათ და ათასი წვრილმანი რამ გაეკეთებინათ. ისინი იწვნენ და მტვრიან ქუთუთოებს ახამხამებდნენ. თავდაპირველად ხშირ-ხშირად სუნთქავდნენ, მერე ცოტა მოუნელეს და ბოლოს სულ დაწყნარდნენ.

მონტეგი წამოჯდა.

წამოჯდა, მაგრამ ადგომას აღარ ცდილა. სხვებიც ასე მოიქცნენ. ჩაშავებულ ცისკიდურზე წითლად ამოიწვერა მზე. ციოდა. ჰაერში წვიმის სუნი იგრძნობოდა.

გრენჯერი წამოდგა, ხელ-ფეხი მოისინჯა და აბუბლუნდა. თვალებიდან წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა ცრემლი. იგი ფეხების ფრაგუნით მიადგა ნაპირს, მდინარეს ააყოლა თვალი და კარგა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა:

— ქალაქი მიწასთანაა გასწორებული. ქალაქი გაცამტვერებულია! — მერე, საკმაო დუმილის შემდეგ, დაუმატა,  
— ნეტა რამდენი მოელოდა ამ ამბავს და რამდენს მოულოდნელად დაატყდა თავს ეს უბედურება?

„კიდევ რამდენი ქალაქი მოისპო ქვეყნად“ — გაიფიქრა მონტეგმა, — მარტო ჩვენს ქვეყანაში რამდენი მოისრებოდა?! ასი? ათასი?“

ვიღაცამ ასანთი აანთო, ჯიბიდან ამოღებულ ქალალდის ნაგლეჯთან მიიგანა და, როცა ქალალდს ცეცხლი მოედო, ბალახისა და ფოთლების გროვის ქვეშ შეჩურთა. ცოტა ხნის შემდეგ ფოთლების გროვას ხის წვრილი ტოტები დააყარეს. ტოტები სველი იყო და ხრჩოლვა დაიწყო, მა-

გრამ ბოლოს, როგორც იქნა, აბრიალდა. მალე მზეც ამოვიდა. ხალხმა ნელ-ნელა შეაქცია ბურგი მდინარეს და განტად შეჯგუფდა ცეცხლის ირგვლივ. მზე ახლა ბურგბე აცხუნებდა მათ.

გრენჯერმა გაქონილი ქაღალდის შეკვრა გახსნა და ბეჭონის ნაჭერი ამოიღო:

— ახლა ცოტა წავიხემსოთ, მერე კი მდინარის ნაპირს ავყვეთ. უჩვენოდ ალბათ იოლად ვერ გავლენ იქ.

ვიღაცამ პატარა ტაფა გამოაჩინა. ბეჭონი ბედ დადეს და ცეცხლზე შედგეს. ორიოდე წუთის შემდეგ ბეჭონი უკვე შიშხინებდა, ხფოდა და ჰაერს მადის აღმძვრელი სურნელებით ავსებდა. ხალხი უხმოდ აღევნებდა თვალს ამ რიცხალს. გრენჯერი ცეცხლს ჩააჩერდა და ჩაიდუდუნა:

— ფენიქსი.

— რაო?

— ძველად, ქრისტემდე ერთი ბრიყვი ფრინველი ცხოვრობდა, სახელად ფენიქსი ერქვა. რამდენიმე საუკუნეში ერთხელ კოცონს ანთებდა და თავს იწვავდა (როგორც ჩანს, იგი ადამიანის უახლოესი ნათესავი იყო), მაგრამ ყოველი დაწვის შემდეგ ხელახლა აღდგებოდა ფერფლიდან. როგორც ვხედავთ, ჩვენც, ადამიანებიც, ასე ვიქცევით, ოღონდ იმ ფრინველთან შედარებით ერთი უპირატესობა მაინც გაგვაჩნია: ჩვენს შეცდომებს ვხვდებით ხოლმე. ვიცით ყველა ჩვენი შეცდომა, რომელიც ამ ათასი წლის განმავლობაში ჩავიდენია და რადგან ამდენს ვხვდებით, ოდესმე იმასაც მივაღწევთ, რომ ეს წყეული კოცონები აღარ დავანთოთ და შიგ აღარ ჩავხტეთ. ყოველი თაობა იძლევა ხალხს, რომელთაც ახსოვთ ძველი შეცდომები და ჩვენ სწორედ ისინი უნდა შევარჩიოთ.

გრენჯერმა ტაფა გადმოდგა ცეცხლიდან. ცოტა ხნის შეძეგ კერძი შეგრილდა და დინჯად და უხმოდ ისაუბმეს. ყვე-

ლა ჩაფიქრებულიყო. ბოლოს გრენჯერმა დაარღვია სიჩუმე:

— ახლა აღმა ავეყვეთ მდინარის ნაპირს და მტკიცედ დავიხსომოთ, რომ თვითონ ჩვენ არავითარი ღირებულება არა გვაქვს, არაფერი არა ვართ, მაგრამ ის, რასაც გონებაში ვინახავთ, მეტად მნიშვნელოვანია და ერთ დღესიგი აუცილებლად გამოადგება ადამიანებს. ოღონდ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მაშინაც კი, როცა წიგნის კითხვას არავინ გვიშლიდა, მთლიანად ვერ ვიყენებდით ხოლმე მის სიმდიდრეს, მიცვალებულების ხსოვნას ვძლალავდით, საფლავებზე ვაფურთხებდით ხოლმე... მომდევნო კვირას, მომდევნო თვეს, გაისად უამრავ მარტოხელა ადამიანს შევჭვდებით და როცა შეგვეკითხებიან — რას აკეთებთ, უნდა ვუპასუხოთ, ვისენებთ-თქო. ეს იქნება ჩვენი იარაღი, რომლითაც საბოლოოდ გავიმარჯვებთ კიდეც. ოდესმე კი იმდენს გავიხსენებთ, რომ უბარმაბარ საფლავს ამოვთხრით და შიგ სამუდამოდ დავასამარებთ ომს. ახლა კი დავიძრათ. პირველ ყოვლისა, სარკეების ქარხანა ავაგოთ და ერთ წელიწადს სულ სარკეები ვამზადოთ, რათა ხალხმა კარგად დაინახოს საკუთარი სახე.

საუბმის შემდეგ ცეცხლი ჩააქრეს. ირიერაჟა, სინათლემ იმატა, თითქოს ვიღაც ნელ-ნელა უწევდა ვარდისფერ ლამპარს. ჩიტები, წელან რომ დამფრთხალნი გაფრინდნენ სადღაც, მობრუნდნენ და ხის ტოტებზე ჩამოსხდნენ. მონგეგი წამოდგა და ჩრდილოეთისკენ გაემართა. ცოტა ხნის შემდეგ უკან მოიხედა და ნახა, რომ ყველა უკან მისდევდა. გაოცებული მონტეგი გვერდზე გადადგა და გრენჯერს გზა დაუთმო, მაგრამ გრენჯერმა შეხედა და თავით ანიშნა — წინ გაგვიძეხიო.

მონტეგმა გზა განაგრძო. იგი ხან მდინარეს უმზერდა, ხან ცას და ხან ლიანდაგს, რომელიც ფერმებიდან და თივით სავსე საბძლებიდან მოდიოდა. ახლა ამ ფერმებისკენ, ალბათ,

ჯგუფჯგუფად მოეშერებოდა ქალაქიდან გამოქცეული ხალხი. შემდგომში, ერთ თვისა თუ ექვსი თვის შემდეგ (ყოველ შემთხვევაში, ერთ წელიწადს არ გადააცილებს), მონტეგი კვლავ დაივლის ამ ადგილებს, მაშინ უკვე მარტოდმარტო, და მანამ არ შეჩერდება, სანამ იმ ხალხს არ დაეწევა, რომლებმაც აქ გაიარეს.

ახლა კი გრძელი გზა უდევთ წინ, შუადღემდე უნდა იარონ და თუ ჯერ არავინ იღებდა ხმას მხოლოდ იმიტომ, რომ ყველას თავისი საფიქრალი ჰქონდა, ალბათ, ცოტა მოგვიანებით, როცა მზე ამოვა და ყველაფერს გაათბობს, ისინი ენას ამოიდგამენ და ან ერთმანეთს გაესაუბრებიან, ან ყოველი მათგანი იტყვის, რაც გაახსენდა, რათა თავი დაარწმუნონ, რომ მართლა სწორად გაიხსენეს ყველაფერი, რომ მათი ცოდნა აღარ დაიკარგება.

მონტეგს თვითონაც რაღაც აუმოძრავდა და აუდუღდა სულში, და მიხვდა, რომ წიგნის სიტყვები ახსენებდა თავს. ნეტა რა უნდა თქვას, როცა მისი ჯერი დადგება, რითი უნდა შეუმსუბუქოს თავის ხალხს ეს მძიმე დღე?

ყველაფერს თავისი დრო აქვს – ნერგასაც და შენებასაც, თქმასაც და ართქმასაც. დიახ, ეს ასეა, მაგრამ კიდევ ერთი რამის... კიდევ რაღაცის გახსენება მინდოდა... ჰო: „და მდინარისა მის ამიერ და წიაღ ძელი ცხოვრებისაი, გამომდებელი ათორმეტისა ნაყოფისა, ყოველთა თუუეთა მომცემელი თვისისა ნაყოფისა და ფურცელნი მის ხისანი საკურნებლად წარმართთა“.

„დიახ, – ფიქრობდა მონტეგი, – სწორედ ამას შემოვუნახავ მათ შუადღისთვის.

შუადღისთვის...

როცა ქალაქს მივადგებით“.